# კვირის პალიტრა

№ 32 (493) ◆ 9 – 15 აგვისტო. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

## „Я НЕНАВИЖУ КАВКАЗ“(!)

### „ეს იმპერიის ნგრევის თანამდევი პროცესია“



დუმა დღეს ყველაზე ჩამორჩენილი პოლიტიკური ინსტიტუტია რუსეთში...

...რუსეთის ტანკები ათიოდე წლის წინ ბერლინში იდგა, დღეს კი ფსკოვთან კარვებში ძლივს აჩერებს თავის სამხედროებს. წარმოგიდგენიათ, რა გამწარებულები იქნებიან?

გვ.7

## სერგეი შამბა არის ყველაზე ანტიქართული ფიგურა სეპარატისტულ ხელისუფლებაში



### „ბოევიკი ჩირიგბა როცა გამოკეთდება, მასთან რამდენიმე საკითხი გვაქვს გასარკვევი “

არძინბა და რაულ ხაჯიმბა ბავშვობის მეგობრები არიან, ეშერაში ერთად იზრდებოდნენ. ეს აძლევს არძინბას უფლებას, ენდოს ამ კაცს. ამასთან, ხაჯიმბა არ ეკუთვნის არც გუდაუთელთა და არც ოჩამჩირელთა ბანაკს, რომელთა შორის ანტაგონიზმი ყოველთვის არსებობდა.

31 ივლისს თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში სამკურნალოდ ჩამოიყვანეს სეპარატისტების საბაჟო კომიტეტის საკარანტინო სამსახურის ყოფილი თანამშრომელი გენადი ჩირიგბა, რომელსაც ჩამოჰყვა ქართველი მეუღლე სვეტლანა აქირთავა. ეს კაცი დღეს მძიმედ არის ავად, ამიტომ აგრესიის გამომჟღავნება უზნეობა იქნებოდა. როცა გამოკეთდება გენადი ჩირიგბა, მასთან რამდენიმე საკითხი გვაქვს გასარკვევი, რა თქმა უნდა, პროცესუალური ნორმების დაცვით.

გვ.13

## „მოსკოვში ქართული რესტორანი ყვავილების მაღაზია მეგონა“



### „მიშას ჯინაზე ფორმას აუზის გარეშეც შევინარჩუნებ“

გვ.7

ის ბიზნესმენები ახლა ამბობენ თურმე, სან-ფრანცისკოში ბევრად იაფად ჩავდივართ. ეს რა სტუმართმასპინძლობა იყო, ვიღაც აფერისტმა ჩვენს ხარჯზე ფული გააკეთა. ის კაცი სააკაშვილსაც ატყუებსო...

**სამხედრო თემაზე:**

ცხინვალის პარალელურად, აფხაზეთშიც სიტუაციის გამწვავება თბილისს ძალების სასწრაფო გადანაწილების აუცილებლობის წინაშე დააყენებს...

გვ.8,9

## „სუხარის“ ბედი გაირკვა, ახლა კარტოფილის ჯერია...

## სანგრიდან დანახული ღამის ცხინვალი

## აფы, ბაფы, შლი დეპუტატы!

## „მე არა ვარ ვალდებული, გავჩუმდე და ვიტყვი...“



### „თუ ამას შეთანხმება ჰქვია“

გვ.5,6

როგორც შიდა ქართლის, ასევე ფოთის ხელმძღვანელობას ბევრ უხერხულ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა.

## უზანაესმა ცისარტყელით გაგვიღო კარი

გვ.11



### „გვიყვარხარ საქართველო და გვინდა შენი ვიყოთ“

„ქართველობა იოლი რამ არ არის. ბეწვის ხიდზე სიარულივით არის. არაფერი არ უნდა შეგეშალოს“, – ასეთია ფერეიდნელი ხოსროშვილის მორალი...

„აქედან რომ გადამაგდონ, ჩემი წინაპრების სულები დამიფარავენ და მიწაზე უვნებელი დავალ. ეს მართლა დიდი რამე აგიშენებიათ, ქართველებო...

ჩვენი წინაპრები თავადები ყოფილან, მიწა და მამული გვქონია კახეთში. ნუთუ მათ შთამომავალთ, სულით ხორცამდე ქართველს, აქ, სადაც ათასი უცხო ჯურისა ჰყავთ შეფარებული, უარს მეტყვიან“.

## მსოფლიოს №1 ტერორისტი სვანურად ლაპარაკობს(!)

გვ.20



### „ÔÑÁ-ის გენერლები მოდიოდნენ ჩემთან სურათის გადასაღებად“

„გზაზე ერთი წუთით გვიან ან ადრე რომ გადავსულიყავი, ჩემი ცხოვრება სხვანაირად წარიმართებოდა...“

**ექსპერტის აზრით:**

## რუსებისგან პროვოკაციებს კიდევ ველოდებით

გვ.5

### „კოკოშინმა ზუსტად იცოდა, რომელ ტერიტორიაზე და რა დროს ესროდნენ მის მანქანას“

ამიტომაც გადაუხვიეს მთავარი მარშრუტიდან და თავდასხმის ინსცენირება იმ ტერიტორიაზე მოხდა, რომელსაც ქართული მხარე ვერ აკონტროლებს. გეგმა მარტივი იყო, მაგრამ კარგად მოფიქრებული. კოკოშინის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა. რუსეთის დუმას კი საბაბი ეძლეოდა, მთელი მსოფლიოს გასაგონად გაეკეთებინა განცხადება საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოწვეულ დესტაბილიზაციაზე.

## „უკვე ისე აღარ გვაწვიმს, რომ ხმალზე დღესვე გავიკრათ ხელი“

გვ.12

### „ამ ვანდალიზმით მტერი მიზნად ისახავდა ჩვენი ურთიერთობების დაძაბვას საბერძნეთსა და ისრაელთან“



## მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## საააკაშვილმა შუამთობა იზეიმა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ისრაელში წარმატებული ვიზიტით კმაყოფილი აჭარას ეწვია, სადაც იგი რეგიონის მაღალმთიან ბეშუმში ტრადიციულ სახალხო დღესასწაულს, შუამთობას დაესწრო. დღესასწაული საზაფხულო იალაღებზე იმართება, სადაც მოსახლეობა მხოლოდ ზაფხულობით ცხოვრობს. ბეშუმში პრეზიდენტის პატივსაცემად გამართულ დოღში საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. აჭარელთა ტრადიციულ დღესასწაულზე წარმოდგენილი იყო ხულოს რაიონის 11 საკრებულოს მეწარმეთა ნამუშევრები. სანამ პრეზიდენტი შუამთობას ზეიმობდა, შს მინისტრმა, ირაკლი ოქრუაშვილმა სვანეთი მოინახულა. ამგვარი გადაწყვეტილება მინისტრმა ცხინვალიდან დაბრუნების შემდეგ მიიღო. ოქრუაშვილის აზრით, ზაფხულში, როდესაც საზღვართან, გზის რთულ მონაკვეთებზე გადაადგილების პრობლემა აღარ არის, რეგიონი მეტ ყურადღებას მოითხოვს. შესაძლოა, სვანეთში მინისტრის ვიზიტი რუსეთის ოფიციალური წრეების მუდმივმა პრეტენზიებმაც განაპირობა და ოქრუაშვილმა გადაწყვიტა, თავისი თვალით ენახა, თუ როგორ არ არსებობს ჩეჩენი ტერორისტების სვანეთის მხრიდან საზღვარზე შემოსვლის შესაძლებლობა.

## მგლის თავზე სახარების კითხვა

31 ივლისს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების ოთხმხრივი ჯგუფის შეხვედრაზე გადაწყდა, რომ თამარაშენის ცხინვალთან დამაკავშირებელ უბანში დამატებითი ბლოკპოსტი გაიხსნება. ამავე დღეს სახელმწიფო მინისტრის, გოგა ხაინდრავასა და შს მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის ე. წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრისას გადაწყდა, რომ შემოვლითი გზის გამოყენებაში მხარეები ერთმანეთს ხელს არ შეუშლიან. ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, ქართული მხარე მზად არის ნებისმიერ პროვოკაციას საკადრისი პასუხი გასცეს: „შევთანხმდით იმაზე, რომ ცხინვალის შესასვლელში, ბლოკპოსტზე, სადაც ახლა მხოლოდ ოსები დგანან, დადგებიან ქართველებიც და რუსებიც. ბლოკპოსტი იქნება მანამ, სანამ არ დავრწმუნდებით იმაში, რომ ოსები აღარ ისვრიან. იმედია, ოსები შეიგნებენ, რომ პროვოკაციას აზრი არა აქვს და საკუთარ შეიარაღებულ ძალებს გააკონტროლებენ“. ზოგიერთ საკითხზე შეთანხმების მიუხედავად, ოსური მხარის საქციელი მგლის თავზე სახარების კითხვას ჰგავდა. ოთხმხრივი შეხვედრის დროს ცხინვალის გარეუბანში სროლის ხმა ისმოდა. ოსები ქართველების მიმართულებით ისროდნენ 1-ელი აგვისტოს ღამითაც, რის შედეგადაც მსუბუქად დაიჭრა ორი ქართველი. სეპარატისტები სროლის დაწყებას ქართულ მხარეს აბრალებენ. მომხდარზე პასუხისმგებლობას არც რუსი სამშვიდობოები იღებენ.

„არსებობს მესამე ძალა, რომელიც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მხარეთა შორის კონფლიქტის პროვოცირებას ახდენს“, — განაცხადა 1-ელ აგვისტოს რუსეთის სამშვიდობო ძალების მეთაურმა, გენერალმა ნაბზდოროვმა (ალბათ თავის თავს და რუსეთს გულისხმობდა). მისი თქმით, 1-ელი აგვისტოს ღამის ინციდენტი სწორედ მესამე მხარის პროვოცირებულია.

## პრეზიდენტი სროლას კრძალავს

საქართველოს ხელისუფლებამ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სამხედრო დაპირისპირების თავიდან აცილების სპეციალური გეგმა შეიმუშავა.

სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობდნენ უშიშროების მინისტრი ვანო მერაბიშვილი, თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე, კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა და გენერალური შტაბის ხელმძღვანელი გივი იუკურიძე.

იუკურიძის თქმით, საქართველოს ძალოვანი უწყებების მინისტრებს ქართულ სოფლებში განლაგებული ქვედანაყოფებისთვის ბრძანება აქვთ გაცემული ცეცხლის გაუხსნელობის შესახებ. მისივე განმარტებით, ოსური მხარის მიერ ცეცხლის გახსნის შემთხვევაში, მთელი პასუხისმგებლობა კონფლიქტის ზონაში განლაგებულ სამშვიდობო ძალებს დაეკისრება.

იუკურიძის განცხადებით, ქართველ ძალოვნებს ძალის გამოუყენებლობის მოთხოვნით საქართველოს პრეზიდენტმა მიმართა. სწორედ მან შეასრულა გადამწყვეტი როლი იმ სპეციალური გეგმის შემუშავებაში, რომელიც კონფლიქტის ზონაში ვითარების განმუხტვას შეუწყობს ხელს.

## დავუჯეროთ ივანოვს?!

რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი იგორ ივანოვი თბილისისა და ცხინვალის ხელმძღვანელობას შეხვედრის გამართვისა და მხარეთა შორის არსებულ პრობლემებზე მოლაპარაკებების დაწყებისკენ მოუწოდებს.

ივანოვის განცხადებით, რუსეთი სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში არსებული ვითარების განმუხტვითაა დაინტერესებული, რის გამოც მხარეებს მოუწოდებს „არ გადადონ მოლაპარაკებები და დროულად მიიღონ ერთობლივი გადაწყვეტილებანი“.

ივანოვის მტკიცებით, რუსეთის ფედერაციას კონფლიქტის მოსაგვარებლად დიდი პოლიტიკური არსენალი აქვს და იგი ყველა ღონეს მიმართავს საიმისოდ, რომ ვითარება უარესი სცენარით არ განვითარდეს.

კითხვაზე, თუ რამდენად რეალურია სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციაში გაერთიანება, რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი ივანოვი პასუხობს, რომ „თეორიულად არაფერია გამორიცხული“(?!), მაგრამ მას ამ იდეის პრაქტიკული განხორციელება ძნელად წარმოუდგენია.

ივანოვი კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ მტკიცებას იმის თაობაზე, რომ რუსეთი სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს. მისი თქმით, „რუსეთის ხელისუფლება ყოველთვის აღიარებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს“. მისივე თქმით, ამჟამად მოსკოვი და თბილისი აქტიურად მუშაობენ საქართველოსა და რუსეთს შორის ხელმოსაწერ ხელშეკრულებაზე, რომელშიც დაფიქსირდება რუსეთის პოზიცია.

## სასუქის ნაცვლად კომბაინებს ითხოვენ?!

ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების საკითხებში სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის, ედუარდ კოკოითის წარმომადგენლის, ვაჟა ხაჭაპურიძის განცხადებით, ხორბლის მოსავლის აღებაში კომბაინებით დახმარების თხოვნით სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ საქართველოს მთავრობას ოფიციალურად მიმართა.

მისივე თქმით, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის, დავით შერვაშიძის ხელშეწყობით, ქართული მხარის მიერ ხორბლის მოსავლის ასაღებად გამოყოფილ 3 კომბაინს ცხინვალში ჩაიყვანენ.

ხაჭაპურიძის განმარტებით, ოსურ მხარეს საქართველოს მთავრობისთვის კომბაინებით დახმარების მეგობრული თხოვნით სურდა დაემტკიცებინა, რომ „ქართველებთან ომი არ უნდა და საქართველოს ხელისუფლებასთან საქმიანი ურთიერთობების მოწესრიგების მომხრეა“. ამაზე იტყვიან, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო — ყოველღამე ტყვიებს გვიშენენ და თან გაიძახიან, მეგობრობა გვინდაო...

## აჭარის მთავრობა შედგა

აჭარის უმაღლესმა საბჭომ სახელობითი კენჭისყრით, ოცდასამი ხმით ორის წინააღმდეგ, აჭარის მთავრობის შემადგენლობა დაამტკიცა. ყველასთვის მოულოდნელად, ჯანდაცვის მინისტრი კობა ხაბაზი გახდა, სოფლის მეურნეობის მინისტრის პოსტი ედვარდ ფუტკარაძეს ერგო, განათლების მინისტრად ალექსანდრე გეგენავა დაამტკიცეს, ეკონომიკის და ფინანსთა მინისტრი კი ლევან ვარშალომიძის მეგობარი ალექსანდრე ბეჟანიძე გახდა.

მინისტრობის კანდიდატებს კენჭი ცალ-ცალკე უყარეს, რის გამოც ოპოზიციამ პროტესტის ნიშნად კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო. ოპოზიციისთვის განსაკუთრებით მიუღებელი აღმოჩნდა მრავალი პოსტისთვის დაწუნებული კობა ხაბაზისა და აჭარის კულტურული წრეებისთვის უკვე სკანდალურად ცნობილი ალექსანდრე გეგენავას კანდიდატურები.

აჭარის უმაღლესი საბჭოს სხდომის დღის წესრიგში კიდევ ორი საკითხია — აჭარის კონტროლის პალატის თავმჯდომარედ ანზორ ზოიძის დამტკიცება და დადგენილების განხილვა, რომელიც აჭარაში მოქმედი შვიდი კულტურული ცენტრის გაუქმებას ისახავს მიზნად. მათი გაუქმების შემთხვევაში კი ალბათ ბათუმში მორიგი საპროტესტო აქციები დაიწყება.

## მოსკოვი აფხაზებს რკინიგზას უკეთებს

რუსეთის რკინიგზელები დროს არ კარგავენ — სოხუმი-ფსოუს სარკინიგზო გზის ფსოუს მონაკვეთზე სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად მათ 20 ვაგონით განძელები ჩაიტანეს. აღნიშნულ მონაკვეთზე სარემონტო სამუშაოებს რუსეთის მხარე აფხაზეთის ე.წ. მთავრობასა და ჩრდილო კავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობას შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე განახორციელებს.

2003 წელს სოჭში პრეზიდენტ პუტინსა და შევარდნაძეს შორის აფხაზეთთან დაკავშირებით მიღწეული შეთანხმების თანახმად, რუსეთისა და საქართველოს მთავრობების დონეზე სოჭი-თბილისის სარკინიგზო მონაკვეთის აღსადგენად აფხაზური ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობით სამთავრობო კომისია შეიქმნა, თუმცა ამ კომისიის ფარგლებში მოსკოვსა და თბილისში გამართული სამუშაო სხდომები უშედეგოდ დასრულდა.

ქართული მხარის დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, აფხაზურმა მხარემ რკინიზის აფხაზეთის მონაკვეთზე სარემონტო სამუშაოების ჩატარებაში ქართველების მონაწილეობაზე კატეგორიული უარი განაცხადა. მოსკოვი და სოხუმი კი სოჭი-სოხუმის სარკინიგზო მონაკვეთზე სარემონტო სამუშაოების აღდგენის საქმეში თბილისის გარეშე უკვე მეორე წელია თანამშრომლობენ.

## სამშვიდობოები თუ აგრესორები

გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში რუსეთის სამშვიდობო ძალების მე-9 საგუშაგოს ჯარისკაცებმა სრულიად უმიზეზოდ ცეცხლი გაუხსნეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში მცხოვრებ მამა-შვილს, ნოდარ და ბეჟან ეხვაიებს, როდესაც ისინი საკუთარი ნაკვეთიდან შინ ბრუნდებოდნენ. ეხვაიები რუსებს ნაბაკეველი მოსახლეობის დახმარებით გადაურჩნენ. ნაბაკეველთა თქმით, რუსი სამშვიდობოები ქართველების მიმართ ყოველთვის აგრესიულობით გამოირჩევიან. როგორც ეხვაიები ამბობენ, რუსი ჯარისკაცები მთვრალები იყვნენ.

## ნათელაშვილი აქტიურობს

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი მოსკოვში სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ის საკითხთა კომიტეტის წარმომადგენლებს შეხვდა. საუბრის ძირითადი თემა ცხინვალის რეგიონში არსებული რთული პოლიტიკური ვითარება გახდა.

შალვა ნათელაშვილი შეეხო რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მიერ ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას და აღნიშნა, რომ „ეს არის არაობიექტური ხედვა, რაც არ ასახავს ისტორიულ რეალობას და ასეთი ქმედებები ხელს უშლის არა მარტო კონფლიქტის მოგვარებას, არამედ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუმჯობესების შესაძლებლობას“. ნათელაშვილმა დააფიქსირა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელია. მხარეებმა შეხვედრისას აღნიშნეს, რომ კონფლიქტის დარეგულირება აუცილებელია ორმხრივი დიალოგის ფარგლებში და მისი მოგვარების მშვიდობიან გზას ალტერნატივა არ გააჩნია. მხარეებმა გამოთქვეს სურვილი, შეიქმნას მრგვალი მაგიდა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობას მიიღებენ რუსეთისა და საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები. ამ ფორმატის პირველი შეხვედრა, სავარაუდოდ, სექტემბერში, თბილისში ჩატარდება.

## ნავთობსადენი მნიშვნელოვანია, მაგრამ...

საქართველო ამერიკის სერიოზული პარტნიორია ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალურ ომში და ამისათვის აშშ საქართველოს უდიდეს მადლობას უხდის, — განაცხადა ამერიკის სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილემ, ელიზაბეტ ჯოუნსმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთსაათიანი დახურული შეხვედრის შემდეგ.

ჯოუნსის თქმით, ამერიკა მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მიაჩნია, რომ ქვეყანაში არსებული შიდაკონფლიქტები პოლიტიკური დიალოგის გზით უნდა გადაწყდეს. ამასთან, მისი თქმით, აშშ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ეუთოს როლს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარების საკითხში.

სამხრეთ ოსეთში არსებული ვითარების განხილვის გარდა, ელიზაბეტ ჯოუნსის საქართველოში ვიზიტის მიზანს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის საკითხების განხილვა წარმოადგენს და მისი განმარტებით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და შაჰდენიზის გაზსადენის მშენებლობის დასრულება საქართველოს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს. თავის მხრივ, ნინო ბურჯანაძემ საქართველოს პარლამენტის სახელით მადლობა გადაუხადა ელიზაბეტ ჯოუნსს „ვარდების რევოლუციის“ პერიოდში აშშ-ის მიერ საქართველოს მხარდაჭერისთვის და განაცხადა, რომ ბაქო-თბილისის-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა უმნიშვნელოვანესი პროექტია, თუმცა საქართველოში ვერანაირი პროექტი ვერ განხორციელდება ქვეყნის რომელიმე რეგიონის ეკოლოგიური უსაფრთხოების ხარჯზე. ბურჯანაძე იმედოვნებს, რომ ნავთობსადენის მშენებლობა საერთაშორისო სტანდარტების დონეზე განხორციელდება.

## აჭარის ტელევიზია არ დაიხურება

აჭარის ტელევიზიის შესაძლო დახურვასთან დაკავშირებით ატეხილი მითქმა-მოთქმის გამო კომენტარი აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ, ლევან ვარშალომიძემ გააკეთა. მისი თქმით, ტელეკომპანიას ჯერჯერობით, დახურვის საფრთხე არ ემუქრება, თუმცა ფრანგულ კომპანია „გლობ კასტთან“ დადებული ხელშეკრულების შესწავლა მიმდინარეობს, რომელიც აჭარის მთავრობას დაუყოვნებლივ სთხოვს აჭარის ტელევიზიის მაუწყებლობის კოსმოსური თანამგზავრით გავრცელების საფასურის გადახდას. ლევან ვარშალომიძის განცხადებით, „გლობ კასტს“ აჭარის მთავრობამ ყოველთვიურად 200 ათასი ევრო უნდა გადაუხადოს, მაშინ როცა სხვა ტელეკომპანიები, რომლებიც თანამგზავრით მაუწყებლობენ, ყოველთვიურად მხოლოდ 27 ათას დოლარს იხდიან. ვარშალომიძის განმარტებით, აჭარის მთავრობას ხელშეკრულება „გლობ კასტთან“ 2006 წლამდე ჰქონდა გაფორმებული. თუ აჭარის მთავრობა დაარღვევს ხელშეკრულებას, მან 11 მილიონი ევრო უნდა გადაიხადოს, ხოლო 4 მილიონი ევრო ჯარიმის სახით დაფაროს. ცხადია, 11 ან 4 მილიონის გადახდას ისევ 200 ათასი ევროს გადახდას ამჯობინებენ.

## „კავკასიას“ „შავი ღრუბელი“ გადაეფარა

ფიქრია ჩიხრაძის განცხადებით, „ხელისუფლებას განსხვავებული აზრის ატანა აღარ შეუძლია. ტელეკომპანია „კავკასია“ განსხვავებული, გამოკვეთილი პოზიციის ტელევიზიაა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას გუნდრუკს არ უკმევს, ხელისუფლება კი მას ფინანსური ხერხებით ებრძვის“. მისი აზრით, დამოუკიდებელ მედიაზე მიზანმიმართული ზეწოლა სულ უფრო თვალსაჩინო ხდება. „ხელისუფლება სასამართლო გადაწყვეტილებებს უგულებელყოფს და ტელეკომპანიას გაწერილი სქემის მიხედვით თანხის გადახდის შესაძლებლობას არ აძლევს“.

ტელეკომპანია „კავკასიას“ ქონების დაყადაღება ემუქრება. 28 ივლისს ამ გაფრთხილებით ტელეკომპანიის ოფისში სააღმსრულებლო დეპარტამენტის წარმომადგენლები გამოცხადდნენ. საქმე ეხება იმ 12 ათას ლარს, რომელიც „კავკასიას“ ტელე-რადიოცენტრისა მართებს. როგორც „კავკასიის“ ხელმძღვანელობა განმარტავს, კომპანია ტელე-რადიოცენტრს გადასახადს სასამართლოს მიერ დადგენილი წესით, ყოველთვიურად უხდიდა, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც აქვთ. თუმცა აღმსრულებლები ტელეცენტრის წერილის საფუძველზე კომპანიას აპრილის თვის დავალიანების გადაუხდელობას ედავებიან და მის დასაფარად 2 აგვისტომდე აძლევენ ვადას. კომპანიის ხელმძღვანელობა ყოველივეს „ხელისუფლების შეკვეთად“ აფასებს.

## სანაიას საქმე გრძელდება

საქართველოს გენერალური პროკურატურა ჟურნალისტ გიორგი სანაიას ოჯახის მოთხოვნას, საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების შესახებ, მხარდაჭერას უცხადებს.

გენერალური პროკურორის მოადგილის, კახა კობერიძის თქმით, იმ შემთხვევაში, თუკი უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატა დააკმაყოფილებს დაზარალებული მხარის მოთხოვნას მკვლელობის ხელახალ გამოძიებაში დაბრუნების შესახებ, გენერალური პროკურორი მზად არის პირადი კონტროლი დააწესოს ამ საქმეზე. 30 ივლისს საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ჟურნალისტ გიორგი სანაიას აფექტურ მდგომარეობაში მკვლელობისა და ბრალდებულ გრიგოლ ხურცილავასთვის 13-წლიანი ვადით თავისუფლების აღკვეთის შესახებ. სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას სანაიას მეუღლე ხათუნა ჩხაიძე აპროტესტებს და საქმის ხელახალი გამოძიების მოთხოვნით. მის უზენაეს სასამართლოში გასაჩივრებას აპირებს.

## ქართველებმა „ლენინის პიკი“ დაიპყრეს

ქართველმა ალპინისტებმა „ლენინის პიკი“ დაიპყრეს. 25-მა მთამსვლელმა წარმატებით დაასრულა ოპერაცია პამირზე. მწვერვალზე ასვლა ცამეტმა ალპინისტმა შეძლო, მათ შორის არის ლიკა ნოზაძეც. ლიკა ქართველ მთამსვლელ ქალთაგან პირველია, ვინც ზღვის დონიდან 7000 მეტრზე ავიდა. ჯგუფში ლიკა ერთადერთი ქალი იყო. ქართველი მთამსვლელები თბილისში ამ დღეებში დაბრუნდებიან.

### მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, ,,კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი.

იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — **25 ლარს** გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა **20 ლარი,** III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — **15 ლარს.** გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *(რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე).*

### წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „ამ დღეს პირველად დაიძრა საქართველო!“ — 82 ხმა
2. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „კატასტროფის პირას მისული ქართული ფრესკები სასწრაფოდ შველას ითხოვენ“ — 62
3. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე“ — 37

პირველი პრემია — 25 ლარი კვლავ გადაეცემა **ვაჟა გავაშელს,** მეორე — 20 ლარი — **ზვიად ჩაკვეტაძეს,** მესამე — 15 ლარი — **ირაკლი ალადაშვილს.**

*„მკითხველის პრემიის“ მფლობელები 352-მა რესპონდენტმა გამოავლინა*

CMYK

# თუ ადამიანი დასაჭერია, რატომ უშვებ და თუ გამოსაშვებია, რატომ იჭერ?

## „საშინაო წარმატება საგარეო-პოლიტიკურ წარმატებაზე ნაკლებმნიშვნელოვანი ნამდვილად არ არის“



საქართველოს პრეზიდენტი განაგრძობს საერთაშორისო ასპარეზზე აქტიურობას — თუმცა გულხელდაკრეფილნი არც ჩვენი მეგობარ-მეზობელი სახელმწიფოები არიან. იმ დროს, როდესაც სააკაშვილი თეთრ სახლში კოლინ პაუელს და კონდოლიზა რაისს ხვდებოდა, საქართველოს საჰაერო სივრცე რუსულმა სამხედრო თვითმფრინავებმა დაარღვიეს, თანაც არაერთგზის. როგორც ჩანს, რუს პილოტებს ჰაერში „მხარი ეცვალათ“ და საზღვარი შემთხვევით გადმოკვეთეს, ან „ცუდ რუსეთს“ (მოგეხსენებათ, არსებობს „კარგი რუსეთიც“!) სურდა, სააკაშვილისთვისაც და ამერკელებისთვისაც მრისხანედ მიენიშნებინა — კრემლი კავკასიაში ძველებურად მბრძანებლობს, აკეთებს იმას, რაც უნდა და როცა უნდაო. ასეა თუ ისე, პირველ შემთხვევაში პუტინს სამხედრო ავიაციის, მეორე შემთხვევაში — გენერალიტეტის გადახალისება მოუწევს. თუმცა საეჭვოა, ან ერთი, ან მეორე საქართველოს გულისთვის ჩაიდინოს...

მიხეილ სააკაშვილს უცხოეთში ვიზიტები ისე გაუგრძელდა, რომ თბილისში ლამის სტუმრად ჩამოდის ხოლმე. რასაკვირველია, ძალიან კარგია საქართველოს იმიჯსა და პრესტიჟზე ზრუნვა, საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების ნუგეშისცემა და მათი სამშობლოს სამსახურში ჩაყენება, მაგრამ ნებისმიერი საერთაშორისო წარმატების მიღმა მთავარი ხომ მაინც საქართველოა, ყველაფერი ხომ საქართველოსთვის და საქართველოს სახელით კეთდება?

სანამ საქართველოს პრეზიდენტი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს, კოლინ პაუელს, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის გეოპოლიტიკურ-სტრატეგიულ-ენერგეტიკულ მნიშვნელობაზე, ერაყში და ცხინვალის მისადგომებთან გართულებულ ვითარებაზე და ყველაფერში მოსკოვის შესაძლო გავლენასა და წვლილზე ესაუბრებოდა, ბათუმის ერთ-ერთი უბნის საბინაო-კომუნალური მეურნეობის თავმჯდომარე აჭარის საგზაო პოლიციის ყოფილ უფროსს 50 ათას დოლარს სცინცლავდა, გორის გაზეთის რედაქტორს ადგილობრივი სამართალდამცველები პოლიციაში ადამიანის უფლებათა „სრული დაცვითა“ და პანჩურებით მიაბრძანებდნენ, ფოთის ტელევიზიის ტექნიკა კი ჯერ არნახული, რევოლუციური შემართებითა და გულმოდგინებით იძარცვებოდა. ქუთაისში წინა კვირაში აქცია დათხოვნილმა პოლიციელებმა გამართეს, მერე დაზარალებულმა მძღოლებმა — როგორც ჩანს, თუნდაც მექრთამე, მაგრამ მაინც პოლიციის გარეშე დარჩენილი ადგილობრივი დამნაშავეებისთვის „მარშუტკების“ ლამის მასობრივად გატაცება ახალი სახელმწიფოებრიობის იდეაზე უფრო მიმზიდველი აღმოჩნდა...

ბათუმური გამოძალვის გამოაშკარავებას საქართველოს უშიშროების მინისტრმა საგანგებო პრესკონფერენცია მიუძღვნა და ამაყად დასძინა, — დამნაშავე ხელისუფლების ან ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი კი არა, რიგითი საყოფაცხოვრებო მოხელე იყოო. აბა, ნამეტანი ჯანსაღი სიტუაცია შექმნილა აჭარაში — ასეთი რა შიში ითესება, რომ „კომუნალკის“ თავმჯდომარე ავტონომიის საგზაო პოლიციის ყოფილ უფროსს ატერორებს...

თუ დევნილები გაჯიუტდებიან და შეთავაზებულ პირობას არ დათანხმდებიან, დედაქალაქის ხელმძღვანელობა დილემის წინაშე აღმოჩნდება: თუ ინვესტორებისგან თანხის გაზრდას მოითხოვს, მაშინ რა პასუხს გასცემს ამავე ქალაქის მკვიდრთ, რომლებმაც მიწისძვრის გამო სახლ-კარი დაკარგეს და კომპენსაცია დღემდე არ მიუღიათ — პირიქით, მათ ხელკეტებითაც გაუმასპინძლდნენ. მაგრამ თუ „ივერიასაც“ ანალოგიური მეთოდით, ანუ ხელკეტებით დაცლიან, მაშინ მოვლენებს სულ სხვა სარჩული დაედება და ეს გამოუსწორებელი პოლიტიკური შეცდომა და დანაშაული იქნება. ისევ ამ დევნილებს უნდა ჰყავდეთ ისეთი ლიდერები, ხელმძღვანელები, რომლებიც დაარწმუნებენ, რომ ქვეყანას დახმარება და გაგება მათი მხრიდანაც სჭირდება. მეტისმეტის მოთხოვნაც არ შეიძლება — იმ ხალხმა რაღა დააშავა, ვინც პერიფერიაში ცხოვრობს და ცენტრში ბინა არა აქვს?

გორელი გაზეთის რედაქტორი მცირე ხნის შემდეგ გამოუშვეს. დაკავების მიზნებსა და მიზეზებზე აღარც თვითონ ძრავს კრინტს და აღარც პოლიციელები იღებენ ხმას. რასაკვირველია, ბრალეულობის დადგენა პროკურატურისა და სასამართლოს პრეროგატივა გახლავთ, მაგრამ რა ვუყოთ ძალიან მარტივ შეკითხვას, რომელიც ბევრ ჩვენს თანამოქალაქესაც გაუჩნდებოდა — თუ ადამიანი დასაჭერია, რატომ უშვებ და თუ გამოსაშვებია, რატომ იჭერ? ვინ აგებს ყოველივე ამაზე პასუხს?

თუკი სურვილი დემოკრატიული სახელმწიფოს შენებისა, მხოლოდ შირმა და სატყუარა არ არის, მაშინ კანონი ყველასათვის კანონი უნდა იყოს — ჟურნალისტისთვისაც, ხელისუფლებისთვისაც და უბრალო მოქალაქისთვისაც.

მოკლედ, უკვე ყველაფრიდან ჩანს, რომ რევოლუციის შემდეგ არჩეულ გზაზე ვაკე ადგილი დასრულდა და აღმართი თანდათან ციცაბო ხდება — ამ დროს კი დიდსა და პატარას ერთნაირად გვმართებს გამბედაობაც, დაფიქრებაც და წონასწორობის დაცვაც... ამიტომაც, ჩვენს რეალობასა და მომავალზე მსჯელობა ამჯერად ცნობილ ფსიქოლოგთან, აკადემიკოს **შოთა ნადირაშვილთან** გადავწყვიტეთ:

— **პრეზიდენტის ამერიკაში ვიზიტს საქართველოში რუსი მფრინავების „დაუგეგმავი“ ვიზიტი დაემთხვა ან დაამთხვიეს. როგორც ჩანს, მოსკოვი კავკასიის დაკარგვას იოლად არ შეეგუება და არც ჩვეულ „ფინტებს“ იშლის...**

— რასაკვირველია, ეს ფაქტორი მოქმედებს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საქართველო თანდათან მკვიდრდება საერთაშორისო არენაზე, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი. ბოლო ხანს უფრო მკაფიოდ მჟღავნდება, რომ ჩვენს ქვეყანასაც შესწევს უნარი, გავლენა იქონიოს საერთაშორისო პროცესებზე. ამას ხედავს რუსეთი და ეს სინამდვილე დროთა განმავლობაში კიდევ უფრო ნათლად წარმოჩნდება. სწორედ ამას უნდა ისახავდეს მიზნად სააკაშვილის ბოლოდროინდელი, გახშირებული საერთაშორისო ვიზიტები. აზიის, ევროპისა და ამერიკის წამყვან სახელმწიფოთა მეთაურებთან პირისპირ შეხვედრებით ის ცდილობს, მთელ მსოფლიოს და უპირველესად, რუსეთს — დაანახვოს, რომ საქართველოს დაჩაგვრა, ისეთი ფორმითა და ხერხებით, როგორც ეს ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ხდებოდა, 21-ე საუკუნეში უკვე შეუძლებელი იქნება. მაგრამ ამ მხრივ მიღწეულმა წარმატებებმა არ უნდა გაგვათამამოს და გაგვაყოყოჩოს. ამ პროცესის გააქტიურებას რუსეთის რეაქციის გამწვავება მოჰყვება, რადგან რუსული პოლიტიკური წრეები რაც უფრო აშკარად და მწვავედ დადგებიან ამ რეალობის წინაშე, მით უფრო გაღიზიანდებიან და სრულიად უმართავ და გაუთვალისწინებელ ხერხებს შეიძლება მიმართონ. ამიტომ, პარალელურად, რუსეთთან ურთიერთობაშიც გარკვეული დიპლომატიური სვლებია საჭირო. ნუ დაგვავიწყდება, რომ არც ისე შორეულ წარსულში, საბჭოთა კავშირის სახით, რუსეთი უდიდეს „ზესახელმწიფოდ“ ითვლებოდა — კავკასიის საკითხში აშკარა მარცხი და დამარცხებულის პოზიცია რუსული პოლიტიკური წრეებისთვის ძალიან ძნელი გადასატანი იქნება და ამან თვით რუსეთში შეიძლება უმართავი პროცესებიც გამოიწვიოს. როგორც ჩანს, ეს შეგნებული აქვთ ამერიკელებსაც და სააკაშვილს დაჟინებით მოუწოდებენ, მოსკოვთან საერთო ენა გამონახოს. ეს არც ისე ადვილი, მაგრამ აუცილებელი და გარდაუვალია. უნდა მოინახოს ისეთი საერთო ინტერესები, რომლებსაც აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან შეხება არ ექნება, რომელთა მეშვეობითაც რუსეთი თავის პატივმოყვარეობას საქართველოსთან და კავკასიასთან მიმართებაში დაიკმაყოფილებს — ასეთი კი, უპირველესად, ეკონომიკური ურთიერთობების განხრით, ბევრი რამ შეიძლება მოიძებნოს. როგორც გითხარით, სააკაშვილის ქმედება ამ მცდელობის აშკარა განსახიერებაა — ის ცდილობს, მსოფლიოს წინაშე საერთაშორისო პოლიტიკოსის იმიჯით წარდგეს — მონახოს საერთო ინტერესები რუსეთს, ევროპას, აზიასა და ამერიკას შორის, რომლებიც საქართველოში გადაიკვეთება — ასეთ შემთხვევაში კი საქართველოს საუკუნოვანი ოცნება აუხდება და უკვე სამუდამოდ ჩადგება თავმოყვარე და სრულყოფილ, სუვერენულ სახელმწიფოთა რიგში...

— **სრულყოფილი სახელმწიფოებრიობა ხომ საშინაო და საგარეო პოლიტიკურ წარმატებათა ერთობლიობაა. სანამ სააკაშვილი საერთაშორისო ფრონტზე იბრძვის, მისი რჩეული თანაგუნდელები საშინაო ფრონტს თავს მაინცდამაინც დიდი წარმატებით ვერ ართმევენ. საკადრო პრობლემები და გამოუცდელობა განსაკუთრებით ქვედა ეშელონებში შეიმჩნევა — ხშირად საქმე მეტისმეტი მონდომების გამოც ფუჭდება...**

— მართალია, საგარეო პოლიტიკაში გარკვეულ, მცირე წარმატებას მაინც მივაღწიეთ, მაგრამ საშინაო პოლიტიკაში გაცილებით მძიმე მდგომარეობაა. არადა, საგარეო პოლიტიკა სწორედ ქვეყნის საშინაო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ წარმატებებს უნდა დაეფუძნოს. ჩვენ დღესაც ის პრობლემა გვაწუხებს, რაც წლების განმავლობაში გვაწუხებდა და რაც ისტორიულად სჭირდებოდა ხოლმე საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას — მიზანი არ გვაქვს — დეკლარირებული მიზანი და მისი მიღწევის დეკლარირებული მეთოდი. გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს საქართველოს ჰქონდა მიზანი — დამოუკიდებლობის მიღწევა და ამიტომაც დასრულდა წარმატებით. მაგრამ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დღის წესრიგში სახელმწიფოებრიობის აღდგენა უნდა დამდგარიყო, რაც არ მომხდარა. როგორც ვატყობ, ახალმა ხელისუფლებამ სხვა გზა აირჩია — წარმატებისკენ მოკლე ეტაპებით მიდის და ამ ეტაპების დეკლარირებას ახდენს. სააკაშვილის განცხადებების თანახმად, ამჟამად ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ეტაპზე ვართ. მაგრამ იმან, რამაც აჭარაში გაამართლა, შესაძლოა, ცხინვალსა და სოხუმში არ გაამართლოს და მოვლენები გაჭიანურდეს. გამოდის, რომ ქვეყანა ფორსმაჟორულ მდგომარეობაში დაყოვნდება — მდგომარეობაში, როდესაც ვიღაცას რაღაც უფლებები აქვს, ვიღაცას კი — არა. ნოემბრიდან მოყოლებული, გასული თვეების მოვლენებმაც გვიჩვენა, რომ თუ ხელისუფლებას რაიმე სერიოზულის მიღწევა სურს, გარშემო ხალხი უნდა შემოიკრიბოს. ხალხი კი ძალიან სპეციფიკური, ცოცხალი ორგანიზმია, რომელსაც მთლიანობაში ურთიერთობის მისეული ფორმები სჭირდება — მით უმეტეს, თუ მას ეკონომიკურად უჭირს. მხოლოდ ემოციური გამოსვლებით ხალხს გვერდით დიდხანს ვერ გაიჩერებ, თუ კონკრეტული, დიადი მიზანი არ დაუსახე და არ დაარწმუნე, რომ ამ მიზნის მისაღწევად დიდი და პატარა ერთნაირად გაიჭირვებს და კანონი ყველასთვის კანონი იქნება. როდესაც ვაცხადებთ, რომ კანონის უზენაესობისა და გამჭვირვალობისთვის ვიბრძვით, მაშინ კეთილი უნდა ვინებოთ და ყოველ ქმედებაზე ამავე ხალხს ანგარიში ჩავაბაროთ.

რეგიონებში პატარა, მაგრამ უხეიროდ „კოპირებული“ სააკაშვილები და ოქრუაშვილები გაჩნდნენ... ამის შედეგია ეს სიმკაცრის გამოჩენა, დაპატიმრება, მერე გამოშვება, ვითომ კეთილ კაცად თავის წარმოჩენის მცდელობა... პერიფერიებში საკითხები ისე წყდება, როგორც „საქმეს სჭირდება“ და არა ისე, როგორც კანონი მოითხოვს. ესეც ისევ საერთო ეროვნული მიზნის უქონლობის ბრალია. ყველაფერ ამას ხომ ხალხი ხედავს, ეს ყველაფერი ხომ ამ ცოცხალი ორგანიზმის ცნობიერებაში ილექება.

— **გორისა და ფოთის შემთხვევაზე ხელისუფლება კომენტარს არ აკეთებს. თუ ასეთი ნაბიჯები სახელმწიფო ინტერესებით იყო გამოწვეული, ალბათ ასეც უნდა თქმულიყო, თუ არა, მაშინ დამნაშავე უნდა დასჯილიყო ან ერთ, ან მეორე მხარეზე...**

— სახელმწიფო ინტერესები აქ არაფერ შუაშია — რეგიონებში იმდენად გამოუცდელი კადრები დაინიშნა, რომ არათუ ზემოთ ნახსენები ზოგად ეროვნული ღირებულებები, ელემენტარული საყოფაცხოვრებო საკითხების გადაჭრის მცდელობაც კი კონფლიქტებს იწვევს. როგორც ჩანს, ასეთი აურა და განწყობაა შექმნილი. გარკვეული რევოლუციური დამსახურებების შემდეგ ხელისუფლებაში მოხვედრილი ხალხი ცდილობს, თავი სიმკაცრით და „პარტიული ლიდერების“ მიბაძვით გამოიჩინოს. რეგიონებში პატარა, მაგრამ უხეიროდ „კოპირებული“ სააკაშვილები და ოქრუაშვილები გაჩნდნენ... ამის შედეგია ეს სიმკაცრის გამოჩენა, დაპატიმრება, მერე გამოშვება, ვითომ კეთილ კაცად თავის წარმოჩენის მცდელობა... პერიფერიებში საკითხები ისე წყდება, როგორც „საქმეს სჭირდება“ და არა ისე, როგორც კანონი მოითხოვს. ესეც ისევ საერთო ეროვნული მიზნის უქონლობის ბრალია. ყველაფერ ამას ხომ ხალხი ხედავს, ეს ყველაფერი ხომ ამ ცოცხალი ორგანიზმის ცნობიერებაში ილექება. როდესაც ასეთი ფაქტები გარკვეულ დონემდე მივა, საერთო ეროვნული აღტაცება, სახელმწიფოებრიობის შენებასთან დაკავშირებით, ხუხულასავით დაიშლება და დაინგრევა. ამიტომაც ვამბობ, რომ დღეს საშინაო წარმატება საგარეო-პოლიტიკურ წარმატებებზე მეტი თუ არა, ნაკლებმნიშვნელოვანი ნადვილად არ არის. სააკაშვილი კი, როგორც ჩანს, საერთაშორისო-დიპლომატიური სვლებით გაერთო და ეს სიტუაცია მის ყურამდე არ, ან ვერ აღწევს.

— **ვაშინგტონსა და ატლანტაში მოლაპარაკებების პარალელურად, მოლაპარაკებები იმართებოდა სასტუმრო „ივერიაშიც“ — დევნილებს მათ მიერ დაკავებული ოთახების სანაცვლოდ 7 ათასი დოლარის შეთავაზება ეცოტავათ...**

— ამ ფაქტის გამო ხელისუფლება საკმაოდ რთულ მდგომარეობაში ჩავარდა. თუ დევნილები გაჯიუტდებიან და შეთავაზებულ პირობას არ დათანხმდებიან, დედაქალაქის ხელმძღვანელობა დილემის წინაშე აღმოჩნდება: თუ ინვესტორებისგან თანხის გაზრდას მოითხოვს, მაშინ რა პასუხს გასცემს ამავე ქალაქის მკვიდრთ, რომლებმაც მიწისძვრის გამო სახლ-კარი დაკარგეს და კომპენსაცია დღემდე არ მიუღიათ — პირიქით, მათ ხელკეტებითაც გაუმასპინძლდნენ. მაგრამ თუ „ივერიასაც“ ანალოგიური მეთოდით, ანუ ხელკეტებით დაცლიან, მაშინ მოვლენებს სულ სხვა სარჩული დაედება და ეს გამოუსწორებელი პოლიტიკური შეცდომა და დანაშაული იქნება. აქაც, კვლავ საერთო ეროვნული მიზნისა და ამოცანის არარსებობასთან მივდივართ. ისევ ამ დევნილებს უნდა ჰყავდეთ ისეთი ლიდერები, ხელმძღვანელები, რომლებიც დაარწმუნებენ, რომ ქვეყანას დახმარება და გაგება მათი მხრიდანაც სჭირდება, რომ სახელმწიფო ყველანაირად იზრუნებს მათ მშობლიურ კუთხეში დაბრუნებაზე, მანამდე კი — მათი პირობების გაუმჯობესებაზე. მაგრამ მეტისმეტის მოთხოვნაც არ შეიძლება — იმ ხალხმა რაღა დააშავა, ვინც პერიფერიაში ცხოვრობს და ცენტრში ბინა არა აქვს? მაშინ, კომპენსაციას ისინიც მოითხოვენ... აქაც მეორე, არანაკლებ სახიფათო ტენდენციამ შეიძლება იჩინოს თავი — თბილისელებსა და დევნილებს შორის ერთგვარი კონფრონტაცია გაჩნდეს, რადგან მათ უფრო მეტად ეხმარებიან, ვიდრე სხვებს. ამიტომაც, უკიდურესი სიფრთხილე და, უპირველესად, ფსიქოლოგიური მუშაობის გაწევაა საჭირო. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველო ერთიანი მიზნისთვის — სახელმწიფოებრიობის აღსადგენად დარაზმული არ არის. ხალხი ჯერ კიდევ მხოლოდ საკუთარი პირობების მაქსიმალურად გაუმჯობესებაზე ფიქრობს... არადა, უკვე ყველაფრიდან ჩანს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი სერიოზულად დგას — ამაზე მიუთითებს რუსეთისა და თავად სეპარატისტების შეშფოთებაც..

— **ამის მიუხედავად, აფხაზეთი გამალებით ემზადება არჩევნებისთვის — ე.წ. საარჩევნო კომისიაში უკვე ხუთი კანდიდატი გაატარეს. თბილისის გარკვეულ წრეებში მსჯელობაც დაიწყეს, თუ რომელი კანდიდატი აჯობებს საქართველოსთვის, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ვინც არ უნდა გახდეს თვითმარქვია პრეზიდენტი სოხუმში, თბილისს მაინც მოსკოვთან მოუწევს ურთიერთობების გარკვევა.**

— რეალობიდან გამომდინარე, შევაფასოთ — ვინ არის ეს ხალხი, ვინც დღეს დე ფაქტო აფხაზეთის ხელისუფლებაშია და რა არის მათი მიზანი? აფხაზეთის დამოუკიდებლობა დღევანდელ მსოფლიოში მითია. აფხაზეთის რუსეთთან შეერთებაც ფანტასტიკის სფერო უფროა, რადგან 21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ და რუსეთი, რომელიც დეკლარირების დონეზე მაინც აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ამაზე არ წავა. რომც წავიდეს, მის სახელმწიფოებრიობას ახალ საზღვრებში ახალი საერთაშორისო აღიარება სჭირდება — დღეს ამას არც დასავლეთი გააკეთებს და არც — აღმოსავლეთი. გამოდის, რომ აფხაზეთის მმართველობაში მოქცეული ერთი მუჭა ვითომ პოლიტიკოსები მხოლოდ საკუთარ გამდიდრებაზე და პირად გამორჩენაზე ზრუნავენ, თანაც, მნიშვნელოვანწილად, ისევ საქართველოს ხარჯზე, რადგან ისინი კონტრაბანდით სულდგმულობენ. უბრალო ხალხს კი, რომელსაც დღესაც ისევე უჭირს, როგორც ომის პერიოდში უჭირდა, იაფფასიანი პროპაგანდის მეშვეობით აკავებენ — ეს არჩევნებიო, „უკეთესი“ პრეზიდენტის არჩევაო, პროგრამები დამოუკიდებლობის შესახებო — წმინდა წყლის დემაგოგიაა.

აზიის, ევროპისა და ამერიკის წამყვან სახელმწიფოთა მეთაურებთან პირისპირ შეხვედრებით სააკაშვილი ცდილობს, მთელ მსოფლიოს და უპირველესად, რუსეთს — დაანახვოს, რომ საქართველოს დაჩაგვრა, ისეთი ფორმითა და ხერხებით, როგორც ეს ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ხდებოდა, 21-ე საუკუნეში უკვე შეუძლებელი იქნება. მაგრამ ამ მხრივ მიღწეულმა წარმატებებმა არ უნდა გაგვათამამოს და გაგვაყოყოჩოს. ამ პროცესის გააქტიურებას რუსეთის რეაქციის გამწვავება მოჰყვება, რადგან რუსული პოლიტიკური წრეები რაც უფრო აშკარად და მწვავედ დადგებიან ამ რეალობის წინაშე, მით უფრო გაღიზიანდებიან და სრულიად უმართავ და გაუთვალისწინებელ ხერხებს შეიძლება მიმართონ...

ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენი საშინაო მდგომარეობით ამასაც კი ვერ ვუპირისპირდებით. ამიტომაც მიმაჩნია, რომ უპირველესად, ქვეყნის შინავითარებას უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება — საქართველო დღეს ქართველებისთვის არ არის მიმზიდველი და აფხაზებისთვის, ან ოსებისთვის როგორ იქნება?! კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო. მთავარია, გზაზე ვდგავართ. დარწმუნებული ვარ, ამის გაკეთებას უახლოეს მომავალში კიდეც შევძლებთ, თუ იქნება ნება, პირველ რიგში — ხელისუფლებისა.

***დაჩი გრძელიშვილი***



# მშვიდობით...

*რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რომელთა ავტორებიც მწუხარებას გამოთქვამენ „კვირის პალიტრის“ მთავარი რედაქტორის, ქალბატონ ლალი გუნთაიშვილის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ახლობლებსა და კოლეგებს.*

*ბუნებრივია, ყველა წერილის გამოქვეყნება შეუძლებელია, ამიტომაც გადავწყვიტეთ შემოგთავაზოთ ერთ-ერთი მათგანი, რომელიც, ჩვენი აზრით, ყველაზე უკეთ გამოხატავს მკითხველთა საერთო გულისტკივილს.*

*ამასთანავე, გვინდა მადლობა გადავუხადოთ ყველა იმ ადამიანს, ვინ გულწრფელად გაიზიარა ჩვენი განუზომელი მწუხარება...*

**„კვირის პალიტრა“**

მხოლოდ ერთხელ ვინანე „კვირის პალიტრის“ ყიდვა... ეს იყო გაზეთის 2-8 აგვისტოს 31-ე ნომერი. მომცრო შავი ხაზია გადასმული გაზეთის სახელწოდებასა და შენს ფოტოზე. ეს ალბათ შენი სტილია, შენი თავმდაბლობის ნიმუში, შენი ცხოვრების სიმბოლო...

შენობით მოგმართავ... არა, ფამილიარული სულაც არ ვარ... უბრალოდ, ძალიან ახლობლად მიგიჩნიე...

ამ ცოტა ხნის წინ რედაქციაში ვიყავი. მთავარი რედაქტორი არ გახლავთო, მიპასუხეს. იმდენად მშრალად, რომ ისიც ველარ ვიკითხე, როდის იქნება-მეთქი. თურმე მათაც როგორ უჭირდათ ეთქვათ, ჩვენი რედაქტორი ძალიან ავად არისო...

როგორ გავღარიბდით ამ ბოლო ათწლეულში... რამდენი ძვირფასი ადამიანი დავკარგეთ... რა ძნელია იმის აღქმა, რომ მათ რიგებს შენც შეუერთდი, ჩემი (და უამრავი მკითხველის) საყვარელი გაზეთის მთავარი რედაქტორი...

როცა საწერად დავჯექი, უამრავი ლამაზი სიტყვა მიტრიალებდა თავში. მაგრამ დავიწყე წერა და ყველაფერი ერთბაშად გამიქრა. ერთი კია, საოცარმა დარდმა მომიცვა, ისეთმა, უახლოესი ადამიანის დაღუპვის ელდას რომ მოაქვს...

უფალმა ნათელში გამყოფოს იმ სიკეთის, იმ ნიჭის და იმ ადამიანობისათვის, რაც შენი ცხოვრებისთვის იყო დამახასიათებელი...

**გურამ ბისეიშვილი, ლანჩხუთი**

# მთაწმინდისა და დიდუბის შემდეგ...



ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბისა და მთაწმინდის პანთეონებში განსვენებულთა ბიოგრაფიები საქართველოს ცხოვრებასთან ისეა გადაჯაჭვული, ერთი შეხედვით ვერც გაარჩევ, სად მთავრდება ქვეყნის ისტორია და სად იწყება მათი ბიოგრაფია... წესით ასეც უნდა იყოს. ღირსეულ წინაპართა განსასვენებელში — პანთეონში ხომ მხოლოდ ერისათვის თავდადებული მამულიშვილები იკრძალებიან.

ამ თვალსაზრისით მწვერვალი მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონია, სადაც ორი წმინდანად შერაცხული ერისკაცი განისვენებს: ილია ჭავჭავაძე და ექვთიმე თაყაიშვილი. მათ გვერდით კი ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი, შალვა დადიანი...

ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი მთაწმინდაზე... მუშაობენ ქვისმთლელები, მხატვრები. სულ მალე აქაურობა უფრო დამშვენებული დახვდება ჭირისუფალსა და დამთვალიერებელს.

ბოლო დროს მთაწმინდაზე გადაასვენეს და მისი მეუღლის — ვერიკო ანჯაფარიძის გვერდით დაკრძალეს ქართველი რეჟისორი — მიხეილ ჭიაურელი. ეს ამბავი ბევრისთვის სრულიად ახალი იქნება...

მთაწმინდიდან დიდუბის პანთეონში გადმოვინაცვლე. როგორც საფლავების მომვლელებმა ქეთევან და ავთანდილ ტაბატაძეებმა მითხრეს, აქ ხუთასამდე საფლავია. ექვთიმე თაყაიშვილი და უშანგი ჩხეიძე მთაწმინდაზე გადაასვენეს, ანდრია რაზმაძე კი უნივერსიტეტის ბაღში. აპირებდნენ ლადო ასათიანის გადასვენებას, მაგრამ თურმე მის ქალიშვილს არ სურს შეაწუხოს მამის სული...

შუა პანთეონში მონუმენტური ქანდაკება დგას, რომლის ავტორიც ზურაბ წერეთელია. აქ მისი მეუღლის საფლავია... აქვე ომარ კელაპტრიშვილის ბიუსტი მოუპარავთ. ეს ქურდობის პირველი შემთხვევაა დიდუბის პანთეონში, ღმერთმა ქნას, უკანასკნელი იყოს.

თვალში მომხვდა ყვავილებით დამშვენებული არტურ ლაისტის საფლავი.

— ამ საფლავს აკითხავენ? — დავინტერესდი.

— თუ გერმანელები ჩამოვიდნენ, აუცილებლად ნახულობენ... ყვავილები კი დღეს მე დავაწყვე... გული მტკივა, როცა რომელიმეს ჭირისუფალი არ ჰყავს და ვცდილობ, ყურადღება არ მოვაკლო. ვაჟა-ფშაველას ძმებისა და შიო მღვიმელის საფლავზეც ვაწყობ ხოლმე ყვავილებს. დღესასწაულებზე დიდუბის ეკლესიიდან სანთლები გამოგვაქვს და ყველა საფლავზე ვანთებთ... აი, მაშინ უნდა ნახოთ, როგორ ციმციმებს, რა ლამაზია პანთეონი... — მეუბნება ქალბატონი ქეთევანი.

კოტე მახარაძე რომ უნდა დაეკრძალათ, პანთეონის ღობე წერეთლის პროსპექტისკენ გადასწიეს... დრო თვალის დახამხამებაში გადის... ახლა უკვე ეს ადგილიც შევსებულია: გოგი გეგეჭკორი, ჯაბა იოსელიანი, იზა გიგოშვილი, გივი ძნელაძე...

— ბოლოს ჰამლეტ გონაშვილი გადმოასვენეს საბურთალოს პანთეონიდან, — გვითხრა ბატონმა ავთომ, — ეს იყო უკანასკნელი. სასაფლაო უკვე დახურულია და ახალს სად გახსნიან, არ ვიცი...

— მაინც სად აპირებენ ახალი პანთეონის გახსნას? — ვკითხეთ მერიის კულტურის, სპორტის და ტურიზმის სამსახურის თანამშრომელს ბადრი ქუთათელაძეს.

— აპირებდნენ ელიას მთაზე, სამების ტაძართან ახლოს, მაგრამ ჯერჯერობით, ახალი პანთეონის ადგილი არ შეგვირჩევია. თბილისში ორ — მთაწმინდისა და დიდუბის პანთეონებს ვუწევთ კურირებას. ერთი წელია გადმოგვეცა ხოჯევანქის პანთეონი (ავლაბარშია), სადაც სომეხი მოღვაწეები არიან დაკრძალული... სხვათა შორის, ეს სომხური დიასპორის მოთხოვნით მოხდა, რადგანაც ცოტა ხნის წინ პანთეონი გაიქურდა...

— თბილისში არის აზერბაიჯანელ მოღვაწეთა სასაფლაოც — ბოტანიკურ ბაღში...

— ის მერიას არ ექვემდებარება...

— ისევ ქართულ პანთეონს დავუბრუნდეთ. მთაწმინდის პანთეონშიც ტერიტორია საკმაოდ მცირეა...

— არა, მთაწმინდაზე ადგილი არის, მაგრამ ამ პანთეონის შესახებ არსებობს ასეთი დადგენილება: თუ ადამიანი იმსახურებს იქ გადასვენებას, ეს უნდა მოხდეს გარდაცვალებიდან 30 წლის შემდეგ. მიხეილ ჭიაურელის გარდაცვალებიდან უკვე გავიდა 30 წელი და გადავასვენეთ, მით უმეტეს, ქალბატონი ვერიკო ანჯაფარიძეც იქ არის დაკრძალული. ეს არ მომხდარა დიდი ხმაურით, ამიტომ არც მასმედიაში თქმულა რამე...

**ლელა ჯიყაშვილი**

ძველი ამბების დასტა

# ვინ გადაუფრინა პირველად თბილისს



გიორგობის სუსხიანი დღე იდგა თბილისში. თბილად ჩაფუთნილი ქალაქელები დიდუბის სადოლე მოედნისკენ მიეშურებოდნენ. თუმცა იმ დღეს დოღი არ ყოფილა... ცნობისმოყვარენი მოედანს გასცდნენ და ცას მიაპყრეს მზერა. ერთგან ქართული და რუსული პრესის წარმომადგენლები ფუსფუსებდნენ, აქვე იყვნენ ახლობლები და ნათესავები კაცისა, რომელსაც სასწაული უნდა მოეხდინა. ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებიათ. ზუსტად დანიშნულ დროს ზეცაში კამარა შეკრა მშვენიერმა მონოპლანმა. შვიდი წრე მოხაზა ზემო ავჭალასა და ნაძალადევს შუა. 31 წუთისა და 10 წამის შემდეგ მონოპლანი იმავე ადგილას დაეშვა, საიდანაც აფრინდა.

ახლა კი იხუვლა ხალხმა, სირბილით მიიჭრნენ ავიატორთან, წრე შეკრეს, ხელში აიტაცეს, კოცნიდნენ, ეფერებოდნენ, ულოცავდნენ. ეს დღე — 1912 წლის 22 ნოემბერი ქართველი კაცის ნიჭიერებისა და გაბედულების კიდევ ერთი დადასტურება იყო...

მეორე დღეს „სახალხო გაზეთი“ ამ „სასწაულის“ შესახებ მკითხველებს აუწყებდა: „ჭეშმარიტად უებრო სანახაობა იყო. შემოდგომის გამოსათხოვარი სიმწვანით აფერადებულ მინდორზე, ზღაპრულ ვეებერთელა ფრინველივით გაქვავებულიყო ფრთასპეტაკი მონოპლანი ახალგაზრდა ქართველი მფრინავისა და მორჩილად უცდიდა თავის შემქმნელის თილისმა სიტყვას, რათა ლაღად გაენავარდა ცის დაუსრულებელ წიაღში... ყველა რაღაც ფრთხილის მოწიწებით ათვალიერებდა ქართული ნიჭის ნაწარმოებს. მისი ამგები, კონსტრუქტორი ბესარიონ ქებურია მოკლედ იძლეოდა განმარტებებს. მონოპლანი იმდენად უბრალო და ლამაზი კონსტრუქციისაა, რომლის მსგავსი ჯერ არ იცის ტექნიკამ. მოტორი 50 ცხენის ძალისაა... მთელი მანქანა მფრინავიანად 14 ფუტს იწონის. იგი (მოტორის გარდა) ტფილისში, ქებურიას საკუთარ სახელოსნოშია გაკეთებული“.

ბესარიონ ქებურია პირველი ქართველი მფრინავი-კონსტრუქტორი იყო. 1910 წელს მან პარიზში მიიღო ავიატორის დიპლომი. საჩვენებელი გაფრენები ჩაატარა მოსკოვში, სარატოვში, თბილისსა და პარიზში. ავიატორის დიპლომის გადაცემა მისთვის პირადად მიულოცია საფრანგეთის პრეზიდენტს — კლემან არმან ფალიერს. იმჟამინდელი ფრანგული პრესა ამ ფაქტის გამო წერდა: — პრეზიდენტმა ხელი ჩამოართვა ქართველ მფრინავს და უთხრა: „მოხარული ვარ, მამაცი და ლამაზი ქართველი ხალხის შვილის წარმატებით — გილოცავთ ავიატორის წოდების მიღებას“.

მას შემდეგ ქართველ ავიატორთა და კონსტრუქტორთა თაობები გაიზარდა და მაინც... არდავიწყების ღირსია მათი პირველი გზამკვლევის — ბესარიონ ქებურიას სახელი.

**ეთერ თარიმანი**

# როგორ ცხოვრობს ხელგაწვდილი თბილისი

სულ რამდენიმე წლის წინ თბილისში მათხოვრები და ბომჟები სანთლით უნდა გეძებნა. ქუჩაში აქა-იქ სლავური წარმოშობის ცხვირშეშუპებული „ბრადიაგა“ თუ იჯდა და კაცმა რომ თქვას, მასაც სახელმწიფო ინახავდა. დრომ თავისი გაიტანა. უცხოეთის ღარიბი ქვეყნების ქალაქების მსგავსად, მათხოვრობა თბილისშიც პროფესიად იქცა. მართალია, ამ ახალი „პროფესიის“ გამოჩენით აღფრთოვანებულები არ ვართ, მაგრამ ის ყოფის ნიშანია. ამიტომ, თუ დახმარება შეგვიძლია, დავეხმაროთ განსჯისა და განკითხვის გარეშე... რა ვუყოთ, რომ ზოგი ჩვენს ნაწყალობევს ქარს ატანს, ზოგს ხომ ნამდვილად ვუხანგრძლივებთ სიცოცხლეს... როგორ ცხოვრობს ხელგაწვდილი თბილისი, რომელსაც ზამთარში პირდაპირ მიწაზე, დაგლეჯილ საბნებში სძინავს, ხოლო ზაფხულობით ხეების ძირში?.. თუმცა, მათ „ბუნაგებს“ თბილისის ცენტრშიც წააწყდებით. მე, მაგალითად, ორი ასეთი შუახნის ქალი სანაპიროზე, ერთ დროს პრესტიჟული სასტუმროს ნანგრევებში აღმოვაჩინე...

— გამარჯობა, გამოფენილი სარეცხი შევნიშნე და შემოვედი, აქ ცხოვრობთ?

— ეს საცხოვრებელი არ არის, ღამის გასათევია, რატომ შემოხვედი, გიშლით რამეს?

— მე — არაფერს. მაგრამ ალბათ სხვას კი უშლით, ვთქვათ, ამ შენობის მეპატრონეებს, პოლიციას?

— რას ვუშლით? თუ უნდათ, უპატრონონ ამ შენობას, ჩვენ გადავალთ. ნანგრევები სხვაგან არ არის?

— ვინ ხართ? აქ რატომ დასახლდით?

— რაში გაინტერესებს, მათხოვრები ვართ და მორჩა!

— სახელები არ გაქვთ?

— გვაქვს, — ლია და ირმა!

— ქართველები ხართ?

— გულით — ქართველები, ერით — სომხები.

— მაინცდამაინც აქ ცხოვრება რად აირჩიეთ?

— ისე ამბობ, ვითომ ჩვენ ავირჩიეთ. კარგი ცხოვრება რომ გვქონოდა, აქ მოვიდოდით?

— ეგ არ მითქვამს, უბრალოდ, სხვანაირად ცხოვრებაც შეიძლებოდა.

— ეგ ჩვენი საქმეა. ჩვენ რა, ადამიანები არ ვართ?

— რატომ მეჩხუბებით? ეგ არ მითქვამს, ისე მაინტერესებს, როგორ ცხოვრობთ, რაზე ფიქრობთ?

— მაგას ვერ გაიგებ, იმიტომ რომ არ გცივა, არ გშია... — ხალხს „მერსედესები“ ჰყავს და ერთთეთრიანი რომ სთხოვო, არ მოგცემენ. მათხოვრები უფრო ვეხმარებით ერთმანეთს.

— ხალხი რომ არ გეხმარებოდეთ, მშივრები დაიხოცებოდით...

— ხო... კი, გვეხმარებიან, ღმერთი ვისაც უყვარს, ის გვეხმარება.

— აქვე, საპატრიარქოს კარის წმინდა გიორგის ეკლესიასთან მათხოვრებს უფასოდ ურიგებენ სადილს, იქ არ სადილობთ?

— „ობლების“ სასადილოში? მა არ ვსადილობთ? ღმერთმა გაახარა პატრიარქი, დღეში 100 კაცი მივდივართ. ყველას გვაჭმევენ...

— ეკლესიაშიც შედიხართ?

— სანამ ვისადილებთ, მანამდე შევდივართ. დავიწერთ პირჯვარს, სანთელს ვანთებთ, სადილის შემდეგაც ვეუბნებით ღმერთს მადლობას.

— ქრისტიანულ ეკლესიაში? თქვენ ხომ სხვადასხვა სარწმუნოების ხალხი ხართ?

— ჩვენში მაგის გარჩევა არ არის. სანთელს ყველა ვანთებთ — სომეხი, ებრაელი, ქურთი თუ ქართველი... დედა მარიამი სუყველას უყვარს... გაბედოს ვინმემ და ეკლესიის ეზოში ვარდი მოწყვიტოს, ან საპატრიარქოს ბაღში ნაგავი დაყაროს!.. ჩვენი ხელით ვასუფთავებთ იქაურობას.

— დანგრეულ შენობებში თქვენსავით ბევრი ცხოვრობს?

— ცხოვრობს. ზოგი პლეხანოვზე, ზოგი ჩოგბურთის კორტებზე, ზოგი ზემოთ, ოქროს უბანში. ყველას ეკლესიებთან ახლოს ყოფნა უნდა...

— წყალი სად არის?

— აი აქა, მეორე ოთახში. ის რესტორნის კუხნა იყო... კრანი დარჩა. საღამოს გავრეცხავთ. დილით მშრალია. ვრეცხავთ, ბომჟები კი არ ვართ!

— მე ბომჟები მეგონეთ...

— რა გვიგავს ბომჟებს?! ისინი ტლაპოში წვანან. ადგებიან, დალევენ, ისევ დაწვებიან. სულ ჩხუბობენ, იმათ ახლოს არ ვიკარებთ.

— ფულის შოვნის გარდა, კიდევ რა გაინტერესებთ?

— სიყვარული და სიცოცხლე! ოღონდ, პოლიტიკა არა! ომის გვეშინია. რევოლუცია რომ იყო, ეკლესიაში სანთელს ვანთებდით, ომი რომ არ დაწყებულიყო.

— ქალები ხართ... არავინ გიყვართ?

— კაცზე ამბობთ? კაცი რომ გვიყვარდეს, აქ ვიქნებოდით? ხალხი გვიყვარს, ადამიანები.

— სხვების არ გშურთ?

— შესაშური რა არის? ყველას თავისი ცხოვრება აქვს.

— ერთ დღეს თბილისში ნანგრევები აღარ დარჩება, მაშინ სად წახვალთ?

— სადაც ღმერთი წაგვიყვანს. ჩვენ ღმერთის შვილები ვართ... შენ აღარ მიდიხარ აქედან?

— მივდივარ. აქედან ხომ გავალ, ჩემზე იჭორავებთ?

— ცუდს არ ვიტყვით. შენც არ დაწერო ცუდი ჩვენზე... ჩვენ არავის არაფერს ვუშავებთ. ჩვენს თავს ვუშავებთ!

— კარგი ახლა, გული ნუ ამიტირეთ...

— ვინ გითხრა იტირეო, წადი, რა, გაიხარე...

— აბა, კარგად!

**ეთერ ერაძე**

ექსპერტის აზრით

# რუსებისგან პროვოკაციებს კიდევ ველოდებით

## „კოკოშინმა ზუსტად იცოდა, რომელ ტერიტორიაზე და რა დროს ესროდნენ მის მანქანას“


ანდრეი კოკოშინი

დროებითი სიმშვიდის შემდეგ სამაჩაბლოს რეგიონში მდგომარეობა ისევ იძაბება. გახშირებული სროლები აქ უკვე თითქმის ჩვეულებრივი ამბავია. ცხინვალის ხელისუფლება და რუსი სამშვიდობოები ტრადიციას არ ღალატობენ და ქართული მხარის მიერ მოწყობილ პროვოკაციაზე ლაპარაკობენ. რუსეთის მღელვარება დუმის დეპუტატზე, დსთ-ის კომიტეტის თავმჯდომარე ანდრეი კოკოშინზე თავდასხმამ გამოიწვია. კოკოშინის მანქანაზე თავდასხმა, რომელსაც ცეცხლი ცხინვალის ოსური სოფლების ტერიტორიაზე გაუხსნეს, რუსეთის დუმის დღის წესრიგის მთავარ თემად იქცა და ბრალდებათა ახალი ნიაღვარიც დაიძრა.

რატომ ესროლეს ან ვინ ესროლა დუმის დეპუტატს, უცნობია. თუმცა „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას სპეცსამსახურების ექსპერტი **გოჩა გიგაური** აცხადებს, რომ კოკოშინზე თავდასხმა წინასწარ იყო დაგეგმილი და იგი „გრუ“-ს კედლებში დაიწერა: — რუსეთის ბრალდება, რომ ანდრეი კოკოშინზე თავდასხმა ქართულმა სამხედრო დაჯგუფებებმა განახორციელეს, რბილად რომ ვთქვათ, უაზრობაა და კრიტიკას ვერ უძლებს. მოვლენათა ანალიზით მივდივართ დასკვნამდე, რომ დეპუტატზე თავდასხმის მიზანი მკვლელობა არ ყოფილა. ასე რომ ყოფილიყო, ის, ვინც ეს ოპერაცია დაგეგმა, ადვილად მიაღწევდა მიზანს.

ნებისმიერი ოპერაცია გათვლილია იმ შედეგზე, რაც ამ ოპერაციის ჩატარებამ უნდა მოიტანოს. კონკრეტულ შემთხვევაში, თუკი თავდამსხმელები ჩვენები იქნებოდნენ, მათ იცოდნენ, რომ დეპუტატის მკვლელობა კიდევ უფრო დაძაბავდა რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობას. ანუ, პრაქტიკულად, კოკოშინის მკვლელობა საქართველოსთვის წამგებიანი იყო. განხორციელებული ტერაქტი ჩვენებს არანაირ სარგებელს არ აძლევდა. ასე რომ, ბრალდება, თითქოს ქართულმა ნაწილებმა განახორციელეს თავდასხმა, ლოგიკას არის მოკლებული. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ თავდასხმა რუსეთის დაზვერვის მთავარ სამმართველოში დაიგეგმა.

**— რუსებს რად სჭირდებოდათ საკუთარი დეპუტატის მოკვლა?**

— ეს არც იყო მკვლელობის მცდელობა. მათ უნდოდათ დაეფიქსირებინათ, რომ დუმის დეპუტატის მანქანას ცეცხლი გაუხსნეს. დარწმუნებული ვარ, მანქანაში მჯდომმა კოკოშინმა და მისმა ბადრაგმა ზუსტად იცოდნენ, რა ტერიტორიაზე და რა დროს ესროდნენ მანქანას. ამიტომაც გადაუხვიეს მთავარი მარშრუტიდან და თავდასხმის ინსცენირება იმ ტერიტორიაზე მოხდა, რომელსაც ქართული მხარე ვერ აკონტროლებს. გეგმა მარტივი იყო, მაგრამ კარგად მოფიქრებული. კოკოშინის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა. რუსეთის დუმას კი საბაბი ეძლეოდა, მთელი მსოფლიოს გასაგონად გაეკეთებინა განცხადება საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოწვეულ დესტაბილიზაციაზე და რომ ცხინვალში არა მარტო რუსეთის რიგით მოქალაქეებს ემუქრება საფრთხე, არამედ აქ რუსი პოლიტიკოსებიც კი არ არიან დაცულნი(!).

> კოკოშინმა და მისმა ბადრაგმა ზუსტად იცოდნენ, რა ტერიტორიაზე და რა დროს ესროდნენ მანქანას. ამიტომაც გადაუხვიეს მთავარი მარშრუტიდან და თავდასხმის ინსცენირება იმ ტერიტორიაზე მოხდა, რომელსაც ქართული მხარე ვერ აკონტროლებს. გეგმა მარტივი იყო, მაგრამ კარგად მოფიქრებული. კოკოშინის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა. რუსეთის დუმას კი საბაბი ეძლეოდა, მთელი მსოფლიოს გასაგონად გაეკეთებინა განცხადება საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოწვეულ დესტაბილიზაციაზე.

**— მაგრამ რატომ მაინცდამაინც „გრუ“, ხომ შეიძლება კოკოშინისთვის ოსურ სამხედრო დაჯგუფებას ესროლა?**

— კოკოშინის მკვლელობა შეიძლება ყველაზე მეტად ცხინვალის ადმინისტრაციას აწყობდა, მაგრამ მაინც გამორიცხულია, თავდასხმა მათ დაეგეგმათ. ჯერ ერთი, თვითონაც რუსებისგან იმართებიან. ამასთან, ოპერაციის სიმარტივის მიუხედავად, რუსეთის სპეცსამსახურები მათ მაინც ვერ ანდობდნენ ასეთი ტერაქტის განხორციელებას.

რუსები ამ რეგიონში ყოველნაირად შეეცდებიან მდგომარეობის გამწვავებას. ფიქრობენ, რომ კიდევ აქვთ საქართველოში გავლენის სფეროების შესანარჩუნებელი თეორიული შანსი. ამიტომ პროვოკაციებს კიდევ ველოდებით და მომზადებულები უნდა შევხვდეთ.

**— მაგრამ ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ამბობდნენ, რომ ამერიკის აქტიური ჩარევით რუსეთი ამ სფეროებს დათმობდა. დღეს კი, როცა პოლიტიკური მოლაპარაკებები ღია კარტით თამაშს დაემსგავსა, რუსეთი დათმობას მაინც არ აპირებს.**

— ამის საშუალება რუსეთს ერაყში განვითარებულმა მოვლენებმა მისცა. ერაყის ლიდერის დაპატიმრების შემდეგ ამერიკელები არ ელოდნენ, თუ სიტუაცია გაურთულდებოდათ. ამას თან ემატება მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც ამერიკის პრეზიდენტს არასახარბიელო პერსპექტივას უქადის. ასე რომ, ამერიკელებს აქცენტი დღეს სრულიად სხვაგან აქვთ გადატანილი. ეს კი რუსეთის იმპერიალისტურ გეგმებს ხელ-ფეხს უხსნის. ისინი ერთხანს თანახმა იყვნენ განსაზღვრული თანხის სანაცვლოდ აფხაზეთიც დაეთმოთ და სამაჩაბლოც. მაგრამ ეს პროცესი გაჭიანურდა და დღეს სხვა პერსპექტივები გადაეშალათ. თუკი ამერიკა მრავალწლიან სამხედრო აქციებში აღმოჩნდება ჩათრეული, მას საქართველოსთვის აღარ ეცლება. ამიტომ რუსეთი უფრო მოიგებს, თუკი მილიონების სანაცვლოდ საქართველოს ტერიტორიებზე კონტროლს დააწესებს. ამას კი ნიადაგის ხელახლა მომზადება ესაჭიროება, რისთვისაც ისინი ნებისმიერ ხერხს მიმართავენ და ალბათობა იმისა, რომ მსგავსი პროვოკაციები მომავალშიც განმეორდება, ცხადია, კიდევ არსებობს.

**დავით დევიძე**

# „თუ ამას შეთანხმება ჰქვია“

## „მე არა ვარ ვალდებული, გავჩუმდე და ვიტყვი...“

შარშან ჩემმა მეგობარმა შემატყობინა — თბილისთან ახლოს, ერთ-ერთ საავტომობილო გზატკეცილის მიმდებარე მინდორზე, ველური კანაფი იზრდება, უპატრონო ბავშვები ნარკოტიკულ სასმელს, ე. წ. „მანაგუას“ ხარშავენ და სვამენო. დაუყოვნებლივ გავემგზავრე იმ მინდვრის სანახავად და პატარა ნარკომანებსაც წავაწყდი. სტატიაც გამოვაქვეყნე ჩვენს გაზეთში. მახსოვს, თვალსაჩინოებისთვის მინდორში ორი-სამი კანაფიც მოვგლიჯე, რათა შს სამინისტროს ნარკომანიასთან წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ხელმძღვანელებისთვის მეჩვენებინა და კანაფის განადგურება მეთხოვა. მით უმეტეს, რომ მათ ეს ევალებათ კიდეც. კიდევ კარგი, გორში არ ვცხოვრობ და არ ვმუშაობ, თორემ ჩემი სტატიების გადამკიდე „ხალხის გაზეთის“ მთავარი რედაქტორის, რეზო ოქრუაშვილის ბედს თქვენი მონამორჩილი უფრო ადრე გაიზიარებდა. კანაფით დატვირთული გორში შინაგან საქმეთა სამხარეო სამმართველოს მივადგებოდი და მერე რაც უნდა მეყვირა, კანაფი ჩანთაში იმიტომ მაქვს, პოლიციელებისთვის უნდა მეჩვენებინა-მეთქი, — ვინ დამიჯერებდა. მაშინვე ნარკოტიკების დამამზადებლის, მერე ალბათ რეალიზატორის, ნარკოტიკების ბარიგას სახელსაც მომაკერებდნენ. დარწმუნებული ვარ, ისეთი ხალხიც გამოჩნდებოდა, რომლებიც სასამართლოზე იტყოდნენ, რომ ჩემგან ყიდულობდნენ ნარკოტიკებს. დანაშაულის დასამძიმებლად ერთ დაჟანგულ ავტომატსაც მომიგდებდნენ და პროკურორი კანონის მთელი სიმკაცრით მოითხოვდა ჩემს დასჯას. მოსამართლე კი ხელაუკანკალებლად მომისჯიდა რამდენიმეწლიან პატიმრობას. ერთი სიტყვით, მავანთა სავალალოდ და ჩემდა საბედნიეროდ, გორში არ ვცხოვრობ. თუმცა ეს ჩემთვისაა შეღავათი, მაგრამ რა დააშავა ჩემმა კოლეგამ, „ხალხის გაზეთის“ მთავარმა რედაქტორმა, რომელიც შიდა ქართლის სამხარეო პოლიციამ დააკავა და ჩხრეკისას ჯიბეში ერთი ჩეკი ნარკოტიკული ნივთიერებაც აღმოუჩინა. ნარკოტიკები ჟურნალისტების სამუშაო ოთახში, ყავის ლამბაქზეც ნახეს პოლიციელებმა. დავინტერესდი, მართლაც ნარკოტიკების რეალიზატორი და მომხმარებელია „ხალხის გაზეთის“ მთავარი რედაქტორი, თუ ყველაფერი ეს შეთითხნილია და სხვა მიზანს ემსახურება. ამის გასარკვევად გეზი გორისკენ ავიღე. გზად ვფიქრობდი — პოლიცია ისე არ გათავხედდებოდა, რომ უდანაშაულო კაცისთვის, გაზეთის მთავარი რედაქტორისთვის ნარკოტიკები მიეყარა. მაგრამ ვაითუ ხმარობდა? ამ დროს მეორე ხმა მახსენებდა, რომ ბოლო დროს მასმედიის წარმომადგენლებზე ზეწოლის რამდენიმე ფაქტი დაფიქსირდა.

(გაგრძელება იხ. გვ. 6)

# შს მინისტრმა ინფორმატორის სასწრაფოდ გამოვლენის ბრძანება გასცა

პოლიცია თვითწმენდის ახალ ეტაპს იწყებს და მექრთამე თანამშრომლებზე ნადირობის მორიგ სეზონს გახსნილად აცხადებს. როგორც ჩანს, დაკავებულებისთვის ფულის გამოძალვის ათწლეულების მანძილზე გამომუშავებული ჩვევა არც ისე იოლი დასავიწყებელია. მით უმეტეს, როცა ცნობილია, რომ პოლიციის რიგებში არა ბავშვობის ოცნებების განხორციელების, არამედ სწორედ დაკავებულთათვის ფულის გამოძალვის მიზნით მიდიოდნენ. როგორც შს მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი აცხადებს, ეს მექანიზმი პოლიციაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოიშალოს და საზოგადოებას მექრთამე პოლიციელების წინააღმდეგ ბრძოლის პირველ შედეგებსაც ამცნობს.

მისი თქმით, რამდენიმე დღის მანძილზე მუშავდებოდა ოპერატიული ინფორმაცია თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს მაღალჩინოსნების მიერ დაკავებულისთვის წამლის ჩადებისა და ფულის გამოძალვის შესახებ. გასულ კვირას ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩატარდა სამმართველოში ჩხრეკა. გაიჩხრიკა სამმართველოს ნარკომანიის სამსახურის უფროსის, ტარიელ მაისურაძისა და სისხლის სამართლის სამძებროს უფროსის, სოსო ბირთველიშვილის კაბინეტები, სადაც სეიფებში შენახული ძვირად ღირებული ნარკოტიკული ნივთიერებები და 6 ათასი დოლარი აღმოჩნდა. შსს-ს წარმომადგენელთა ინფორმაციით, ნარკოტიკებს ეჭვმიტანილებისთვის ჩასადებად იყენებდნენ, ხოლო 6 ათასი დოლარი გამოძალვით აღებული ფულია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს მხოლოდ ბრალდების ცალი მხარეა. ბირთველიშვილი და მაისურაძე იმალებიან და რატომ ჰქონდათ მათ სეიფებში შენახული ფული და ნარკოტიკები, ამ საკითხთან დაკავშირებით მათი ვერსია უცნობია.

ერთი სიტყვით, შსს-ს მაღალჩინოსნები თავს იწონებენ, რომ პოლიციის უღირსი მაღალჩინოსნები ამხილეს. თუმცა, კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ მექრთამე პოლიციელების დევნის გარდა, პოლიციაში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. საქმე ის არის, რომ როგორც ოქრუაშვილი აღნიშნავს, სპეცოპერაცია რამდენიმე დღის მანძილზე მზადდებოდა. ოპერაციის დამაგვირგვინებელ ეტაპზე კი მთავარი ეჭვმიტანილები — მაისურაძე და ბირთველიშვილი ადგილზე არ აღმოჩნდნენ. იბადება ეჭვი და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ ბოლო მომენტში ინფორმაციამ გაჟონა და ბირთველიშვილი და მაისურაძე მოსალოდნელ საშიშროებაზე გააფრთხილეს. ორივემ მიმალვა მოასწრო და ფულიც ამიტომ ჩარჩათ სეიფში.

ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაცით, შს მინისტრმა ინფორმატორის სასწრაფოდ მოძებნის ბრძანება გასცა. ვარაუდობენ, რომ ინფორმატორი ასევე შსს-ს მაღალჩინოსანია, რომელსაც იერარქიული მდგომარეობიდან გამომდინარე, სამმართველოს მაღალჩინოსნებისგან წილი მისდიოდა და მან ეჭვმიტანილთა გადარჩენა გადაწყვიტა (საკუთარი უსაფრთხოების მიზნითაც).

რაც შეეხება მთლიანად პოლიციაში არსებულ ვითარებას, ამბობენ, რომ მართალია, ძველი მასშტაბებით აღარ, მაგრამ პოლიციის რაიგანყოფილებებში ფულის გამოძალვის მექანიზმი ისევ არსებობს. „გააჩნია ვინ არის დაკავებული და რამდენად ენდობა მას პოლიციელი, რომ ფული გამოართვას, — აცხადებს „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას კონფიდენციალური წყარო, — პოლიციელებს ფულის გამოძალვა განსაკუთრებით ე. წ. შავი სამყაროს წარმომადგენლებისგან უადვილდებათ. ამ კატეგორიის ხალხი, როგორც წესი, გამოძალვის შესახებ არავის არაფერს ატყობინებს. ეს მათთვის დიდი „გრეხია“. ამიტომ ურჩევნიათ, ფული გადაიხადონ, ვიდრე სადმე განაცხადონ და ამით „მომაკვდინებელი ცოდვა“ აიკიდონ. სამაგიეროდ, პოლიციელებს თითქმის აღარ მიუწვდებათ ხელი წვრილ ბიზნესმენებზე თუ სხვა საქმიანობით დაკავებულ ადამიანთა კატეგორიაზე. ამ ხალხმა თუ რამე დააშავა და პოლიციამ დააკავა, პოლიციელებს ვერავინ მისცემს იმის გარანტიას, რომ ისინი გენერალურ ინსპექციაში არ გაიქცევიან და გამოძალვის შესახებ არ განაცხადებენ. ასე რომ, პროგრესი მაინც არის, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი...“

მდგომარეობის გამოსასწორებლად ირაკლი ოქრუაშვილი პოლიციელებს ხელფასის 400 პროცენტით გაზრდას ჰპირდება. ეს სერიოზული არგუმენტია იმისათვის, რომ პოლიციელებმა „ლევი“ შემოსავლებისკენ აღარ გაიხედონ. ამით უპირველესად საზოგადოება ისარგებლებს, როცა ფულის გამოძალვის ან ჩვენების მიცემის მიზნით დაკავებულთა ცემა-ტყეპის პრეცედენტი წარსულს ჩაჰბარდება.

**დავით დევდარიანი**



# „თუ ამას შეთანხმება ჰქვია“

## „მე არა ვარ ვალდებული, გავჩუმდე და ვიტყვი...“



მიხეილ ქარელი



გათავისუფლების პირველი წუთები, შვილთან ერთად

**როგორც შიდა ქართლის, ასევე ფოთის ხელმძღვანელობას ბევრ უხერხულ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა**

*(დასაწყისი იხ. გვ. 5)*

როგორც ამბობენ, გორის „ხალხის გაზეთის“ რედაქტორი რეზო ოქრუაშვილი პრეზიდენტის რწმუნებულს, მიხეილ ქარელს აკრიტიკებდა... ერთ საათში გორში ვიყავი. ჯერ კიდევ ადრე იყო, ამიტომ „ხალხის გაზეთის“ ოფისში მისვლისაგან თავი შევიკავე და ჩემს იქაურ მეგობარს, ნოდარს შინ ვეწვიე. როდესაც ერთმანეთის მოკითხვით გული ვიჯერეთ, საქმეზე გადავედი და მეგობარს რომელიმე გორელ ნარკომანთან მიყვანა ვთხოვე. ნოდარს ეგონა, ვხუმრობდი, მაგრამ როცა თხოვნა მთელი სერიოზულობით გავუმეორე, დამყაბულდა. ფარეხიდან ავტომანქანა გამოიყვანა და გეზი კომბინატის დასახლებისკენ ავიღეთ. რამდენიმე წუთის შემდეგ ერთ-ერთ სახლთან გავჩერდით. ნოდარი სახლში შევიდა და ხუთი წუთის შემდეგ ახალგაზრდა მამაკაცთან ერთად დაბრუნდა. წამჩურჩულა, — გორში ერთ-ერთი სტაჟიანი ნარკომანია. ხშირად გამიმართავს მისთვის ხელი. ვუთხარი, რომ ჩემი ბავშვობის მეგობარი ხარ და შენს გასაცნობად წამომყვაო.

— **არ გეწყინოს, დილაუთენია რომ შეგაწუხე, მაგრამ ერთი შეკითხვა მაქვს და თუ შეიძლება გულახდილად მიპასუხე.**

— ნოდარის ხათრით ბევრ უხერხულ კითხვაზე გაგცემ, ბრატ, პასუხს, მაგრამ არის ისეთი რაღაც, რაზეც ჩემს თავსაც არ ველაპარაკები... თუ ასეთი კითხვა დამისვი, ვერ გაგიიასნებ.

— **რეზო ოქრუაშვილისგან თუ აგილია როდისმე წამალი?**

— ეგ რომელი რეზოა? აააა.... დაიცა, დაიცა, რედაქტორი რო იყო და ორშაბათ დილას რო გასკვანჩეს? არა, ბრატ, რეზოს ბარიგობა არავის გაუგია. ალბათ ფულის შეწერვა უნდოდათ და ნარკოტიკები ჩაუდეს. ეგ წამალზე არ ჩალიჩობდა, თორემ მე ასპროცენტიანი გაიასნებული მექნებოდა. შეიძლება რამე ტრუხა ბალახს კაიფისთვის ეწეოდა, მაგრამ არც ეგ ვიცი. ვზროსლია და ჩემთან ხომ არ დაიწყებდა მოწევას...

ჩემს „კონსულტანტს“ გამოვემშვიდობე და ნოდარს „ხალხის გაზეთის“ ოფისში მიყვანა ვთხოვე. თავდაპირველად გაზეთის რედაქტორს გავესაუბრე.

**ვასიკო გურეული**: — ჩვენი მთავარი რედაქტორი რეზო ოქრუაშვილი გორში და, საერთოდ, რეგიონში ცნობილი კაცია. 1989 წლიდან აქტიურად ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. იყო სახალხო ფრონტის გორის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე. მერე გორში ხელმძღვანელობდა რესპუბლიკურ პარტიას. ასევე გახლდათ საქართველოს პარლამენტის თავდაცვის და ეროვნული უშიშროების კომისიის წარმომადგენელი შიდა ქართლში. პარალელურად მუშაობდა სხვადასხვა გაზეთში. იყო რედაქტორი, მთავარი რედაქტორი. ეს გაზეთი შარშან, ოქტომბერში, დააარსა. პირველი ნომრის გამოსვლისთანავე დაიწყო დაპირისპირება შიდა ქართლის ახლანდელ ხელისუფლებასა და რედაქციას შორის კრიტიკული სტატიების გამო. რეზო ოქრუაშვილსა და შიდა ქართლის ახლანდელი ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობა ჯერ კიდევ 2 ნოემბრის პარლამენტის არჩევნების დროს დაიძაბა. იმ დროს გორში კენჭს იყრიდა ირაკლი ოქრუაშვილი. რეზო ოქრუაშვილმაც გადაწყვიტა, კენჭი ეყარა არჩევნებში. ამ ფაქტმა ნაციონალური პარტიის ოფისის მაშინდელი ხელმძღვანელი მიხეილ ქარელი ძალიან გააღიზიანა. ამ უკანასკნელმა დაუფარავად განაცხადა, რეზო ოქრუაშვილი შევარდნაძის ხელისუფლების დაკვეთას ასრულებს და არჩევნებში იმიტომ მონაწილეობს, რომ ირაკლი ოქრუაშვილს ხმები წაართვასო. ქარელმა რეზო ოქრუაშვილის მხარდამჭერთა სიაში თითქოს დარღვევები აღმოაჩინა და სასამართლოს მიმართა. ყოველივე კი იმით დასრულდა, რომ რეზო ოქრუაშვილი დეპუტატობის კანდიდატთა სიიდან ამოიღეს.

— **და განაწყენებულმა რეზო ოქრუაშვილმა თავისი გაზეთის მეშვეობით შურისძიება გადაწყვიტა პრეზიდენტის რწმუნებულზე შიდა ქართლში მიხეილ ქარელსა და მთლიანად რეგიონის ადმინისტრაციაზე?**

— როგორ გეკადრებათ. მან წყენა დიდი ხანია დაივიწყა. ჩვეულებრივად გავაგრძელეთ მუშაობა, ჟურნალისტებს გვთხოვდა მოგვეტანა მიუკერძოებელი მასალები. თუ რაიმე სამართალდარღვევას აღმოვაჩენდით, ყველაფერი კარგად გამოგვეკვლია და მეორე მხარის აზრიც გაგვეგო. არც ერთი ჩვენი ჟურნალისტი არავის, მით უმეტეს, გუბერნატორს, წინასწარ განზრახვით თავს არ დასხმია და უსაფუძვლოდ არც ერთი კრიტიკული მასალა არ დაგვიბეჭდავს.

— **მე გადავათვალიერე თქვენი გაზეთის ნომრები. თითქმის ყველა ნომერში გუბერნატორი და მისი ადმინისტრაცია გყავთ გაკრიტიკებული.**

— კრიტიკული სტატია იქნებოდა თუ ჟურნალისტური გამოძიება, ყველა დოკუმენტებს ეყრდნობა. მიხეილ ქარელი განსაკუთრებით გააღიზიანა ჩვენმა ერთმა ჟურნალისტურმა გამოძიებამ, სადაც მისი ბიოგრაფიის ერთი მეტად უხერხული დეტალია ნახსენები. კერძოდ, ჩვენმა ჟურნალისტმა გამოიკვლია და დაამტკიცა, რომ ბატონი ქარელი ერთი ჩვეულებრივი დეზერტირია, რომელმაც თავი აარიდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამსახურს ყალბი დოკუმენტის მეშვეობით. არსებობს ეჭვი, რომ დოკუმენტი თვითონ ქარელმა გააყალბა...

ამ ჟურნალისტურ გამოძიებას კიდევ ბევრი სხვაც მოჰყვა, რამაც, როგორც გაზეთის ჟურნალისტები ამბობენ, მოთმინება დააკარგვინა პრეზიდენტის რწმუნებულს და შედეგმაც არ დააყოვნა.

„ხალხის გაზეთის“ ჟურნალისტი **თამუნა ცერცვაძე**: „გორის ხელისუფლების წარმომადგენლები მუშაობის საშუალებას არ გვაძლევენ. საჯარო ინფორმაციები ჩვენთვის ხელმიუწვდომელია. გვაქვს ინფორმაციები, რომ მიხეილ ქარელის ნათესავებს კონტრაბანდული საქონელი გადმოაქვთ და რომ მათი „კრიშა“ პრეზიდენტის რწმუნებულია. ჩვენ ვაგროვებდით დოკუმენტურ მასალას ქარელის მონაწილეობაზე კონტრაბანდაში და იქნებ ამან აუვსო მოთმინების ფიალა“.

ჩვენ გავესაუბრეთ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ გორის ოფისის ხელმძღვანელს, **ძეთი ბებიაშვილს**: „რეზო ოქრუაშვილი პროცესუალური ნორმების დარღვევით დააკავეს. საგამოძიებო მოქმედებებიც კანონის უხეში დარღვევებით წარიმართა. მაგალითად, მოწმეთაგან, რომლებიც ესწრებოდნენ ჩხრეკას „ხალხის გაზეთის“ ოფისში, ერთი აღმოჩნდა გორის პოლიციის სამმართველოს სტაჟიორი, მეორე მოწმე კი იმ პირის ძმაა, რომელიც რამდენიმე ხნის წინ ბატონმა რეზო ოქრუაშვილმა ამხილა თავისი ბინის ქურდობის ფაქტზე. როგორც ირკვევა, პოლიციას ოქრუაშვილის მიერ ნარკოტიკების გასაღება-მოხმარებაზე ინფორმაციები წლინახევრის წინ ჰქონია და თუ ეს სიმართლეს შეესაბამება, დღემდე რას უცდიდნენ, საკვირველია. ყოველივე ეს ეჭვს ბადებს, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ პოლიციას რეზო ოქრუაშვილის დაპატიმრება დაუკვეთა, რათა გაზეთზე ზეწოლა მოხდეს...

ჩვენ ვეწვიეთ შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულს და მომხდარზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ.

**მიხეილ ქარელი**: — რეზო ოქრუაშვილი ჩემი პირადი მტერია(?!). როდესაც გორში ჩამოვაყალიბეთ ნაციონალური მოძრაობა, მართალია, ჩვენ გვერდით იყო, მაგრამ ძალზე ამბიციური კაცია. როდესაც 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადება მიმდინარეობდა, რეზო მივიდა ირაკლი ოქრუაშვილთან, რომელიც კენჭს გორის მაჟორიტარ დეპუტატად იყრიდა. მეც იქ ვიყავი. ირაკლის სთხოვა — გვერდში გიდგავარ, ყველაფერს გავაკეთებ, რომ დეპუტატად გახვიდე და როცა გაიმარჯვებ, რა თანამდებობას შემომთავაზებო. ასეთი რამ ჩვენთვის მიუღებელი იყო და უხეშად მივუგე, — რა დროს თანამდებობების განაწილებაზეა ლაპარაკი, ასეთი გარიგება ჩვენთვის მიუღებელია და ჯობს, წახვიდე-მეთქი. მას შემდეგ გაგვინაწყენდა. დაუახლოვდა შევარდნაძის ხელისუფლების მომხრეებს და მათი რჩევით თავი დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა, ირაკლისთვის რომ ხმები წაერთმია. მე საარჩევნო კომისიის წევრი ვიყავი და რეზო ოქრუაშვილს მხარდამჭერთა სიაში სხვა რეგიონის მცხოვრებლები აღმოვუჩინე. ამის თაობაზე სარჩელი აღვძარი სასამართლოში და იგი დეპუტატობის კანდიდატთა სიიდან ამოიღეს. ამან კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობა ჩვენ შორის. შარშან კი გაზეთი დააარსა და პირდაპირ დაიწყო ცილისწამება.

— **ბატონო მიხეილ, მე წავიკითხე სტატია (გავეცანი დოკუმენტებსაც), რომელიც „ხალხის გაზეთში“ გამოქვეყნდა და სადაც თქვენს დეზერტირობაზეა ლაპარაკი.**

— ამ თემაზე ლაპარაკი არ მსურს. თუმც ვიტყვი, რომ არც ერთ ოფიციალურ თუ არაოფიციალურ დოკუმენტში არ დამიფიქსირებია, თითქოს სამხედრო სამსახური გამევლოს. მაგრამ დღეს რა თანამდებობაზეც ვარ, მერწმუნეთ, სამხედრო სამსახურია და ფრონტის ხაზზე ვდგავარ.

— **თქვენ არასოდეს შეგიმჩნევიათ რეზო ოქრუაშვილის მიდრეკილება ნარკოტიკებისკენ?**

— ნამდვილად არ შემიმჩნევია, მაგრამ გორი პატარა ქალაქია და ყველამ ყველაზე ყველაფერი იცის. გორელი ნარკომანების ნათქვამით დასტურდება ეს. სხვათა შორის, პოლიციას ინფორმაცია რეზო ოქრუაშვილის ნარკოტიკებთან კავშირის შესახებ თითქმის წელიწადნახევარია რაც აქვს(?!)...

ჩვენ ამ თემას ქვემოთ ისევ მივუბრუნდებით, მანამდე კი ფოთს ვესტუმროთ, სადაც რამდენიმესაათიანი მგზავრობის შემდეგ ჩავედი. კითხვა-კითხვით „მეცხრე ტალღის“ ოფისსაც მივაგენი. ჩემი მასპინძლობა მშვენიერმა ქალბატონმა, საინფორმაციო გამოშვება „კურსარის“ რედაქტორმა და წამყვანმა თეა აბსარიძემ იკისრა (უპირველესად კი ქალბატონმა თეამ მათი ტელევიზიის სახელით დიდი მწუხარებით მომისამძიმრა „კვირის პალიტრის“ მთავარი რედაქტორის გარდაცვალება).

**თეა აბსარიძე**: „4 ივლისს, გვიან ღამით, ბოროტმოქმედები შეიჭრნენ ფოთის სატელევიზიო ანძის ოფისში. „მეცხრე ტალღის“ მაუწყებლობისთვის აუცილებელი აპარატურა გაიტანეს. მანამდე ორი ჩვენი დაცვის თანამშრომელი გათოკეს. საგონებელში ჩაგვაგდო მძარცველების მოქმედებამ, რადგან იქვე, გვერდით მდებარე ოთახში, რომელიც ტელეკომპანია „იმედს“ ეკუთვნის, გაცილებით ძვირად ღირებული ტექნიკა იდგა. ღამის მორიგეც კი არსად იყო, მაგრამ მძარცველებმა რატომღაც ხელი არაფერს ახლეს. მხოლოდ ჩვენი აპარატურა გაიტაცეს. როდესაც მომხდარი გავაანალიზეთ, მივედით დასკვნამდე, რომ მძარცველებს დავალებული ჰქონდათ სახელდობრ ჩვენი აპარატურის გატაცება, რათა ეთერში ვეღარ გავსულიყავით.

— **ვის არ აძლევს ხელს ფოთში სამაუწყებლო ტელეკომპანია „მეცხრე ტალღის“ მუშაობა?**

— ჩვენ მოურიდებლად ვაკრიტიკებთ ფოთის ყოფილ თუ ახალ ხელისუფლებას, კორუმპირებულ ჩინოვნიკებს, ფინანსურ მაქინაციებში შემჩნეულ ადგილობრივ ბიზნესმენებს. ამან ბევრი მტერი გაგვიჩინა. განსაკუთრებით გაღიზიანდა ქალაქის მერი ვახტანგ ალანია. სწორედ გაძარცვის წინა საღამოს დავუთმეთ დიდი დრო ფოთის ბიუჯეტის უკანონო განკარგვის, უფრო სწორად, დაკარგვის ფაქტების გაშუქებას. იმ საღამოსვე მწარედ გავაკრიტიკეთ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები პრივატიზაციის პროცესში დაშვებული დარღვევების გამო. ჩვენი სტუმარი იყო ფოთის ნაციონალური მოძრაობის საქალაქო ორგანიზაციის ახალარჩეული თავმჯდომარე დავით შურღაია, რომელმაც მწვავედ გააკრიტიკა ფოთის მთავრობა და უახლოეს ხანებში მაყურებელს კორუმპირებული ჩინოვნიკების მხილებას დაჰპირდა...

ჩვენს საუბარს „მეცხრე ტალღის“ გენერალური დირექტორი **მამუკა თოდუა** შემოუერთდა: „ტელევიზიის ჟურნალისტებზე ფოთის ხელისუფლება და უშუალოდ მერი ზეწოლას სხვადასხვა მეთოდით ახორციელებს — გვიბლოკავს ინფორმაციებს, პრესკონფერენციებზე ითხოვს „მეცხრე ტალღის“ ჟურნალისტების დარბაზიდან გასვლას, არ გვაძლევს საჯარო ინფორმაციებს და სხვ. ვერ გეტყვით, კონკრეტულად ვისი მითითებით მოქმედებდნენ მძარცველები, მაგრამ მომხდარზე მთელ პასუხისმგებლობას ფოთის მერს, ვახტანგ ალანიას ვაკისრებ. მეტიც, როდესაც მას ჩვენმა ჟურნალისტებმა კომენტარის გაკეთება სთხოვეს, მოგვიგო — ორი აკუმულატორის დაკარგვის გარდა, უფრო სერიოზული საქმეები მაქვსო“.

დაღამებული იყო, როდესაც თბილისისკენ მომავალ მიკროავტობუსში ჩავჯექი. გულში ხინჯად მხოლოდ ის გამომყვა ფოთიდან, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ძარცვის ფაქტის გამო კომენტარის გაკეთება არ ისურვა. ჩვენ არ შეგვიძლია, დავამტკიცოთ, მოქმედებდნენ თუ არა მძარცველები ვინმეს დავალებით, მაგრამ როგორც შიდა ქართლის, ასევე ფოთის ხელისუფლებას ბევრ უხერხულ კითხვაზე მოუწევს ადრე თუ გვიან პასუხის გაცემა. რა არის ეს, თავისუფალ მასმედიაზე თავდასხმა(!) თუ გარემოებათა დამთხვევა?

მართალია ჩვენ ასეთი მტკიცებულება ვერ მოვიპოვეთ, მაგრამ ერთი წუთით დავუშვათ, რომ „ხალხის გაზეთის“ მთავარი რედაქტორი მართლაც იყო ნარკოტიკების რეალიზატორი და პოლიციამ ამ საბაბით დააკავა. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებას და სამართალდამცველებს უნდა ეყოთ ჭკუა და გამოცდილება, რომ დამნაშავე პროცესუალური ნორმების სრული დაცვით დააკავონ და მისი დაპატიმრება იმ პერიოდს არ უნდა დაამთხვიონ, როდესაც მის გაზეთში ხელისუფლების ან სამართალდამცველების მამხილებელი სტატიები დაიწერება. მით უმეტეს, როგორც თავად აცხადებენ, რეზო ოქრუაშვილის მიერ ნარკოტიკების რეალიზაციის შესახებ ინფორმაციას, წელიწად-ნახევარია, რაც ფლობენ.

P.S. გორის რაიონულმა სასამართლომ ყველასათვის მოულოდნელი და უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო — ნარკოტიკების შენახვა-რეალიზაციის ბრალდებით დაპატიმრებული და უკვე სამთვიანი პატიმრობამისჯილი რეზო ოქრუაშვილი გაათავისუფლეს. ჩვენ დავუკავშირდით მას და აზრის გამოთქმა ვთხოვეთ.

**რეზო ოქრუაშვილი**: „ჩემს, მოსამართლესა და პროკურორს შორის მოხდა შეთანხმება, რის საფუძველზეც გამათავისუფლეს. დიდი ბოდიში, მაგრამ საპროცესო შეთანხმების თანახმად, სხვა საკითხზე კომენტარის გაკეთება აკრძალული მაქვს“.

ბუნებრივია, „ხალხის გაზეთის“ რედაქტორის კომენტარს არ დავჯერდით და დამატებითი ინფორმაციისთვის რეზო ოქრუაშვილის მეუღლეს, იმავე გაზეთის ჟურნალისტს, **ნინო დალაქიშვილს** მივმართეთ:

„შეთანხმება მართლაც მოხდა და რეზომ ამის გამო პირში წყალი ჩაიგუბა, რათა პირობა არ დაარღვიოს. მაგრამ მე არ ვარ ვალდებული, გავჩუმდე და თქვენთან პირველად ვიტყვი, რომ რადგან ჩემი უდანაშაულო მეუღლის დაპატიმრებამ საზოგადოება აღაშფოთა, ხელისუფლება იძულებული გახდა თავისი იმიჯის გადასარჩენად რეზო გაეთავისუფლებინა. უთხრეს, გაგიშვებთ, რაც გინდა, წერე, ოღონდ რაც მოხდა, ამაზე ლაპარაკი მოკვდეს და ნურც ჟურნალისტებს ააბუნტებ ამ თემაზე სტატიების დასაწერადო, — რეზო დათანხმდა. აი, ეს არის იმ შეთანხმების თავი და ბოლო. თუ ამას შეთანხმება ჰქვია.“

***ზვიად ჩაკვეტაძე***




# „მოსკოვში ქართული რესტორანი ყვავილების მაღაზია მეგონა“

## „მიშას ჯინაზე ფორმას აუზის გარეშეც შევინარჩუნებ“

მაშინ, როდესაც რუსეთიდან მუშტებს გვიღერებენ და გვემუქრებიან, ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა „მშვიდობის ელჩობა“ გადაწყვიტა და რუსულ-ქართული ურთიერთობების გადარჩენაზე ზრუნავს. სააკაშვილზე განაწყენებულმა რუსებმა **შალვა ნათელაშვილი** წელს უკვე მეორედ მიიწვიეს და, როგორც ჩანს, კარგადაც უმასპინძლეს. რატომ არ უფრთხის პრორუსის იარლიყს და რისთვის სტუმრობს ასე ხშირად მოსკოვს მთავარი მშრომელი, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ:

— რუსეთში სახელმწიფო სათათბირომ მიმიწვია. პუტინის პარტიის წარმომადგენლებთან საქართველოსთვის მეტად სასარგებლო საუბრები მქონდა. იქ ჩასვლამ დამარწმუნა, — სანამ რუსეთის სათათბიროში და პოლიტიკურ წრეებში ლობი არ გვეყოლება, იქიდან მუდმივად გამოგვიგზავნიან აგრესიის დოზებს. უნდა მოვახერხოთ კეთილგანწყობილი ხალხის მოძებნა, რომლებიც ჩუმად კი არ იქნებიან, არამედ აქტიურად დაიცავენ ჩვენს პოზიციას. შევარდნაძის ხელისუფლებამ და მისმა მემკვიდრეებმა მხარდამჭერების ძებნის ნაცვლად მოყვრები მტრებად გვიქციეს, მტრები უფრო გადაგვამტერეს. რუსეთთან ურთიერთობაში ყამირია გასატეხი, დღევანდელი ხელისუფლება კი ურთიერთობების აღდგენის ნაცვლად, ცეცხლზე ნავთს ასხამს და ერთდროულად ცდილობს ამერიკისა და რუსეთის მოტყუებას. ეს მეტისმეტად უპერსპექტივო ჩანაფიქრია. სააკაშვილი სამაჩაბლოს დაბრუნებისთვის იბრძვის და პარალელურად ნატოს კომუნიკეში შეატანინა მოთხოვნა — საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზები გავიდესო. ამან სულ ამოატრიალა რუსული პოლიტიკური აზროვნება, მეტისმეტად გაღიზიანდნენ — საკითხი, რომელიც ჩვენთან მოლაპარაკებით უნდა გადაჭრას საქართველომ, ნატოსთან რა კავშირშიაო. ამის შედეგი იყო სათათბიროს განცხადება — ერთიანი ოსეთი თავის დროზე რუსეთის შემადგენლობაში შემოვიდაო. თავისი ქმედებებითა და განცხადებებით სააკაშვილმა რუსეთის რეაქციულ ძალებს ანტიქართული ტალღის აგორების საფუძველი მისცა. სააკაშვილის განცხადების საპასუხოდ კი მთელი გოსდუმა აფხაზეთში წამოვიდა დასასვენებლად — აბა, კაი ბიჭი ხარ და დაგვიშალეო. ლუჟკოვმა განგებ მოაწყო სოხუმის პლაჟზე სეირნობა. როდესაც ასეთი დაძაბული ვითარებაა, სწორედაც დროული იყო ჩემი მოსკოვში ჩასვლა. იქ შეიქმნება საქართველოს მხარდამჭერი კომიტეტი, რომელსაც სათავეში აკადემიკოსი ვიაჩესლავ მოროზოვი ჩაუდგება. ამ კომიტეტში რუსული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ელიტის გავლენიანი წარმომადგენლები შევლენ. როდესაც დიპლომატიურ აკადემიაში ვსწავლობდი, მოროზოვი საქართველოში დავპატიჟე. ამ კაცს ჩემთან ერთად აქვს მოვლილი მთელი საქართველო, უსაზღვროდ უყვარს ყველაფერი ქართული და ჩვენი ნამდვილი გულშემატკივარია(?!). აი, ასეთ ხალხს მოვძებნით და იმდენს მოვახერხებთ, რომ მოსკოვში ერთი ოფისი მაინც ვუქირაოთ. თბილისსა და მოსკოვში შეიქმნება რუსეთ-საქართველოს მეგობრობის აკადემია, ასევე შეიქმნება საქართველო-რუსეთის პოლიტიკური კონგრესი, სადაც მრგვალ მაგიდას მიუჯდება ყველა პოლიტიკური პარტია და სანამ გოსდუმაში წავა განსახილველად რაიმე საკითხი, მანამ იქ განიხილავენ. სხვა თუ არაფერი, პოლიტიკოსები ამ გზით დაუმეგობრდებიან ერთმანეთს. პირადი კონტაქტები ბევრს ნიშნავს და ერთმა ქართველმა პარლამენტარმა გოსდუმის ერთი წევრიც რომ დაიმეგობროს, ხომ წარმოგიდგენიათ, რამხელა მხარდაჭერა გვექნება რუსულ პოლიტიკურ წრეებში.

**— არ გეშინიათ, რომ ასეთი პოზიციის გამო პრორუსის იარლიყს დაიმსახურებთ?**

— არ ვარ მშიშარა კაცი. როგორ დაგვწამებენ პრორუსობას, როდესაც მშვენიერი ურთიერთობა გვაქვს ამერიკელებთან. მოსკოვში ყოფნისას რუსეთში აკრედიტებულ აშშ-ის საელჩოს პოლიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელს შევხვდი. ვისაუბრეთ ჩემს მომავალ ვიზიტზე აშშ-ში, რომელიც შემოდგომაზე საკმაოდ სერიოზულ დონეზე შედგება.

სააკაშვილმა რუსებიც ისე გადააგდო, როგორც მე — ისინი ხედავენ, რომ სააკაშვილი ძირს უთხრის, საქართველო ნატოში შეჰყავს, რომელიც კავკასიონზე დადგამს რადარებს და ჩვენს ტერიტორიას მურმანსკამდე გააკონტროლებსო. ამიტომ არიან შეშფოთებულები.

ასეთი პოლიტიკით იმას მივაღწიეთ, რომ რუსები ზამთარში გაზს და დენს გამოგვირთავენ — რაც ამ ხელისუფლებას ძალიან დააზარალებს.

**— ისევ რუსეთს დავუბრუნდეთ... იქაური ჰავა მოგხდენიათ...**

— (იცინის) ქართველებს, განსაკუთრებით, მამაკაცებს იქაური ჰავა უხდება, თანაც მოსკოვში გრილი და ძალიან სასიამოვნო ზაფხულია. მიუხედავად იმისა, რომ იქაც 24 საათს ვმუშაობდი, სასტუმროში ჩემი ნომრის კარი არ დაკეტილა, უამრავ ადამიანს შევხვდი. ჩემთან მოსულები ჩიოდნენ, საქართველოს ხელისუფლების აგრესიული განცხადებები ჩვენს ბიზნესს ვნებსო. ისიც მითხრეს, ერთმა სააკაშვილის მხარდამჭერმა აფერისტმა, გვარად ფიფიამ, ვითომ ქართულ-რუსული ბიზნესკლუბი გახსნა. როცა საქართველოში ეკონომიკური ფორუმი ჩატარდა და რუსი ბიზნესმენები ჩამოიყვანეს, თითოეულს 5 ათასი დოლარი დაადებინაო. ის ბიზნესმენები ახლა ამბობენ თურმე, სან-ფრანცისკოში ბევრად იაფად ჩავდივართ. 5 ათასზე მეტს გავიღებდით საქართველოსთვის, მაგრამ ეს რა სტუმარმასპინძლობა იყო, ვიღაც აფერისტმა ჩვენს ხარჯზე ფული გააკეთა. ის კაცი სააკაშვილსაც ატყუებსო...

**— სტუმრების მიღების გარდა, მოსკოვში არაფერი გაგიკეთებიათ?**

— არბატზე გავიარე, აქ მაინც არავინ მიცნობს და თავისუფლად ვიქნები-მეთქი. ვიტრინაში გამოდგმული უამრავი ყვავილი დავინახე — ვიფიქრე, იქნებ რამე დეკორატიულ ხეს ან კარგ ყვავილს წავაწყდე-მეთქი (მიყვარს) და შევედი. კარებში ჩოხა-ახალუხიანი ბიჭი შემეგება — ბატონო შალვა, მობრძანდით, მაგრამ ეს ყვავილების მაღაზია კი არა, რესტორანიაო. შევცბუნდი, ჯიბეში იმდენი ფულიც არ მქონდა, რომ დავმჯდარიყავი. მთელი რესტორნის პერსონალი შეიყარა, ყველანი ქართველები იყვნენ და სანამ ყავა არ დამალევინეს, არ გამომიშვეს.

**— ბატონო შალვა, ჩვენთან ერთ-ერთ წინა ინტერვიუში ამბობდით, აუზში ცურვაზე ხელი სააკაშვილმა ამაღებინაო. გამოდის, რომ სპორტს თავი საერთოდ დაანებეთ?**

— მშვენიერი გამოსავალი ვიპოვე, არსად აღარ მჭირდება წასვლა. მოსასვენებელ ოთახში ტრენაჟორი დავდგი და ვვარჯიშობ. ასე რომ, მიშას ჯინაზე ფორმას აუზის გარეშეც შევინარჩუნებ.

***მარი ზანდუკელი***



ის ბიზნესმენები ახლა ამბობენ თურმე, სან-ფრანცისკოში ბევრად იაფად ჩავდივართ. 5 ათასზე მეტს გავიღებდით საქართველოსთვის, მაგრამ ეს რა სტუმარმასპინძლობა იყო, ვიღაც აფერისტმა ჩვენს ხარჯზე ფული გააკეთა. ის კაცი სააკაშვილსაც ატყუებსო...

# „Я НЕНАВИЖУ КАВКАЗ“(!)

## „ეს იმპერიის ნგრევის თანამდევი პროცესია“



„Я ненавижу Кавказ“ — ხმის ჩახლეჩამდე გაჰკიოდა დუმის სხდომაზე რუსული ლიბერალური დემოკრატიის მამა, რომლის სიტყვები, როგორც წესი, ყოველთვის შორს არის ლიბერალობისგანაც და დემოკრატობისგანაც და, რომელმაც რუსეთშიც ისე მოაბეზრა ყველას თავი, რომ ქუჩაში გასულს ფეხსაცმელებსა და კვერცხებს ესვრიან. არ შეიძლება ამ კაცის ნათქვამზე არ გაგეცინოს, მაგრამ არც იმის დავიწყება იქნება, რომ მისი განცხადებები ყოველთვის სიმპტომატურია და შოვინიზმით გულგასივებული, გონებადაბნელებული რუსული პოლიტიკური წრეების ნააზრევს გამოხატავს. ჟირინოვსკი და მისთანანი რატომღაც თავდასხმად აღიქვამენ ტერიტორიული მთლიანობისთვის საქართველოს ხელისუფლების ბრძოლას და ასეთები რომ დუმაში უმრავლესობაა, ის დადგენილებაც მეტყველებს, რომელიც გასულ კვირას დიდი ამბით მიიღეს.

გთავაზობთ მცირე ამონარიდს ამ ტექსტიდან.

– В целом в сложившихся условиях непрекращающихся угроз со стороны руководства Грузии в отношении граждан России, постоянно проживающих на территории Южной Осетии и Абхазии, возникают обстоятельства посягающие на суверенитет Российской Федерации.

ხედავთ, რას წერენ? თავდაპირველად, დადგენილების ამ ტექსტში პუტინსა და რუსეთის მთავრობას სთხოვდნენ — საქართველოს წინააღმდეგ ადეკვატური სამხედრო და ეკონომიკური ზომები მიიღეთო, მაგრამ მიხვდნენ, ზედმეტი მოგვდისო და ეს ნაწილი ამოიღეს. მართალია, დუმა „не думая“ როშავს რაღაც-რაღაცებს, მაგრამ ჩვენც ვსწავლობთ ასეთებთან ლაპარაკს. გასულ კვირას აგრესიულობით ცნობილი ჟირინოვსკი ერთ-ერთი ტელეკომპანიის პირდაპირ ეთერში რომ დავინახეთ, მისი ლანძღვის მოსასმენად და თითის ქნევისთვის მოვემზადეთ (მისგან, აბა, მეტს რას უნდა ელოდე), მაგრამ აღმოჩნდა, რომ წყნარად და გონივრულად ნათქვამი სიტყვით მისნაირების ალაგმვაც ყოფილა შესაძლებელი. ხომ ვნახეთ, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ **კოტე გაბაშვილმა** ჟირინოვსკის ისეთი გასაღები მოუძებნა, რომ სულ თავის ნებაზე აცინა — Улыбнитесь, это Вам идёт-ო და ისიც იკრიჭებოდა. ჟირინოვსკი თავისი განცხადებებით ირონიას იმსახურებს და მიიღო კიდეც გამოცდილი დიპლომატისგან. გაბაშვილმა მას ლამაზად დასცინა, თანაც ისე ოსტატურად, რომ თავიც დააპატიჟებინა სოჭში — ოღონდ შევხვდეთ, ვისაუბროთ და მზად ვარ, თქვენი ვიზიტის ხარჯები გავიღოო.

„კვირის პალიტრის“ და კოტე გაბაშვილის საუბრისას ტელეფონის ზარი არ შეწყვეტილა — ურეკავდნენ და მადლობას ეუბნებოდნენ — გული მოგვაფხანინეო.

მოვუსმინოთ ბატონ კოტეს:

— დუმა დღეს ყველაზე ჩამორჩენილი პოლიტიკური ინსტიტუტია რუსეთში. ის მწვავედ განიცდის პოლიტიკური იმპერიის დასასრულს და გამოხატავს საზოგადოების იმ ნაწილის განწყობას, რომელიც დიდი ქვეყნის დასუსტებას მტკივნეულად აღიქვამს და ძველი დროის ნოსტალგია აქვს. იმ დროისა, როდესაც რუსეთი არა მარტო საბჭოთა კავშირს, არამედ სოციალისტურ ბანაკს და საბჭოთა კავშირის რამდენიმე სატელიტ ქვეყანასაც აკონტროლებდა. მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე დიდი და აგრესიული წარმონაქმნის ასე შაგრენის ტყავივით დაპატარავება რუსებისთვის მეტისმეტად მტკივნეულია. ამიტომაც იყო, რომ ყველა ყოფილ საბჭოთა ქვეყანას პრობლემა შეუქმნეს — მოლდავეთს დნესტრისპირეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანს ყარაბაღი მოუგონეს. განსაკუთრებული ყურადღება ჩვენ მიმართ გამოიჩინეს და ორი კონფლიქტური კერა გააღვივეს. ეს იმპერიის ნგრევის თანამდევი პროცესია, რომელიც უსათუოდ და მალე დასრულდება. რუსეთი იძულებული იქნება სხვისი მიწისკენ ცქერაზე ხელი აიღოს და საკუთარს მიხედოს. რუსეთს აქამდე ეგონა, სამაჩაბლო და აფხაზეთი ისეთი რეგულატორებია, რომელთა წყალობითაც საქართველოს დავაჩოქებო, მაგრამ დაჩოქების ნაცვლად დაპირისპირება მიიღო. პრეზიდენტი პუტინიც უკვე ხვდება, სხვა გზა რომ უნდა აირჩიოს. მაგრამ იმას, რასაც პუტინი მიხვდა, ჯერჯერობით, დუმა ვერ ხვდება. იქ ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო ჯიგარი პატრიოტიაო და ამის შედეგია ის აგრესიული გამოხდომები, რომლის მოწმენიც გასულ კვირას გავხდით. არ უნდა გაგვიკვირდეს რუსული სამხედროების აგრესიულობაც, რომელთაც აღარაფერი ესაქმებათ საქართველოში, მაგრამ ყოყლოჩინობის გამო არ იცვლიან ფეხს აქედან; არც იმ გენერალიტეტის გამწარება და განერვიულება, რომელიც ჯერ კიდევ 10 წლის წინ სუფრაზე (ალბათ როცა არყით გამოიბრუჟებოდნენ. — ი.რ.) იმას ამბობდა, — შეცდომა დავუშვით, მეორე მსოფლიო ომის დროს ავსტრიაში რომ არ შევედით ან კიდევ თურქეთი და ირანი რომ არ დავიპყარითო. რუსეთის ტანკები ათიოდე წლის წინ ბერლინში იდგა, დღეს კი ფსკოვთან კარვებში ძლივს აჩერებს თავის სამხედროებს. წარმოგიდგენიათ, რა გამწარებულები იქნებიან? რუსეთი უთუოდ წავა საქართველოდან, მაგრამ ფიქრობს, ისე უნდა წავიდე, რომ არ შევრცხვე და სახე შევინარჩუნოო.

**— მაგრამ რუსეთის მისამართით სააკაშვილის განცხადებები ზოგს ცეცხლზე ნავთის დასხმად მიაჩნია — თუ ასე გავაგრძელებთ, ბევრ უსიამოვნო სიურპრიზს ხომ არ უნდა ველოდოთო (რაც არაერთხელ ჩვენს ტყავზე გამოგვიცდია).**

— ჩვენი პრეზიდენტი ახალგაზრდა პრაგმატული კაცია, რომელიც მკაცრად ითხოვს საკუთარი ქვეყნის უფლებების დაცვას და მეორე დიდი ქვეყნის პრეზიდენტს ეუბნება, — ჩემთან სამხედრო ენაზე ლაპარაკს თავი დაანებე. ვიმეგობროთ, ეკონომიკური, პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობები დავამყაროთ, ოღონდ შენი სამხედროები წაიყვანეო. სხვათა შორის, სააკაშვილი რუსების მდგომარეობას ითვალისწინებს და სულაც არ აპირებს სამხედროების აქედან გაყრას, პირიქით, მათ ღირსეულად წასვლის საშუალებას აძლევს.

ათი წლის წინ, როდესაც სამაჩაბლოსა და აფხაზეთში ტრაგედია დატრიალდა, ქართველები გამწარებულები გავყვიროდით, რასაც საინფორმაციო ომის მოგებად ვთვლიდით, რუსები კი ჩუმად აკეთებდნენ თავის საქმეს. ახლა მაინც ვისწავლოთ ჭკუა, ჩვენ საქმე ვაკეთოთ და რუსებმა იმდენი იყვირონ, რამდენიც უნდათ.

რატომ გვაღელვებს დუმის ასეთი განცხადება, ამის მსგავსი რამ ხომ არაერთხელ უთქვამთ? აჭარის მოვლენებსაც სწორედ ასეთი განცხადებები უძღოდა წინ, მაშინაც ისევე გამოჩნდა ლუჟკოვი, როგორც ახლა, მაგრამ რას მიაღწიეს? რუსების სამხედრო ძალებს საქართველოში მოქმედების საშუალებას არავინ მისცემს. მათ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ირიბად პროვოცირება შეუძლიათ და ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს.

**— რუსული პოლიტიკური წრეები ყველაზე მეტად იმ განცხადებამ გააღიზიანა, — ჩვენს ტერიტორიულ წყლებში შემოსულ უცხო ქვეყნის გემებს ცეცხლს გავუხსნითო.**

— სააკაშვილს არ უთქვამს, ტურისტებს შევუტიოთო. მან თქვა — არავის მივცემ საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ცურვის საშუალებას ჩვენთან შეუთანხმებლადო. თავად რუსეთი მისცემს ამის უფლებას ვინმეს? მურმანსკში რომ შევიდეს შვეციიდან გემები, რუსები არაფერს იტყვიან? იაპონელ მეთევზეს, ერთი ბადით რომ გამოდის სათევზაოდ, თევზის დაჭერის საშუალებას არ აძლევენ რუსები, ყველა იარაღიდან ესვრიან, რაც აქვთ.

ერთი რამ ვიცი, ყველა კონფლიქტი საბოლოოდ მშვიდობამდე მიდის და ეს დაასრულებს რუსეთის მილიტარისტულ გავლენას საქართველოზე. ჩვენ აგრესიული მეგობარი კი არა, ნამდვილი მეგობარი გვინდა. მერე რა, რომ რუსეთი ჩვენზე ღონიერია. ბევრი მეგობარი მყავს, რომლებიც ჩემზე ფიზიკურად ძლიერები არიან, მაგრამ ამის გამო ყველაფერს კი არ ვუთმობ. მეგობრობა ფიზიკურ ძლიერებაზე დაფუძნებული არ არის. ხომ ხედავთ, ჩვენი პრეზიდენტი შვიდეულის წევრ ქვეყნებთან ლაპარაკობს ცხინვალის პრობლემის მოგვარების საკითხზე. ეუთოც მზად არის როკის გვირაბი გააკონტროლოს და ოსი ბიჭების — არყის გამყიდველი კოკოითისა და ჩოჩიევის მცდელობებს, ჩვენი ტერიტორია რუსეთს მიუერთონ, პერსპექტივა არა აქვს. ოსები ჩვენთან იცხოვრებენ და მათ ქართველები 100%-იან გარანტიას ვაძლევთ, რომ ექნებათ ოსური კულტურის, ენის, სკოლების, ინსტიტუტის, რადიოს, ტელევიზიისა და თეატრის შენარჩუნებისა და განვითარების საშუალება. იგივე მინდა ვთქვა აფხაზების მისამართითაც, რომელთაც ასიმეტრიულ ავტონომიას ვთავაზობთ. სხვათა შორის, იქ ლუჟკოვის გამოჩენა კარგად მენიშნა, ალბათ მალე მას ივანოვიც მიჰყვება და წაიყვანს იქაურ თვითმარქვია პრეზიდენტს.

***იზო რიკაძე***

# სანგრიდან დანახული ღამის ცხინვალი



ქართველი ჯარისკაცი ჩაბნელებული სანგრიდან გაჩახჩახებულ ცხინვალს უყურებს. ფოტოსურათი ფოტო-ელვის გარეშეა გადაღებული, წინააღმდეგ შემთხვევაში სნაიპერის სამიზნე გავხდებოდით

**ჩაბნელებული პოზიციებიდან უცნაურად განათებული ცხინვალი მოჩანს**

„კვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლმა ცხინვალის რეგიონში მდგარი ქართული სამშვიდობო ბატალიონის მებრძოლებს გაზეთ „კვირის პალიტრის“, ჟურნალების: „გზის“, „რეიტინგის“, „ბომონდის“ და „კარუსელის“ ათობით ნომერი ჩაუტანა, რათა სანგრიდან დასასვენებლად ამოსულმა ჯარისკაცებმა ხანდახან რაიმეს წაკითხვა, ყურადღების გადატანა და სტრესის მოხსნა მოახერხონ.

ქართველი ჯარისკაცები ღამით სანგარში სხედან. წინ — უცნაურად გაჩახჩახებული ცხინვალი მოჩანს...

ქართული პოზიციის წინ, ორასიოდე მეტრში, ოსების სანგრებია, მაგრამ ცხინვალის კაშკაშა სინათლე ერთგვარად გაბრმავებს და საშუალებას არ გაძლევს, გაარჩიო დაპირისპირებული მხარის პოზიცია; ხოლო თუკი თავი წამოყავი, არც სნაიპერის ტყვია უნდა გაგიკვირდეს, რადგან იმ მხარეს ღამის ხედვის ხელსაწყოებიც აქვს.

თუმცა ასეთივე ხელსაწყოთი ჩვენც ვზვერავთ ცხინვალის განაპირა, ჩაბნელებულ მისადგომებს. ეს აუცილებელია, რათა სიბნელით არავინ ისარგებლოს და სანგრებს არ წამოეპაროს.

ბლოკ-პოსტზე მდგარი ქართველი ჯარისკაცები მოულოდნელად გზაზე ეულად მომავალ ფიგურას აფიქსირებენ. იგი შეხმიანებაზე არ ჩერდება. ჯარისკაცებმა ავტომატები მოიმარჯვეს და სროლით დაემუქრნენ, მხოლოდ ამის შემდეგ წვება ასფალტზე უცნობი. ჯარისკაცები უახლოვდებიან. კაცი მთვრალი აღმოჩნდა და მგონი, შიშით ასფალტიც კი დაასველა! უშვებენ, თუმცა მაინც რჩება ეჭვი, რომ ღამით, შეიარაღებულ დაპირისპირებულ მხარეებს შორის „სეირნობა“ შემთხვევითი არ უნდა იყოს.

*(გაგრძელება იხ. გვ. 27)*



საგუშაგოდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა ჩვენ მიერ მიტანილი „კვირის პალიტრის“ კითხვა ღამითვე დაიწყეს

# თავდაცვის მინისტრი: — ჯარებს შორის კავშირი და მართვა პრიორიტეტული გახდება

## მინისტრი იწყებს მაღალი დონის კავშირგაბმულობის შექმნას, რადგან უამისოდ ჯარების მართვა შეუძლებელია



დღეს, ცხინვალის მისადგომებთან, სამწუხაროდ, თითქმის ყველა რადიოკავშირი ღიად ხორციელდება, რაც მეორე მხარეს საშუალებას აძლევს, მოუსმინოს ჩვენი სამხედროების რადიოსაუბარს.

რადიოკავშირების დახურვა ანუ დაშიფვრა ტექნიკურად შესაძლებელია, მაგრამ საამისოდ თითოეულ რადიოგადამცემში სპეციალური ჩიპი უნდა ჩააყენო; მისი ღირებულება კი ლამის რადიოგადამცემის ტოლფასია. ნუგეშად ისღა რჩება, რომ თავად კოკოითის შეიარაღებული სეპარატისტული ძალები და მათი დამგეშავი რუსი სამხედრო ინსტრუქტორებიც ასევე ღიად საუბრობენ რადიოეთერში.

მშვიდობიანობის დროს შეიძლება არც ისე მნიშვნელოვანი იყოს რადიოსაუბრის გასაიდუმლოება, მაგრამ სამხედრო ოპერაციის მომზადებისა და დაწყების წინ დახურულმა რადიოკავშირმა ათობით და ასობით ჯარისკაცის სიცოცხლე შეიძლება გადაარჩინოს.

საერთოდ, შსს-ს და შინაგანი ჯარების ის დანაყოფები, რომლებიც ცხინვალის რეგიონის ახლოს დგანან, ბევრად უკეთესი და თანამედროვე რადიოკავშირის საშუალებებით არიან აღჭურვილნი, ვიდრე მთლიანად თავდაცვის სამინისტროს დანაყოფები. თუმცა მე-11 ბრიგადის იმ ბატალიონებმა, რომლებმაც „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა გაიარეს, უკვე დაიწყეს ამერიკული „ჰარისის“ ტიპის საველე რადიოსადგურების გამოყენება. მათი შესაძლებლობები ბევრად აღემატება იმავე რუსულ, თან სატარებელ P-159 ტიპის რადიოსადგურებს.

„კვირის პალიტრასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში თავდაცვის მინისტრმა, ბატონმა **გიორგი ბარამიძემ** განაცხადა:

*— კარგად ვიცით, რას ნიშნავს ჯარების მართვა ბრძოლის დროს, რასაც კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებები სჭირდება. ამ მხრივ, თავდაცვის სამინისტროში მართლაც სავალალო მდგომარეობაა. ამიტომაც მივიღე გადაწყვეტილება, უახლოეს პერიოდში სამხედრო კავშირგაბმულობის თანამედროვე აპარატურით აღჭურვის პროცესი პრიორიტეტული გახდეს თავდაცვის სამინისტროს პოლიტიკაში. ამ საქმეში დიდ დახმარებას გვპირდება აშშ. გამოგვიყოფენ ორ მნიშვნელოვან დახმარებას — 2,5 მლნ და 1,6 მლნ დოლარის ოდენობით. თუმცა ამ დახმარებას, ცხადია, ფულადი სახით არ მივიღებთ. ამერიკული მხარე შეიძენს და ჩვენს არმიას გადმოსცემს 4,1 მლნ დოლარის საერთო ღირებულების თანამედროვე კავშირგაბმულობის საშუალებებს. ამის პარალელურად, თურქეთი კოჯრის სასწავლო ცენტრს მოამარაგებს რადიოკავშირის უახლესი სისტემებით. საერთო ჯამში, წლის ბოლოსთვის ჩვენ შეგვეძლება თავდაცვის სამინისტროს ყველა დანაყოფთან გვქონდეს მაღალი ხარისხის და თანაც დახურული რადიოკავშირი.*

კარგია, რომ ბოლოს და ბოლოს, ყურადღება ექცევა ჯარების ოპერატიულ მართვას და მათ შორის უწყვეტი, დახურული კავშირის არსებობის აუცილებლობას.

P.S. გიორგი ბარამიძე პირველი თავდაცვის მინისტრია, რომელიც ოპერატიულ თათბირებს იმ „სტრატეგიული მართვის ცენტრში“ ატარებს, სამი წლის წინ რომ მოაწყვეს ამერიკელებმა თავდაცვის სამინისტროს შენობაში და დღემდე თითქმის გამოუყენებელი იყო.

საგულისხმოა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილს ამერიკელებმა თბილისის ახლოს, ერთ-ერთი ყველაზე გასაიდუმლოებული სპეცსამსახურის ტერიტორიაზე (სადაც ამ სტატიის ავტორიც არ არის ნამყოფი) მოუწყვეს ერთგვარი „კემპ-დევიდი“, მართვის ცენტრითა და ბუნკერით, საიდანაც უსაფრთხოდ შეიძლება ქვეყნის მართვა. იმ ბუნკერში მყოფებს რუსული ავიაბომბების პირდაპირი მოხვედრისაც არ უნდა ეშინოდეთ.



# „დაძაბულობის ორი ფრონტის“ გახსნის საშიშროება

## ცხინვალის პარალელურად, აფხაზეთშიც სიტუაციის გამწვავება თბილისს ძალების სასწრაფო გადანაწილების აუცილებლობის წინაშე დააყენებს

ცხინვალის რეგიონში მესამე თვეა მიმდინარეობს „ნერვების თამაში“, რომელიც ყოველთვის შეიძლება რეალურ და ხანგრძლივ შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდოს.

რა დასამალია და, თბილისის შეიარაღებული ძალის უდიდესი ნაწილი სწორედ შიდა ქართლშია მობილიზებული.

ამის ფონზე მოსალოდნელია სიტუაციის იმგვარი დაძაბვა აფხაზეთში, როგორც ეს 1998 წლის მაისში გალში და 2001 წლის შემოდგომაზე — კოდორის ხეობაში მოხდა.

მით უმეტეს, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა მკაფიოდ განუცხადა რუსეთს, — ჩავძირავთ იმ კატარღებს, რომლებიც აფხაზეთში ეცდებიან ტურისტების ჩაყვანას და, შესაბამისად, დაარღვევენ საქართველოს ტერიტორიულ წყლებსო.

ხომ არ სჯობდა, თავის ემოციურ გამოსვლაში, რომელიც სიტყვასიტყვით თარგმნეს რუსულმა ტელეარხებმა, საქართველოს პრეზიდენტს დაეკონკრეტებინა, რომ საქართველოს ტერიტორიული წყლების აფხაზეთის აკვატორია ჯერ კიდევ 1996 წლიდან გამოცხადებულია ნაოსნობისთვის დახურულ რაიონად. დამრღვევს ჯერ რადიოთი გააფრთხილებენ, შემდეგ ჰაერში გაისვრიან და მხოლოდ აშკარა დაუმორჩილებლობის შემდეგ ესვრიან დამიზნებით ქართული კატარღებიდან. ანუ გააკეთებენ იმას, რასაც თავად რუსი მესაზღვრე მეზღვაურები თვეში რამდენჯერმე სჩადიან შორეულ აღმოსავლეთში, იაპონელი და კორეელი მეთევზეების საწინააღმდეგოდ, რასაც არა ერთი თევზსაჭერი კატარღის ჩაძირვა და უცხოელი მეთევზეების დაღუპვა მოჰყვა. ამგვარი ინციდენტების შემდეგ პროტესტს ვერც იაპონიის და ვერც სამხრეთ კორეის მთავრობები ვერ აცხადებენ, რადგან სროლა ხდება რუსეთის ტერიტორიულ წყლებში.

ცოტა ხნის წინ აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ მოაწყო მცირემასშტაბიანი სამხედრო წვრთნები ოჩამჩირესთან და ქართულ მხარეს საზღვაო ბრძოლებითაც დაემუქრა.

საბედნიეროდ, დღეს ქართული არმია ის აღარ არის, რაც აფხაზეთის ომის დროს იყო, მაგრამ მოწინააღმდეგის ძალის შეუფასებლობა უდიდესი შეცდომა იქნება, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, თუკი აფხაზეთში „დაძაბულობის მეორე ფრონტი“ გაიხსნება.

მაშინ ოფიციალურ თბილისს ძალიან გაუჭირდება ძალებისა და, რაც მთავარია, სახსრების გაყოფა და ცხინვალის რეგიონიდან მათი დასავლეთით, ენგურთან ან სულაც აფხაზეთის საზღვაო აკვატორიაში გადასროლა.

თუმცა, არც ისაა მთლიანად გამართლებული, მთელი ყურადღება, მესამე თვეა, მხოლოდ ცხინვალისკენ რომ არის მიმართული და აფხაზეთის პრობლემა ჩრდილში მოექცეს.

ისე კი, აფხაზეთის დაბრუნების გასაღები სწორედ ცხინვალში დევს — ამ პრობლემის უსისხლოდ ან მცირე სისხლით გადაჭრის შემთხვევაში აფხაზეთის დაბრუნების (ეტყობა, უფრო ძალისმიერი მეთოდებით) პერსპექტივა უფრო რეალური გახდება.

# „მშვიდობის მტრედები“ უკვე გამოჩნდნენ...



*მოსკოვი ცხინვალს ამ, Су-24MP ტიპის თვითმფრინავებით ზვერავს*

## ცხინვალის თავზე რუსული სადაზვერვო თვითმფრინავების ფრენა ომის დაწყების მოახლოებას მოასწავებს

6 აგვისტოს, 12.45 სთ-ზე, ჩრდილო ოსეთიდან ცხინვალში შემოფრინდა უცნობი თვითმფრინავი...

7 აგვისტოს, იმავე რაიონში, 15.05 სთ-დან 15.10-მდე უცნობმა თვითმფრინავმა კვლავ დაარღვია (მერამდენედ) საქართველოს საჰაერო სივრცე.

ჯავის რაიონში გამოჩნდა სამი ამოუცნობი შვეულმფრენი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სეპარატისტების სამხედრო წვრთნებში...

კონფლიქტის ზონაში ავიაციის გამოჩენა სიტუაციის მკვეთრად დაძაბვისა და საბრძოლო დაპირისპირების დაწყების მომასწავებელია.

ყოველ შემთხვევაში, 1994 წლის მიწურულს, სწორედ ასეთი „ამოუცნობი“ თვითმფრინავები გამოჩნდნენ გროზნოს თავზე, რასაც ჩეჩნეთის პირველი ომის დაწყება მოჰყვა. ასევე მოხდა 1999 წლის აგვისტოს ბოლოს, როდესაც ამოუცნობმა თვითმფრინავებმა გროზნოს სამოქალაქო აეროპორტი დაბომბეს და ჩეჩნეთის მეორე ომიც დაიწყო.

ცხინვალის თავზე გამოჩენილი ვითომდა ამოუცნობი თვითმფრინავები სინამდვილეში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალების მე-4 საჰაერო არმიის კუთვნილებაა და საფიქრელია, მოზდოკის სამხედრო აეროდრომიდან მოფრინავენ.

6 აგვისტოს შემოფრენილი რუსული დამრღვევი თვითმფრინავის ავტომოპასუხე ჩართული იყო, თუმცა ეკიპაჟი არ პასუხობდა საქართველოს აერონავიგაციის რადიოშეკითხვებს. ეტყობა, ავტომოპასუხეზე გამოჩენილი სიგნალი — „33701“, რომელიც შემდეგ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტაში დაფიქსირდა, როგორც „განმასხვავებელი ნიშანი 33701“, ზოგმა თვითმფრინავის ფიუზელაჟზე დაწერილ ნომრად მიიჩნია, რაც არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან რუსული სამხედრო თვითმფრინავების საბორტე ნომრები (ისევე, როგორც ქართულის) მხოლოდ ორნიშნაა.

6 აგვისტოს საქართველოს საჰაერო სივრცის დამრღვევი თვითმფრინავი იყენებდა ჩამხშობ სისტემას, რაც სავარაუდოს ხდის, რომ ეს იყო რუსული სადაზვერვო თვითმფრინავი Су-24MP, რომელსაც გააჩნია რადიოელექტრონული ბრძოლის მოწყობილობა.

ასეთი ფრენები ალბათ მანამდე გაგრძელდება, ვიდრე ქართული მხარე ერთს მაინც არ ჩამოაგდებს — როდესაც 1993 წელს სოხუმთან, ტყეში, კატასტროფა განიცადა რუსულმა, იმ დროისთვის თანამედროვე Су-27 ტიპის გამანადგურებელმა, რუსებმა ფრენა ქართველების მიერ კონტროლირებად აფხაზეთის ნაწილზე დროებით შეწყვიტეს.

დამრღვევი, სულ ერთია, სად იქნება — ტერიტორიულ წყლებში თუ საჰაერო სივრცეში — მის წინააღმდეგ ნებისმიერი ძალის გამოყენება ნებადართულია და გულხელის დაკრეფა, პირიქით, დანაშაულია.

P.S. კოკოითის ხელისუფლება აღარ მალავს, რომ მის შეიარაღებაში გამოჩნდა საბრძოლო შვეულმფრენები. ჩვენი ინფორმაციით, ლაპარაკი შეიძლება იყოს სამ ერთეულ სამხედრო-სატრანსპორტო Ми-8 ტიპის შვეულმფრენზე, თუმცა არც საბრძოლო Ми-24-ია გამოსარიცხი. ეს შვეულმფრენები რუსეთის, კერძოდ კი, ჩრდილო ოსეთის ტერიტორიიდან უნებართვოდ შემოფრინდნენ საქართველოს საჰაერო სივრცეში, ამიტომაც მათი ჩამოგდება სრულიად კანონიერი იქნება.

**თემის გაგრძელება**

# „სუხარის“ ბედი გაირკვა, ახლა კარტოფილის ჯერია...



**თავდაცვის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ დაიწყო უხარისხო ორცხობილის საქმის გამოძიება**

ჩვენი გაზეთის გასულ ნომერში კრიტიკული სტატიის, „ბატონებო, თქვენ ქვეყნის მტრები ხართ?!“ გამოქვეყნებას გამოხმაურება მოჰყვა.

სტატიის ავტორს თავად თავდაცვის მინისტრი, ბატონი გიორგი ბარამიძე დაუკავშირდა და განუცხადა, — ჯარისკაცებისთვის უხარისხო ორცხობილის ყიდვის ფაქტზე თავდაცვის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ შიდაუწყებრივი გამოკვლევა დაიწყო და დამნაშავეები დაუსჯელნი არ დარჩებიანო.

მარტო ის ფაქტი, რომ თავდაცვის მინისტრი ასე ოპერატიულად რეაგირებს კრიტიკულ საგაზეთო სტატიაზე, უკვე განასხვავებს მას წინამორბედთაგან და გვაიმედებს, რომ ის, რაც წლების განმავლობაში დაუსჯელად გასდიოდა თავდაცვის სამინისტროს ბევრ ხელმრუდ, მაღალჩინოსან თანამშრომელს, აღარ განმეორდება.

ჩვენ დავუკავშირდით თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსს, ბატონ **ირაკლი სამყურაშვილს**, რომელმაც „სუხარის“ საქმესთან დაკავშირებით გვაცნობა:

— როგორც თქვენს სტატიაში იყო მითითებული, თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტმა მართლაც შეიძინა ერთ-ერთ ფირმისგან 3,5 ტონა ორცხობილა, რომლებიც კვერცხის ყუთებით, ყოველგვარი ჰიგიენური ნორმების დაცვის გარეშე 14 ივლისს შემოიტანეს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ სურსათის საწყობში. შესყიდვა მოხდა კანონის დარღვევით, მათ შორის ჩვენი ცენტრალური სურსათის საწყობის ხელმძღვანელობის მიერაც, რადგან მან ორცხობილის ეს პარტია სერთიფიკატის გარეშე მიიღო. 28 ივლისს მოვითხოვეთ სერთიფიკატი, რომელიც მხოლოდ მეორე დღეს მოგვიტანეს. ამასთან, საწყობს მოადგა კიდევ 700 კგ იმავე სახის ორცხობილა, მაგრამ გენერალური ინსპექციისა და გენერალური შტაბის ლოგისტიკის სარდლობის ჩარევით, უკან გავაბრუნეთ.

— **შეგიძლიათ თუ არა უკან დააბრუნოთ უხარისხო ორცხობილა ან თავდაცვის სამინისტრომ უჩივლოს მის გამომგზავნ ფირმას?**

— ჩივილი გაგვიჭირდება, რადგან ხელშეკრულების თანახმად, ყოველგვარი პრეტენზია შესყიდულის მოწოდებიდან 10 დღეში უნდა გაგვეცხადებინა. 10-დღიანი ვადა კი 24 ივლისს ამოიწურა. ჩვენ იმ მომენტში არ ვიცოდით ეს ამბავი. ორცხობილა არ არის მალფუჭებადი საქონელი და მას ალბათ რაღაცნაირად გამოვიყენებთ, თუმცა ზარალის ანაზღაურებას მაინც მოვითხოვთ.

— **1.20 ლარად 1 კგ ორცხობილის შესყიდვა რამდენად შეესაბამება რეალობას?**

— საქსტანდარტს წერილით ვთხოვეთ, დაგვიდგინოს ამგვარი ორცხობილის საბაზრო ფასი. თუმცა ეს გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული, რადგან იმ გემრიელი ორცხობილისგან განსხვავებით, რომელსაც მაღაზიებში ვყიდულობთ, ჯარისკაცულ ორცხობილაზე არც ისე დიდი მოთხოვნილებაა და იგი მხოლოდ შეკვეთით მზადდება.

— **შესყიდული ორცხობილის ხარისხზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

— ორცხობილის ნიმუშები შესამოწმებლად უკვე გადაეცა თავდაცვის სამინისტროს საექსპერტო განყოფილებას და პასუხი უახლოეს დღეებში იქნება. ისე, თვალითაც კარგად ჩანს, რომ ორცხობილის ნაჭრები არათანაბარია, დამტვრეული, სხვადასხვა ფორმისა. სტანდარტის თანახმად, ორცხობილის ნაჭრის სისქე 18 მმ-ზე მეტი არ უნდა იყოს.

— **ვინ აგებს პასუხს ყოველივე ამაზე?**

— თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას დაწყებული აქვს შიდასამსახურებრივი მოკვლევა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბებისა და სამსახურებრივი გულგრილობის თაობაზე. მოკვლევის შედეგები ერთ კვირაში გახდება ცნობილი. ისე კი, ერთს ვიტყვი: გულსატკენია, რომ ამგვარი საქციელით შეურაცხყოფენ ბრძოლის ველზე მყოფ ჯარისკაცს, რადგან ორცხობილა ხომ სწორედ იმ საშიშ ადგილებში უნდა გაიგზავნოს, სადაც საველე სამზარეულოს ვერ შეიტან.

P.S. სტატიის დაწერის მომენტში გაირკვა, რომ პარასკევს, 6 აგვისტოს, გვიან ღამით, თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ სასურსათო საწყობში 10 ტონა კარტოფილი შეიტანეს. ორცხობილის საქმით ჭკუანასწავლმა ლოგისტიკის სარდლობამ მაშინვე შეამოწმა ეს პარტია და ნორმალური ზომის კარტოფილთან ერთად აღმოაჩინა ბევრად მცირე ზომის, ნაკლებხარისხიანი და, შესაბამისად, იაფფასიანი კარტოფილიც. ახლა იმ საწყობში ხელით არჩევენ სხვადასხვა ზომის კარტოფილს. სავარაუდოდ, შესყიდული 10 ტონიდან 7 ტონა შეესაბამება ხელშეკრულებაში მითითებულ ზომასა და ფასს, 3 ტონა კი...

როგორც ჩანს, იოტისოდენადაც არ შეცვლილა ის ხალხი, რომელიც სახელმწიფოსთვის ყიდულობს პროდუქტს და აგრძელებს ყველანაირი ხერხით ქვეყნის ძარცვას.

# „ორი ფლოტის“ პრობლემა

## აფხაზეთის დასაბრუნებლად ძლიერი სამხედრო ფლოტი გვჭირდება

1992-93 წლების აფხაზეთის ომი პოსტსაბჭოური სივრცის (მთიანი ყარაბაღი, ცხინვალის რეგიონი, დნესტრისპირეთი და ჩეჩნეთი) შეიარაღებული კონფლიქტებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ აქ ბრძოლა არა მარტო ხმელეთსა და ჰაერში, არამედ წყალზეც მიმდინარეობდა.

ამიტომაც, თუკი აფხაზეთის დასაბრუნებლად ძალისმიერი გზების ძიებაზე ვიფიქრებთ, აუცილებლად ძლიერი სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნაზეც უნდა ვიზრუნოთ.

ამ ფლოტმა უნდა მოახერხოს როგორც მოწინააღმდეგის სანაპირო ზოლის საარტილერიო დამუშავება, ისე იქ დესანტის წარმატებით გადასხმა და მათი საჰაერო თავდაცვა.

დღეს საქართველოს შავ ზღვაში ორი სტრუქტურის ხომალდები შეუძლია გამოიყენოს: თავდაცვის სამინისტროს საზღვაო თავდაცვის ძალებისა და შსს-ს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის სამსახურისა.

ნორმალურ და შეძლებულ საზღვაო ქვეყანას ბუნებრივია, სჭირდება სამხედრო-საზღვაო ფლოტიც, რომელიც სახელმწიფოს სტრატეგიულ ინტერესებს დაიცავს როგორც მის ტერიტორიულ წყლებში, ისე გაშლილ ზღვაში და სანაპირო დაცვაც, კონტრაბანდისტებთან და ურჩ მეთევზეებთან საბრძოლველად.

*(გაგრძელება იხ. გვ. 27)*

# აჩы, ბაჩы, შლი დეპუტაჩы!

## არ აჯობებდა, ჯარში თავის დროზე ემსახურათ?

იაღლუჯის პოლიგონზე ქართველ დეპუტატთა მიერ ორსაათიანი სამხედრო „თამაშების“ გამართვა, გარკვეულწილად, ეხმაურება ცნობილ ვიდეოკადრებს, სადაც კოკოითი სხვადასხვა იარაღით ისვრის ცხინვალის განაპირას.

მართალია, პრეზიდენტი სააკაშვილი აპირებდა ჯარში მინისტრების და დეპუტატების ცოტა ხნით გამწესებას, მაგრამ რეალური დაძაბული სიტუაციიდან გამომდინარე, ეს ვერ მოხერხდა, რაც შეიძლება ცუდი არც არის, რადგან მინისტრმა და დეპუტატმა ჯერ თავისი საქმე უნდა აკეთოს. ხომ ფაქტია, პარლამენტმა ბევრი საჭირბოროტო საკითხი საზაფხულო არდადეგების დაწყებამდე იმიტომ ვერ განიხილა, რომ დეპუტატების დიდი ნაწილი სხდომებზე დასასწრებად თავს არ იწუხებდა. ახლა ცოტა უცნაურად მოჩანს პოლიგონზე მათი იარაღით სირბილი.

საწყენად არ ვამბობთ, მაგრამ მათგან მეომარი (ერთი-ორის გამოკლებით) აღარ გამოვა, რადგან დღეს საქართველოს პროფესიონალი მებრძოლი სჭირდება და არა სახალხო ლაშქრის და საძმოს წევრი; ხოლო თუ ჩვენს დეპუტატებს მაინცდამაინც გული სამხედრო ფორმისა და იარაღისკენ ეწეოდათ, „თავპირი“ არ უნდა დაელეწათ დეპუტატის სკამის საშოვნელად...

დეპუტატებს თუ მართლაც სურთ დაეხმარონ ჯარს, აჯობებს ცხინვალის მისადგომები ან სამხედრო ნაწილების ყაზარმები მოინახულონ და იქაური პრობლემები გადაწყვიტონ პარლამენტში.

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# დღისით წყალში ვიმალებოდით, ღამით ბუჩქნარში გვეძინა...



მთელი ღამე არ უძინია ვანოს, რიჟრაჟზე კი მამლის ყივილმა სულ გამოაფხიზლა. წუხელ ღამით გამოცხადდა კომენდატურაში და სიბნელის გამო არაფერი დაუნახავს მესაზღვრეთა კოტეჯისა და ღობის შიგნით მოხეტიალე ნაგაზების გარდა, რომელთაც გათენებამდე ერთხელაც არ დაუყეფიათ. ჯერ არ იცოდა, რომ ეს გაწვრთნილი ძაღლები მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში თუ აყეფდებოდნენ. აი, მამლები კი აქაც ისევე ყიოდნენ, როგორც დანარჩენ საქართველოში, მაგრამ, როცა ეზოში გამოსულმა იქაურობას თვალი მოავლო, აღმოაჩინა, რომ მამლები საზღვრის გადაღმა, თურქულ სოფელში ყიოდნენ. აქეთ კი, ქართველთა მხარეს, ამ საგუშაგოს გარდა, ადამიანის ბინადრობის კვალი არსად ჩანდა. მოგვიანებით დარწმუნდა, რომ არც მთლად ასე ყოფილა საქმე. დროდადრო აქ მწყემსები ჩამოივლიდნენ ხოლმე ხარ-ძროხით, ცხვრითა და საპალნიანი ვირებით, რომლებზეც საგზალი, ლეიბ-საბანი და ჯამ-ჭურჭელი აეკიდათ. ვანომ იცოდა, რომ მწყემსებიც თითქმის ისეთივე გულმოდგინებით იცავდნენ საზღვარს, როგორითაც ჯარისკაცები. გული ეთანაღრებოდა, აქეთ რომ ერთი მოსახლეც არ ჩანდა, იქით კი დიდ, ხმაურიან სოფელში მამლების ყივილს ჯერ ძაღლების ყეფა მოჰყვა, მერე საქონლის ბღავილი და იქაურების ერთმანეთთან გადაძახილი.

— Енукидзе, комендант вызывает,— შემოესმა შორიახლოდან. მას ეძახდნენ. საბუთებში, წუხელ მორიგეს რომ ჩააბარა, როგორც ჩანს, გვარიც ამოიკითხესო, გაიფიქრა და კოტეჯისაკენ გაემართა.

— თქვენა ხართ შინაგანი სამსახურის ლეიტენანტი? — კომენდანტი რუსი იყო, ისევე როგორც ყველგან, მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის საზღვრის მთელ პერიმეტრზე.

— დიახ, ამხანაგო კაპიტანო, მე გახლავართ.

— რა დაამთავრეთ?

— უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის სასწავლებელი, ამხანაგო კაპიტანო.

— ოჰო, თქვენ წარჩინების დიპლომი მიგიღიათ, ვნახოთ, რამდენად წარჩინებული იქნებით სამსახურში, — კაპიტანმა ირონიულად გადახედა ვანოს.

— ვეცდები, ამხანაგო კაპიტანო!

— ეცადეთ, ეცადეთ, ოღონდ დაიმახსოვრეთ: აქ საწოვარა არ მომთხოვოთ... მიგზავნიან ღლაპებს და საზღვრის დაცვას მავალებენ. რა უნდა გამიკეთოს ამ წრუწუნამ, ალბათ დედიკოს გარეშე ღამით გარეთაც ვერ გადის, — ჩაიბურტყუნა კაპიტანმა და მორიგეს ვიღაც ორჯონიკიძის მოყვანა დაავალა. რამდენიმე წუთის შემდეგ ოთახში ნამდვილმა გოლიათმა შემოაბიჯა.

„ეს კაცი აღნაგობით ალბათ ორ-სამჯერ აჭარბებს თავის ცნობილ მოგვარეს. თუმცა, ულვაშები ზუსტად ისე დაუყენებია, როგორც რკინის კომისარს“, — გაიფიქრა ვანომ.

— აი, ეს ძუძუმწოვარა შეგცვლის, — აგდებულად უთხრა შემოსულს კაპიტანმა და ვანოზე ანიშნა. ორჯონიკიძემ კი, რომელსაც მხრებზე უფროსი ლეიტენანტის სამ-სამი ვარსკვლავი უბრწყინავდა, ალალად გაიღიმა, ვანოს შინაურივით მხარზე ტორი წაუტყაპუნა, კაპიტანს ჯიქურ შეხედა და...

— ჩვენც ასეთი ძუძუმწოვრები ვიყავით, ფიოდორ. მალე დავაჟკაცდება. ასეც რომ არ იყოს, ადამიანის ძალა კუნთებში კი არა, თავშია და თუ ამ საზომით მივუდგებით, მისი დიპლომი სწორედ ამაზე მეტყველებს, — გოლიათმა ვანოს პირადი საქმე კვლავაც კაპიტნის მაგიდაზე დადო და უფროსის უკითხავად ეზოში ვიღაცას გასძახა, ორი ცხენი შემიკაზმეთ, ჩემს შემცვლელს საზღვარი უნდა ვანახვოო და მხოლოდ ახლაღა, სასხვათაშორისოდ იკითხა, — ნებას მოგვცემთ ამხანაგო კაპიტანო?

— როგორც გენებოს, — კაპიტანმა უნდობლად ჩაიქნია ხელი და უკანა ოთახში გავიდა...

თეორიულად ვანოს ძირისძირობამდე ჰქონდა შესწავლილი საზღვარი და მისი სტრუქტურა, იქ სამსახურიც თავისებურად წარმოედგინა — რატომღაც ეგონა, რომ საზღვრის გასწვრივ ორივე ქვეყნის მესაზღვრეები ფეხმოუცვლელად უნდა მდგარიყვნენ საგუშაგოზე. სხვა წვრილმანზე, რაც მესაზღვრეთა ცხოვრების ყოველდღიურობას შეადგენდა, არასოდეს დაფიქრებულა. ან კი საიდან ეცოდინებოდა, სასწავლებელში ეს არავის უსწავლებია მისთვის. ორჯონიკიძემ რომ ცხენი ახსენა, შეცბუნდა. თბილისში, ვერაზე გაზრდილს ცხენი მარტო იპოდრომზე თუ ენახა, მაგრამ გული გაიმაგრა და მაინც მოაჯდა თეთრონს. თუმცა უმალვე იგრძნო, ეს ცხენი აქეთ მართავდა ახალბედა მხედარს. დავით ორჯონიკიძე კარგი მოუბარი გამოდგა. საზღვრის თითოეულ გოჯს აცნობდა ვანოს. დროდადრო მწყემსებთანაც ჩერდებოდნენ. რამდენიმე სანდო მწყემსიც გააცნო ახალგაზრდა ოპერატიულ მუშაკს. მერე დავითი მეზობელ საგუშაგოზე ვიღაცასთან საუბარში გაერთო და რომ დააგვიანდა, ვანომ ნელ-ნელა მიუშვა ულაყი. იფიქრა, თანამგზავრი მაინც დამეწევაო, მაგრამ მოტყუვდა. ტყისპირა მდელოზე გასულს ცხენი დაუფრთხა და ისე გამეტებით გაქანდა, რომ ვანომ უნაგირზე ძლივს დაიმაგრა თავი. ეცადა, მაგრამ ცხენი ვერ დაიმორჩილა. იცოდა, თურქეთი მარცხნივ იყო, ამიტომ აღვირს მარჯვნივ ექაჩებოდა, მაგრამ, როცა სულ რამდენიმე მეტრში თეთრ-წითელი ბოძი შენიშნა, რომელზეც აქეთა მხრიდან თურქეთის გერბი იწონებდა თავს, მთელი ძალით მოჰქაჩა აღვირს. ცხენი ზედ ბოძთან გაჩერდა და მორჩილად დაიფრუტუნა. ვანომ ცხენთან დუელი მოიგო, მაგრამ გამარჯვებით დატკბობა ვერ მოასწრო, რომ ბოძის იქით, ბუჩქებში მიმალულ თურქების „სეკრეტს“ (Ñекрет) მოჰკრა თვალი (ასე უწოდებენ მესაზღვრეები ორსამკაციან ჩასაფრებულ ჯგუფებს). მუხლები აუკანკალდა და წამოწეულ ორჯონიკიძეს, რომელმაც უსაყვედურა, სად მიგეჩქარებოდაო, თურქეთის „სეკრეტზე“ მიუთითა.

## გვეშინოდა, ჩვენი ნაფეხურები ბილიკად არ გადაქცეულიყო

— გადარჩენილხარ, ძმაო. სხვა დროს ფრთხილად იყავი, თორემ მაგათთვის არაფერს ნიშნავს შენისთანების გათოკვა. ეგენი პროფესიონალი გამტაცებლები არიან. ახლოს მომყევი, კიდევ არ გაგისხლტეს ცხენი.

## ორი აგენტი

ღამით განგაში გამოცხადდა. მერვე საგუშაგოს მესაზღვრეები ირწმუნებოდნენ, ორმა კაცმა გადმოკვეთა საზღვარიო. მოხნულ, ერთიანად გაცხრილულ ზოლს აშკარად ეტყობოდა ახალთახალი ნაფეხურები. თუმცა სიგნალიზაცია არ ამუშავებულა. ეს კი იმის მაუწყებელი იყო, რომ პროფესიონალ საზღვრის დამრღვევებთან ჰქონდათ საქმე. ზოგჯერ ვინმე ახალბედა რომ გადმოკვეთდა საზღვარს, აუცილებლად წამოედებოდა სიგნალიზაციის შენიღბულ ხაზს და გაწვრთნილი ძაღლები იქვე, საზღვრიდან რამდენიმე მეტრში დააკავებდნენ. იმღამინდელ სტუმრებს კი იმაზეც უზრუნიათ, რომ ძაღლებს კვალი არ აეღოთ — ეტყობა, რაღაც სითხე გამოიყენეს. რამდენიმე წუთში მთელი კომენდატურა ფეხზე დადგა. შეიკრა ორმოცდაათკილომეტრიანი სასაზღვრო ზოლი, მესაზღვრეების დასახმარებლად თბილისიდან გაძლიერებული რაზმები გაიგზავნა. საზღვრის დამრღვევთა ძებნას მოსკოვიდან სპეციალურად ამ საქმისთვის მოვლინებული პოლკოვნიკი სვეტილკო ხელმძღვანელობდა. პოლკოვნიკმა თან ვანო ენუქიძე და ორი ჯარისკაცი იახლა. ზურგჩანთა აიკიდა და აგვისტოს გაგანია სიცხეში საზღვრისპირა ტერიტორიის ჩხრეკას შეუდგა. იმავდროულად ამოწმებდნენ ფოცხოვის ხეობას, მესხეთის, ერუშეთის, არსიანისა და თრიალეთის ქედებს, გოდერძის უღელტეხილს. ამაოდ, კვალი არ ჩანდა. მეცხრე დღეს სათახვეს ტბასთან გამოაღწია სვეტილკოს ოთხკაციანმა ჯგუფმა და სიცხისაგან გათანგული ბიჭები სულის მოსათქმელად ტბის მოშორებით, მდელოზე წამოწვნენ. ზურგჩანთებიდან საგზალი ამოიღეს და სადილობას შეუდგნენ.

— ხელის დაბანა არ გვაწყენდა, — თავისთვის ჩაილაპარაკა პოლკოვნიკმა, მაგრამ რაკი ერთხელ ჩაიმუხლა, ახლა წამოდგომის და ტბამდე მისვლის თავი აღარ ჰქონდა. ვერც ჯარისკაცები მოერივნენ თავს. სამაგიეროდ, მათ შორის ყველაზე სუსტი, „დედიკოს ბიჭი“ დაეშვა ტბისკენ. ჯერ ხელ-პირი დაიბანა, მერე წელს ზემოთ გაიხადა და ცივი წლით გაგრილდა. დაღლილობას აღარ გრძნობდა. ირგვლივ მიმოიხედა, აქაურობა ახლა უფრო ლამაზი ეჩვენა, ვიდრე თვალის პირველი შევლებისას. მცხუნვარე მზის შუქზე სარკესავით ლაპლაპებდა ტბის ზედაპირი. ოდნავ მარცხნივ მაღალი ლელიანი გასდევდა... ეს რაღაა? ლელიანიდან ჯერ ერთი ღალღა აფრინდა, შემდეგ მეორე, მესამე, მეოთხე. აშკარა იყო, ფრინველები რაღაცამ დააფრთხო. ვანო სირბილით გაქანდა თავისიანებისაკენ.

— არ მომწონს ეს ტბა, ამხანაგო პოლკოვნიკო. ფრინველები უმიზეზოდ არ აწრიალდებოდნენ. იქნებ გავჩხრიკოთ, — სულს ძლივს ითქვამდა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა სახიდან.

— ყოჩაღ, მახვილი თვალი გქონია. სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ლელიანი უნდა გავჩხრიკოთ...

რამდენიმე წუთის შემდეგ ერთ-ერთმა ჯარისკაცმა გასძახა თავისიანებს:

— აქეთ, აქეთ! აქ არიან, ორი კაცია! — შემეჩხერებულ ლელიანში საცოდავად ამოჩრილიყო საზღვრის დამრღვევთა შიშველი თავები. ძლივძლივობით ამოფოფხდნენ წყლიდან და აცახცახებულები მიეფიცხნენ ზაფხულის თაკარა მზეს. საზღვრის დარღვევიდან მეცხრე დღე იდგა.

— რაკი ყველა გზა შეკრული გვქონდა, დღისით წყალში ვიმალებოდით, ღამით კი ბუჩქნარში გვეძინა. ველოდებოდით, როდის მოადუნებდით ყურადღებას, მაგრამ...

დაკავებულები თურქეთის მოქალაქეები აღმოჩნდნენ. არ დაუმალავთ (ან რა აზრი ჰქონდა), რომ ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტები იყვნენ. თქვენს ტერიტორიაზე აქამდეც რამდენჯერმე შემოვსულვართ, ოღონდ სხვა დროს კვალი არ დაგვიტოვებია. ახლა კი ეტყობა, რაღაც შეგვეშალაო.

— იარაღი და აღჭურვილობა სად დატოვეთ? — ჰკითხა ერთ-ერთს პოლკოვნიკმა სვეტილკომ ინგლისურად.

— საზღვრიდან დაახლოებით ერთ კილომეტრში, მაგრამ ვეჭვობთ, რომ მივაგნოთ. ძაღლების ყეფისა და იარაღის ჩხარუნის ხმაზე ეს ისე მექანიკურად გავაკეთეთ, რომ... მხოლოდ ის მახსოვს, იქ დიდი ხე იდგა. მის ძირში დავყარეთ და ხის ტოტები წავაყარეთ ზემოდან.

— დროს ნუ დავკარგავთ, აჯობებს, ორივენი გამომძიებელს გადავცეთ, ჩვენ კი იარაღი მოვიძიოთ, — ბრძანა სვეტილკომ და კომენდატურისაკენ იბრუნა პირი. 10-15 კილომეტრი მაინც იქნებოდა იქამდე.

ორი დღე ეძებეს საზღვრის დამრღვევთა მიერ გადამალული აღჭურვილობა და, როგორც იქნა, იპოვეს. იქ იყო პისტოლეტები — „ვალტერი“ და „პარაბელუმი“, ამერიკული „კოლტი“ და დანები, უამრავი ვაზნა, რუსული ფული და წამლები (მათ შორის, საწამლავიც) და სხვა წვრილმანი.

საგუშაგოსკენ მიმავალ ვანოს ყველა ბუჩქი შენიღბულ ჯაშუშად წარმოედგინა და მიუხედავად იმისა, ჯარისკაცები მიაცილებდნენ, შიშისაგან მუხლები უკანკალებდა. უეცრად ვიღაცამ შესძახა:

— Стой, кто идет? — ამ მოულოდნელი შეძახილის გამო კიდევ უფრო დაფეთებულ ლეიტენანტს როგორღაც გაახსენდა, რომ პაროლი იყო საჭირო და დაუფიქრებლად უპასუხა:

— Мушка!

ჯერ მის უკან მიმავალი ჯარისკაცები ახარხარდნენ, მერე წინაც ჩაბჟირდა ვიღაც. ვანოს ვერ გაეგო, რა აცინებდა ამ ხალხს. იფიქრა, შიში შემნიშნეს და ალბათ იმაზე იცინიანო, მაგრამ გაახსენდა, რომ ღამე იყო. მას ვერ ხედავდნენ და ეს აზრი უარყო. მერე კი გონება გაუნათდა, Мушка პაროლი კი არა, პასუხი იყო პაროლზე Москва. ასეთ სისულელეზე სხვა დროს ალბათ თვითონაც ბევრს იცინებდა, მაგრამ ახლა იმდენად იყო დაღლილი, სიცილის თავიც აღარ ჰქონდა. უბრალოდ ჩაიღიმა და გზა განაგრძო...

## არმაზელი დუხობორები

მოგვიანებით, ვანო ენუქიძე რესპუბლიკის უშიშროების კომიტეტის კონტრდაზვერვის განყოფილებაში გადაიყვანეს, რომელსაც იმ დროს ვარლამ შადური ხელმძღვანელობდა. ერთ საღამოს განყოფილებაში დაურეკეს კიროვის (ახლანდელი კრწანისი) რაიონის მილიციის განყოფილებიდან და აცნობეს, რომ დაკავებული ჰყავთ რუსი მაწანწალა, რომელიც დაუჯერებელ ამბებს ჰყვებოდა. ინფორმაცია ინაურის მოადგილეს, გენერალ შვირკოვს მოხსენდა. მაწანწალა მართლაც უცნაურ ამბებს ჰყვებოდა:

— მორწმუნეთა დიდი ჯგუფი, დაახლოებით ასი კაცი — მათ შორის მე, ჩემი მეუღლე და სიდედრი კრასნოდარიდან ფეხით ჩამოვედით საქართველოში. ჩვენი ერთობის ერთ-ერთ წევრს გამოცხადება ჰქონდა, რომ ღმერთი მაშინ შეისმენდა ჩვენს სათხოვარს, თუ მცხეთის ზემოთ, მთაზე, სალოცავს მოვაწყობდით და უცხო თვალისგან მოფარებულად ვიცხოვრებდით. ამ ადგილამდე ფეხით უნდა მივსულიყავით. წინასწარ შევიძინეთ ყველაფერი, რაც ახალ ადგილზე დასაფუძნებლად დაგვჭირდებოდა და ოჯახებით დავიძარით. გზაში მე და ერთი ჩემი თანამგზავრი დავწინაურდით და მცხეთაში, არმაზის ზემოთ, მთის სამხრეთი კალთა შევარჩიეთ დასაბანაკებლად — ტყით შემოფარგლული პატარა ვაკობი აღმოვაჩინეთ, რომლის ქვემოთ, სულ რამდენიმე ნაბიჯში, ყინულივით ანკარა წყარო გადმოჩუხჩუხებდა. ერთი სიტყვით, ნამდვილი სამოთხე იყო. მერე მე და ანდრეი უკან დავბრუნდით. ჩვენიანებს შევხვდით და რამდენიმე ღამის განმავლობაში გარეშე თვალისთვის შეუმჩნევლად სულ სხვადასხვა მხრიდან, პატარ-პატარა ჯგუფებად აგვყავდა ხალხი. დარწმუნებული ვიყავით, ჩვენს სამალავს ვერავინ მოაგნებდა, თუ თვითონ არ გავცემდით მას.

გვიან ღამით ავდიოდით და ჩამოვდიოდით. ძირითადად, სურსათის ასატანად. ერთადერთი საშიშროება ის იყო, რომ გახშირებული მიმოსვლისას ჩვენი ნაფეხურები ბილიკად არ ქცეულიყო, თუმცა ერთი და იმავე გზით არასოდეს დავდიოდით. სალოცავიც ისე მოხერხებულ ადგილზე გავმართეთ, არც ამ მხრივ გვემუქრებოდა საფრთხე. მის მახლობლად ხის ქოხებიც დავდგით. მე, ჩემი მეუღლე და სიდედრიც ერთ ასეთ ქოხში ვცხოვრობდით და სხვებთან ერთად ღმერთს მადლობას ვწირავდით, რომ მისი შეწევნით ასე კარგად აეწყო ჩვენი ცხოვრება.

თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ თურმე ეშმაკს არ ეძინა. ჩვენს ერთობაში ერთი თვრამეტი წლის ლამაზი გოგო, ანია ცხოვრობდა მშობლებთან ერთად. გვყავდნენ უცოლო ბიჭები, მაგრამ ანიამ რატომღაც მე, ცოლიან კაცს დამადგა თვალი. ჩვენ კი, დუხობორებს, ცოლის ღალატი გვეკრძალება და მიუხედავად იმისა, ცდუნება დიდი იყო, ანიას გავურბოდი. ის კი რა ხრიკს არ მიმართავდა ჩემს მოსანადირებლად. შუაღამისას რომ აიტეხდა, კოლიას მე უნდა წავყვე სურსათის მოსატანადო, ვერავინ გადაათქმევინებდა. მერე იწყებოდა ჩემი წამება, სულ კუდში დამდევდა. დაღამებამდე თბილისის კინოთეატრებში დამათრევდა, მაგრამ როგორც შემეძლო, ვიგერიებდი. ერთი სიტყვით, ანიამ თავისას ვერ მიაღწია და ისეთ ვერაგობას მიმართა, წარმოდგენაც რომ გაგიჭირდებოდა. ერთხანს თავი დამანება. ერთ მშვენიერ დღეს კი გამომიცხადა, შენი ლენოჩკა ანდრეის საყვარელია და თუ არ გჯერა, შემიძლია მათი სასიყვარულო სცენა განახვოო. არ დავუჯერე, ცბიერი გოგოა, ალბათ იგონებსმეთქი. ცოლი სიგიჟემდე მიყვარდა და არც არასდროს მიეჭვიანია. მაგრამ თავი მაინც ვერ შევიკავე და ანდრეი დავიმარტოხელე. ჩემს არეულ სახეს რომ შეხედა, მობოდიშებით დაიწყო, ანკამ შენი ლენა დააჯერა, რომ შენთან რომანი აქვს. უთხრა, რომ იმ ღამეს, როცა სურსათის შესაძენად წამოგყვა, შენ ძალა იხმარე და თან დაემუქრე, თუ სხვა დროსაც არ დამნებდები, კლდიდან გადაგაგდებო. ჰოდა, რაკი კოლიამ ცოლსაც უღალატა და ადათსაც, შენც იმავეთი უნდა გადაუხადო, ანდრეის უნდა ჩაუწვე ლოგინშიო. ანკა ისე დამაჯერებლად ლაპარაკობდა, მეც დავიჯერე, ლენკამაც და შენმა სიდედრმაც. მერე კი მე და ლენასაც ერთმანეთი შეგვიყვარდა და დედამისის თანხმობაც მივიღეთ. ახლა თუ თავს იმართლებ, და დამარწმუნებ, რომ ყველაფერი ანკას ოინები იყო, დღესვე დავტოვებ აქაურობასო.

მოსმენილით გაცოფებულმა ის იყო, დანაზე გავიკარი ხელი, რომ ანდრეი ხევში გადაეშვა. არც დავდევნებივარ. მართალია, მთავარი დამნაშავე, ანკა არ ჩანდა, მაგრამ ჩემი ცოლი და სიდედრი შინ მეგულებოდა. არც ერთი არ შევიბრალე, ორივე დავხოცე, მერე სახლს ნავთი მივასხი და ცეცხლი წავუკიდე. ამასობაში ანკა გადაიმალა. მინდოდა, მომეძებნა. უკვე სისხლით მქონდა გასვრილი ხელები, ბარემ იმასაც ამოვხდიდი სულს, მაგრამ იქაურობას მანამდე უნდა გავშორებოდი, ვიდრე ვაი-ვიში ატყდებოდა და გავშორდი კიდეც. აგერ, მესამე კვირაა ულუკმაპუროდ დავეხეტები ქალაქში. დღეს მეტისმეტად შემაწუხა შიმშილმა, ორი ფუნთუშა მოვიპარე და...

— თუ ყველაფერი ეს მართალია, — უთხრა გენერალმა შვირკოვმა მაწანწალას, — სანუგეშოს ვერაფერს გეტყვი. სიმართლე გითხრა, შენი მონათხრობი რებუსის შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა ყველაფერს გავარკვევთ... — მერე ხელქვეითებს მიუბრუნდა, — ვანო ენუქიძე ჩემს მანქანაში ჩაჯდება, მეორე მანქანით კი დანარჩენები წამოვლენ... ისე დალაგებულად ლაპარაკობს, აუცილებლად უნდა შევამოწმოთ.

ირიჟრაჟა, მანქანებმა რომ მცხეთიდან არმაზისკენ გაუხვიეს. მერე კოლიას კარნახით რომელიღაც მთას უკნიდან შემოუარეს და შედგნენ.

— ამის იქით მანქანები აღარ გამოგადგებათ, — კოლიამ ზემოთ, მთის წვერისკენ გაიშვირა ხელი, — აი, იქ უნდა ავიდეთ.

უსაშველოდ დამრეც ფერდობს ადამიანის ნაფეხური არ ეტყობოდა. გზას გაუდგნენ და მზე შუბის ტარზე იდგა, პატარა ვაკობზე რომ გავიდნენ.

— არა, ნამდვილად არ ცრუობს ეს კაცი, — გაიფიქრა გენერალმა. ეს ტყიდან გამოსულმა ვანომაც დაუდასტურა.

— ამ მხარეს რამდენიმე დამწვარი ქოხია, ამხანაგო გენერალო, მაგრამ სამლოცველო კი ვერსად ვნახე.

— იქნებ გვაჩვენო, სადაა? — მიმართა დუხობორს გენერალმა.

— აქვე, რამდენიმე მეტრშია, — ისე ალალად უპასუხა დაკავებულმა, რომ ძნელი იყო მის სიტყვებში ეჭვის შეტანა. მერე ჩაიმუხლა, ბალახი მიასწორ-მოასწორა, რაღაცას მძლავრად მოქაჩა და უეცრად სახურავი ახადა ჭას, რომლის სიღრმეში კიბე გამოჩნდა. საფეხურებს ჩაუყვნენ. ელექტროფარნების შუქზე თითქოს ჯადოსნური სამყარო გადაიშალა მათ წინ. კედლებზე დიდი რუდუნებით მოხატული ნახატები და სხვა სამშვენისები ეკიდა.

— ეს კარი რაღას უნდა ნიშნავდეს? — ინტერესით იკითხა ვანომ და კარი გამოაღო. გვირაბის ბოლოს, რომელიც ალბათ ასი მეტრი სიგრძისა იქნებოდა, ძლივსღა ბჟუტავდა სინათლე...

**P. S.** ყოვლისშემძლე საბჭოთა უშიშროებამ ვერაფრით დაადგინა, სად გაქრა ის ასი კაცი, ვინც ტრაგედიის შემდეგ მიატოვა ეს ადგილები. ან იქნებ სულაც არ უძებნიათ, რადგან უფრო მნიშვნელოვანი საქმით იყვნენ დაკავებული.

*ვაჟა გავაშელი*

# უზენაესმა ცისარტყელით გაგვიღო კარი

## „გვიყვარხარ საქართველო და გვინდა შენი ვიყოთ“

„მსოფლიოსთვის რომ შემომევლო, გზა ისეთი გრძელი და ფიქრიანი არ მომეჩვენებოდა, როგორც მანძილი ფერეიდნიდან თბილისამდე“, — ამ სიტყვებით დაასრულა მოგზაურობა ფერეიდნელმა არია ხოსროშვილმა, რომელმაც საქართველოში ჩამოსასვლელად ძმასთან, შაჰინთან ერთად 1300 კილომეტრი ფეხით გამოიარა.

„2 აგვისტოს შემოვდგით ფეხი საზღვარზე. საქართველოსგან რამდენიმე მეტრილა გვაშორებდა, რომ შხაპუნა წვიმა წამოვიდა. შევკრთი, თითქოს ჩვენი ფერეიდნელი ქართველების წინაპრები სიხარულით დაგვტიროდნენ ზეციდან. მალე გადაიღო და ზედ საზღვარზე ცისარტყელა გადაიჭიმა. ვცდილობდი, თვალებზე მომდგარი ცრემლის უკუგდებას. არადა, ძნელი იყო გამკლავება. თავში სიღრმიდან ჩაბეჭდილი ფრაზა მიტრიალებდა — „ცისარტყელაში თუ გაძვრები, სამშობლოში დაბრუნდები“. როგორც ზღაპარში, ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადმოვიარეთ და როცა სანატრელს მოვადექით, თითქოს უზენაესმა გაგვიღო კარი სამოთხეში — ცისარტყელა კარის გაღების ნიშანი იყო. წითელ ხიდზე შვიდფერად აბრიალებულ მზის სხივებში ცურავდა საქართველო, რომელსაც ჩემი ძმა შაჰინი პირველად ხედავდა. მე რამდენჯერმე ვიყავი ნამყოფი სამშობლოში, მაგრამ ეს იყო ცუდი დრო, ქვეყანა თითქმის დანგრეული იყო და თბილისი კი მისთვის შეუფერებლად ნაცრისფერი. ახლა დედაქალაქი დედოფალივით ლამაზია. ვოცნებობდი ლამაზ თბილისში, თავისუფლების მოედანზე დამესრულებინა ფეხით მოგზაურობა“, — მიზიარებდა შთაბეჭდილებებს არია 3 აგვისტოს საღამოს. იმ დღესაც წვიმდა, მაგრამ, როცა ძმები თავისუფლების მოედანზე შემოვიდნენ, უცებ გადაიღო. ფერეიდნელ ქართველებს მერიის წინ მოუთმენლად ელოდნენ აქაურები, მათ შორის ქართველი ფეხბურთელი ჯაბა მუჯირიც, რომელიც ისპაანში ირანელთა ღირსებას იცავს. „ამ საღამოს 10 საათზე მივფრინავ ისპაანში. გავიგე, რომ ბიჭები საქართველოში ფეხით მოდიოდნენ. ვლოცულობდი, ნეტავ სანამ წავალ, მანამ მოასწრონ ჩამოსვლა-მეთქი. მსურდა მოვფერებოდი მათ ისე, როგორც ირანში იციან. რიგითი, ქუჩაში გამვლელი ქართველი რომ გააჩერო აქაც და იქაც და საქართველოს ისტორიიდან რაღაც ჰკითხო, ფერეიდნელი ქართველი უთუოდ გაგაოცებს ცოდნით. ისინი ჩვენზე მაგარი პატრიოტები არიან. ასე რომ არ იყოს, ეს ბიჭები ჩასხდებოდნენ თვითმფრინავში და ისე ჩამოვიდოდნენ. მათ კი გამოიარეს ის გზა, რომელიც მათ წინაპარს 400 წლის წინ იძულებით გაუვლია...


შაჰინ და არია ხოსროშვილები ჯაბა მუჯირთან (შუაში) ერთად

ახალი ჩასული ვიყავი ისპაანში, ერთ საღამოს მითხრეს, ქართველებმა მოგაკითხესო. დავიბენი. მეგონა, თბილისიდან იყო ჩამოსული ვინმე. კარი გავაღე და ოთახში მაღალი, ლამაზი ჩემი ტოლა ბიჭები შემოვიდნენ — ფერეიდნელები ვართო. ერთმა, რომელიც ახლახან იყო საქართველოში, ვახტანგ სეფიაშვილმა ჩემი ვაჟი აიყვანა ხელში, გულში ჩაიხუტა და ატირდა. კი არ ატირდა, აბღავლდა. ყველაფერი ეს სიცოცხლის ბოლომდე მემახსოვრება. საუკუნეების მანძილზე განაწამებთ აგრესიის ნატამალიც არ აქვთ. მიყვარს ეს ბიჭები და მინდა მთელ საქართველოს ისე უყვარდეს, როგორც მათ ვუყვარვართ თითოეული ჩვენგანი“, — თქვა ჯაბამ და კიდევ ერთხელ გადაეხვია ხოსროშვილებს. ფერეიდნელ ქართველებს ათასი ტკბილი სიტყვა, უამრავი თბილი მზერა, ლექსები და ხოტბა უძღვნეს იმ დღეს. საქართველოში დიდი ხნის წინ დაბრუნებული ფერეიდნელი ქართველები საგანგებოდ მოსულიყვნენ ძმების დასახვედრად.

არიას და შაჰინს მეორე დღეს ისევ შევხვდი. თბილისის დათვალიერება შევთავაზე. სიხარულით დამთანხმდნენ. საიდან დავიწყოთ-მეთქი, ვკითხე ძმებს. მოდი, ჯერ ის ვნახოთ, რაც ახალმა ქართველებმა შექმნეს და ისე უნდა გაუძლოს საუკუნეებს, როგორც ჩვენმა ჯიშმა და წინაპრების დანატოვარმა კულტურულმა საგანძურმაო. გეზი ელიას მთისკენ, წმინდა სამების მშენებარე ტაძრისკენ ავიღეთ. არია და შაჰინი აღტაცებას ვერ ფარავდნენ. უბის წიგნაკებში ინიშნავდნენ ტაძრის შესახებ ყველა დეტალს. როცა გუმბათში ავედით, არიამ მითხრა — „აქედან რომ გადამაგდონ, ჩემი წინაპრების სულები დამიფარავენ და მიწაზე უვნებელი დავალ. ეს მართლა დიდი რამე აგიშენებიათ, ქართველებო.“ ტაძარში მუშებმა იცნეს წინა საღამოს ტელეეკრანებზე ნანახი ძმები, დიდი სიყვარულით მოიკითხეს. თურმე სამების ტაძარს ორი ფერეიდნელიც აშენებს. თუმცა იმ დღეს იქ არ იყვნენ. მერე ვნახავთო, დაიმშვიდეს გული ძმებმა. შაჰინი გამუდმებით ფოტოაპარატის ჩხაკუნში იყო. „არია ფერეიდნელი საქართველოს ისტორიას წერს. როცა წიგნის გამოცემას გადავწყვეტთ, იქ ჩემ მიერ გადაღებულ ფოტოებს დავბეჭდავთ. მეც ვიქნები ქართველთა მემატიანე“, — გამანდო „საიდუმლო“ შაჰინმა. ელიას მთიდან გზას მეტეხის ტაძრისკენ გავუყევით. „ეს ვახტანგ გორგასალია...“, შესძახეს ძმებმა ძეგლის დანახვაზე და იმდენი რამ მიამბეს, თავი სტუმარი მეგონა, ისინი კი მასპინძლები. მტკვარს, ძველ თბილისს დავყურებდით თავზე. არია სევდიანი მეჩვენა. რა დაგემართა-მეთქი, ჩავეძიე. „მთაწმინდაზე, იქაურ სასაფლაოზე (პანთეონს გულისხმობდა) ვფიქრობ. როცა საქართველოსკენ მოვდიოდი, მეგონა, გულს აქამდე ვერ მოვიტანდი და გზაში მოვკვდებოდი (არია ჯერ მხოლოდ 33 წლის არის, შაჰინი კი 28-ის. ცხოვრებისაგან დაღლილი კაცებივით ისე განიცდიან ყველაფერს, ცრემლს ვერ შეიკავებთ. — ე. ლ.). შაჰინს ვუთხარი, თუ გზაში სულს დავლევ, ფერეიდანში არ წამიღო, თბილისში ჩამიტანე და მთაწმინდაზე დამასაფლავე, რომ საქართველოს მიწად ვიქცე-მეთქი. ბედნიერი ვარ, რომ ასე არ მოხდა. მაინც ვდარდობ. ასეთი ქვეყნის შვილი ვარ, მაგრამ მისგან მოწყვეტილი. ეჰ, ხშირად ვეტყვი ხოლმე ჩემს თავს, აფსუსი არ არის, არია, ვისი მოდგმისა სადა ცხოვრობ-მეთქი“. არიამ უცებ გაიცინა, და ჩემი წუხილი რომ გაექარწყლებინა, საუბრის თემაც შეცვალა. ისევ საქართველოს ისტორიიდან გაიხსენა რაღაცები. ირანული ცხოვრების შესახებ მიამბო. თურმე ფერეიდანში, თავის სოფელში ქართველებს ქართულ ენას ასწავლის. „ქართველობაში ვეხმარები ჩვენს ხალხს. ქართველობა იოლი რამ არ არის. ბეწვის ხიდზე სიარულივით არის. არაფერი არ უნდა შეგეშალოს“, — ასეთია ფერეიდნელი ხოსროშვილის მორალი...

მეტეხიდან ნარიყალაზე გადავინაცვლეთ, ბინდი ეპარებოდა თბილისს. ფერწერულ ტილოს ჰგავდა ქალაქი


— ეს მართლა დიდი რამე აგიშენებიათ, ქართველებო...

მიბნედილ მზეში. წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის გალავანს მიყრდნობილი შაჰინი აცრემლებული გაჰყურებდა თბილისს. „არია, მე ვრჩები საქართველოში“, — უთხრა ძმას. „აქ შენ არც მიწა გაქვს და არც სარჩო, რით გაიტან თავს?“ — ჰკითხა არიამ. „ჩვენი წინაპრები თავადები ყოფილან, მიწა და მამული გვქონია კახეთში. ნუთუ მათ შთამომავალთ, სულით ხორცამდე ქართველს, აქ, სადაც ათასი უცხო ჯურისა ჰყავთ შეფარებული, უარს მეტყვიან“, — გაოცებულმა იკითხა შაჰინმა.

შარდენის ქუჩაზე, გალერეებში, თვალი გაიხარეს ძმებმა, ყველაფერს დიდი ინტერესით ეცნობოდნენ, მხატვრებს ესაუბრებოდნენ. „ყველგან სიყვარულით გვხვდებიან. ეს ძალიან მახარებს. სულ ვფიქრობდი, ნეტავ როგორ შეგვეყრება საქართველო, გაახარებთ თუ არა ჩვენი ჩამოსვლა ქართველებს-მეთქი, თან ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვები მიტრიალებდა თავში, „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება“. იქ დარჩენილი ფერეიდნელების გულებშიც ეს ცეცხლი ტრიალებს. იმედი აქვთ, რომ ამის შემდეგ საქართველო უფრო იზრუნებს მათზე. განა ეკონომიკურ დახმარებას ითხოვენ, არა, სულიერი თანადგომა უნდათ. სააკაშვილი რომ ჩამოვიდა და წიგნები ჩამოგვიტანა, ბევრმა არაქართველმა დაიტაცა ის წიგნები. მერე გავიგეთ, ვიღაცას ჩაუგონებია მათთვის, ქართველებს ამ წიგნებით დოლარები ჩამოუტანესო. ახლა ქურთები იმ წიგნებს ფურცელ-ფურცელ მისცემენ ყასბებს ან ქართველებზე გაყიდიან. ასე რომ აღარ მოხდეს, ფერეიდანში ქართველებთან დაგეგმილი ურთიერთობები უნდა გქონდეთ“, — თავის ფიქრებს მანდობდა არია. ასე საუბარში მივადექით ტაქსით კუს ტბას. იმ საღამოს ჩემთან და კიდევ ორ აქაურთან ერთად ძალიან მოილხინეს სტუმრებმა: „აი, ახლა მართლა ქართულ გარემოში ვართ. ეს სუფრა, ქართული სიმღერები და თქვენი ღიმილი სიცოცხლეს გვმატებს. უფრო რიხიანად შემოვივლით საქართველოს, მაგრამ მანამდე ძალიან გვინდა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ვნახოთ. მასთან შესახვედრად ლამაზი კოსტიუმებიც შევიძინეთ. გვინდა მადლობა ვუთხრათ იმისათვის, რომ ფერეიდანში ჩამოსვლით ყველას თვალში გაგვადიდა. იქნებ საქართველოს მოქალაქედ გახდომაშიც დაგვეხმაროს. ეს ჩვენი დიდი ოცნებაა“, — ამბობდნენ ძმები. კუს ტბასთან ფერდობზე მდგარნი დიდხანს დაჰყურებდნენ გაჩახჩახებულ თბილისს და სიყვარულით ჩურჩულებდნენ: „ჩვენ ახლა ყველა თბილისელის სახლში შევდივართ ფიქრით, მათთან ვცხოვრობთ. ვცდილობთ წარმოვიდგინოთ, როგორ დავსახლდებით აქ სამუდამოდ, გვიყვარხარ საქართველო და გვინდა შენი ვიყოთ“...

***ეკა ლომიძე***


# პროსტატ ჰელსი: მამაკაცებისთვის, ვისაც ცხოვრებისგან მეტის მიღება სურს

***დღევანდელი თემა შეეხება მამაკაცებს და იმ პრობლემას, რომელზე საუბარსაც ისინი გაურბიან, მაგრამ ყოველთვის ახსოვთ. საუბარია პროსტატიტზე.***

პროსტატიტი ამა თუ იმ ფორმით, უამრავ მამაკაცს აწუხებს, თუმცა ხშირად, ამის შესახებ, შესაძლოა არც კი დაფიქრებულან. გარდა იმისა, რომ ამ დაავადებას მამაკაცისთვის ფიზიკური დისკომფორტი მოაქვს, იგი სამწუხაროდ, ამცირებს სექსუალური აქტივობის ხანას, ართმევს შესაძლებლობას მიიღოს სიამოვნება დედამიწაზე არსებული ყველაზე დიდი ფიზიკური ტკბობისგან. პროსტატიტი კლავს მამაკაცში – მამაკაცს!

ეს დაავადება, ხშირად, „მენეჯერის სინდრომთან“ ასოცირდება. საქმე იმაშია, რომ ქრონიკული პროსტატიტის ჩამოყალიბების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს ცხოვრების ნაკლებად მოძრავი სტილი წარმოადგენს: ჩვენ ხშირად ვსხედვართ ტრანსპორტში, საკუთარ ავტომობილში, სამსახურში, სახლში. ანატომიურად, პროსტატა ჯირკვლოვანი ორგანოა, რომელიც მდებარეობს შორისის მიდამოში და ჯდომისას ყოველთვის, ზეწოლას განიცდის. ამ დროს, სისხლის მიმოქცევა მასში მნიშვნელოვნად ფერხდება. ალბათ, ბევრი მამაკაცისთვის ნაცნობია დისკომფორტის შეგრძნება, ქაჩვითი ხასიათის ტკივილები, რომლებიც მითითებულ ადგილებში წარმოიქმნება. როდესაც სხედხართ, მიმდინარეობს „გადამუშავებული“ ვენური სისხლით (ჟანგბადითა და საკვები ნივთიერებებით ღარიბი სისხლი) ჯირკვლის გადავსება. სისხლის შეგუბება ხელს უწყობს ჯირკვლის ინფიცირებას, მისი უჯრედების გადაგვარებას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მათ გაავთვისებიანებასაც – კი.

პროსტატა – მამაკაცის მეორე გულია. პროსტატის ინფიცირება, ჰიპერპლაზია (გადიდება), გადაგვარება მისი ფუნქციის დარღვევას იწვევს. ამ ჯირკვლოვანი ორგანოთი ათობით ჰორმონი გამომუშავდება, რომლებიც პასუხს აგებენ სექსუალურ ლტოლვაზე, პოტენციაზე, სპერმატოგენეზზე, და არა მხოლოდ მათზე. ბოლო წლებში, პროსტატაში აღმოჩენილია ჰორმონები, რომლებიც თავის ტვინის ქერქში მამაკაცის ხასიათის ცენტრებს მართავს.




უმსხვილესი ამერიკული კომპანია **„შიფ“**-ი და მისი სამეცნიერო ლაბორატორია ლუკ ბუჩის ხელმძღვანელობით, დღესდღეობით, გვთავაზობს ახალ ბიოფორმულას – **„პროსტატ ჰელსი“**.

პრეპარატის შემადგენლობაში შემავალი ფიტოსტეროლები, ლიკოპენი, მიკროელემენტები – ცინკი, სელენი, აგრეთვე კალციუმის გლუკონატი – აწესრიგებენ პროსტატის სტრუქტურასა და ფუნქციონალურ მდგომარეობას, ასტიმულირებენ ტესტოსტერონის სინთეზს (სექსუალურობის ჰორმონი) და სპერმატოგენეზს, და ამით აღადგენენ მამაკაცის სექსუალურ ცხოვრებას და რეპროდუქციულ პოტენციალს. ეს პრეპარატი მოგიხსნით დაავადების შემაწუხებელ სიმპტომებსა და მასთან დაკავშირებულ უხერხულობებს, რომლებიც ცხოვრების ჩვეულ რიტმს არღვევენ. პრეპარატის შეძენა შეგიძლიათ მხოლოდ ვიტამინ-ცენტრ **„ჯეოვიტში“**.

„პროსტატ ჰელსი“ – მამაკაცური პრობლემების მარტივი გადაწყვეტა.

***„ჯეოვიტი“ – თქვენი ჯანმრთელობის თანამგზავრი!***

ჯეოვიტი
GEOVIT

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“
მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ),
☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56 ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით
www.schiffvitamins.com

# „უკვე ისე აღარ გვაწვიმს, რომ ხმალზე დღესვე გავიკრათ ხელი“

## „ამ ვანდალიზმით მტერი მიზნად ისახავდა ჩვენი ურთიერთობების დაძაბვას საბერძნეთსა და ისრაელთან“


დეკანოზი დავითი (შარაშენიძე)

იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის უნიკალური ფრესკის ხელყოფის დღიდან თითქმის ერთი თვე გავიდა. ისრაელში სპეციალისტებისა და ჩვენი სამთავრობო დელეგაციის ჩასვლის შემდეგ საზოგადოების აღშფოთება არ დარჩენილა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. სასულიერო და საერო ხელისუფლების ერთიანმა პოზიციამ მცირე, მაგრამ მაინც დადებითი შედეგი მოიტანა. მიხეილ სააკაშვილმა დიპლომატიურ რევერანსებს სუსხნარევი ღიმილი არჩია. ამ დიპლომატიური ჟესტით მან აიძულა კომპრომისზე წამოსულიყვნენ მომხდარ ვანდალიზმზე მეტნაკლებად პასუხისმგებელი მხარეები. ამასთან ისე, რომ არც ეტიკეტის ჩარჩოები დაურღვევია და მასპინძლებსაც აგრძნობინა, რომ ნაუცბადევად აღდგენილი ფრესკით ცალყბა მობოდიშებას ქართული მხარე არ დასჯერდებოდა. მომხდარით შეწუხებულმა იერუსალიმის პატრიარქმა ჯვრის მონასტერში ქართველი ბერების მოღვაწეობისა და წირვა-ლოცვის აღდგენის სიტყვიერი თანხმობა მოგვცა. ნაჩუქარი არღნის ტკბილხმოვანებით გვარიანად ნასიამოვნები ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი კი დაგვპირდა, რომ ებრაული პოლიცია დაზარალებულ მხარეს უმოკლეს ხანში წარუდგენს რუსთაველის ფრესკის ხელყოფაში დამნაშავე კონკრეტულ პირებს და მათ დამკვეთებსაც.

საუკეთესო გამოსავალი მაინც კონკრეტული დამნაშავის გამოვლენა იქნება, რამაც უამრავ ვერსიას და ეჭვს უნდა დაუსვას წერტილი. ამ ეჭვებმა კი, შესაძლოა, ძალზე სახიფათოდ გაართულოს საქართველოს ურთიერთობა საბერძნეთთან (იქნებ უარესიც იყო ჩაფიქრებული), რომელიც ქრისტიანობის გარიჟრაჟიდან დღემდე ჩვენთვის ერთმორწმუნე ქვეყნად ითვლება. ვერსიების დაუსაბუთებლად აფიშირებამ კი შესაძლოა სავალალო შედეგი მოუტანოს ათასი ჯურის სექტებით საგრძნობლად შევიწროებული მართლმადიდებლობის ერთიანობას. რაკი ჩვენმა ძალისხმევამ ნაყოფი გამოიღო, ახლა მომხდარს მხოლოდ ცივი გონებითა და სამართლიანი მოთხოვნებით გამოვასწორებთ. ემოციების „ნიაღვრით“ კი მტრის წისქვილზე ისეთ სტიქიონს მივუშვებთ, რომელიც ამ სიტუაციიდან სასიკეთო გამოსავალს ვერაფრით ვერ გვაპოვნინებს.

ყველა ვერსიას აქვს არსებობის უფლება, მაგრამ თუ პროვოკატორმა ამ ვანდალური აქტით ქართველთა და ბერძენთა შორის სიტუაციის გამწვავება დაისახა მიზნად, შესაძლოა მას ჩვენვე შევუწყოთ ხელი განზრახვის მიღწევაში. ასე რომ არ მოხდეს, ჯობს საქმე საერო და სასულიერო პოლიტიკის ერთიანი ძალისხმევით გადაწყდეს, რამაც საქართველოს გამოკვეთილი, მტკიცე პოზიცია უნდა დაადასტუროს მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე. ჩვენი სავანეები ადრეც ნადგურდებოდა, მაგრამ დაშლილ-დამცრობილი ქვეყნის პროტესტს აინუნშიაც არავინ აგდებდა. დღეს ამ მხრივ იმედის სხივმა გამოანათა. ყოველ შემთხვევაში, უკვე ისე აღარ „გვაწვიმს“, რომ მოვლენების განვითარებას ვეღარ დავუცადოთ და ჩვენი სიმართლის დასამტკიცებლად „ხმალზე გავიკრათ ხელი“. მით უმეტეს, იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელთანაც ერთი რწმენა და საუკუნეების წიაღიდან მომდინარე ურთიერთობები გვაკავშირებს. ეს პოზიცია უფრო გაგვიმყარა საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელთან, დეკანოზ **დავით შარაშენიძესთან** საუბარმა:

**— რუსთაველის ფრესკის ვანდალური დაზიანების შესახებ სხვადასხვა ვერსია წარმოიშვა, მათ შორის ისიც, რომ იერუსალიმში მომხდარი ფაქტი მიმართულია ქართული და ბერძნული საპატრიარქოების დაპირისპირებისაკენ. თქვენ თუ გრძნობთ ამ საშიშროებას?**

— უპირველესად, მინდა დავაზუსტო, რომ ცალკე საბერძნეთის საპატრიარქო არ არსებობს. ბერძნულენოვანი ეკლესიები დაყოფილია კონსტანტინოპოლის, ელადის, იერუსალიმისა და ალექსანდრიის საპატრიარქოებად. ჯვრის მონასტერი შედის იერუსალიმის საპატრიარქოში, რომელმაც ოფიციალურად დაგმო ვანდალური აქტი. არა მგონია, თუნდაც ასეთმა ვანდალიზმმა, ჩრდილი მიაყენოს ჩვენ შორის არსებულ მრავალსაუკუნოვან ურთიერთობას და საბედისწერო გახლეჩა გამოიწვიოს.





მით უმეტეს, რომ საქართველოს პრეზიდენტის ისრაელში ვიზიტის დროს მისმა უნეტარესობამ ირინეოსმა დასაშვებად მიიჩნია ჯვრის მონასტერში ქართველი ბერების მოღვაწეობა. აქედან გამომდინარე, მათი გულისხმიერების იმედი გვაქვს, რაც თავიდან აგვაცილებს გაუცხოებას და გაურკვევლობას ჩვენს შემდგომ ურთიერთობაში.

ვფიქრობ, მათაც მშვენივრად ესმით, რომ ეს არ არის კონკრეტულად მხოლოდ ჩვენს წინააღმდეგ განხორციელებული აქტი. ფრესკა წარმოადგენდა კაცობრიობის საგანძურს და მისი ხელყოფა მსოფლიოს სულიერი და კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ გალაშქრებას ნიშნავს. დაპირისპირების ესკალაცია ყოვლად დაუშვებელია.

მსგავსი ფაქტები ადრეც ხდებოდა, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მაშინდელი ხელმძღვანელობა ხშირად დიპლომატიურ სიფრთხილესა და თავშეკავებას ამჯობინებდა შემდგომი გართულების თავიდან აცილების მიზნით. დღეს უკვე სხვა სიტუაციაა. საქართველოს პრეზიდენტმა უდიდესი პრინციპულობა გამოიჩინა, პოლიტიკური ბერკეტებით მოახერხა სიტუაციის ჩვენს სასარგებლოდ შემოტრიალება. ხომ ხედავთ, როგორც კი საპატრიარქოს ძალისხმევას სახელმწიფოს მხარდაჭერა დაემატა, შედეგიც დადებითი და თვალსაჩინოა. მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ ჯვრის მონასტრის მიმდებარე ქუჩას შოთა რუსთაველის სახელი ეწოდა. ეს იმ ქართველთა ღვაწლის აღიარებაა, რომლებმაც სულიერი და კულტურული საგანძური შექმნეს და, რომლის განადგურებასაც მიზანმიმართულად ცდილობს გარეშე ძალა. გარკვეულწილად ჩვენი სახელმწიფოს სისუსტემაც განაპირობა საქართველოს საუნჯეების თანდათანობითი დაკარგვა. გავიხსენოთ იაკობის მონასტერი, რომელიც გაურკვეველ ვითარებაში გაიყიდა, ჯვრის მონასტერი თუ ივერონის მონასტერი ათონის წმინდა მთაზე, რომელიც ქართველებმა დააარსეს... თუ საქართველო სულიერად და სახელმწიფოებრივად მძლავრი და ერთიანი იქნება, მჯერა, რომ შევძლებთ იმ სავანეების დაბრუნებას, რომლებიც ჩვენი ურწმუნოების, დაუდევრობის, უგულისყურობის გამო სხვის ხელში აღმოჩნდა.

**— ასე იოლად დაგვიბრუნებენ საუკუნეების წინ მიტოვებულ ჩვენს სიწმინდეებს?**

— უპირველესად ეს ღვთის ნებაზეა დამოკიდებული! უნდა განვიწმინდოთ შინაგანად, რათა უფალმა ინებოს სიწმინდეებთან ჩვენი მიახლება. დღემდე რომ ვერ დავიბრუნეთ ჩვენი სავანეები, იმის ნიშანია, რომ საქართველო შორსაა სულიერი სრულყოფისაგან. უფრო მეტად უნდა დავუახლოვდეთ უფალს! საერო და სასულიერო ხელისუფლების სიძლიერე და ჰარმონიულობა ყველაფერს შეგვაძლებინებს.

**— შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ შოთა რუსთაველის ფრესკის ხელმყოფი, როგორც კონკრეტული დამნაშავე, გამოვლინდება?**

— ეს ისრაელის ძალოვანი სტრუქტურების კომპეტენციაა, რომლებსაც დიდი გამოცდილება აქვთ. დამნაშავისა და მის ზურგს უკან მდგომი ძალების გამოაშკარავება ყველასთვის სასურველი იქნება. უპირველესად კი იერუსალიმის საპატრიარქოსთვის, რადგან ყველა ის ეჭვი, რომელსაც არსებობის სავსებით სამართლიანი საფუძველი აქვს, გაქარწყლდეს. ისიც კი ითქვა, თითქოს სწორედ ქართველმა ჩაიდინა ეს ვანდალიზმი, რათა ჯვრის მონასტრისთვის მეტი ყურადღება მიექციათ. რა თქმა უნდა, ეს აბსურდია. დამნაშავის გამოვლენა ამ საქმეს ნათელს მოჰფენს. გარდა ამისა, ეს არის ისრაელის, როგორც სახელმწიფოს პრესტიჟიც. ვიმედოვნებთ, ღვთის წყალობით, საქართველო დაიბრუნებს თავის სიწმინდეებს...

ასეთია საქართველოს საპატრიარქოს პოზიცია. ამდენი ხნის შემდეგ პირველად გამოანათა იმედის სხივმა და თუ გვსურს, რომ მისმა ათინათმა იერუსალიმის ჯვრის მონასტერშიც და სხვა ქართულ სავანეებშიც შეაღწიოს, ასჯერ აწონილ-დაწონილი გონიერებითა და გულისხმიერებით უნდა გავაღვივოთ ჩვენი სიმართლის სანთელი. დაპირისპირება იმ სხივსაც ჩაგვიქრობს, რაც უფალმა სამომავლო იმედად აგვიკიაფა.

**რისმაგ გორდეზიანი,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორი:

— ეს ვანდალიზმი შეგნებულად ჩაიდინა მტერმა, რომელიც მიზნად ისახავდა ჩვენი ურთიერთობის დაძაბვას საბერძნეთსა და ისრაელთან. არავითარ შემთხვევაში არ უნდა წამოვეგოთ ამ პროვოკაციას, ვინაიდან დაპირისპირება სწორედ იმ მიზნისთვის ხელშეწყობა იქნება, რაც დაისახეს ვანდალებმა.

მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ყველა მხარემ კარგად გააცნობიერა, თუ რას ნიშნავს ჩვენთვის ქართული სიწმინდეების დაცვა არა მარტო ისრაელში, არამედ სხვაგანაც.

უნდა დაველოდოთ მოვლენათა შემდგომ განვითარებას. ვფიქრობ, გამოძიება ბევრ უხერხულ კითხვას გასცემს პასუხს, ჩვენი მოთმინება კი მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება იმ დადებით შედეგს, რაც მოჰყვა ქართველთა სამართლიან აღშფოთებას.

P. S. კაცობრიობა ბევრი გენიოსის შედევრს იცნობს, მაგრამ მხატვრული აზროვნებისა და პოეზიის მწვერვალზე საუკუნეებს გადარჩენილი ორი უკვდავი ქმნილება ჰეგემონობს, როგორც არამიწიერი სიმფონია ადამიანის ნიჭის უსასრულობისა: — „ილიადა“-„ოდისეა“ და „ვეფხისტყაოსანი“. ერთის ავტორი ბერძენი ჰომეროსი იყო, მეორისა კი ქართველი — რუსთაველი. მათი სახელი შარავანდედითაა მოსილი, ბოროტების ჩრდილი კი იქამდე ვერ აღწევს.

ისე კი თავად რუსთაველი გვასწავლის: — „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“

*ზვიად სეხნაშვილი*



## რას გვეტყვი, მამაო?

**— პრესაში გამოქვეყნდა სტატია, რომ ვინც 1980-1987 წლებში მოინათლა ქალაქ ხაშურის ეკლესიაში, მონათლულად არ ჩაითვლება. მეც მაშინ მოვინათლე. ვის მივმართო ამ საკითხში გარკვევისთვის?**

— ხსენებულ დროს, ხაშურის ეკლესიაში ნათლობების საკითხი ბევრს აინტერესებს. ამ თემაზე ადგილობრივმა ეპისკოპოსმა უკვე გამოხატა თავისი პოზიცია. ჩვენ შეგვიძლია ეს პოზიცია გამცნოთ: ხაშურის ეკლესიაში აღნიშნულ პერიოდში მონათლულების ხელახლა მონათვლა-არმონათვლის საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ მიმართოთ ნებისმიერი ეკლესიის მოძღვარს. ყოველი მათგანი დაწვრილებით გამოკითხვის შემდეგ ინდივიდუალურად გადაწყვეტს თქვენი ხელახლა მონათვლის საკითხს.

**— ბიზნესპარტნიორმა შვილი დაიფიცა, რომ აღარ მომატყუებდა, თუმცა ასე არ მოქცეულა. როცა შევახსენე, შენ ხომ დაიფიცე-მეთქი, მითხრა, ამაში შენ შემიწყე ხელი, ამიტომ ცოდვა შენ ჩაიდინე და არა მეო. მართლა ცოდვა ხომ არ ჩავიდინე?**

— წმინდა წერილი გვასწავლის, რომ ადამიანმა არ უნდა დაიფიცოს არც ცა, არც მიწა და არც არაფერი, რაც მის გარშემო არსებობს... რადგანაც ყოველივე არსებული ღვთის ქმნილებაა და მას ეკუთვნის...

ამიტომაც ბავშვის დაფიცება პირველ რიგში, მისმა მშობელმა მამამ უნდა მოინანიოს... ხოლო თუ მართლაც თქვენ აიძულეთ ფიცი წარმოეთქვა, თქვენც თქვით ამის შესახებ აღსარებაში. ეკლესიაში საგანგებოდ იკითხება ლოცვები ფიცით შეკრულთათვის.

**— მათეს სახარების დასაწყისში ჩამოთვლილი არიან მართალი იოსების წინაპრები, აბრაამიდან მოყოლებული... როგორ უნდა მივიჩნიოთ მათსავე შთამომავლად იესო და რატომ იწოდება იგი იესოს მამად თვით მარიამის მიერ?**

— სახარებიდან ვიცით, რომ იოსებმა ჭეშმარიტი სიყვარულითა და მზრუნველობით გაზრდა პატარა იესო.

ბავშვის აღზრდა ადამიანური სითბოთი არანაკლებ მნიშვნელოვანი და ღვთის მადლით შემკული საქმეა, ვიდრე ხორციელი მშობლობა. იოსები შთამომავალი გახლდათ ბიბლიური დავით წინასწარმეტყველისა, ისევე, როგორც დედაღვთისმშობელი... ასე რომ, იესო იშვა და აღიზარდა კიდეც დავით წინასწარმეტყველის შთამომავალთაგან...

**— მქვია გაიოზი. ვიცი, რომ გაიოზი წმინდანი იყო. როდის მოვიხსენიო ის?**

— როცა უფალმა იესომ 70 მოციქული გამოარჩია და საქადაგებლად დედამიწის სხვადასხვა კუთხეში დაგზავნა, მათ შორის წმინდა გაიოზიც იყო. ის ქალაქ ეფოსის ეპისკოპოსი გახლდათ. წმინდანი ეფოსელი ეპისკოპოსი მოიხსენიება 17 იანვარს (ძვ. სტ.4 იანვარს). არსებობენ ამ სახელის სხვა წმინდანებიც, რომელთა მოხსენიების დღეებს საეკლესიო კალენდარში იხილავთ. თქვენ შეგიძლიათ ისევე როგორც 4 იანვარს, ამ დღეებშიც ევედროთ წმინდა გაიოზს მფარველობა. ასევე შეგიძლიათ თქვენი მფარველი წმინდანის, გაიოზის მოსახსენიებლად ამ დღეებიდან ის დღე აირჩიოთ, რომელიც ახლოს არის თქვენს დაბადების დღესთან.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.*

*მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

# სერგეი შამბა არის ყველაზე ანტიქართული ფიგურა სეპარატისტულ ხელისუფლებაში



„ბოევიკი ჩირიგბა როცა გამოკეთდება, მასთან რამდენიმე საკითხი გვაქვს გასარკვევი"

თუ მიხეილ სააკაშვილის ცნობილ გამონათქვამს გავიხსენებთ, აფხაზებს საკურორტო სეზონთან დაკავშირებულ სერიოზულ პრობლემებთან ერთად სხვა, უფრო დიდი პრობლემაც აქვთ — 3 ოქტომბერს აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნებია. მერე რა, რომ მას საერთაშორისო დამკვირვებლები არ დაესწრებიან და შედეგსაც არავინ აღიარებს, არძინბა Сам играет, сам поёт. სასიცოცხლო ძალებს მოკლებული თვითმარქვია, რომელიც კარგა ხანია თვალით არავის უნახავს (თავის სიმსივე აქვს. — ი.რ.), „საპრეზიდენტო" ვადას ასრულებს, მისი საეჭვო წარმოშობის პოსტისთვის კი 4 კანდიდატი აპირებს ბრძოლას — ანქვაბი, ჯერგენია, ბაღაფში და ხაჯინბა. როგორც ამბობენ, არძინბას (და რუსების) სიმპათია რაულ ხაჯინბასკენ იხრება, რასაც ვერ ვიტყვით ანრი ჯერგენიასა და სერგეი ბაღაფშზე, რომელთაც არძინბას იმედი ვერ გაამართლეს. ჯერგენიამ თავის დროზე არძინბას გაკრიტიკება გაბედა, ბაღაფში კი ისეთი ხისტი და შემტევი ვერ არის, როგორც არძინბას უნდა. თანაც ეს უკანასკნელი არც ხაჯინბასავით „კაგებეშნიკია", არც ანქვაბივით მილიციელი და არც ჯერგენიასავით პროკურორი. ის ერთი მშვიდობიანი პროფესიის კაცია — აგრარიკოსი, თანაც ცოლი ჰყავს ქართველი. მერე რა, რომ ჩვენს თანამემამულე აფხაზთა რძალს ქმარზე გავლენა არა აქვს, მისი ქართველობა, თუ საქმე საქმეზე მიდგა, მისადავებლად კარგი საბაბია. სინამდვილეში, ბაღაფშს მყარი „პროაფხაზური" პოზიცია აქვს, რომელიც სისხლის ბოლო წვეთამდე დამოუკიდებელი აფხაზეთისთვის ბრძოლას გულისხმობს. მოსალოდნელ საპრეზიდენტო არჩევნებზე, პრეზიდენტობის პრეტენდენტებსა და აფხაზეთში შექმნილ მდგომარეობაზე უშიშროების გენერალი, საქართველოს უშიშროების სამინისტროს აფხაზეთის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე **ვიტალი მიხელიძე** გვესაუბრა:

— გაზაფხულზე აფხაზეთის სახალხო კრებამ საარჩევნო კანონში შესწორება შეიტანა — აფხაზეთის პრეზიდენტობის კანდიდატი აუცილებლად აფხაზი უნდა იყოს და ბოლო 5 წლის განმავლობაში აფხაზეთში ცხოვრობდეს. ამის გამო შესაძლოა პრობლემა შეექმნას ანქვაბს, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს. რაულ ხაჯინბა სუკის ყოფილი თანამშრომელია. ომის დროს ტყვარჩელში მუშაობდა, შემდეგ სოხუმში გადაიყვანეს. ჯერ უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი იყო, მერე კი აფხაზეთის პრემიერ-მინისტრად დაინიშნა. თუ გავითვალისწინებთ მის ძველ ურთიერთობებს, რუსული ფედერალური სპეცსამსახურებისთვის რაულ ხაჯინბა მისაღები კაცი უნდა იყოს. მთავრობის პრემიერ-მინისტრად რომ დანიშნა, ეს ხაჯინბას მიმართ არძინბას კეთილგანწყობაზეც მეტყველებს და იმაზეც, რომ მის კანდიდატურას ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე მხარს დაუჭერს. ოპოზიციურ სახალხო-პოლიტიკურ მოძრაობა „ამცახარას" საკუთარი კანდიდატი ჰყავს — სერგეი ბაღაფში, „ერთიანი აფხაზეთი" მას უჭერს მხარს. მაგრამ ოპოზიციონერობა არ გულისხმობს აზრთა სხვადასხვაობას აფხაზეთის სტატუსის და დამოუკიდებლობის საკითხში. ოპოზიცია არძინბას კლანსა და საკადრო პოლიტიკას უპირისპირდება. ისინი უკმაყოფილონი არიან არსებული მძიმე სოციალური მდგომარეობით და არც არძინბას საგარეო პოლიტიკით. აფხაზი ხალხი ხედავს, რომ „დამოუკიდებლობამ" აფხაზებს ისეთი სიკეთე ვერ მოუტანა, როგორსაც ელოდნენ, არც მსოფლიოს აღიარება და ამიტომ უკმაყოფილოები არიან არძინბას მმართველობით. არძინბა თავდაპირველად ოპოზიციონერებს ომის ვეტერანები ჩაუდგნენ — ჩვენ ვიბრძოლეთ, სისხლი დავღვარეთ, „გამარჯვება" მოვუტანეთ აფხაზ ხალხს, მაგრამ მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ჩვენც მიგვაქვს მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მართვაში. განსაკუთრებით გამწვავდა ურთიერთობა „ამცახარასა" და არძინბას შორის, ოპოზიცია არძინბას გადადგომას ითხოვდა, მაგრამ საქართველოში მიმდინარე პროცესებმა და აჭარის მოვლენებმა დროებით განელა. ომის შიშით, აფხაზეთშიც იგივე პროცესები არ განვითარდეს, ისევ გაერთიანდნენ. ამ დაჯგუფების ლიდერია სერგეი ბაღაფში. იგი საბჭოთა ხანის ბოლოს თბილისში საქმიანობდა. ცკ-ის ინფორმაციული სექტორის გამგე, მერე აფხაზეთის კომკავშირის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი იყო. ომის შემდეგ კი არძინბას ხელისუფლების ვიცე-პრემიერი და პრემიერ-მინისტრი გახდა. ამჟამად არის „ჩერნომორენერგოს" გენერალური დირექტორი.

ალექსანდრე ანქვაბი თავის დროზე პარტიული ფუნქციონერი იყო, აფხაზეთის საოლქო კომიტეტში მუშაობდა. 1991 წელს, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, არძინბამ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად დანიშნა ანქვაბი შინაგან საქმეთა მინისტრად. ომის პერიოდში ის გუდაუთაში იმყოფებოდა და აქტიურად მონაწილეობდა ტყვეთა გაცვლის პროცესში. ომის შემდეგ მასა და არძინბას შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ანქვაბი ბუნებით ფიცხი კაცია, ამიტომაც იძულებული გახდა, მოსკოვში წასულიყო.

აი, ასეთი წარსული აქვთ აფხაზეთის პრეზიდენტობის კანდიდატებს. არც ვიცი, დღეს რას ფიქრობენ ისინი. ომმა ბევრი რამ, მათ შორის ადამიანთა შეხედულებებიც შეცვალა. მე და სერგეი ბაღაფში სანაპიროზე ვსეირნობდით ერთად და ყავაც დაგვილევია „ინტურისტის" წინ, ყავახანაში. ვიცნობ ანრი ჯერგენიასაც, რომელიც პროკურატურის თანამშრომელი იყო და ბევრი ქართველი მეგობარი ჰყავდა, მაგრამ ეს ომამდე იყო.

— **რა თვისებებით გამოარჩია არძინბამ რაულ ხაჯინბა?**

— ბავშვობის მეგობრები არიან, ეშერაში ერთად იზრდებოდნენ. ეს აძლევს არძინბას უფლებას, ენდოს ამ კაცს. ამასთან, ხაჯინბა არ ეკუთვნის არც გუდაუთელთა და არც ოჩამჩირელთა ბანაკს, რომელთა შორის ანტაგონიზმი ყოველთვის არსებობდა. რაკი გუდაუთაში ძირითადად აფხაზები ცხოვრობდნენ, ნაკლებად კეთილგანწყობილი იყვნენ ქართველების მიმართ. ოჩამჩირეში კი ქართველი და აფხაზი მოსახლეობა ერთმანეთში ისე იყო არეული, გარჩევა ჭირდა, ვინ რა ეროვნების იყო. გუდაუთელები ბრაზობდნენ, სულ ოჩამჩირელები ინიშნებიან თანამდებობებზეო. საკადრო პოლიტიკა იყო მათი დაპირისპირების სერიოზული მიზეზი, ამიტომ ეს განწყობა ახლაც არის. ამ შემთხვევაში ხაჯინბა ნეიტრალური კაცია. აქედან გამომდინარე, მეტ-ნაკლებად ორივე მხარისთვის მისაღები. ნეიტრალური ფიგურაა ანქვაბიც, რომელიც სოხუმელია. ბაღაფში ოჩამჩირელია, ჯერგენია კი — გუდაუთელი.

— **რუსების გულშემატკივრობის მიზეზი, როგორც ვიცით, ის ობიექტებია, რომლებიც ჩალის ფასად ჩაიგდეს ხელში. მიწების გაყიდვასაც ხომ არ მიჰყო ხელი არძინბამ?**

— მიწის გაყიდვა კანონმდებლობით იკრძალება, ამიტომაც მათი იჯარით გაცემა ხდება. მაგალითად, მოსკოვის „ბაბაევის" ქარხანამ 25 წლის იჯარით აიღო მიწის რამდენიმე ათეული ჰექტარი, სადაც თხილი გააშენა. გაგრასა და ბიჭვინთაში მსხვილი საკურორტო ობიექტები იჯარით არის გაცემული რუს გენერლებზე. ისინი პატრონობენ და განაგებენ იქაურობას, პერსონალიც კი თავისი მოიყვანეს. სოხუმში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს 2 სანატორიუმია, სადაც, ძირითადად, რუსი სამხედროების ოჯახები ისვენებენ ხოლმე.

სხვათა შორის, წელს დამსვენებელთა ნაკადი ნაკლებია შარშანდელთან შედარებით. ამის მიზეზი საქართველოში მიმდინარე პროცესებთან ერთად კრიმინოგენული ვითარების დაძაბვაცაა. ხშირია ტურისტების ძარცვის, შეურაცხყოფის და მკვლელობის ფაქტებიც. რამდენიმე კვირის წინ ბიჭვინთაში მოსკოველი დამსვენებელი, ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს. აფხაზეთში დასასვენებლად შეძლებული და ჯიბესქელი რუსები არ ჩადიან. ჩადის ის, ვინც ხელმოკლეა. საქართველოს პრეზიდენტის განცხადების შემდეგ კი ალბათ ექსტრემალურ პირობებში დასვენების მოყვარული ტურისტებიც მოერიდებიან აფხაზეთში ჩასვლას.

— **რა განწყობაა აფხაზ მოსახლეობაში, რომელსაც არძინბამ აღთქმული ბედნიერი ცხოვრება ვერ მისცა?**

— მოსახლეობა ხელმოკლედ ცხოვრობს, თავს ნატურალური მეურნეობით ირჩენს... სეზონურად ციტრუსი გააქვთ რუსეთში. პენსიასაც მცირეს იღებენ — დაახლოებით 7-8 ლარის ეკვივალენტს. მიუხედავად ამისა, მათთვის მთავარი აფხაზეთის სტატუსია, დამოუკიდებლობის დათმობას არ აპირებენ. არსებობს საზოგადოების ნაწილი, ძირითადად, ინტელიგენცია, რომელიც რუსეთის ქვეშევრდომობაზეც თანახმაა. უმეტესობა, ისინი, რომელთაც ოჯახის წევრები დაკარგეს ომში, ამბობენ, იმისთვის არ გვიბრძოლია, რომ რუსეთის შემადგენლობაში შევსულიყავითო.

აუღიარებელ, თვითმარქვია პრეზიდენტს და თვითგამოცხადებულ რესპუბლიკას მომავალი არა აქვს. აფხაზი ხალხის ხსნა ქართველებთან თანაცხოვრებასა და დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს აშენებაშია. სანამ ამას ვერ გააცნობიერებენ, უკან-უკან სვლას გააგრძელებენ...

ჩვენ რომ მათ მიმართ კეთილგანწყობილი ვართ, ამის საილუსტრაციოდ ისიც კმარა, რომ 31 ივლისს თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში სამკურნალოდ ჩამოიყვანეს სეპარატისტების საბაჟო კომიტეტის საკარანტინო სამსახურის ყოფილი თანამშრომელი გენადი ჩირიგბა. ის აქტიურად იყო ჩართული ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში და ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი „სიმამაცისთვის" დაჯილდოებულია ლეონის ორდენით. სხვადასხვა დროს მონაწილეობდა ქართველების წინააღმდეგ გალის რაიონში განხორციელებულ სადამსჯელო ოპერაციებში.

რამდენადაც ვიცი, ჩირიგბას ჩამოჰყვა ქართველი მეუღლე სვეტლანა აქირთავა. ატყდა მითქმა-მოთქმა, როგორ მიიღეს თბილისში კაცი, რომელსაც ქართველების სისხლში აქვს ხელი გასვრილიო. ეს კაცი დღეს მძიმედ არის ავად, ამიტომ აგრესიის გამომჟღავნება უზნეობა იქნებოდა და თუმცა ქართველებს გალის რაიონში ავიწროებენ, არ გვაქვს უფლება, ჩვენც ასევე მოვიქცეთ. როცა გამოკეთდება გენადი ჩირიგბა, მასთან რამდენიმე საკითხი გვაქვს გასარკვევი, რა თქმა უნდა, პროცესუალური ნორმების დაცვით.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **თემურ მჟავია**:

— 4 საპრეზიდენტო კანდიდატის არსებობა მეტყველებს იმაზე, რომ აფხაზეთში სულ მცირე 4 ერთმანეთთან დაპირისპირებული ბანაკია. ამჟამად რუსეთი ხაჯინბას ემხრობა. მოსახლეობაც პრინციპულ კაცად და „პატრიოტ" აფხაზად მიიჩნევს, მაგრამ რამდენად მისაღები იქნება რუსული ინტერესების გამტარებელი კაცი აფხაზი მოსახლეობისთვის, რომელიც უკვე ხედავს, რომ რუსებს აფხაზეთში თავიანთი ინტერესი აქვთ(?!). აფხაზი საზოგადოების ერთ ნაწილში უკვე ლაპარაკობენ, აფხაზეთი თვითმყოფადობის შენარჩუნებას მხოლოდ კეთილგანწყობილ ქართულ გარემოში შეძლებსო. ეს პოზიცია, ჯერჯერობით, ლეგალიზებული არ არის, მაგრამ კულუარებში ასეთი საუბრები ინტენსიურად მიმდინარეობს. ამიტომაც როგორ განვითარდება არჩევნებზე მოვლენები, ძნელი სათქმელია.

შაბათს ცნობილი გახდა, რომ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტობისთვის კიდევ ერთი კანდიდატი, სერგეი შამბაც იბრძოლებს. სერგეი მირონის ძე შამბა 1951 წელს არის დაბადებული. განათლებით პედაგოგია, მუშაობდა აფხაზეთის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტში. არის „აიდგილარას" ერთ-ერთი დამფუძნებელი და აფხაზური სეპარატისტული იდეოლოგიის ფუძემდებლის, ტარას შამბას ძმა, რომელიც მოსკოვში საქმიანობს. სერგეი შამბა იყო მთიელ ხალხთა კონფედერაციის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და სეპარატისტული შეიარაღებული ძალების კომისარი. ბოევიკებს ტელევიზიით მოუწოდებდა, — თქვენი ვალი მოიხადეთ სამშობლოს წინაშეო. სერგეი შამბა ასევე იყო უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ბოლოს კი გახლდათ არძინბას ხელისუფლების უცვლელი საგარეო საქმეთა მინისტრი. ის თანამდებობიდან პროტესტის ნიშნად 9 ივნისს გადადგა, მას შემდეგ, რაც ჩაცხრილეს „ამცახარას" ერთ-ერთი ლიდერი გარი აიბა. ის სერგეი ბაღაფშთან ერთად არის „ერთიანი აფხაზეთის" ერთ-ერთი დამფუძნებელი. ჯერჯერობით, ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს, თუ ვინ უჭერს მას მხარს. სავარაუდოდ, მას უნდა ემხრობოდეს რესპუბლიკური პარტია „აფსნი" და კომუნისტური პარტია, ასევე, აფხაზეთის არააფხაზი მოსახლეობა. მართალია, რუსეთს ჰყავს თავისი კანდიდატი რაულ ხაჯინბა, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ ფსონს მეორე კანდიდატზეც — სერგეი შამბაზეც დებდნენ. სერგეი შამბა არის ყველაზე ანტიქართული ფიგურა სეპარატისტულ ხელისუფლებაში.

**იზო რუკაძე**

# საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი

ჩვენ კვლავ ვაგრძელებთ სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტზე მსჯელობას, რომელსაც ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო. საჯარო სამართლის იურიდიული პირი — მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი პროექტების საკოორდინაციო ცენტრი — ახორციელებს პროექტის საქმიანობის ყოველდღიურ მართვას სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტის ტექნიკური ერთეულისა და ადმინისტრაციული მართვის დახმარებით.

ჩვენ ამჯერადაც არ ვუღალატეთ ტრადიციას და საგარეჯოს რაიონში ბატონ ლევან სავარგულიანს ვეწვიეთ, რომელიც ფერმერულ მეურნეობაში ძროხების ახალი ჯიშების გამოყვანითა და მეცხოველეობაში პროდუქტიულობის ამაღლებით არის დაკავებული. ამჯერადაც, გთავაზობთ პროექტის ხელმძღვანელ ბატონ ლევანთან მცირე ინტერვიუს.

**ლევან სავარგულიანი** — ჩვენი საქმიანობა დაიწყო 1999 წელს. მე ვიმყოფებოდი აშშ-ში სოფლის მეურნეობის პროექტით, სადაც გავიცანი ჩემი მომავალი პარტნიორი და გადავწყვიტეთ დაგვეარსებინა რძის გადამამუშავებელი საწარმო. ამის შემდგომ ჩვენ ვიყავით სტაჟირებაზე საფრანგეთში, სადაც შევისწავლეთ ყველისა და იოგურტის წარმოება, შევიძინეთ საჭირო დანადგარები, საქონელი და უკვე 1999 წელს შევუდექით მუშაობას. სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა მსოფლიო ბანკის მიერ გამოცხადებული კონკურსი, რომლის ძირითადი მოტივი იყო კახეთის ფერმერული მეურნეობებისათვის ხელშეწყობა. ამრიგად, ჩვენ უფრო დიდი სტიმულით გავაგრძელეთ ჩვენი საქმე და უკვე შესამჩნევ წარმატებებსაც მივაღწიეთ.

— **ბატონო ლევან, პროექტის ფარგლებში რა ახალი ტექნოლოგიები დაინერგა თქვენს ფერმაში, როგორ მიმდინარეობს სწავლების პროცესი?**

— ტექნოლოგიებს რაც შეეხება, ჩვენთან დაინერგა მწვანე საკვების მიღების ტექნოლოგია, რომლის არსი შემდგომში მდგომარეობს: თაროთა სისტემაზე დღის განათებაზე, ლანგრებზე ლაგდება მარცვლეული (ხორბალი, ქერი) და ჩერდება თაროზე ჯეჯილის ამოსვლამდე. შემდგომ, ჯეჯილს თავისი ფესვებიანად საკვები დანამატის სახით ღებულობს საქონელი.

აგრეთვე ჩვენ ჩამოვიტანეთ რძის ლაბორატორია და უახლესი ტექნოლოგიებით აღვჭურვეთ ჩვენი ფერმა, რაც გვაძლევს ეფექტიანად მუშაობის შესაძლებლობას.

ამასთან, ამ პროექტის ფარგლებში აშშ-დან ჩამოვიტანეთ სუფთა სისხლის საქონლის სპერმა და ვახდენთ საქონლის ხელოვნურად განაყოფიერებას. ეს იმიტომაა საჭირო, რომ საქართველოში ძირითადად გადაგვარებული ჯიშის საქონელია, რომელსაც ძალზე მცირე პროდუქტიულობა გააჩნია. ხელოვნური განაყოფიერება კი იძლევა სუფთა ჯიშის საქონლის გამოყვანის შესაძლებლობას. მართალია, ეს პროცედურა ჩვენს პირობებში ცოტა ძნელია, მაგრამ არც შეუძლებელია.

რაც შეეხება სწავლების პროექტსა და სადემონსტრაციო დღეებს, იგი მიმდინარეობს საგარეჯოს, სიღნაღის, გურჯაანისა და თელავის რაიონებში. მიმდინარეობს ზემოთ ჩამოთვლილ ტექნოლოგიებზე ლექციები, რომელსაც მოჰყვა საკმაოდ დიდი დაინტერესება არა მარტო ფერმერების მხრიდან. ჩვენ აგრეთვე გამოვუშვით 1000-მდე ბროშურა და მეთოდური მითითება, რომლებიც ურიგდებათ დაინტერესებულ პირებს, რათა მათაც დანერგონ თავიანთ ფერმებში მსგავსი ტექნოლოგიები. ლექცია-სემინარებს ატარებენ ზოოვეტერინარული ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც გადასცემენ თავიანთ ცოდნა-გამოცდილებას დაინტერესებულ პირებს. ჩვენ მალე დაგეგმილი გვაქვს სემინარები თელავის რაიონში, რასაც, ვფიქრობ, დიდი დაინტერესება მოჰყვება.

— **ბატონო ლევან, როგორ შეაფასებდით პროექტის მნიშვნელობას?**

— პროექტის მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, ძალიან დიდია მთლიანად სოფლის მეურნეობაში და იგი მართლაც დიდ დახმარებას გვიწევს ფერმერებს, რადგან საქართველოში არის ძალიან ცოტა ფერმერული მეურნეობები. ამასთან, კიდევ ერთი პრობლემა ის გახლავთ, რომ საქართველოში ძირითადად არის უჯიშო საქონელი, რომლებიც არასასურველი კვების რეჟიმისა და მოვლა-პატრონობის გამო დაბალპროდუქტიულნი არიან. ამის გამოსწორება შეიძლება ერთი რამით, რომ უნდა შეიქმნას თითო სოფელში მაინც ერთი ფერმა, სადაც გაკეთდება პატარა სანაშენე მეურნეობა. ამ პირობებში გვეყოლება სუფთა ჯიშის, მაღალპროდუქტიული საქონელი. მართალია ამ ყველაფრის გაკეთება უცებ ძალზე ძნელია, მაგრამ სხვადასხვა სახის სახელმწიფო დოტაციები, მაგალითად, როგორიც მსოფლიო ბანკის პროექტია, ვფიქრობ, ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას.

**თემურ კაციაშვილი** R



# ომი თუ მშვიდობა?!.

## The New York Times

ვაშინგტონში არაოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აშშ-ის თავდაცვის მინისტრ დონალდ რამსფელდს, სახელმწიფო მდივანს კოლინ პაუელს, პრეზიდენტის მრჩეველს ეროვნული უშიშროების დარგში კონდოლიზა რაისს შეხვდა და ბუშის ადმინისტრაცია გააფრთხილა, რომ რუსეთი საქართველოზე კონტროლის გაძლიერებას აპირებს. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ დაძაბულობის მიუხედავად, ყველა ღონეს იხმარს მოსკოვთან ურთიერთობის მშვიდობიანად მოსაგვარებლად. „ჩვენ გვეყოფა მოთმინება მოვიცადოთ და საქართველო მშვიდობიანი ხერხებით გავაერთიანოთ“, — თქვა სააკაშვილმა.

ამერიკაში გამგზავრების წინ საქართველოს პრეზიდენტი რუსებს გემების ჩაძირვით დაემუქრა, რაზეც რფ-ის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა: — სააკაშვილის მუქარა მეკობრეობას მაგონებსო. ბ-ნ სააკაშვილთან დაახლოებული ბუშის ადმინისტრაცია აშკარად არავის ემხრობა და ორივე ქვეყნის ლიდერს მშვიდობიან მოლაპარაკებას ურჩევს. გარდა ამისა, პაუელი შეეცადა დაძაბულობის შერბილებას და განაცხადა: — „ვფიქრობ, არც ისეთი უკიდურესი მდგომარეობაა, აშშ კვლავაც ყველაფერს იღონებს ვითარების დასამშვიდებლად, სისხლის ღვრისა და პროვოკაციების თავიდან ასაცილებლად. საჭიროა დიალოგის განახლება. ამას მოვუწოდებთ ორივე მხარეს“.

რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატამ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ბატონი სააკაშვილის განცხადება — „საქართველო არსებული პრობლემების გადაწყვეტას ძალისმიერი მეთოდებით ამჯობინებს და არ ითვალისწინებს სხვა დაინტერესებული მხარეების აზრს“, — ნათქვამია დუმის განცხადებაში. მაგრამ ვაშინგტონის სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევის ცენტრში გამოსვლისას ბატონმა სააკაშვილმა აღნიშნა, რომ მუქარა მოდის რუსეთიდან, რომელიც საქართველოში ამბოხებულ რესპუბლიკებს ნარკოტიკებით და იარაღით დატვირთულ გემებს უგზავნის.



საქართველო-რუსეთის ურთიერთობა სწორედ მაშინ დაიძაბა, როცა ბუში პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან თბილი ურთიერთობის დამყარებას იწყებდა და ამას თავისი საგარეო პოლიტიკის დიდ მონაპოვრად მიიჩნევდა — ბუშის ადმინისტრაციამ რუსეთი იმაში დაარწმუნა, რომ არა მარტო აშშ-ის ერაყში შეჭრის ფაქტს, არამედ ყოფილი საბჭოთა ბლოკის ქვეყნებში ამერიკული სამხედრო ძალების გაფართოებასაც უნდა შერიგებოდა.

## sueddeutsche

კვირაში ორჯერ სოჭიდან სოხუმისკენ ტურისტებით სავსე გემი მიცურავს. რუსებს ძალიან უყვართ აფხაზეთის კურორტები. მაგრამ საქართველოს პრეზიდენტის ამასწინანდელმა ნათქვამმა ალბათ თავზარი დასცა მათ: — გემებს, რომლებიც სოხუმში აპირებენ უნებართვოდ ჩასვლას, ცეცხლს გავუხსნით და ჩავძირავთო. ეტყობა, „ოფიციალურ ნებართვაში“, საქართველოს მთავრობის ნებართვას გულისხმობდა, მთავრობისა, რომელსაც სოხუმი არ ცნობს. ეს ნიშნავს, რომ სააკაშვილი „საზღვაო გზით“ აპირებს ამ პროვინციაზე 10 წლის წინ დაკარგული გავლენის აღდგენას. აფხაზეთი საქართველოს გამოეყო, თუმცა საერთაშორისო სამართლით — კვლავ საქართველოს ნაწილად რჩება.

აფხაზეთის მთავრობის ინფორმაციით, რომელიც ალბათ გადაჭარბებულია, ამ ზაფხულს რესპუბლიკაში 600-700 ათასი რუსი ტურისტი დაისვენებს. ჰოდა, სწორედ ამ ტურისტებს ურჩია სააკაშვილმა, ყურად იღონ მისი გაფრთხილება: როცა საქართველოს ისტორიის „ტრაგიკული თავი“ დასრულდება, მაშინ რუსებს შეეძლებათ აფხაზეთში ჩასვლა და იქ თავისი ფულის ხარჯვა. ქართველი პრეზიდენტი ცოტა უფრო დიპლომატიურად გააფრთხილა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ: რუსეთის მოქალაქეთა სიცოცხლის ხელყოფის ყოველ მუქარას შესაბამისი პასუხი მოჰყვებაო.

სიტყვიერი შეჯახებიდან საზღვაო ომამდე ჯერ შორსაა, მაგრამ ქართველმა პრეზიდენტმა უკვე დაანახვა ყველას, რომ მისი მუქარა სერიოზულად უნდა მიიღონ: ამას წინათ, ქართველებმა აფხაზეთის სანაპიროდან 6 მილში მდგარ თურქულ სატვირთო გემს ცეცხლი გაუხსნეს. აფხაზეთის მთავრობამ ეს შეაფასა, როგორც „მეკობრეთა აგრესიული ქმედებები“ და განაცხადა, რომ ამის შემდეგ ისინიც ესვრიან ქართულ ხომალდებს.

## UNITED PRESS INTERNATIONAL

ცენტრალური აზიისა და საერთაშორისო კვლევის ინსტიტუტის ექსპერტი **ჩარლზ ფერბენქსი** თვლის, რომ რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბულობის მოჩვენებითი განმუხტვის შემდეგ მდგომარეობა შესამჩნევად გამწვავდა. მისი აზრით, რუსეთის პრეზიდენტმა არა, მაგრამ რუსეთის პარლამენტმა საქართველოს მიმართ რამდენიმე პოლიტიკური შეცდომა დაუშვა; ყველაზე სერიოზული — სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რუსული პასპორტების დარიგება იყო, რაც საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევაა. ფერბენქსი საქართველოში ერთი თვის წინ იმყოფებოდა. მისი მონაცემებით, რუსეთი სწორედ მაშინ ამოქმედდება ხოლმე, როცა შეერთებული შტატები მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებით თუ ერაყის ამბებითაა დაკავებული. ექსპერტი ვარაუდობს, რომ შესაძლოა, რუსეთსა და საქართველოს შორის მოხდეს სამხედრო დაპირისპირება, მაგრამ საქართველო ყველანაირად ეცდება მის თავიდან აცილებას. გარდა ამისა, რუსეთს უნდა როგორმე დასცეს მიხეილ სააკაშვილის პოპულარობა — სააკაშვილმა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დაბრუნება დაისახა მიზნად და თუ ეს არ გამოვა, მისთვის და საქართველოში წამოჩიტული დემოკრატიისთვის ეს დიდი დარტყმა იქნება. ახალგაზრდა პრეზიდენტი ამბობს, რომ მისი მმართველობის ექვსი თვის მანძილზე ქვეყანამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. ის მიესალმება საზღვარგარეთის ქვეყნების დაპირებას დახმარების თაობაზე, მაგრამ აღნიშნავს, რომ ქვეყანა ამ დახმარებების იმედად ვერ იქნება.

პრეზიდენტმა განმარტა, თუ რატომ შეაჩერეს საქართველოში მცირე ხნით ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა. აღნიშნა, რომ „ბრიტიშ პეტროლიუმთან“ წინა ხელისუფლების მიერ დადებული კონტრაქტი იყო „საშინელი“ — „ბრიტიშ პეტროლიუმს“ ისეთ სიღრმეზე უნდა ჩაეწყო მილები, რომ მათ არც გარემო დაეზიანებინა და არც ტერორისტული აქტის ობიექტი გამხდარიყო. ამ ნავთობსადენს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, სადავო საკითხები მოგვარდება და ნავთობსადენის მშენებლობაც გაგრძელდება. „ბრიტიშ პეტროლიუმის“ ზეწოლას არ დავყვებით, — დასძინა პრეზიდენტმა. მიხეილ სააკაშვილმა ისიც აღნიშნა, რომ ერაყში მყოფი 160 ქართველი ჯარისკაცი ღირსეულად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.

## რას იზამს რუსეთი?

იუგოსლავიის პრეზიდენტს, სლობოდან მილოშევიჩს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, იგორ ივანოვმა 2000 წლის 6 ოქტომბერს კარზე მიუკაკუნა. ცოტა ხანში დიქტატორი ოპოზიციას ჩაჰბარდა.

ედუარდ შევარდნაძემ მისი კაკუნი 2003 წლის 23 ნოემბერს გაიგონა — ორ საათში ისიც შეურიგდა ბედს და პოსტი დატოვა. 2004 წლის მაისის დასაწყისში ივანოვის ლანდი გამოჩნდა ასლან აბაშიძის კართან, რომელიც ირწმუნებოდა, არასოდეს შევწყვეტ ბრძოლას საქართველოს ახალ ხელისუფლებასთანო, მაგრამ იმავე ღამეს მოსკოვში ივანოვის თვითმფრინავით გაფრინდა. ივანოვი აბაშიძეს ვისკით უმასპინძლდებოდა და ისეთ რამეს ეუბნებოდა, რასაც რუსეთი აუწყებს ხოლმე მას, ვისთან თანამშრომლობაც მისთვის უკვე წამგებიანია, უფრო სწორად, შეუძლებელი — იმ სამყაროში, სადაც რუსეთი სუპერსახელმწიფოდ აღარ ითვლება.

ივანოვის, როგორც რუსული დიპლომატიის ტერმინატორის, როლი წარმოაჩენს იმ მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომელიც განიცადა რუსეთის საგარეო პოლიტიკამ ბოლო 10 წლის განმავლობაში — ის აღარ ცდილობს გავლენა მოახდინოს მსოფლიოს ბედზე და საკუთარ ეროვნულ ინტერესებზე ამახვილებს ყურადღებას.

რუსეთმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა — თავიდან მოიშორა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დრომოჭმული დიქტატორები, მაგრამ შეძლებს კი დიქტატორების ნაცვლად მოსულ პროდემოკრატიულ მოძრაობებთან მორიგებას?

***ლოს-ანჯელეს ტაიმსი***

## თუ საქართველოს ნება იქნება...

რადიოსადგურ **„ეხო მოსკვისთვის“** მიცემულ ინტერვიუში ანდრეი კოკოშინმა განაცხადა, რომ დუმამ ოფიციალურად მიმართა რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს რუსეთის ფედერაციაში „სამხრეთ ოსეთის ახალ სუბიექტად მიღების შესახებ“. სასამართლო ექსპერტების აზრით, თვითაღიარებული რესპუბლიკის რფ-სთან შეერთება მხოლოდ საქართველოს თანხმობითაა შესაძლებელი. „მაგრამ გასათვალისწინებელია ისტორიული პრეცედენტებიც“, — თქვა კოკოშინმა, თუმცა არ დაუკონკრეტებია, რომელ „ისტორიულ პრეცედენტებზეა“ საუბარი. საქართველოს შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის ნებაყოფლობითი შესვლის შესახებ დოკუმენტის არსებობის საკითხზე კი კოკოშინმა შენიშნა: „დიდი დავა მიმდინარეობს, ერთნი სტალინს აბრალებენ, — მან შეიყვანა სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობაშიო, სხვები კი ნაირ-ნაირ ფაქტებს და მოტივებს ასახელებენ. ყველაფერ ამას ჩვენი კომისია შეისწავლის“.

რფ-ის ვიცეპრემიერმა ვლადიმირ ჟირინოვსკიმ განაცხადა: „კონსტიტუციურ სასამართლოს რეკომენდაციების მიცემის უფლება აქვს, დუმას კი შეუძლია დაეთანხმოს სამხრეთ ოსეთის თხოვნას, რფ-ის შემადგენლობაში მიღების თაობაზე, ამის შემდეგ ჩატარდება რეფერენდუმი. სამხრეთ ოსეთი ჩრდილოეთ ოსეთთან ერთად რუსეთის იმპერიაში ხომ ნებაყოფლობით იმყოფებოდა, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დროს ხელოვნურად გააცალკევეს. ყველა სამართლებრივი საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ დღის წესრიგში დადგეს სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანების საკითხი. ყველაფერს ნათელს რეფრენდუმი მოჰფენს, სურს თუ არა ხალხს საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა“.

***ნიუს რუ***

სახელმწიფოს ლიცენზირებული
საქართველო-ისრაელის
სტომატოლოგიის ინსტიტუტი
და მრავალპროფილიანი
სამედიცინო კოლეჯი
სხვა სასწავლებლებიდან გადმოსვლა გადასახადის გარეშე
მინიმალური
გადასახადი
სახელმწიფო დიპლომი
დასაქმება
☎ 61-54-23 (დილით)
61-69-77
71-55-11 (საღამოს)
თბილისი, ჩარგლის 34
მეტრო „დიდუბე“
www.medical.edu.ge

## ქართული ბალეტი ფეხზე დადგება



საქართველოს ეროვნულ ბალეტს ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი ჰყავს. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სეზონის დახურვის წინ საქართველოს პრეზიდენტმა პირადად წარუდგინა საბალეტო დასს ახალი ხელმძღვანელი — რუსეთისა და საქართველოს სახალხო არტისტი, პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი. თანაც განაცხადა, რომ მთავრობის მთავარი მიზანი სამშობლოდან წასული ცნობილი ადამიანების დაბრუნებაა. ნინო ანანიაშვილმა სიტყვა მისცა პრეზიდენტს, რომ სამ წელიწადში ევროპული დონის დასს შექმნის.

— საქმისა არ მეშინია და შემიძლია კიდეც. რუსეთთან და დასავლეთთან კავშირები მაქვს. ამიტომაც არ შემშინებია პრეზიდენტის შემოთავაზებისა. ცოტა კი შევეჭვდი: დადგა კი საქართველოში თეატრების აღორძინების დრო-მეთქი? მარწმუნებდნენ, ყველა დაგეხმარებაო. დავთანხმდი. ცხოვრებაში დგება ხოლმე წამი, როცა რაღაც უნდა გადაწყვიტო, თუნდაც, შენს საზიანოდ. მე ყოველთვის ჩიტივით თავისუფალი ვიყავი, სადაც მინდოდა, იქ მივფრინავდი, ვირჩევდი მხოლოდ იმ წინადადებას, რომელიც მომწონდა. დღეს კი არა მარტო ჩემს თავზე, არამედ მთელ დასზე ვგრძნობ პასუხისმგებლობას.

*— ხომ არ გაშინებთ ახალგაზრდა ქართველი რეფორმატორების აქტიურობა?*

— ქვეყნის ხელმძღვანელობა ძალზე ახალგაზრდა, აგრესიული, მაგრამ ჭკვიანია. მათ ესმით, რომ საქართველომ ბევრი რამ დაკარგა და ჩამორჩა, რომ დრო არის საჭირო ყველაფრის აღსადგენად. ისინი გააზრებულად მუშაობენ, გადაწყვეტილებებს სწრაფად იღებენ. რასაც დღეს ჩვენი პრეზიდენტი აკეთებს, სადავო არ არის.

*— ნუთუ თეატრმა, უშუქობისა და სიცივის მიუხედავად, მაინც შეინარჩუნა დასი?*

— ყველაზე მძიმე პერიოდშიც კი მუშაობდა თეატრი. წარმოიდგინეთ, როცა სტიმული გაუჩნდებათ, რას იზამენ!

ოპერისა და ბალეტის თეატრი სახელმწიფო თეატრია, ამიტომ დაფინანსებაც საბიუჯეტო ექნება, მაგრამ, ჩვენ პრეზიდენტის ფონდიდან გრანტებს მივიღებთ, კერძო ინვესტორებიც დაგვეხმარებიან. ბიუჯეტი უკვე დამტკიცებულია და ვერავინ შეცვლის, მაგრამ მსახიობები პრემიებს მიიღებენ. საჭიროა შენობის რეკონსტრუქცია, რაშიც უანგაროდ გვეხმარება ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი.

*— როგორ იმუშავებთ, ვის მოიწვევთ?*

— უპირველესად, კლასიკას უნდა მივხედოთ. პედაგოგები დაგვჭირდება — მოვიწვევთ მოსკოვიდან, პეტერბურგიდან ან კოპენჰაგენიდან. კლასიკის გარეშე დასის წინსვლა შეუძლებელია. უთუოდ გამოვიყენებ ჯორჯ ბალანჩინის ფონდთან ჩემს ურთიერთობას. ის გენიოსი იყო და ქართველი, თუმცა ქორეოგრაფი — ამერიკელი. ცოდვა იქნებოდა მისი ბალეტის დაუდგმელობა ქართულ სცენაზე. განზრახული მაქვს თანამედროვე ქორეოგრაფთა ერთაქტიანი ბალეტების დადგმაც.

*— მგონი, თქვენ პოსტსაბჭოური დროის ბალერინებიდან პირველი ხართ, ვისაც კარგად ესმის დასავლური თეატრალური მოდელის და კონტრაქტული სისტემისა.*

— ძალიან გამიმართლა. ჩემი მეუღლე ამ საქმეებში კარგად ერკვევა და მეც გამაცნობიერა იურიდიულ საკითხებში. მისი და დასავლელ პროდიუსერებთან ურთიერთობის გამოცდილების წყალობით, ვიცი, როგორ უნდა დავდო კონტრაქტები და სად წავა ქართული ბალეტი უახლოეს სეზონში.

ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ მთელი მსოფლიოდან მირეკავენ, ამერიკელები და დანიელები მთავაზობენ დახმარებას. ქართულ ნაციონალურ ბალეტს უკვე საგასტროლოდ იწვევენ. 2006-07 წლებში დაგეგმილია 14 სპექტაკლი იაპონიაში, ერთკვირიანი გასტროლები ნიუ-იორკში — ბრუკლინის მუსიკის აკადემიაში. მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ აშშ-ში უფრო მასშტაბურ გასტროლებზეც. როგორც ხედავთ, პროფესიონალებს უკვე სჯერათ ჩვენი.

***იტოგი***

***გვერდი მოამზადა***
***თინათინ მარგველაშვილმა***



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიცინიან

2,5 წლის **ნინიკო გოდერძიშვილს** ბებია ხელ-პირს ბანს. წყალი, ეტყობა, ცივი იყო. გოგონამ ველარ მოითმინა და ბებიას ეუბნება:

— მალეხი (ბებიას მარეხი ჰქვია), ნუ მასხამ ცივ წყალს, ხომ ხედავ, გავყინულდი.

***

4 წლის ტყუპი — **მარიამ და გიორგი ბალდავაძეები** ეზოში იყურებიან. უცებ გიორგიმ თაგვი დაინახა.

— მარი, შეხედე, თაგვი.

— არა, გიო, ეგ თაგვი კი არა, ვირთხაა.

— არა, თაგვია.

— არა, გიო, ვირთხაა.

გიომ ისევ დაიჟინა — თაგვიაო. მარიმ იფიქრა, ეგებ ჩემი გავიტანოო და ეუბნება:

— გიო, მაგას სახელად თაგვი ქვია, გვარად კი ვირთხააო.

***

ახლახან პარიზის დისნეილენდის ფრაგმენტები უჩვენეს ტელევიზიით, რასაც თვალი მოჰკრა პატარა **ლერიკო ჭალაგანიძემ** და აღფრთოვანებით წამოიძახა:

— აუ, რა კარგი მუშთაიდია!

# ხარბი კაცი

ზღაპარი

იყო ერთი ხარბი კაცი. ერთხელ დასაძინებლად დაწვა, მაგრამ ძილი არა და არ ეკარებოდა. იწვა და ფიქრობდა, ოცნებობდა.

ოცნებაში წასულს ხმა მოესმა: „თუ გამდიდრება გინდა, აჰა, ქისა. შიგ მხოლოდ ერთი ცალი ოქროს კოჭია, მაგრამ რამდენჯერაც ამოიღებ, მის ადგილას სხვა გაჩნდება. რამდენიც გჭირდება, იმდენი ოქრო ამოიღე, მერე ქისა წყალში გადააგდე. თუ ქისას წყალში არ გადააგდებ, ოქროს ვერ მოიხმარ, რადგან ქვად იქცევა“.

სიხარულით კინაღამ გაგიჟდა ხარბი. დაიწყო ქისიდან ოქროს ამოღება. ამოიღებდა ერთ ოქროს კოჭს, მის ადგილზე სხვა გაჩნდებოდა. „ეს რა ბედი მეწია, — ამბობდა გულში ხარბი, — ამაღამ ოქროს მთას დავაყენებ და გავმდიდრდები. დილით კი ქისას წყალში მოვისვრი და დავიწყებ არხეინად ცხოვრებას“.

გათენდა, მაგრამ ხარბს დაენანა ქისა: „ მოდი, საღამომდე კიდევ ერთ გროვა ოქროს დავაყენებ და მერე გადავაგდებ“.

იჯდა საღამომდე ხარბი ქისასთან, იღებდა ოქროს და აწყობდა. ერთი დიდი გორაც დააყენა. მოსაღამოვდა და ისევ გული დასწყდა ხარბს: „ახლა ასეთი ქისა როგორ გადავაგდო წყალში? არა! ჯერ კიდევ უნდა დავაგროვო ოქრო!“

დაიწყო ისევ ქისიდან ოქროს ამოღება, იღებს და აწყობს, იღებს და აწყობს. დილამდე კიდევ ერთი გორა დააყენა.

რამდენსაც მეტს იღებდა, მეტის დაგროვების სურვილი უძლიერდებოდა. მოშივდა ხარბს, სული ელეოდა შიმშილით, მაგრამ სახლში ხმელი პურის მეტი არაფერი ჰქონდა, რომ წასულიყო და ოქროსთვის მოეკლო საჭმლის ფასი, ოქროები სულ ქვებად იქცეოდნენ და შიშობდა.

ერთ ლუკმა ხმელ პურს გალეჭავდა და ისევ ქისას მიუტრიალდებოდა. იღებდა და იღებდა ოქროს. ღამე აღარ იძინებდა და დღისით არაფერს ჭამდა. სულ ოქროს დაგროვებაში იყო.

გავიდა ერთი კვირა, ერთი თვე, წელიწადი, ხარბი ქისას მაინც არ აგდებდა წყალში.

„სიმდიდრით ვინ გამძღარა, — ფიქრობდა ხარბი, — რაც მეტი გაქვს, მეტი გინდა“.

აგროვებდა ოქროს ხარბი, გორებს აყენებდა, მაგრამ ვერ ხარჯავდა და ისევ ძველებურად სიღარიბეში ცხოვრობდა. სულაც დაავიწყდა, რომ ერთ დროს ხელგაშლილად, მდიდრულად ცხოვრება სურდა, ხანდახან იფიქრებდა, მეყოფა ახლა, გადავაგდებ ქისას წყალშიო, მერე ისევ დაენანებოდა ხოლმე და იტოვებდა თავისთვის.

ამასობაში დაბერდა ხარბი კაცი, დაჩაჩანაკდა, ქისას მაინც არ ეშვებოდა. იღებდა და იღებდა ოქროს, ხმარებით კი ვერ იყენებდა.

ოქროს გორებს შუა ხელში ქისაჩაბღუჯული იჯდა ხარბი და ასეთ სიღარიბეში დალია სული.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: **„დღე და ღამე მშრომელია, თუმცა დადის ტაატით, ითვლის წამებს, ითვლის წუთებს, თქვი რა ჰქვია...?“**




**II** შეესაბამება თუ არა ზემოთ მოცემული ყველა დეტალი აწყობილ მოზაიკას




**III**

**1) რომელი პოეტის ლექსად ნათქვამს გაგონებს ხალხური ანდაზა: „მწარე თუ არ ჭამე, ტკბილის გემოს ვერ გაიგებო“.**

ა) მურმან ლებანიძის; ბ) ნიკოლოზ ბარათაშვილის; გ) დავით გურამიშვილის; დ) აკაკი წერეთლის.

**2) საქართველოს რომელ კუთხეს ერქვა ტაო-კლარჯეთი?**

ა) დასავლეთ საქართველოს; ბ) სამხრეთ საქართველოს; გ) აღმოსავლეთ საქართველოს; დ) ფშავ-ხევსურეთს.

**3) ამათგან რომელი არ არის ავსტრიელი კომპოზიტორი?**

ა) ვერდი; ბ) მოცარტი; გ) შუბერტი; დ) ბეთჰოვენი.

**4) რომელი დარგი სწავლობს ქაღალდის ფულის ერთეულებს?**

ა) ბონისტიკა; ბ) ჰერალდიკა; გ) ფილატელია; დ) ნუმიზმატიკა.

**5) რომელი მონუმენტი არ შეუქმნია მერაბ ბერძენიშვილს?**

ა) „დავით გურამიშვილი“; ბ) „კიდევაც დაიზრდებიან“; გ) „ქართვლის დედა“; დ) „მუზა“.

**6) რამდენი ასურელი მამა შემოვიდა საქართველოში?**

ა) 11; ბ) 12; გ) 13; დ)14.

**7) როგორ ადამიანს უწოდებენ დილეტანტს?**

ა) თავისი საქმის საუკეთესოდ მცოდნეს; ბ) ზერელედ მცოდნეს; გ) არაფრის მცოდნეს; დ) ყველაფრის მცოდნეს.

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

*გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა*



# მამულ-დედული

## აგვისტოს თვის სამუშაოები

**ბაღი.** იკრიფება საადრეო ვაშლი და მსხალი. ჯერ აკრიფეთ ნაქარი, ჩამოცვენილი ხილი, შემდეგ დაიწყეთ კრეფა ქვემოდან და მიჰყევით კენწერომდე. ნაყოფი იკრიფება ვედროში ან ქსოვილგამოკრულ კალათაში. რა თქმა უნდა, ნაქარი და მოკრეფილი ხილი ერთმანეთში არ უნდა შეურიოთ. ძირს ნაყარი ხილი კარგად გასუფთავების შემდეგ გამოიყენება როგორც საჭმელად, ასევე ჯემის, წვენის, მურაბის, კომპოტის დასამზადებლად. ვაშლისგან შეგიძლიათ შესანიშნავი ალკოჰოლური სასმელი — სიდრიც დაამზადოთ და — დღეს ასე პოპულარული ვაშლის ძმარიც. ასევე იკრიფება საგვიანო ხილიც, რომელიც ფრთხილად იწყობა ხის ყუთებში და ინახება გრილ სარდაფში.

თუ აქამდე საყრდენები არ შეგიდგამთ დახუნძლული ხეებისთვის, ახლა შეუყენეთ ორკაპები, ოღონდ მასში თივა ჩააფინეთ, რომ ტოტი არ დაზიანდეს. მაქსიმალურად მოსპეთ სარეველები. ამ პერიოდში იცის ალუბლის ვარჯში ამონაყრების დიდი რაოდენობით განვითარება. ამოჭერით ფაქიზად და დაამუშავეთ ბაღის მალამოთი. ხეებს შეაცალეთ მოტეხილი და გამხმარი ტოტები.

აგვისტოს დასაწყისში შეგიძლიათ დარგოთ ხენდრო. თუ უკვე დარგეთ, გაწმინდეთ სარეველებისგან და წააწყვიტეთ ე.წ. ულვაშები. გადარგვისთანავე მორწყეთ. ჟოლოს ბუჩქებს მოსავლის აღების შემდეგ ამოაჭერით ძველი სანაყოფეები და დაწვით.

**ვენახი.** აგვისტოში გრძელდება ზედმეტი ყლორტების შეცლა. ამით სხვლის დროს დაშვებულ შეცდომებსაც ვასწორებთ.

ზედმეტი ყლორტებია — შტამბზე და სხვა მრავალწლიან ტოტზე განვითარებული, უნაყოფო ყლორტები და ნამხარი, ანუ ამონაყრები ფოთლის იღლიაში. საჭიროების მიხედვით ვაზი უნდა შეიწამლოს და მოირწყას.

**ბოსტანი.** სარეველებთან ბრძოლა, გაფხვიერება, პამიდორის ზედა იარუსების სარზე აკვრა, რწყვა და დამატებითი გამოკვება. თუ ივნისში დათესილ სტაფილოს ძირხვენის თავები უჩანს, აუცილებლად შემოაყარეთ მიწა.

აგვისტოში ითესება წითელი ბოლოკი (და არა თვის). ნიადაგის დამუშავება ჩვეულებრივი წესით მიმდინარეობს. უმჯობესია მწკრივებში თესვა. აღმონაცენის გამოჩენიდან ცოტა ხნის შემდეგ (10-15 დღე) ნათესი გაამეჩხრეთ, მცენარეთა შორის დატოვეთ 12-15 სმ.

მნიშვნელოვან აგროტექნიკურ ღონისძიებად ითვლება ბოლოკის ნათესის რეგულარული რწყვა. წყლის ნაკლებობის შემთხვევაში ძირხვენი ცუდად ვითარდება და ხევდება, ჭარბტენიანობით კი — სკდება. ამავე პერიოდში ითესება თალგამი და შავი ბოლოკი.

## „სისხლის მსმელი“



ორი სახეობის კვერნა გვხვდება საქართველოში — ყვითელგულა და თეთრყელა. ორთავე მტაცებელია. საკვების საშოვნელად შებინდებისას გამოდის. იმდენად გაბედული და თავხედი ცხოველია, ხშირად თავისზე დიდსაც ესხმის თავს. მსხვერპლის მოკვლა მისთვის დიდი სიამოვნებაა. ვისაც კი მოერევა, ყველას კლავს, რის შემდეგაც ჭამს, უმეტესად მსხვერპლის თავით იკვებება. კლავს იმდენს, რამდენიც არ ესაჭიროება, ამიტომ არის „სისხლის მსმელის“ სახელით ცნობილი.

ყვითელგულა კვერნის სხეულის სიგრძე 42-56 სმ-ია, კუდისა — 22-26. ზომა-წონით მამრები უფრო დიდები არიან. შეფერილობა მუქი წაბლისფერი ან მუქი რუხი კუდი და კიდურები უფრო მუქი აქვს. ყელზე აქვს დიდი მოყვითალო ლაქა, თათები დაფარულია ხშირი ბეწვით.

ულრანი ტყის ტიპური ბინადარია, უფრო ხშირად — წიწვიანი ტყისა, ბინადრობს ზღვის დონიდან 1000-2000 მ-მდე. სამყოფელს იკეთებს ხის ფუღუროებში, კლდეთა ნაპრალებში, ხეების ფესვების ან ქვების ქვეშ. მკვირცხლად დარბის როგორც მიწაზე, ისე ხეებზე. თავს ესხმის ციყვებს, მობუდარ ფრინველებს, სიამოვნებით მიირთმევს ხილსაც: პანტას, მაჟალოს, ტყემალს, შინდს, ზღმარტლს, ასკილს, ხურმას, სუროსა და ჭნავის ნაყოფსაც კი, რომელსაც არც ღორი და არც დათვი არ ჭამს.

მძუნაობს ივლის-აგვისტოში. 2-4 ნაშიერი იბადება აპრილ-მაისში. ერთი თვის შემდეგ ეხილებათ თვალები. იმდენად სწრაფად იზრდებიან, რომ შემოდგომაზე მშობლებს არ ჩამორჩებიან და იწყებენ დამოუკიდებლად ცხოვრებას. მრავლებიან 2 წლიდან, სიცოცხლის ხანგრძლივობა 12 წელია. ერთ-ერთი უძვირფასესი ბეწვის მქონე, სანადირო ცხოველია. მასზე ნადირობენ ხაფანგით და თოფით. საქართველოში 60-70-იან წლებში წელიწადში 4000-მდე კვერნის ტყავი მზადდებოდა. სხვათა შორის, კვერნა დასახლებულ ადგილებშიც ბინადრობს...

## მოზაიკა

***

*ისტორიამ შემოინახა სოკოს მსხვერპლთა არასრული სია, რომელშიც აღმოჩნდნენ: ბერძნული ტრაგედიის ფუძემდებლის, ევრიპიდეს ცოლშვილი, რომის იმპერატორის, ნერონის პირადი დაცვის უფროსი — ეპიუს სევერინი.*

*ტირანად ცნობილმა ნერონმა იმპერატორის ტახტი კლავდიუსის სიკვდილის შემდეგ დაისაკუთრა, კლავდიუსის სიკვდილის ორგანიზება კი ნერონის დედამ — აგრიპინამ იკისრა, მან პროფესიონალი მომწამვლელის (არსებობდა ასეთი რანგიც) — ლეკუსტას ხელით კლავდიუსს სადილად შხამიანი სოკოები მიართვა...*

*სოკოებით უხვად გაწყობილი სუფრის მსხვერპლი გახდა პაპი კლემენტი V. სოკომ იმსხვერპლა საფრანგეთის მეფე კარლოს V.*

***

*ყველაზე მცირე ზომის ღამურა, რომელიც 4 გრამს იწონის და გაშლილი ფრთების სიგრძე 15 სანტიმეტრია, ბინადრობს ფილიპინებზე.*

*მასთან შედარებით ე.წ. მფრინავი მელიები გოლიათები არიან — 900 გრამს იწონიან, ხოლო მათი გაშლილი ფრთების სიგრძე 150 სანტიმეტრია.*

## ოფოფი



ალბათ ყველა ბუნების მოყვარულმა იცის, რატომ ჰქვია ამ ულამაზეს ფრინველს ოფოფი — მისივე გამოძახილის გამო. „ოფ-ოფ“, „უფ-უფ“, გაისმის ველ-მინდვრებში გრძელნისკარტა, ლამაზქოჩორა ოფოფის ხმა. უფრო ხშირად მას მიწაზე მოსიარულეს ვხვდებით, ხან დადის, ხან დარბის, მაგრამ ფრენისას სულ სხვა სილამაზე აქვს. ოფოფი ხეზეც მარჯვედ დაცოცავს. არც მწერების მოპოვებაში უდებს ვინმეს ტოლს. თავისი გრძელი, ოდნავ მოხრილი ნისკარტით ხან საიდან გამოათრევს მწერს და ხან — საიდან. ბუდეს ხის ფუღუროში იკეთებს. ქვების გროვაში მოქცეულ ბუდეშიც კარგად გრძნობს თავს. არ იწუნებს სახურავებს, კლდის ნაპრალებს, ნანგრევებს... ოფოფის საკვები მრავალგვარი სახეობის მწერია: ხოჭოები, პეპლები, კალიები, კუტკალიები და ა.შ. ამით დიდი სარგებლობა მოაქვს სოფლის მეურნეობისთვის. ოფოფისებრთა ოჯახში ერთი გვარი, ერთი სახეობა და 8 ქვესახეობაა, რომელთაგან საქართველოში ბუდობს ჩვეულებრივი ოფოფი. იგი გადამფრენი ფრინველია. ზამთრობს სამხრეთ აფრიკაში. საბუდარ ადგილებში ჩნდება მარტ-აპრილში. ბუდობის და ბარტყების დაზრდის შემდეგ (აგვისტოს ბოლოს) თბილი ქვეყნებისკენ მიემართება. მეცნიერთა მტკიცებით, ერთხელ დაწყვილებული ოფოფები სიკვდილამდე ერთმანეთის ერთგულნი რჩებიან. როგორც წესი, მდედრი 5-6 კვერცხს დებს. თუმცა ვხვდებით გამონაკლისსაც, როცა ბუდეში 3 კვერცხია, იშვიათად 12-იც. კრუხობს 2 კვირაზე ცოტა მეტს. ამ დროს მამრის საქციელი რაინდულია: ჯერ ერთგულად კვებავს კრუხს, ხოლო ინკუბაციის წინ საერთოდ ცვლის ბუდეში. ოფოფების ცხოვრებაში ერთი საოცარი დეტალია, რომელიც დღემდე გაურკვეველია — დაჭერილ მწერს ჯერ მოკლავენ, მერე ჰაერში აისვრიან, კვლავ იჭერენ და ამის შემდეგ ყლაპავენ. არავინ იცის, ეს ოფოფების ახირებული ჩვევაა, თუ კვების დროს ერთგვარი კომფორტი.

## ტყის ნობათი



შუა ზაფხულში და მის მიწურულს მთის ტყეებში და მის ზედა სარტყელში იზრდება მუქი ლურჯი კენკრა — მაღალი მოცვი. იგი ძირითადად ნაძვნარსა და ფიჭვნარში ხარობს. გარდა იმისა, რომ გემრიელია, მოცვის ნაყოფი შეუდარებელია თავისი სამკურნალო თვისებებით. გამოიყენება როგორც ნედლად, ისე გამხმარი, დაშაქრული და მურაბის სახით. ასევე გამოიყენება წითელი მოცვიც. სხვათა შორის, მოცვის ბუჩქი 300 წლამდე ცოცხლობს...

საქართველოს მთიანეთში იზრდება ერთ-ერთი ძვირფასი საკვები და სამკურნალო მცენარე — ჟოლო. იგი მდიდარია როგორც ვიტამინებით — C, A, B, ასევე შაქრებით, ორგანული მჟავებით და მთრიმლავი ნივთიერებით. გამოიყენება ნედლად, დაშაქრული, მურაბად, კომპოტად... ნაყოფის ნახარში საუკეთესო ოფლმდენი საშუალებაა გაციებისას.

ჩვენი მთა და ბარი სავსეა უგემრიელესი კენკროვანი მცენარით, მაყვლით. იგი ჟოლოს მსგავსად მოიხმარება. ამასთანავე მისგან საუკეთესო სასმელი — მაყვლის „ღვინოც“ მზადდება. ტექნოლოგია ისეთივეა, როგორიც ყურძნის ღვინის დაყენებისა.

ხურტკმელიც მთიანი ადგილების კენკრაა. ტყიდან მოტანილი ხურტკმელი — ჯანმრთელობა, სიმხნევე და ძალაა. იზრდება უმთავრესად ფიჭვნარში, ლოდებს შორის ან ტყის პირებზე. ხურტკმელში C ვიტამინი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ლიმონსა და ფორთოხალში.

### სად უნდა ვეძებოთ კენკრა

მაღალი მოცვის „მისამართია“: დაბურული, ხავსით დაფარული ნაძვნარი, ზოგჯერ ფიჭვნარი და შერეული ტყე;

ხურტკმელის — ღია, ნათელი ფიჭვის ტყე, ქვაყრილები;

ჟოლოს — ტყის ჰუმუსით მდიდარი ნიადაგიანი ადგილები, ხეობები, ახოები, ტყისპირები;

მაყვლის — ტყე, ტყის პირები, ჭალები, მთის ტენიანი ადგილები, ბარდნარი.

იმისათვის, რომ დიდხანს გვქონდეს ტყის ნობათი, საჭიროა კენკრის ფრთხილად მოკრეფა.

## ერთი სვეტი შეკითხვებისთვის

## ხვლიკი მე-9 სართულზე



**— ვცხოვრობ მე-9 სართულზე. საძინებელ ოთახში (რომლის ფანჯარა აივანზე გადის) ხვლიკი შევნიშნე. ძალიან შემეშინდა, სანამ აზრზე მოვედი, ხვლიკი ველარსად ვნახე. იქნებ მირჩიოთ, როგორ მოვიქცე...**

***ერთგული მკითხველი***

— ნურაფრის გეშინიათ. ეტყობა, ხვლიკი აივნიდან შემოძვრა. საქართველოში კბენია და შხამიანი ხვლიკები არ არიან. თუ კედლის ძირებს კარგად დაათვალიერებთ, აუცილებლად აღმოაჩენთ. ამის შემდეგ მისი გარეთ გამოგდება არ გაგიჭირდებათ, სულაც ცოცხის საშუალებით. კიდევ ერთი „ხერხიც“ არსებობს: თქვენ თუ არა გყავთ კატა, იქნებ მეზობლისგან გეთხოვათ, ის უთუოდ აღმოაჩენს და დაიჭერს ხვლიკს.

## ქლიავის „ღვინო“ და არაყი

***— როგორ დავაყენოთ „ღვინო“ და არაყი შავი ქლიავისგან?***

***გია სახვაძე, ზესტაფონი***

— არც ერთ ალკოჰოლურ სასმელს, გარდა ყურძნის წვენის დუღილით მიღებული სასმელისა, ღვინო არ ჰქვია!

თუ თქვენ გნებავთ, რომ მაინცდამაინც შავი ქლიავის „ღვინო“ დააყენოთ, გამოაცალეთ მას კურკები, კარგად ჩაჭყლიტეთ ხის კასრში, თავი მოაკარით ან მჭიდროდ დახუფეთ, ურიეთ დილა-საღამოს. დუღილს რომ დაიწყებს, განსაკუთრებით მაშინ უნდა ყურადღება, დურდო ზემოთ ამოდის და ამორევით უკან აბრუნებთ. როცა დადუღდება, დურდო თავისით დაილექება კასრის ფსკერზე. ამოიღეთ წვენი, კარგად გაწურეთ, ჩაასხით ბოცაში და დაელოდეთ დალექვას. დალექვის მერე იმდენჯერ გადაიღეთ, სანამ ლექი არ მოსცილდება. ამის შემდეგ თქვენი „ღვინო“ მზად არის.

დურდოდან შეგიძლიათ მაშინვე გამოხადოთ არაყი, შეგიძლიათ წყალი დაასხათ და მოგვიანებით გამოხადოთ. გამოხდის დროს იმდენი წყალი უნდა ჰქონდეს, რომ ქვაბი არ მიიწვას.

## მკითხველის ფოტო



– ჩვენთან, მარანში (აბაშის რაიონი), ასეთი „ჭკვიანი“ ღორები გვყავს...

***გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიტოთერაპევტმა ნიკოლოზ იოსებიძემ***

## რედაქციისაგან:

ბატონო მკითხველო! მოგვწერეთ ამ რუბრიკიდან გამომდინარე, რა გაინტერესებთ.

გთავაზობთ აგრეთვე, გაგვიზიაროთ თქვენი პირადი დაკვირვება, გამოცდილება; მოგვაწოდეთ საკუთარ მამულ-დედულში გადაღებული უცნაური, საინტერესო ფოტოები (ამ ნომერში კიდევ ერთ ფოტოს გთავაზობთ).

წერილები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით და რუბრიკის მითითებით.

CMYK

# გოდერძაულები

## რა ძალა იჭერს გულთაბოძებს, არ ვიცი...

**ბევრი რამ ხდება სავალალო, იცლება სოფლები, ნადგურდება ისტორიული ძეგლები, იშლება ფრესკები... ყველა კაცს დარდით სავსე გუდა ჰკიდია, ყველა თავის ჯვარს მიათრევს. მტრის ჯინაზე მაინც არსებობს სიკეთე, მშვენიერება, ხელოვნება, მოთხრობები, რომლებიც ცოცხლობენ, ჩვენ გვერდით დადიან და გვილამაზებენ ურთულეს ყოფას...**

**სწორედ ისინი უდგანან დანგრეულ სულებს, როგორც გულთაბოძები...**

**როგორც გოდერძი ჩოხელი ამბობს: რა ძალა იჭერს გულთაბოძებს, არ ვიცი. მთავარი კი ის არის, რომ ისინი დგანან...**

**ეს გოდერძი ჩოხელის პატარ-პატარა მოთხრობებიც ათასჯერ ნაავდრალი გულთაბოძებია...**



### მაინც ვერ მამკლავ, სიკვდილო!..

შუაცეცხლს შევესწარი. შუაში ჩამოკიდებული იყო საკიდელი, იმაზე ქვაბს დაჰკიდებდნენ და საჭმელს ხარშავდნენ. ოთახში კვამლი დგებოდა... დიდი სახლები იდგა. რამდენიმე კომლი ცხოვრობდა, შიგ ბორწნელით (წნელს ასე ვეძახდით) იყო გადაყოფილი. ერთი კომლი რომ დაანთებდა ცეცხლს, მთელ სახლში კვამლი დგებოდა. ერდოზე საკვამურები ადიოდა... იქიდან გადიოდა ბოლი.

ერთი შუღლა იყო — პატარა ტანის და გაუტეხელი ბუნების კაცი. უნდოდა, ისეთი რამ გაეკეთებინა, მთელ სოფელში გამოსაჩენი ყოფილიყო. ამბობდა ხოლმე: — ერთი დიდი სახლი უნდა ავაშენოო! ისეთი დიდი სახლი უნდა ავაშენო, კოლმეურნეობის კანტორა რო არიო. ოღონდაო, მე რო ავაშენებ, ორი მეტრა წინ იქნება მოჭარბებული, ორი — უკანაო.

სულ ჩხუბობდა შუღლა, დაიძახებდა ხოლმე: — ჩვენ ჩოხელები ვართ, მაგი დედა კი ვატირეო! სიკვდილს ეჩხუბებოდა: — მაინც ვერ მამკლავ, სიკვდილო, შენი დედა კი ვატირეო!

კოლმეურნეობის დრო რომ იყო, საჩვენებლად დაჰყავდათ გამოჩენილი ხალხი სოფლებში. ჩვენთან სანდრო კანდელაკი ჩამოიყვანეს. იქით 15 კაცი დადგა, აქეთ — მარტოკა სანდრო კანდელაკი და თხუთმეტივე გადმოიყოლა. მერე ლოდი ასწია. ბოლოს თქვა: — აბა, ახლა ვინმეს ხო არ გინდათ მეჭიდავოთო? შუღლა გადაფრინდა, — მე მინდაო. ხალხმა სიცილი დაიწყო. სანდრომ — რას იცინით, მაგას ძალა და ღონე თუ არა აქვს, გული ხო აქვს დიდიო!

ბარში ჩამოსახლდა ბოლოს შუღლაი. „ბარის ქვეყანაში უნდა წავიდეო“, — თქვა...

ნატახტართან მანქანას დაურტყამს. წამოუწევია თავი შუღლას და: — მაინც მამკალ, სიკვდილო, შენი დედა კი ვატირეო!...

### მართალი ხმალი

კინოგადაღებაზე ამოსულან ერთხელ. ბუტაფორიული ქამარ-ხანჯლები დაჰკიდეს ხალხს. მასობრივ სცენაში შუღლაც წაიყვანეს. ვიღაცას გაუცინია: — ე. შუღლავ, რა ტყუილი ხმალი გკიდიაო!

— რა არი ტყუილიო?

— ტყუილი ხმალია, მა რა არი, შენ კიდე გამოსჭიმულ-გამოსჯგიმულხარ, ვითომ მართალიაო!

— ეს არის ტყუილიო? — ხმალი უძვრია შუღლას და თავზე დაუკრავს, გაუტეხნია თავი...

მეორე დღეს ისევ წავიდა შუღლა გადაღებაზე. ახლა სხვა კაცი შეხვედრია:

— ეგ რა გიქნია შუღლავ, ტყუილი ხმლით რომ თავი გაგიჩეხია იმ კაცისთვისო.

— ეს არი ტყუილი ხმალიო? — ახლა მეორე კაცისთვის დაუშვია ხმალი თავზე.

შუღლა სულ დევებს და ქაჯებს ეჭიდებოდა და ტყუილ ხმალს აიტანდა?

### მაძღარიცა და მშიერიც

მოხუცი იყო შუღლა. შეიკერა ცხვრის ტყავის თბილი ჯუბა. წამოწვებოდა ხოლმე იმით ზამთარში... აბა, რა უნდა გაეკეთებინა, თოვლი იყო და...

ცოლი დაუძახებდა:

— ადე, კაცო, იმუშავე, ვერა ხედავ, გაკეთდა ხალხი, ყველა საქმეს არის მოკიდებულიო.

— მაგი დედა კი ვატირე, მაძღარიც მოკვდა და მშიერიცო, — იტყოდა და გადაბრუნდებოდა მეორე მხარეს.

ფილოსოფოსი იყო შუღლაი.

### გულთაბოძები

ხანდახან მგონია, ჩოხი სიზმარში მომეჩვენა. როგორც არწივი დააკვდეს ბუდეს, ჩაიხვერფლოს, ჩაიფერფლოს და საბუდარიც გახმეს, ეგეთიღა არის ჩოხი. არწივის ნასაბუდრალი, დანგრეულ-ჩარღვეული სახლებით, კედლებითა და აქა-იქ ამოშვერილი გულთაბოძებით. გულთაბოძს ვეძახით დედაბოძს. სახლის გულს სჭირდებოდა გულთაბოძი. ჩუქურთმიანი იყო, ბორჯღალო ჰქონდა. ბავშვები ხელს ვერ შემოვუწვდენდით.

არის ორი ჩოხი: ახალი და ძველი. ძველი ჩოხი მთაზე იყო... ძველ ჩოხში სახლს რო აშენებდნენ, მთელი სოფელი შეიკრიბებოდა, სოფლის ხარებს შეჰყრიდნენ და ხეებს შორიდან ეზიდებოდნენ. რამდენიმე უღელ ხარს მოჰქონდა გულთაბოძი. იმ სახლების აშენებას არ შევსწრებივარ, დანგრევას შევესწარი.

ახალ ჩოხში რომ ჩამოვიდნენ, ძველი სახლები მიტოვებული დარჩა. გადმომთოვლი არავინ იყო. მძიმე თოვლი დააწვებოდა, ჩაანგრევდა ბანს. ნასახლარში რო მიხვიდე, აუცილებლად დაგხვდება გულთაბოძი და თავი ხე — დიდი ხე, რომელიც გულთაბოძზე იყო გადებული. თავი ხე ჩანგრეულია, მაგრამ გულთაბოძებს ვერაფერი ერევა...

რა ძალა იჭერს გულთაბოძს, არ ვიცი...

### ბექია

ჩოხელებს სალოცავში ჩვენი ხევისბრები გვყავდა. ერთი უშველებელი ტანის ხევისბერი იყო, ბექია ერქვა. ის გვიყვებოდა: — ბარის ქვეყანაში ვიყავი და ეს რა ვნახე, რა ხალხი ყოფილა ბარელებიო. მომიხარშეს ხინკალი ბარელებმაო, მოიტანეს დიდი თეფშით, დადგეს, ირგვლივ პატარა თეფშები შემოუწყვესო. ეს ბარელები დიდი თეფშიდან აიღებდნენ ხინკალს, დადებდნენ პატარა თეფშზე, მერე პატარიდან აიღებდნენ და შეჭამდნენო! ვერ გავიგე, რას აკეთებდნენ, მე პირდაპირ დიდი თეფშიდან ვიღებდი და ვჭამდიო.

საწყალი, ღრმა სიბერეში მაინცდამაინც მისგან დაწუნებულმა ბარის ქვეყანამ იმსხვერპლა. ოპერაცია გაუკეთეს და მაგიდაზე დარჩა.

ერთი შვილი დარჩა, ჭიჭყა ჰქვია. კარგი კაცია... მწყემსია. ნახევარი ფარა თავისთვის ჰყავს, ნახევარი — ხატისთვის. ხატში რომ მოდის, თითქმის მთელი ფარას წამოასხამს, რომ არავინ დარჩეს ხორცის გარეშე.

### უსახელო კაცი

ერთხელ, ბავშვობაში, ერთმა კაცმა წამასხმევინა ცხვარი ჩოხიდან ზემოთ. ვიცოდი, სად ცხოვრობდა ის კაცი. ვატარე ფარა მის სახლამდე, ამასობაში ღამდებოდა, ცხვარი სახლთან ახლოს დავუტოვე და შინ წავედი.

შუაღამისას ყვირილმა გამაღვიძა. ფარის პატრონი მოვიდა მთვრალი. ყვიროდა: — არ ვიცი, რას ვუზამ გოდერძის, ფარა დამიღუპაო. ჩხუბით წამიყვანა ცხვრების საძებნელად. თურმე ცხვარი იქვე, ახლოს, ხევში გაჩერებულა, სოფლისკენ არ წასულა... ცხვარი კი დავინახეთ, მაგრამ დათვიც არ გამოჩნდა?! მითხრა, არ გაიქცეო და კივილით გამოუდგა დათვს. დათვი გაიქცა, კაცი მობრუნდა ცხვრისკენ. მობრუნდა დათვიც. გაჩერდა კაცი, გაჩერდა დათვიც. გაეკიდა ყვირილით — გაიქცა. მე ცალკე დათვის მეშინია, ცალკე — იმ კაცის.

ბოლოს, მეც გადავრჩი, ფარაც, ის დათვიც წავიდა, მაგრამ მწარე მოგონებად კი დამრჩა.

იმ კაცის სახელსაც ამიტომ არ ვამბობ: უსახელო კაცი იყოს.

### ცივქედა

სიზმარივით მახსოვს პაპაჩემი. მეტსახელად ცივქედას ეძახდნენ. ბურსაჭირში ცხოვრობდა. ერთი ქედია, იქ უყვარდა წამოწოლა. ამბობდა თურმე: — ოჰ, რა კარგი ცივაი ქედიაო. სიცხეში წამოგორდებოდა ამ ქედზე. ამიტომაც დაარქვეს ცივქედა.

სასმელი უყვარდა პაპას. ბებიას სკივრში დაუმალავს ჟიპიტაური და ჯაჭვით ჩაუკეტია. ისე იყო, რომ ხელის ჩაყოფა შეიძლებოდა, მაგრამ ბოთლს ვერ ამოაძვრენდი. პაპას მოუწყვეტნია გრძელი ბალახი — მარსლი, რომელსაც გული ფუღურო აქვს. გადაუყვია სკივრში, ჟიპიტაურის ბოთლში და კოქტეილივით ამოუწრუპია.

მოვიდა ბებია და გაიკვირვა, სად იპოვა კაცმა სასმელიო... სკივრი დაკეტილი იყო, და...

### დაკემსილი წინდები

ალბათ ყველას ჰგონია, ბებიას მე ვუყვარვარ ყველაზე მეტადო. მეც ასე მეგონა. მეძახდა: — ჩემი თხისტყავიანი ბიჭიო. მერე მივხვდი, რატომაც. ლექსი უყვარდა: „თხის ტყავი გადიყრეინა, ჯაჭვი გამოჩნდა ტანზედაო“. ჩემზე ამბობდა, მაგარი ბიჭი იქნებაო...

დღემდე ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის...

პირველ კურსზე ვსწავლობდი. თავი მომწონდა, რომ თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი ვიყავი. ბებიას უპოვნია ჩემი დახეული წინდები. იცი, როგორ დამიკერა? ქუსლები გამოაჭრა — თეთრი მიტკალი გამოაკერა, კოჭები გამოაჭრა — თეთრი მიტკალი გამოაკერა, ბერა თითის ადგილიც გამოაჭრა და მიტკალი გამოაკერა.

შინ რომ ავედი, გამომიტანა, აი, შვილო, დაგიკემსე წინდები, დახეულით გივლია ბარშიო...

ვიუკადრისე: — მაგას როგორ ჩავიცვამ-მეთქი. გული ძალიან დასწყდა: შვილო, ეგრე კარგად დაგიკემსე და რატო არ ჩაიცმევო?

რა იყო, ბებიას დასანახად ჩამეცვა, მერე წავსულიყავი და გამეხადა... როგორ ეტკინა გული.

### დარდიანა

ბებიას ვგავარ, ახლა რო ვუკვირდები. ყველაფერი გავატარე ჩემს გულში და სულში „ადამიანის სევდიდან“ დაწყებული „ღვთის შვილებით“ დამთავრებული. ყველანაირი სევდა სულში გამოვატარე, ჩემმა სულმაც ველარ გაუძლო...

შვილიშვილები ეტყოდნენ: — ბები, გაზეთში ეწერა, ამერიკაში შუქი ჩაქრა, წყალდიდობა იყო, ხალხი დაიხოცაო.

ერთხელ ჩავედი, დარდიანი დამხვდა. რა იყო-მეთქი? რა და, მთელი ამერიკაო სუ რამეს გაუტიალებიაო! „ამერიკას“ ჩვენში მატერიას ეძახდნენ. ვიფიქრე, ალბათ ის დაუხია ვინმემ-მეთქი. იმან კი — გაზეთი წამიკითხესო... ტრამვაი ველოსიპედს დაჯახებიაო...

ბოლოს დამიძახა: — შენ არ შეგეშინდეს, მე უნდა მოვკვდეო. სიკვდილისა მეშინიან... იქ არაყი იქნება, ჭიქაში ჩამომისხი, რომ არავინ დაგინახოს და მომეცი, ცოტა გული გავიმაგროო.

გულადი იყო ბებია.

### მანგლისი-ჩოხი

ეს ამბავი მანგლისში მომხდარა. ისე მომეწონა, რომ ისე მოგიყვები, ვითომ ჩოხში მოხდა. ერთი მასწავლებელი ყოფილა — ვასილა. დალევა ჰყვარებია ძალიან. შინიდან სკოლაში მიმავალი, ჩამოივლიდა სოფელს. ყველა დაუძახებდა: — ვასილა, აბა შემოდი, როგორ სწავლობს ჩვენი ბალღიო?

— არა უშავსო.

— შემოდი, ერთი ჭიქა დაგვილიეო..

ვასილაც უარს არ იტყოდა და სკოლაში მთვრალი მიდიოდა. დირექტორს უსაყვედურნია. ვასილამ: — აბა, რა ვქნა, სოფელში ჭიქას მაწვდიან და ვსვამო.

— შენც სოფელ-სოფელ ნუ დადიხარ, ხევხევ იარეო.

დაიწყო ხევ-ხევ სიარული. წყალკურთხევის დღეს კი მთელი სოფელი ხევზე გავიდა, მდინარის პირას მიცვალებულებს შენდობა უთხრეს. ვასილამ ჩამოიარა ხევ და ხევ, სოფელიც იქ დახვდა. დალია კიდეც, სკოლაში შევიდა შეზარხოშებული. დაჯდა დირექტორთან და სევდით თქვა: ეგეც შენი ხევ და ხევო...

***ჩაიწერა ლელა ჯიყაშვილმა***

მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების საყურადღებოდ!

ს ტ ი პ ე ნ დ ი ე ბ ი!

19 სექტემბრიდან ყოველ კვირა დღეს ტელეკომპანია „მზემე“,

„ეტალონი“ — ყველაზე ეროვნული მედიაპროექტი.

მიიღეთ მონაწილეობა! ორშაბათობით იკითხეთ ჟურნალი „რეიტინგი“,
შეავსეთ „ცოდნის კუპონი“ და ჩაერთეთ საგანმანათლებლო-შემეცნებით პროექტში.

თქვენ 1-წლიანი ყოველთვიური სტიპენდია გეკუთვნით!

*პროექტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ხორციელდება.*

რეიტინგი

შეხვედრამდე „მზემე“

# 13-დან 19-მდე



## გიყვარს სწავლა?

**1. სეირნობისას რა მიიპყრობს ყველაზე მეტად შენს ყურადღებას?**
ა) ახალი მაღაზია;
ბ) ყვავილები, რომელიც ადრე არ შეგიმჩნევია;
გ) არაფერი, მთავარია, სუფთა ჰაერით ვისუნთქო.

**2. დღეს გაცილებით მეტი იცი, ვიდრე სამი წლის წინ?**
ა) არა, განათლებაზე დროს არ ვკარგავ;
ბ) ცხოვრებამ მეტი გამოცდილება შემძინა;
გ) რა თქმა უნდა, საჭიროა მომხდარი მოვლენების კურსში ვიყო.

**3. მსახიობების ფოტოებს ათვალიერებ, შეგიძლია მათი სახელი და გვარი დაასახელო?**
ა) რა თქმა უნდა, ეს სულაც არ არის რთული;
ბ) ყველას ვერ დავასახელებ;
გ) ალბათ შევძლებ.

**4. იოლად ეგუები ახალ გარემოსა და ადამიანებს?**
ა) დიახ და ვფიქრობ, ეს საინტერესოც არის;
ბ) ამისთვის დროა საჭირო;
გ) ყოველთვის პრობლემები მაქვს.

**5. გინდა თუ არა, ვთქვათ, ჩინეთის კედლის ნახვა?**
ა) ძალიან, მაგრამ ფული არ მაქვს, რომ წავიდე;
ბ) არა, რატომ უნდა მაინტერესებდეს ჩინეთი;
გ) შეიძლება, მოგვიანებით ვნახო.

**6. ყიდულობ ან თხოულობ წიგნებს შენთვის საინტერესო თემაზე?**
ა) თუ რამემ დამაინტერესა, ასე ვიქცევი;
ბ) არა, არ მრჩება დრო წიგნის წასაკითხად;
გ) წიგნი მომქანცველი დღის შემდეგ საუკეთესო განმტვირთველია.

**7. შეგიძლია თუ არა მოსაუბრის თვალებში მისი აზრის ამოკითხვა?**
ა) თუ მოვინდომებ, კი;
ბ) დიახ, მუდამ ფხიზლად ვარ;
გ) არა, რაში მჭირდება.

**დაითვალეთ ქულები**

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა) | 1 | 3 | 2 | 2 | 2 | 1 | 1 |
| ბ) | 2 | 1 | 3 | 1 | 3 | 3 | 2 |
| გ) | 3 | 2 | 1 | 3 | 1 | 2 | 3 |

**7–11 ქულა — შენ ნაჭიერი ხარ და ცოდნის შეძენას ესწრაფვი. ამიტომ თავისუფალი დრო ნაკლებად გრჩება. შეეცადე საქმე რაციონალურად გაანაწილო.**
**12–16 ქულა — ცხოვრებას პრაგმატულად უდგები და ყველაფრიდან რაღაც სასარგებლოს იღებ. ასე გააგრძელე!**
**17–21 ქულა — ნებისმიერ წიგნს ტელევიზორთან ჯდომას ამჯობინებ. დაფიქრდი, რამდენი მშვენიერი რამ არსებობს, რასაც ვერ ამჩნევ.**

*გვერდი მოამზადა ლია იაკობაშვილმა*

## აჯობებდა, ქართველი ტინეიჯერები მიზანსწრაფულები და დამოუკიდებლები იყვნენ



*თამუნა აბაკელია დედასთან ერთად*

მოსკოვის დიდი თეატრის საბალეტო დასის წევრი 18 წლის ქართველი გოგონა გახდა. თბილისელი **თამუნა აბაკელია** გახარებულია, თუმცა იმ უდიდეს პასუხისმგებლობასაც აცნობიერებს, რომელსაც ამ სახელოვანი თეატრის სოლისტობა აკისრებს. იოლი არ არის ცეკვავდე იქ, სადაც საბალეტო ხელოვნების სახელგანთქმული ოსტატები მოღვაწეობდნენ და სადაც თაყვანს სცემენ მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავს, ნინო ანანიაშვილს, — მიაჩნია თამუნა აბაკელიას, რომელიც შესანიშნავი ქორეოგრაფიული მონაცემებით, სასცენო გარეგნობითა და გონიერებითაც გამოირჩევა.

— 10 წლის ვიყავი, როცა მე და ჩემი და ხელოვნების სკოლაში შეგვიყვანეს. რადგან კარგი საბალეტო მონაცემები მქონდა, ერთი წლის შემდეგ პედაგოგების რჩევით მშობლებმა ქორეოგრაფიულ სასწავლებელში გადამიყვანეს. მაშინ არც ვიცოდი, რამხელა შრომა სჭირდებოდა ბალეტს — მხოლოდ ნინო ანანიაშვილი, ირმა ნიორაძე და სცენა მედგა თვალწინ. ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ვცეკვავდი სპექტაკლებში, გამოსაშვებ კონცერტებში. ხუთი წლის შემდეგ, სოლიკო ვირსალაძის იუბილეზე თბილისში ჩამოვიდა ცნობილი ბალეტმაისტერი იური გრიგოროვიჩი, რომელმაც ჩაიკოვსკის „მაკნატუნა“ დადგა. მე პატარა მაკნატუნას როლი მომცეს. პრემიერაზე ნინო ანანიაშვილთან ერთად ვიცეკვე. „მაკნატუნას“ შესრულების შემდეგ, გრიგოროვიჩის რჩევით, მოსკოვის ქორეოგრაფიულ აკადემიაში ჩასაბარებლად გავემგზავრე.

**— მშობლებს არ გაუჭირდათ შენი გაშვება?**

— როგორ არა. განსაკუთრებით, მამაჩემს. ვამშვიდებდი, იქნებ არც მიმიღონ, მაინც ბედს ვცდი-მეთქი. გამიმართლა და ჩავირიცხე ცნობილი პედაგოგის, მარინა ლეონოვას კლასში, რომელიც მოგვიანებით აკადემიის რექტორიც გახდა.

**— ალბათ ახალ გარემოს ძნელად შეეგუე...**

— მშობლებზე მიჯაჭვული ბავშვი ვიყავი, ამიტომ თან მამიდა გამაყოლეს. მეგონა, მოსკოვში ყველა სიხარულით შემეგებებოდა, მაგრამ სავსებით უცხო გარემოში მოვხვდი, ამასთან, სწავლაც რუსულად უნდა გამეგრძელებინა. აკადემიაში სიმკაცრე იყო, სასკოლო საგნებიც ისევე უნდა გვესწავლა, როგორც ჩვეულებრივ სკოლაში ვსწავლობდით.

**— წარმომიდგენია, აქაურობა როგორ გენატრებოდა?**

— დიახ, თავიდან ტელეფონით ჩვენებთან საუბრისას ვტიროდი...

აკადემიაში სწავლისას დავრწმუნდი, არც ერთი ქვეყნის ბალერინას არა აქვს ისეთი ხიბლი და ტემპერამენტი, როგორიც ქართველს. ეტყობა, ეს ქართული გენის დამსახურებაა, თორემ მსოფლიოში ბევრი კარგი საბალეტო სკოლაა, შესანიშნავ ბალერინებსაც ზრდიან. ფანტასტიკური ტექნიკა აქვთ, მაგრამ იმპროვიზაციის არაორდინარული უნარი მხოლოდ ნინოს და ირმას აქვთ. ეს მათი ქართული ხასიათისა და ქართველობის ბრალია, რასაც შესანიშნავად გრძნობს მაყურებელი.

**— ბალერინები ბავშვობიდანვე ცეკვით არიან დაკავებული და გასართობად თითქმის არ სცალიათ. შენ როგორ უთავსებდი ერთმანეთს ბავშვობას და ბალეტს?**

— ცელქი ვიყავი და მიჭირდა იმასთან შეგუება, რომ ჩემი ამხანაგები 2 საათზე ამთავრებდნენ სკოლას და მერე გართობა შეეძლოთ. მე საღამოს 7 საათზე ვამთავრებდი მეცადინეობას. იმდენად დაღლილი ვიყავი, რომ არაფრის თავი აღარ მქონდა. თუმცა, არასოდეს დამიწუწუნია. ეს პროფესია ხომ თვითონ ავირჩიე. თუ გინდა რამეს მიაღწიო, პირადი ცხოვრება გვერდზე უნდა გადადო... მოსკოვმა ძალიან შემცვალა.

**— რას გულისხმობ, უკეთესი განათლება მიიღე?**

— დიახ, მაგრამ რაც მთავარია, დამოუკიდებელ ადამიანად ვიქეცი. როცა მშობლები თავს გევლებიან, ეს ძნელია. დამოუკიდებლობა პასუხისმგებლობის გრძნობას ამძაფრებს. განებივრებულ ბავშვში შეიძლება ნიჭი ისე ჩაკვდეს, რომ არც კი გამომჟღავნდეს. იცით, მამაჩემი როგორი ყურადღებიანია? სცენაზე გასვლამდე იმდენჯერ დამირეკავს — გახვედი სცენაზეო? მერე კულისებში დაბრუნებული ვაბარებ ანგარიშს ტელეფონით. ეს განებივრება როდია, პასუხისმგებლობაა.

**— თანატოლებზე, ქართველ ტინეიჯერებზე რას იტყვი?**

— უპირველესად იმას, რომ ქართველები ბევრად მეგობრული და გულღიები არიან, ვიდრე რუსები. სამაგიეროდ, ჩემი რუსი თანატოლები უფრო საქმიანები და მიზანდასახულები არიან. ქართველი ტინეიჯერები მეტად დამოკიდებული არიან მშობლებზე — ბევრი მხოლოდ მშობლების აზრს ეყრდნობა. რომ იცოდნენ, კონკრეტულად რა სურთ, ბევრად უფრო საინტერესო იქნებოდა მათი ცხოვრება.

**— თამუნა, დიდ თეატრში როგორ მოხვდი?**

— დიდი თეატრის ძველი შენობის გვერდით ახალი შენობა აიგო, ძველში კი ორწლიან სარემონტო სამუშაოებს იწყებენ. ამის გამო დასს ანახევრებენ და არ გვეგონა, წელს აკადემიიდან ახალ მოცეკვავეებს თუ აიყვანდნენ. არადა, ამაზე ვოცნებობდით. აკადემიაში სახელმწიფო გამოცდები სცენაზე ტარდება, სხვადასხვა თეატრის ხელმძღვანელები მოდიან და ირჩევენ ბავშვებს. უამრავ თეატრში მიმიწვიეს, გარდა დიდი თეატრისა. გული მისკდებოდა, რა იქნება-მეთქი. ერთ დღეს კი განცხადებაში ჩემი სახელი და გვარი რომ ამოვიკითხე, სიხარულისგან ლამის გული გამიჩერდა. ღმერთმა გადმომხედა. ვფიქრობ, თუ რამ კარგი ხდება ჩემს ცხოვრებაში — უფლის წყალობაა.

**— შენს ქართულს რუსული აქცენტი არ დაჰკრავს. ე. ი. რუსულ გარემოში ყოფნამ შენზე გავლენა ვერ მოახდინა.**

— ვერც მოახდენს. ძალიან მიყვარს კითხვა. ვკითხულობ რუსულ ლიტერატურას და, რა თქმა უნდა, ქართულს. ჩემი სამაგიდო წიგნია კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“.

საქართველოში არასდროს ვლაპარაკობ რუსულად. სულ ვაკონტროლებ თავს, რომ ქართულში რუსული სიტყვები არ გავურიო.

*ეკა ლომიძე*

## საყვარელო „პალიტრავ“

### გამოხმაურება

*ძვირფასო ანი*

„კვირის პალიტრის“ 23-ე ნომერში გამოქვეყნდა შენი წერილი სათაურით — „არ დამიჯერა და ცემა დამიწყო“. წერილში მოთხრობილმა ამბავმა ძალიან მატკინა გული და გადავწყვიტე, ჩემი მოსაზრება გამეზიარებინა. რა თქმა უნდა, ცემა-ტყეპა აღზრდის მეთოდი სულაც არ არის, მაგრამ ალბათ დასაფიქრებელია, რამ გამოიწვია მამაშენის ასეთი რეაქცია. ჩვენი ახლობლების ნებისმიერი საქციელის მიღმა აუცილებლად დადებითი მიზანი იმალება. მაგრამ ხშირად ამას ვერ ვაცნობიერებთ, არც ვცდილობთ მის დანახვას და დასკვნებსაც მხოლოდ რეაქციების მიხედვით ვაკეთებთ. შენი თქმით, მამა უმიზეზოდ გაგიწყრა და ისე გცემა, რომ ტვინის შერყევა მიიღე. გასაგებია, რომ განაწყენებული და აღშფოთებული ხარ. კითხულობ, როგორ შეიძლება მშობელს შვილის ჯანმრთელობა არაფრად ულირდესო. მამაშენს რომ შენი კეთილდღეობა არაფრად ულირდეს, არც იმ უცნობი ბიჭის გამო ექნებოდა ასეთი მძაფრი რეაქცია. მოდი, ერთად ვიფიქროთ, რატომ მოიქცა შენი მშობელი ასე, რისი მიღწევა უნდოდა და რა ჰქონდა განზრახული. მისი უპირველესი მიზანი უთუოდ შენი დაცვა იყო იმ ათასგვარი ფათერაკისგან, რასაც ქუჩაში შეიძლება წააწყდეს ადამიანი. მაშასადამე, მამას უყვარხარ და ამაში დაეჭვება არ შეიძლება. მას მეტი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს და უკეთ იცის, რა საფრთხე შეიძლება ემუქრებოდეს 14 წლის მიამიტ გოგონას.

რაც შეეხება სასჯელს, ანუ შენთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მოყენებას,



ეს უკვე მამას დაფარული მიზნის (ანუ შენთვის საფრთხის თავიდან აცილების) განხორციელების გზაა და გეთანხმები, იგი მცდარია. ალბათ, ჯობს, წყენა და ტკივილი ორივემ დაივიწყოთ, დასხდეთ და ერთმანეთს გულახდილად დაელაპარაკოთ მომხდარის შესახებ. და რაც მთავარია, შეეცადეთ ერთმანეთს გაუგოთ. ეს თქვენს ურთიერთობას გააუმჯობესებს. წყენის გულში ჩატოვება და ამ გრძნობით ცხოვრების გაგრძელება არ შეიძლება.

*გიორგი მამალაძე, 20 წლის, თბილისი*

ანი, მე შენი თანატოლი ვარ. 14 წლისა ამ ზაფხულს შევსრულდი. დედა და ბებია მზრდიან. მამა სრულიად არ მახსოვს — ძალიან პატარა ვიყავი, რომ გარდაიცვალა. შენს წერილზე ბევრი ვიტირე, მაგრამ იმის გამო კი არა, რომ გცემეს, არამედ იმიტომ, რომ მამის მიმართ ასეთ სიძულვილს ამჟღავნებ. ნეტავ მამა მყავდეს და ყოველდღე მიბრაზდებოდეს. სამაგიეროდ, ვერავინ ამიგდებდა აბუჩად და ვერც დამჩაგრავდა. მამაჩემი საკადრის პასუხს გასცემდა!..

არც კი იცი, რა ბედნიერი ხარ, რომ ორივე მშობელი გყავს.

*ნინო დვალი, თბილისი*

### კრუზი და კიდმანი კვლავ ერთად არიან?..

**ძვირფასო რედაქცია, თქვენს გაზეთში, რუბრიკაში „13-დან 19-მდე“, ხშირად იბეჭდება ახალი ამბები ცნობილი ადამიანების შესახებ. მართალია, რომ ტომ კრუზი პენელოპა კრუსს დაშორდა და ყოფილ ცოლთან შერიგებას აპირებს, თუ ეს მხოლოდ მონაჭორია?**

***ნონა კაპანაძე, ჭიათურა***

დიახ, დღეს ისინი ერთად არიან, მაგრამ ოჯახური იდილია შესაძლოა მხოლოდ ერთი თვე გაგრძელდეს. საქმე ის გახლავთ, რომ ვარსკვლავების ნაშვილებმა ბავშვებმა მამას ზაფხულის გატარება ნიკოლის სამშობლოში, ავსტრალიაში, სთხოვეს. „როცა ბავშვები ნიკოლ კიდმანთან არიან, მათ მამიკო ენატრებათ და პირიქით“, — ამბობენ ოჯახის მეგობრები. თავად ნიკოლმა პრესას განუცხადა, რომ ეს არდადეგები გავლენას ვერ მოახდენს ყოფილ ქმართან ურთიერთობაზე.





# სკანვორდი ფრაგმენტებით





- 1 მუშაობა უქმე დღეს
- 2 ქართული ტაძარი თურქეთში
- 3 თბილისის მათემატ. სკოლა
- 4 მულტ-ფილმი „... დამაცადე“
- 5 ძროხა დაფეხმძიმდა, ანუ ...
- 6 თვით-მკვლელი მფრინავი
- 7 ემილ ზოლას რომანი
- 8 სოფელი თელავის რაიონში
- 9 შოკოლადის ხე
- 10 რომაელთა სამოსი
- 11 მიწის ქალღმერთი
- 12 სიკო დოლიძის ფილმი
- 13 ასასვლელ-ჩასასვლელი
- 14 არტურო ...
- 15 ზევსის ფარი
- 16 ნოტი
- 17 ხეებით მოსილი ადგილი
- 18 ავღანური ენა
- 19 მდინარე თბილისში
- 20 ამერიკელი მოდელი ... კროუფორდი
- 21 იაპონური თეატრი
- 22 მილანის ფეხბურთელი
- 23 ქართული ფული
- 24 მდინარე აზიაში
- 25 კურორტი აშშ-ში
- 26 ხასიათი, ზნე
- 27 მაუგლის მეგობარი
- 28 შეჯიბრი ავტომობილებით
- 29 რუსი მომღერალი
- 30 ... ჩიანელი
- 31 შესაძლებელი შედეგი სპორტში
- 32 საუკეთესო ხარისხის ყავა
- 33 საათის ჩვენება
- 34 ყვავილი
- 35 ხელოვნური ენა
- 36 ნოტი
- 37 პურის ნატეხი
- 38 ზღვის ყურე
- 39 ქართველი მსახიობი ... აბაშიძე
- 40 დაკოდილი ხარი
- 41 მდედრი ცხოველი
- 42 ორი წერტილი კამათელზე
- 43 ფრანგი ფიზიკოსი
- 44 ესპანელი მხატვარი
- 45 კედლის შანდალი
- 46 ამერიკელი მსახიობი
- 47 ლოკატორი
- 48 სვე
- 49 ევროპული ფული
- 50 ძაფზე აცმული რაიმე
- 51 კარაქის ნარჩენი სითხე
- 52 რისამე საფუძველი, საყრდენი
- 53 ესპანელი მხატვარი
- 54 ... ნიორაძე
- 55 მტაცებელი ფრინველი
- 56 შემახილი ქართულ ცეკვაში
- 57 ქალწულობის ქალღმერთი
- 58 ქალაქი უკრაინაში
- 59 პოლონელი ქალბატონი
- 60 ... რაიანი
- 61 შეგრძნება
- 62 მაღალი ხე







**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. ჯეზვი; 2. თეირანი; 3. ზვირთი; 4. ვიდეო; 5. ვიგო; 6. მაისი; 7. ბურიმე; 8. ფარაონი; 9. თეფში; 10. ინ; 11. ნოე; 12. კუნთი; 13. აზუ; 14. ანი; 15. აული; 16. მანეკენი; 17. შიო; 18. ანაშა; 19. დრო; 20. იისფერი; 21. ფარულავა; 22. ფარდა; 23. შანი; 25. დაუ; 25. რაზმაძე; 26. ზურგი; 27. მენიუ; 28. როლანდი; 29. ონაგრი; 30. რომა; 31. კაეშანი; 32. იბერია; 33. ფენი; 34. ბერია; 35. ასაკი; 36. ავი; 37. კლეი; 38. ბუ; 39. ბარდო; 40. ლა; 41. ალისა; 42. ბედი; 43. ბოუი; 44. რუ; 45. ანა; 46. ტუ; 47. ლირი; 48. ონი; 49. კოლი; 50. ნიდაო; 51. ალ; 52. დო; 53. ჭოროხი; 54. ადა; 55. ფიბა; 56. ირინა; 57. გონა; 58. გოლი; 59. შინკა; 60. რადა; 61. ფიდერი; 62. რგოლი; 63. ჭო; 64. როჭო; 65. ეკა; 66. კა; 67. პინო; 68. არკადი.

პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები

შეადგინა რამაზ ბლანიძე

# მსოფლიოს №1 ტერორისტი სვანურად ლაპარაკობს(!)



## „ФСБ-ის გენერლები მოდიოდნენ ჩემთან სურათის გადასაღებად“

## „გზაზე ერთი წუთით გვიან ან ადრე რომ გადავსულიყავი, ჩემი ცხოვრება სხვანაირად წარიმართებოდა“

„კვირის პალიტრა“ სენსაციურ, ექსკლუზიურ მასალას გთავაზობთ — მსოფლიოს ნომერი პირველი ტერორისტი უსამა ბინ ლადენი სვანურად ლაპარაკობს. მალე მთელი მსოფლიო მოისმენს, თუ როგორ მოძღვრავს იგი თავისი ბანდის წევრებს სვანურად. მანამდე კი აშშ-ის დაუძინებელი მტრის შესახებ ქართველი მსახიობი **სოსო ჯაჭველიანი** ესაუბრება „კვირის პალიტრას“. მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი გულნატკენია საქართველოში მკლავჭიდელების მიმართ გამოჩენილი უყურადღებობით. ჩვენი ინტერვიუც ამით დაიწყო.

— ერთ-ერთ ჟურნალში დაიბეჭდა სტატია სათაურით „მკლავჭიდის საიდუმლოებანი“. ჟურნალისტი არმრესლინგზე წერს. აშკარად, ინტერნეტიდან ამოღებული მასალაა. გავბრაზდი. მთელ მსოფლიოში არმრესლინგად ცნობილ სპორტს ქართული ძარღვიანი შესატყვისი აქვს — მკლავჭიდი. დაწერე რა ეს სიტყვა, რას მეტიჩრობ?! წერს, ჯონ ბზენკი (კინოფილმში „მთელი ძალით“ სტალონეს პარტნიორი) და კიდევ სხვა ამერიკელები მკლავჭიდის ვარსკვლავები არიანო. ყველა ვარსკვლავი რომ დამარცხებული ჰყავთ ქართველებს, ამაზე არაფერს ამბობს. ბზენკს ზაურ ცხადაძემ და ერეკლე გურჩიანმა იცით, რა უქნეს? 1993 წელს აშშ-ში მსოფლიო ჩემპიონატზე ვიყავით, მძიმეწონოსანთა ფინალში ორი ქართველი ხვდებოდა ერთმანეთს. 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა, მაგრამ 28 სექტემბერს მსოფლიომ იცოდა, რომ დედამიწის ზურგზე ყველაზე მაგარი ხელები ორ ქართველს ჰქონდა. ევროპის გუნდურ ჩემპიონატში რვაჯერ გავხდით ჩემპიონები, სამჯერ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოვიპოვეთ. ერთ მსოფლიო ჩემპიონატზე 9 ოქროს მედალი გვაქვს აღებული. მკლავჭიდის თემაზე თუ მუშაობ, ქართველმა ამაზე უკეთესი რა უნდა დაწეროს?

**— ახლახან კიდევ ერთი სერიოზული წარმატება მოიპოვა თქვენმა გუნდმა. ოლიმპიურ თამაშებში არ მონაწილეობთ?**

— ევროპის ჩემპიონატზე ვიყავით, სადაც სამი ოქრო, ორი ვერცხლი და სამი ბრინჯაო ავიღეთ. სამწუხაროდ, მკლავჭიდი ოლიმპიურ სახეობას არ მიეკუთვნება. გვეუბნებიან, ოლიმპიურ თამაშებში რომ მონაწილეობდეთ, მოგხედავდითო. ეს რა შუაშია? ოლიმპიურ თამაშებში გოლფი არ შედის, მაგრამ შარშან ამერიკელმა ტაიგერმა ერთ წელიწადში გააკეთა 70 მლნ დოლარი. რაშიც დიდ ფულს გააკეთებ, ყველა საქმეს უნდა მიხედო. ასე რომ იყოს, ახალი წლის წინა დღეებში ჩემი მსოფლიო ჩემპიონები აღარ იტყვიან — ცოლი დამცინის, ხელი ვისთვის აღარ გადაგიწევია, სადღესასწაულოდ კი 20 ლარიც არ გაქვსო. ეს ტრაგედიაა. ძველ პრეზიდენტს რამდენჯერაც ვთხოვეთ დახმარება, დაგვეხმარა. ახლაც ყოველ წამს ხომ არ ვირბენთ პრეზიდენტთან? ნოემბერში მსოფლიო ჩემპიონატია. გზის ფულის გარდა, არაფერს ვითხოვთ. ჰიმნსაც ვაჟკაცურად დავამღერებთ და ქვეყანასაც გავახარებთ. სპორტულ დარბაზსაც კი გვედავებიან. ნუთუ ერთი ოთახი არ გვეკუთვნის? იცით, როგორ ვამაყობ ჩემი ბიჭებით? ერთი დაგანახვათ ისინი ჩემპიონატების შემდეგ ბანკეტებზე. ყველა გიჟივით გარბის შვედური მაგიდისკენ. ჩემი ბიჭები კი დარბაისლურად, აუჩქარებლად მიდიან და ბოლოს... მშივრები რჩებიან. სხვებს ეპატიჟებიან — მიირთვით, გაამოთო, იქაც მასპინძლები არიან. აი, იქ მიხვდებით, რომ ქართველი სხვა ჯიშია. სხვანაირი მოვლა უნდა. იქ უფრო გვაფასებენ,

**ბოლო სიტყვა მომცეს. ავდექი და ვთქვი, — დიდ ბოდიშს ვიხდი იმისათვის, რაც მოხდა, მაგრამ ჩვენ იმ ჯიშს და ჯილაგს ვეკუთვნით, როცა მამას თვალწინ გვილახავენ, მოძალადის მტყუანმართლობა აღარ გვაინტერესებს, თუმცა ბულგარელი იყო დამნაშავე-მეთქი. დასცხეს ტაში და შეჯიბრში მონაწილეობის უფლებაც მოგვცეს.**

ამიტომაც დაგვდევენ რეპორტიორები კამერებით.

**— თუმც ერთხელ თქვენი ნაკრების შეჯიბრიდან მოხსნის საკითხი მაინც დადგა.**

— ერთი არამზადა ბულგარელის გამო. ვახტანგ მუსელიანს უმიზეზოდ გაარტყა. მამა გაგვილახეს, ამას მოვითმენდით? დავცხეთ, კინაღამ მოვკალით. შეიკრიბა ევროპის ფედერაცია და დაიწყო ბჭობა ჩვენი შეჯიბრიდან მოხსნის შესახებ. გაგვკიცხეს. 19 ქვეყნის წარმომადგენელმა დაუჭირა მხარი მოხსნას. ხუთმა — ინგლისმა, საფრანგეთმა, ესპანეთმა, იტალიამ და გერმანიამ — თავი შეიკავა. ბოლო სიტყვა მომცეს. ავდექი და ვთქვი, — დიდ ბოდიშს ვიხდი იმისათვის, რაც მოხდა, მაგრამ ჩვენ იმ ჯიშს და ჯილაგს ვეკუთვნით, როცა მამას თვალწინ გვილახავენ, მოძალადის მტყუანმართლობა აღარ გვაინტერესებს, თუმცა ბულგარელი იყო დამნაშავე-მეთქი. დასცხეს ტაში და შეჯიბრში მონაწილეობის უფლებაც მოგვცეს. ერთმა ინგლისელმა მკლავჭიდელმა მითხრა, ის ბულგარელი რომ არ გეცემათ, თქვენზე შთაბეჭდილება წამიხდებოდაო. ასეა, მაგარი და მართალი კაცი ყველას მოსწონს.

**— თქვენსავით თქვენი ჩემპიონებიც ხომ არ მისდევენ სოფლის მეურნეობას?**

— ყველას ხომ არ შეუძლია გოჭების მოვლა? ფარული კამერით რომ გამომყვეს ვინმე, ბევრ სახალისო რამეს გადაიღებს. კინოსტუდიიდან აგარაკზე გავრბივარ. ერთიანად ქატოში ვარ ამოგანგლული, გოჭებს და კრუხწიწილას გამოკვება უნდა. ყველაფერი ეს დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

**— ძალიან ახალგაზრდულად გამოიყურებით, თითქოს „ნატვრის ხეში“ გედიას თამაშის შემდეგ არც კი შეცვლილხართ...**

— ჩემმა ცოლმა კარგა ხანს ვერ გაიგო, რამდენი წლის ვიყავი. სხვადასხვა პასპორტი მქონდა და ყველაში სხვადასხვა დაბადების თარიღი ეწერა. ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო — სპორტსმენებს ასაკს ხშირად „უცვლიდნენ“. 1994 წელს შვედეთში მსოფლიო ჩემპიონატზე მივემგზავრებოდით. მე და ჩემმა მეგობარმა ვახტანგ მუსელიანმა დავიანგარიშეთ — სტოკჰოლმში გადაფრენა-გადმოფრენა 300 დოლარი ჯდებოდა 25 წლის ასაკზე ქვევით, ზევით — 400. ვახტანგს ვუთხარი, თვრამეტკაციან დელეგაციაში ყველას რომ გადავუკეთოთ ასაკი, 1.800 დოლარს დავზოგავთ-მეთქი. ჩამოვწერეთ სია და ყველას მივუწერეთ ასაკი. მე ვითომ 1973 წელს ვიყავი დაბადებული. დახედა სიას მეუღლემ და გადაირია, შენ რა, ჩემზე ერთი წლით უმცროსი ხარო? გაიქცა, ჩართო „ნატვრის ხე“, ფილმის დასასრულს გადაღების თარიღი, 1976 წელი ნახა და მეკითხება: თუ 1973 წელს დაიბადე, ამ ფილმში სამი წლისას რატომ არ ჰგავხარო.

**— როგორც გავიგე, უსამა ბინ ლადენის როლი შემოგთავაზეს.**

— რუსებმა ერთბაშად ორ ფილმში მიმიწვიეს. კომუნისტების დროს განებივრებული ვყავდი რუს რეჟისორებს. ახლა სერიალს იღებენ ესენინზე. ვთამაშობ ვინმე მგელაძის როლს, რომელიც ესენინის დროს თურმე „სოიუზპეჩატის“ ხელმძღვანელი იყო და ტვინს უბურღავდა პოეტს, კომუნიზმის ბელადებზე წერეო. მეორე მხატვრულ ფილმს ნორდ-ოსტ-ზე იღებენ ФСБ-ის დაკვეთით. მე ჩეჩნების ლიდერის როლი უნდა მეთამაშა. წავედით გადასაღებ მოედანზე. გამიკეთეს გრიმი და გავოგნდი კაცი — ალი-კვალი ბინ ლადენი ვიყავი. ვიცქირები სარკეში და ხმას ვერ ვიღებ — უსამა ვარ აშკარად. რეჟისორი სიხარულისგან აღრიალდა. სასწრაფოდ შეცვალეს სცენარი. ФСБ-ის გენერლები მოდიოდნენ ჩემთან ფოტოების გადასაღებად.

**— სვანურად რატომ აალაპარაკეთ უსამა?**

— აბა, რა მექნა? მომცეს ტექსტი, არაბული უნდა ისწავლოო. რა ისწავლიდა იმას. მონიტორზე დამიწერეს ტექსტი, ვკითხულობდი, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. ოპერატორს ვთხოვე, მოდი, ჩემებურად გავაკეთებ-მეთქი. არაბული ტექსტის შინაარსი ქართულად ვიცოდი. დაიწყო გადაღება და მე, უსამამ, ჩემი ტერორისტების დამოძღვრა სვანურად დავიწყე(!), შიგადაშიგ ალაჰს ვახსენებდი „ალაჰს ხოს გდიმაასა, ალა ელი, ალაჰ ითეეთი“. რომ მოვრჩი, რეჟისორმა ტაში დასცხო, ვა, რა მაგარია, არაბული როგორ ისწავლე ორ წუთშიო. რა არაბული, ჟენია, სვანურად ვლაპარაკობდი-მეთქი. ასე იქცა სვანად უსამა ბინ ლადენი.

**— ერთ დღეს უსამამ თვითონ რომ დაგირეკოთ და გითხრათ, ვის ამასხარავებო, რას უპასუხებთ?**

— ვეტყვი, მადლობელი უნდა იყო, რომ განგასახიერე-მეთქი. რეჟისორს ვუთხარი, უსამას იმ შემთხვევაში ვითამაშებ, თუ უზნეოს არაფერს ჩაწერთ სცენარში-მეთქი.

**— სოსო, როგორც ვიცი, კინოფესტივალებზე მიგიპატიჟეს როგორც რეჟისორი, თქვენი ფილმის წარმატების იმედი გაქვთ?**

— წავიღებ ფილმს, რომლის სცენარმაც შარშან კინოცენტრში გაიმარჯვა. მე და ჩემმა ძმამ ჩვენივე შექმნილ კინოსტუდია „თეთნულდში“ გადავიღეთ. მიყვარს ეს ფილმი, მისი სცენარი 16 წლისამ დავწერე რეზო გაბრიაძესთან ერთად. დავწერე ბიჭზე, რომლის პირველი სიყვარული ველოსიპედი იყო. მის საყიდლად ფული რომ მოეგროვებინა, ფურნეში დაიწყო მუშაობა. ხელფასს რომ აიღებს, ფურნე აუფეთქდება და ფულს წაართმევენ, დანარჩენს ფილმში ნახავთ.

**— ყველაფერი ეს თქვენ გადაგხდათ?**

— აბა, რა. თვითონ რაც გაქვს გამოცდილი, ყოველთვის ის გამოდის მაგარი. მიყვარს ცხოვრება, კარგად ვიცი სიყვარულის და წამის ფასი. ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი ერთმა წამმა გადაწყვიტა. ფიზკულტურის ინსტიტუტში ქიმიის გამოცდაზე ჩავიჭერი. საბუთები უნდა გამომეტანა, გზაზე რომ გადავდიოდი, შავი „ვოლგით“ ვახტანგ ბალავაძე და გურამ სალარაძე გაჩერდნენ, სპეციალობაში გამოცდიდან ვახსოვდი გურამს. სახელი არ იცოდა, დამიძახა, „სვან-სვან“ და თან ბალავაძეს გადაულაპარაკა — ეს არის ის ბიჭიო. საბუთები აღარ გამომატანინეს, ქიმიაში ორიანი სამიანად გადამიკეთეს და ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩავირიცხე. ერთ თვეში ლექციაზე შემოვიდა რეზო გაბრიაძე, „კავკასიური რომანსისთვის“ მსახიობს არჩევდა, მე დამადგა თვალი... გზაზე ერთი წუთით გვიან ან ადრე რომ გადავსულიყავი, ჩემი ცხოვრება ალბათ სხვანაირად წარიმართებოდა და...

**— თქვენზე ამბობენ, სვანებზე ანეკდოტებს თხზავსო.**

— რას ვთხზავ, ყველაფერი ჩემ თვალწინ ხდება. ერთი ჟურნალისტი მოვიდა ინტერვიუზე, ჩემი ბიძაშვილიც თან მახლდა. მას ვთხოვეთ, სამახსოვრო ფოტო გადაეღო ჩვენთვის. რაღაც უცნაურად წრიალებდა თვალთან მიდებული კამერით. ბოლოს გადაიღო, მაგრამ არ გაანათა. ვკითხე „სპიშკა“ რატომ არ აინთო-მეთქი. რა არ აინთო, თვალები კინაღამ დამწვაო. თურმე უკუღმა ეჭირა აპარატი და იმიტომ წრიალებდა, რომ კადრში ვერ გვატევდა... ერთმა ნათესავმა ბავშვის მოწყობა მთხოვა სამხედრო აკადემიაში. მეც დავურეკე ერთს და დახმარება ვთხოვე. მითხრა, თუ ქართულის გამოცდაზე გადაწერას შეძლებს, პრობლემა არ ექნებაო. გავუშვით ბიჭი გამოცდაზე. ოთხ საათში გამოსასვლელი, ორ საათში გამოვიდა, რა ქენი ბიჭო-მეთქი. დავწერეო. რა შეგხვდა-მეთქი? „განდეგილიო“. ვერ ვისვენებდი. მიკვირდა, განდეგილი 2 საათში როგორ გადაწერა. ვკითხე, შპარგალკა თუ ჰქონდა. მიპასუხა, ტელმანს (მის კლასელს) ჰქონდა. იმას ხომ არ დაველოდებოდი, ამოვიღე და ჩემი დავწერეო. გულმა ბაგაბუგი დამიწყო, რა დაწერე, ბიჭო-მეთქი, ვიღრიალე. „ვეფხისტყაოსნიდან“ მიჯნურობაო. გავგიჟდი. „განდეგილი“ შეხვდა და მიჯნურობა დაწერა, მეტი ანეკდოტი რა გინდათ?

***ეკა ლომიძე***

# არმანი კალაძის გადაბირებას ცდილობს



თბილისში ხმა გავრცელდა, კახი კალაძე არმანის სახე გახდა, მალე ფეხბურთელობას მოდელობასაც შეუთავსებსო. ამ ამბავს დამაჯერებლობას ის მატებდა, რომ კახის პლაკატი მილანში, არმანის მაღაზიაშია გამოკრული, თან ცოტა ხნის წინ თბილისში ამ ცნობილი მოდელიერის მაღაზიაც გაიხსნა. თურმე პრეზენტაციას ჯორჯო არმანიც უნდა დასწრებოდა, მაგრამ ეს ვეღარ მოხერხდა.

როგორც ამბობენ, მაღაზიის მეპატრონე კახი კალაძეა. ეს გასაკვირი არც უნდა იყოს — თურმე ფეხბურთელი და დიზაინერი მეგობრობენ. ეს კახის დედამ, ქალბატონმა მედეა შენგელიამაც დაგვიდასტურა: „კახის ძალიან უყვარს ლამაზად ჩაცმა. სამოსისა და აქსესუარის ყველა დეტალს აქცევს ყურადღებას, ფერებს კარგად უხამებს ერთმანეთს. კარგი გემოვნება აქვს, მაგრამ მოდელობაზე უარს ამბობს. არმანის მაღაზია, რომელიც თბილისში გაიხსნა, კახის კი არა, მის მეგობარს ეკუთვნის. მილანში კი არმანის სამოსში გამოწყობილი კახის ფოტო ნამდვილადაა გამოკრული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოდიუმზე გამოდის. თუმცა არმანის დეფილეებს ყოველთვის ესწრება და სახელობით ტანსაცმელსაც ატარებს, მაგრამ მოდელობაზე ჯერ ვერ დაიყოლიეს. კახი ამბობს, რომ პოდიუმი მისი საქმე არ არის... მას ფეხბურთის გარდა არაფერი აინტერესებს.“

გაცილებით „უნებისყოფო“ გამოდგა კახის მეგობარი, ფეხბურთელი ანდრეი შევჩენკო — ცოტა ხნის წინ ჯორჯო არმანიმ იგი პოდიუმზე გამოიყვანა. ვნახოთ, შეძლებს თუ არა დიზაინერი კახი კალაძის გადაბირებას.

***ეველინა მენთეშაშვილი***

CMYK

# ᲠᲝᲪᲐ ᲓᲔᲓᲔᲑᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲔᲜ...

*მკითხველო, ნუ გაგიკვირდება, რომ ამ წერილის სამივე რესპონდენტი მამაკაცია, სამივენი ქალებზე არიან შემომწყრალნი, ხოლო ეს ქალები მათი გულის სწორები კი არა, გულის სწორთა დედები გახლავთ.*

*სიმართლე უნდა ითქვას: დედების გადამეტებული მზრუნველობა ხშირად სავალალოდ მთავრდება, ოჯახი ინგრევა, ოდესღაც ორი ახლობელი ადამიანი უცხო ხდება ერთმანეთისთვის.*

## სიდედრმა „ფრიადზე" დაგვაწყვიტა ნერვები

ორჯერ ვარ ჩემს მეუღლესთან გაშორებულ-შერიგებული. საბოლოოდ, მეც და ისიც მივხვდით, რომ აღარასოდეს მიგვექცია ყურადღება დედამისის ლაპარაკისთვის, თუმცა, სანამ ამ დასკვნამდე მივიდოდით, მან საკმაოდ „იმუშავა" და „ფრიადზე" დაგვაწყვიტა ნერვები.

სკოლიდანვე სიგიჟემდე მიყვარდა ლიკა. იგი მასწავლებლის შვილი იყო, გამორჩეული გარეგნობაც ჰქონდა, კარგადაც სწავლობდა და ამიტომაც მეოთხე კლასიდან ბავშვური გატაცებით შემიყვარდა. ჩვენმა ამბავმა დედამისის ყურამდეც მიაღწია. მაშინვე თავისთან მიხმო და თითის ქნევით გამაფრთხილა: ჩემს ქალიშვილზე ფიქრიც არ გაბედო, თორემ განანებო. უკან არ დავიხიე, — მიყვარს და სიყვარულს ვერ დამიშლით-მეთქი. კინაღამ ტანზე შემოიხია ყველაფერი — შენი ტოლი და სწორი მოძებნეო. ლიკას გამო თავი შევიკავე, გაჩუმება და მოთმინება ვარჩიე. იმ დღის მერე, ერთი წუთით მარტო აღარ ტოვებდა. მიუხედავად ასეთი გაფაციცებული ყურადღებისა, სკოლის დამთავრებიდან ერთი წლის მერე მე და ლიკა გავიპარეთ. სამი დღის მერე გვიპოვეს, ლიკას მამას მეგობრები ჰყავდა მილიციაში და ჩვენი უბნის თითქმის ყველა მილიციელი თავზე დაგვაყენეს. დედამისი ქოთქოთებდა — ამ უქონელთან და უჯიშოსთან არ დაგტოვებ, ახლავე წამოდი შინო, მაგრამ ლიკამ ივაჟკაცა: მე შალვა მიყვარს, მისი ცოლი ვარ, შენს ჭკუაზე აღარ გავივლიო. ისევ ახტა-დახტა სიდედრი: — არასოდეს გაპატიებ ამ საქციელსო, მაგრამ ლიკა მაინც არ მოტყდა... მართლაც, ერთი წელი ისე გავიდა, დედამისს ჩვენკენ არ გამოუხედავს. მე მშვიდად და ბედნიერად ვიყავი, თუმცა ვატყობდი, ლიკა ძალიან განიცდიდა უდედობას. მეცოდებოდა ჩემი ცოლი, ხშირად წავსწრებივარ, როგორ იცრემლებოდა, მაგრამ ამ ცრემლებს მიმალავდა, ამიტომაც აღარ ვეძიებოდი, რა გატირებს-მეთქი, უბრალოდ, ვცდილობდი, ყველაფრით ხელი შემეწყო მისთვის. როცა ბავშვი გაჩნდა, მაშინღა შეგვირიგდა, მაგრამ ნეტავ, არ შეგვრიგებოდა. წლების მანძილზე ნერვები დაგვაწყვიტა: ხან ჩემი სამსახური არ მოსწონდა, ხან ლიკას ჩაცმულობა არ აკმაყოფილებდა, ბავშვები რომ ავად ხდებოდნენ, თურმე ესეც ჩემი ბრალი ყოფილა. ამ დავიდარაბამ ისე მოგვაბეზრა თავიც და ერთმანეთიც, რომ გავიყარეთ. ავდექი და სიდედრის ჯინაზე მეორე ცოლი შევირთე. თუმცა, მალევე მივხვდი ჩემს შეცდომას, მე ხომ ისევ ძველებურად მიყვარდა ლიკა. ბავშვი არ მეყოლა მეორესთან, ერთმანეთსაც ვერ შევეწყვეთ და სამ წელიწადში გავშორდით.

ლიკასაც ვენატრებოდი და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მალევე შევრიგდით. ცოტა ხანში კვლავ იგივე დაიწყო. სიდედრს პრეტენზიები არ დაელია. ლიკას შეუჩნდა — გინდა თუ არა, იმ მეორეს ისევ ხვდება, საყვარლად გაიხადა და შენ თვალში ნაცარს გაყრისო. ერთი-ორჯერ მართლაც მთხოვა ნაცოლარმა მანქანების ბაზრობაზე გავყოლოდი. უარს ხომ ვერ ვეტყოდი. ჩემი შეცდომა ის იყო, რომ ლიკას დავუმალე ეს. სიდედრმა თავის შვილს ხელი მოჰკიდა და სწორედ იმ დროს გამომეცხადდნენ,



როცა მანქანის მართვის უფლების ასაღებად მივყევი ნაცოლარს. მეორედ მაშინ განვქორწინდით. თუმცა 6 თვეში თავად დამირეკა და მითხრა: — მოდი, ვისაც რა უნდა, ის თქვას, აღარავის მივაქციოთ ყურადღებაო... იმ დღიდან მართლაც ამ ჭკუაზე ვართ. ეტყობა, სიდედრიც დაიღალა და ისე ხშირად ველარ ბობოქრობს. ჩვენ კი, ამ „ხანდაზმულობაში" მესამე ბავშვს ველოდებით. პირველი უკვე 18 წლისაა, მეორე 15-ისა. ლიკას ვეხუმრები, — მოდი, თუ გოგო გაგვიჩნდა, სიდედრის სახელი (თამარი) დავარქვათ, მას ხომ „დიდი ამაგი" აქვს ჩვენს ოჯახზე-მეთქი.

ჩვენ რომ არ გვყვარებოდა ერთმანეთი, ან თავად ლიკას არ გაეცნობიერებინა დედამისის საქციელი, ახლა კარგა ხნის დანგრეული გვექნებოდა ოჯახი. ეს ყველაფერი კი იმიტომ გიამბეთ, რომ სიდედრებმა და სასიდედროებმა გაითვალისწინონ და უხეშად აღარ ჩაერიონ ცოლ-ქმრის საქმეში.

## „უგერგილო" სიძის ჩივილი

შუახევის რაიონიდან ვარ. ჩავაბარე ბათუმის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე. ბინა მე და ჩემმა ბიძაშვილმა ერთად დავიქირავეთ. ჩვენს მეზობლად ერთი გოგონა ცხოვრობდა, ძალიან შემიყვარდა. მეხუთე კურსზე ვიყავი, ძლივს გავუბედე სიყვარულის გამჟღავნება, მერე ცოლობაც ვთხოვე. თურმე მასაც ვუყვარდი... ქორწილი გადავიხადეთ და ცხოვრების ორომტრიალში ჩავებით. მიუხედავად იმისა, რომ სოფელში ვცხოვრობდით, ჩემი სიდედრ-სიმამრი ბათუმიდან მაინც ახერხებდა მოგვწვდომოდა. ძალიან ემოციური და მგრძნობიარე ვარ. უკადრებელს არც მე ვაკადრებ ვინმეს და არც სხვას ვაკადრებინებ. ცოლის მოყვანა რომ მხოლოდ სარეცელი არ არის, ეს მეც კარგად ვიცოდი (სულ ამას მაგონებს სიდედრი), ამიტომაც, როცა ჩემი სპეციალობით სამსახური ვერ ვიშოვე, ბიზნესს მოვკიდე ხელი და გამომივიდა კიდეც. სოფლად საკვები ისე არ ჭირს, როგორც ქალაქში, ასე რომ, 200-300 დოლარამდე შემოსავალი მქონდა, არც ჩემს ცოლს დაუწუწუნია არასოდეს, სამაგიეროდ, სიდედრი ვერ „დავაკმაყოფილე". მისი გაუთავებელი საყვედური „ცხოვრების უკეთ მოწყობასა" და სიძის „უგერგილობაზე", მომბეზრდა, აღარ ვიცი, რა გზას დავადგე. მე და ჩემი ცოლი არ ვემდურით ბედს და იმას რა უნდა, ვერ გამიგია. ერთადერთი, რასაც ვნერვიულობ, ისაა, რომ ჩემი ცოლი ძალიან განიცდის დედამისის უტაქტობას. ვერ გამიგია, სიდედრს რა შეემატება ჩემი ოჯახის დანგრევით? იქნებ, თქვენ ამიხსნათ ეს?

## ახლა ვიცი, როგორ მოვიქცე

ცხოვრებაში არავინ მყვარებია ისე, როგორც თეა. 34 წლის ვარ და ვფიქრობდი, სიყვარული ალბათ აღარც მოვა, ამიტომ დროა, ოჯახზე ვიფიქრო-მეთქი. ამას კი ვფიქრობდი, მაგრამ თავს ვერ ვაბამდი, რადგან მუდამ საქმეში ვიყავი ჩაბმული. ერთხელაც, სრულიად შემთხვევით, ბედმა სიყვარული გამომიგზავნა. მოულოდნელად გამომეცხადა, არც ველოდი. გავიცანი თეა, რომელიც უსაზღვროდ შემიყვარდა. ის 21 წლისაა და ქუთაისში ცხოვრობს, მე კი — თბილისში. კვირა ისე არ გავიდოდა, რომ ქუთაისში არ ჩავსულიყავი და არ მენახა. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა. სასიდედროსა და სასიმამროს ოჯახშიც ვესტუმრე, გავიცანი და ვთხოვე კიდეც ქალიშვილის ხელი. ცუდად არ შემხვდნენ, სუფრაც გამიშალეს, მაგრამ მითხრეს: თეა ჯერ ძალიან პატარაა, მოიცადე ცოტა ხანიო. მე და თეა ყოველდღიურად ერთმანეთს მესიჯებს ვუგზავნიდით. თუკი თავდაპირველად ბედნიერად ვგრძნობდით თავს, მერე და მერე, ისეთი მესიჯები მივიღე თეასგან, ადგილს ველარ ვპოულობდი. ჩავედი მის მოსანახულებლად, მაგრამ მშობლებმა დამიმალეს. ახლა ზღვაზეა და ნათესავები დარაჯობენ. რა ხდება, ვერ გამიგია. ალბათ ერთ-ერთი უპირველესი ბარიერია ასაკობრივი სხვაობა. აბა, უსაქმურობას ვერავინ დამწამებს და უსახლკარობას. თურმე, დედამისს უთქვამს: ეს ერთი გოგო მყავხარ (თუმცა, უმცროსი ძმაც ჰყავს) და ისიც ამ სიშორეზე როგორ გადაგკარგოო. ისე მიყვარს, მზად ვარ, ქუთაისში ბინა ვიყიდო. ახლობლები მეუბნებიან, სასიდედროს ლაპარაკს ყურადღებას ნუ მიაქცევო, მაგრამ როგორ არ მივაქციო, როცა ვხედავ, რომ დედამისი ასეთ ზეგავლენას ახდენს თეაზე. აი, ნახეთ, რა მესიჯს მიგზავნის: „რა ვქნა, ასეთი ბედი მქონია. დედაჩემი ვერ მიგებს და სინდისიც არ ქენჯნის ამის გამო. არადა, ხედავს, რა დღეშიც ვარ. დილიდან საღამომდე სულ ვტირი, აღარაფერი მიხარია. ის კი დამცინის, თან მაფრთხილებს: თუ ნოდარს გაჰყვები, იცოდე, სამუდამოდ დამკარგავო. დედაჩემი იმ ტიპის ქალია, რასაც იტყვის, შეასრულებს კიდეც. მე კი არ შემიძლია მშობლების დაკარგვა, სამაგიეროდ, იმას შევასრულებ, რაც ჩავიფიქრე — რახან შენთან ყოფნა ამიკრძალეს, გავყვები ნებისმიერ მაწანწალას... მშვიდობით, ჩემო სიყვარულო!" მითხარით, როგორ ვიყო მშვიდად ამის შემდეგ?

— *თუკი თეა პროტესტის ნიშნად აპირებს „მაწანწალას" გაჰყვეს, მაშინ ადგეს და პროტესტის ფორმა სხვაგვარად გამოხატოს — შენი ცოლი გახდეს.*

— მართალი გითხრათ, ეს მეც მიკვირს... ერთხანს ვიფიქრე, მოვიტაცებ-მეთქი, მაგრამ იმის მეშინია, მშობლებმა რომ მოაკითხონ და დედამისმა უთხრას, წამომყევიო, ვაითუ გაჰყვეს, მერე რაღა ვქნა?

— *მაინც რას გიწუნებს სასიდედრო?*

— არ ვიცი, მინდოდა გამეგო, რატომ მიწუნებდა, დავრეკე და ვთხოვე, გულახდილად ეთქვა თავისი აზრი. მან კი ცივად დამიკიდა ყურმილი.

— *მაინც თქვენზეა ბევრი რამ დამოკიდებული. შიში და ამდენი „ვაითუ" და „არ ვიცი" ვაჟკაცს არ შეეფერება, თუ თეაც თანახმაა, უნდა დაქორწინდეთ კიდეც.*

— დიდი მადლობა ამ რჩევისთვის. მართლაც, გაორებული ვიყავი, ახლა კი ვიცი, როგორც მოვიქცე.

***მარინა ბაბუნაშვილი***

# ᲐᲚᲔᲠᲡᲘᲐᲜᲘ ᲤᲘᲡᲝ ᲐᲤᲗᲠᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ

**რატომ არიან ქალები აგრესიულები? — იკითხა ოთახში შემოსულმა ერთმა თანამშრომელმა, ღრმად ამოიოხრა და სავარძელში ჩაეშვა. ისეთი სახე ჰქონდა, ცოტა ხანს ხმა ვერავინ გასცა. მიზეზი ვკითხეთ, ერთ-ერთ იურიდიულ სამსახურში გაუბრაზებია ვიღაც ქალს — სრულიად უმიზეზოდ შეურაცხმყოო. არადა, ისეთი სათნო ჩანდა, რას ვიფიქრებდი, ცოფიანი თუ იქნებოდაო, — დანანებით თქვა.**

**მე კი იმაზე ვფიქრობდი, ქალების აგრესიულობის მიზეზის გასარკვევად ვისთვის მიმემართა — ქალებისთვის თუ კაცებისთვის. არჩევანის გაკეთება გამიჭირდა და მშვენიერი სქესის წარმომადგენლების აგრესიულობის მიზეზების დადგენა ორივე მათგანთან ვცადე.**

**შოთა (30 წლის):** — ჩემი ცოლის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, მისი აგრესიულობის მიზეზი უფულობა ხდება. ამას წინათ შინდაბრუნებულს ისე ალერსიანად შემხვდა, ისე მეფერებოდა, ისეთი ტკბილი იყო, რომ თაფლობისთვე გამახსენდა. ამ სიამტკბილობაში რომ ვიყავით, კარზე ზარის ხმა გაისმა. მეზობელი იყო, ორი მძიმე ჩანთით შემოვიდა. გასაყიდი რაღაცები შემოიტანა. თიკას ერთი ნივთი მოეწონა, თვალების ჟუჟუნით შემომხედა, — მიყიდეო. ფეხებით რომ დამკიდო, გახვრეტილი თეთრიანიც არ გადმომვარდება-მეთქი. სახე კი შეეცვალა, მაგრამ იმ წუთში ისტერიკა არ გაუმართავს. მეზობლის გასვლის შემდეგ ჩემი ფისოსავით ალერსიანი ცოლი აფთრად იქცა. იმ საღამოს გახსენებაც არ მინდა.



**მეგი (28 წლის):** — მე მართლაც სრულიად უმიზეზოდ ვხდები ხოლმე აგრესიული, თავადაც მიკვირს, რა მემართება-მეთქი, მაგრამ ვერაფრით ვხსნი. მგონი, ამინდი ახდენს გავლენას. თუ მოღრუბლულია და თან ცხელა, კრაზანასავით ვიკბინები. იწვიმებს თუ არა, გუნება მეცვლება და ირგვლივ სითბოს ვაფრქვევ. ჩემი თავის გადამკიდე ძალიან კარგად მესმის კაცების, როცა დანანებით ამბობენ: — ამ ქალებს რას გაუგებო... მართლაც. ქალი მარტის თვესავით ამოუცნობი და უცნაური არსებაა.

**ნიკა (26 წლის):** — ბებიაჩემს უსიგარეტობა აღიზიანებს, დედაჩემს მოთმინების ძაფს უწყვეტს ჩემი და მამაჩემის სიზარმაცე, ჩემი და რატომღაც სრულიად უმიზეზოდ ბრაზდება ხოლმე და ისეთი ხდება, ვერ დაელაპარაკები. თუ მაინც სცადე და რაიმე ჰკითხე, შემოგიღრენს, თუ ჩაეძიე — შეიძლება რამე გესროლოს კიდეც. ვერც ჩემი შეყვარებულისა გამიგია ვერაფერი. ამას წინათ მთხოვა, — დისკოთეკაზე წავიდეთო. წავედით. უცებ შეეცვალა გუნება. რა დაგემართა-მეთქი, — ვეკითხები. რა ვიცი, ახლა ჩემთვის უარყოფითი მთვარის ფაზა დგას და იმიტომ შევიცვალეო. ასტროლოგიაზე გიჟდება. სულ ვფიქრობ, მინდა თუ არა „მთვარეული" ქალი ცოლად. ვერაფერი გადამიწყვეტია, მაგაზე რომ უარი ვთქვა, ვითომ სხვა შემხვდება დალაგებული?

**თამარი (42 წლის):** — აგრესიული არ ვარ. შეიძლება ამის მიზეზი არც მაქვს... არ ვიცი, რა ხდება, მაგრამ აგრესიულ ქალებს ხშირად ვხვდები. ჩემი აზრით, თავადაც ვერ აცნობიერებენ აგრესიის მიზეზს. ექიმი ვარ და ცოტა სხვა თვალით ვუყურებ ამ საკითხს, ვიდრე რომელიმე სხვა პროფესიისა. ქალს თუ სქესობრივი ცხოვრება მოწესრიგებული აქვს, მოთმინებას ვერასდიდებით ვერ დააკარგვინებთ. შეიძლება ვიღაც არ დამეთანხმოს, მაგრამ ეს საკითხი ძალზე მნიშვნელოვანია როგორც ქალის, ისე მამაკაცისთვის. ნურავინ იფიქრებს, რომ ეს საკითხი მოგვარებული აქვთ პარტნიორთა მრავალფეროვნების მოყვარულთ. არამც და არამც. მხოლოდ ის ქალია გაწონასწორებული და მშვიდი, ვისაც ქმართან ყველაფერი და, უმთავრესად — სქესობრივი ცხოვრება აქვს მოგვარებული.

**ლევანი (48 წლის):** — საერთოდ, ადამიანის აგრესიულობას უამრავი მიზეზი აქვს და ვერ გეტყვით, მაინცდამაინც ქალები არიან აგრესიულები-მეთქი. როგორც კი ამ უარყოფით თვისებას ვამჩნევ, ვცდილობ, მათი განრისხების მიზეზი გავიგო, თანავუგრძნო, ცხოვრება შევუმსუბუქო. ამისთვის სულ მცირედიც კი კმარა. ამას წინათ უცხოეთში ვაპირებდი გამგზავრებას. საკონსულოში ქალბატონი, რომელსაც სავიზო საკითხების საკანცელარიო, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარება ევალება, ძალიან გაბრაზებული ჩანდა, თითქმის ცოფებს ყრიდა. რიგში ვიდექი. ჩემ წინ მდგომს ვთხოვე, ადგილი შეენახა ჩემთვის. გავიქეცი, ყვავილების პატარა თაიგული ვიყიდე და მივართვი. უნდა გენახათ, რა თაფლად იქცა. გამანდო, რატომაც იყო დილიდანვე ნერვებდაწყვეტილი.

ასეა, თუ ხვდები, რა აღიზიანებს ქალს, იქნებ მის მოგვარებაზე იფიქროთ და ნუღარ განვიკითხავთ ქალებს...

***ეკა ლომიძე***

# ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲪᲮᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲖᲦᲕᲐᲖᲔ

ნამზეური სახე ავადმყოფური და უშნო შესახედავიაო, — ამბობდა დიდი კოკო შანელი, მაგრამ... გემოვნება იცვლება და მზეზე გარუჯვა ახლა ძალიან მოდაშია. მზის სხივებს მიფიცხებული სხეული ულამაზეს ოქროსფერს იღებს, მაგრამ მარტო ეს როდია მთავარი — მზის სხივების წყალობით თავის ტვინში „სიამოვნების ჰორმონები" — ენდორფინები გამომუშავდება, ოღონდ ზედმეტი არ უნდა მოგვივიდეს, აუცილებლად უნდა დავიცვათ პლაჟზე ყოფნის წესები. უპირველესად, მზის აბაზანები უნდა მიიღოთ დილის 9-დან 11 საათამდე ან საღამოს 17-დან 19-მდე. ამ მონაკვეთში მზის სხივები კანს არ წვავს.

პლაჟზე წასვლის წინ არ დაგავიწყდეთ მზისგან დამცავი კრემის წასმა და ლიმონიანი ჩაის (მაგარი არ უნდა იყოს) დალევა. ეს დაგიცავთ გაუწყლოვნებისგან და სხეული თანაბრად გაირუჯება.



ბანაობის შემდეგ თმა მზეზე არ გაიშროთ, თორემ გამოშრება და მსხვრევადი გახდება. აუცილებლად დაიხურეთ კეპი ან ფართოფარფლიანი ქუდი.

# ᲒᲐᲑᲐᲜᲢᲣᲚᲘ ᲢᲣᲩᲔᲑᲘ



**ანუ რჩევა მათ, ვისაც პლასტიკური ოპერაციით ტუჩის ფორმის შეცვლა აქვს განზრახული.**

კოსმეტოლოგიის ერთ-ერთმა ევროპულმა ცენტრმა გადაწყვიტა გამოერკვია, ტუჩის როგორი ფორმა მოსწონთ მამაკაცებს (15-დან 79 წლამდე) და ასეთი შედეგი მიიღეო:

მამაკაცთა 70%-ის ოცნების საგანია ფუნჩულა, უსილიკონო, პომადით მკრთალად შეღებილი ტუჩები; 27%-ს ყველაზე მიმზიდველად გაბანტული, პასტელის ფერების პომადიანი ტუჩები მიაჩნია; მხოლოდ 3%-ს მოსწონს „სილიკონის მოდერნიზაცია".

მეტად საგულისხმო შედეგებია.

რუსული მაფიის კარგად ცნობილი თავკაცის, ვიაჩესლავ ივანკოვის (იაპონჩიკის) აშშ-დან სამშობლოში ჩამოყვანას დიდი ხმაური მოჰყვა.

ვიაჩესლავ ივანკოვი 1940 წელს დაიბადა მოსკოვში. ამბობენ, თავიდან „იაპონელს“ ეძახდნენ, XX საუკუნის დასაწყისის ცნობილი ბანდიტის, მიშა იაპონელის მიბაძვით, საბოლოოდ კი მეტსახელად „იაპონჩიკი“ შერჩა.

60-იან წლებში ივანკოვი გენადი კარკოვის (კრიმინალურ სამყაროში ცნობილი „მონღოლი“. იგი 1993 წელს გარდაიცვალა) ბანდის წევრი გახდა. ისინი თავს მილიციელებად ასაღებდნენ და ნარკოტიკებით მოვაჭრეებსა და სპეკულანტებს ფულს სძალავდნენ. იაპონჩიკი რამდენჯერმე გაასამართლეს ძარცვისთვის, იარაღის უკანონოდ ტარებისთვის, თავდასხმებისთვის. 1982 წელს 14 წელი მიუსაჯეს და მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გაამწესეს. 1991 წელს უზენაესმა სასამართლომ სასჯელი შეუმსუბუქა და ვადამდე გაათავისუფლა. მაშინ თავდებად ცნობილი პიროვნებები: იოსებ კობზონი, ალექსანდრ როზენბაუმი, სვიატოსლავ ფიოდოროვი დაუდგნენ...

ციხიდან გამოსული იაპონჩიკი გერმანიაში გაემგზავრა, იქიდან — ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაიხვეწა.

1995 წელს ივანკოვი და კიდევ რამდენიმე კაცი გამოძიების ფედერალურმა ბიურომ დააპატიმრა ამერიკაში მცხოვრები რუსეთის ორი მოქალაქისთვის 3,5 მლნ დოლარის გამოძალვის ბრალდებით.

1997 წელს იაპონჩიკს 9 წელი და 7 თვე მიუსაჯეს. 2004 წლის 13 ივლისს ივანკოვი ამერიკის ციხიდან ვადამდე გაათავისუფლეს და ბადრაგით მოსკოვში ჩაიყვანეს.

**მაიკლ მაკოლუ, ევრაზიის ორგანიზებული დანაშაულის დარგში გფბ-ს სპეციალური აგენტი:** — იაპონჩიკის საქმეების ძიება მისი ამერიკაში პატიმრობის მანძილზე არ შეჩერებულა.

როგორც ასეთი, მტკიცედ ჩამოყალიბებული „რუსული მაფია“ ამერიკაში არ არსებობს. არის ცალკეული ბანდები, რომლის წევრები ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული რუსულენოვანი დამნაშავეები არიან და საკმაოდ ბევრნიც.

არ გვინდა 30-იანი წლების შეცდომის გამეორება, როცა შეიქმნა უძლიერესი იტალიური მაფია. მაშინ ხომ იტალიელი ბანდიტები ამერიკაში დაახლოებით ისე მოქმედებდნენ, როგორც ახლა რუსები: თავიდან მხოლოდ თავისიანებს ძარცვავდნენ, პატარა ჯგუფებად „მუშაობდნენ“. მერე გაერთიანდნენ და უზარმაზარი, ყოვლისშემძლე ორგანიზაცია შექმნეს, რომელთანაც ბრძოლა სამართალდამცველებს ძალიან გაუჭირდათ. რუსები, ჯერჯერობით, პატარა ბანდებად მუშაობენ, მაგრამ შავ დღეს აყრიან არა მარტო რუსულენოვან ბიზნესმენებს, არამედ ამერიკელებსაც. რუსულენოვან ბანდიტებს შორის ძალიან ჭკვიან, განათლებულ ადამიანებსაც შეხვდებით, რომლებიც საკმაოდ რთულ სქემებს „ამუშავებენ“. ამჟამად ყველაზე მეტად სამედიცინო დაზღვევასთან დაკავშირებული თაღლითობაა გავრცელებული. გაითამაშებენ საავტომობილო ავარიას და თავისსავე სამედიცინო დაწესებულებებში აფორმებენ, „ვითომ“ დაზარალებულს სამედიცინო მომსახურება გაეწია. სადაზღვევო ფირმებიდან კი „დაზარალებულები“ უზარმაზარ თანხებს იღებენ.

მკვლელობები უფრო მეტად გავლენის სფეროს გადანაწილებისას ხდება. ერთ-ერთი ბანდიტური ჯგუფის — „ბრატვას“ (საძმოს) წევრების საქმიანობის გამოძიებისას გაირკვა, რომ სხვა კრიმინალურ საქმეებთან ერთად, ისინი აკონტროლებდნენ ნიუ-იორკისა და ნიუ-ჯერსის სტრიპტიზ-ბარების რუს მოცეკვავეებს, რომლებიც პროსტიტუციას ეწეოდნენ. პროფესიონალი მეძავები მძღოლებს, რომლებსაც მათთან კლიენტები მიჰყავდათ, ფულს უხდიდნენ. რუსი ბანდიტები ამ მძღოლებსაც ართმევდნენ ფულს და თუ რომელიმე „გადასახადს“ არ იხდიდა, სცემდნენ, მანქანას უწვავდნენ.

ბანდიტები იაპონჩიკის მიერ დამუშავებული სქემითაც მუშაობდნენ. თანამემამულეების ბინებსა თუ ოფისებში პოლიციელებად გადაცმულნი შედიოდნენ, „კანონიერად“ ჩხრეკდნენ, გაჰქონდათ ყველაფერი ფასეული. ემუქრებოდნენ — თუ ხმას ამოიღებთ, გაგაქრობთო. „ბრატვას“ თითქმის ყველა წევრი დავაპატიმრეთ. გამოძიების პროცესში გამოირკვა, რომ სწორედ მათ მოკლეს რუსი მოკრივე სერგეი კობოზევი და გვამი ერთ-ერთი ბანდიტის ეზოში ჩაფლეს. კობოზევი „ვიშიბალად“ (მეთვალყურედ) მუშაობდა რესტორანში, რომლის მენახევრე იაპონჩიკი გახლდათ, მაგრამ მოკრივის მკვლელობისას ის უკვე ციხეში იჯდა. ასე რომ, ამ საქმესთან თითქოს კავშირი არ უნდა ჰქონდეს.

ვიაჩესლავ ივანკოვის სატელეფონო საუბრების მოსმენამ გფბ-ს რუსეთში მსხვილი ბიზნესის განვითარების გზებსა და მეთოდებზე ბევრი საინტერესო დეტალის გაგების საშუალება მისცა. გაირკვა, რომ „იაპონჩიკი“ ამ სფეროში მეტად გავლენიანი პირი ყოფილა. იაპონჩიკი ხმადაბლა, ინტელიგენტურად საუბრობდა: — გამარჯობა, ვიაჩესლავ კირილოვიჩი ვარ, ნიუ-იორკიდან. რით შემიძლია დაგეხმაროთო. ზოგი რაღაც საქმის მოგვარებას სთხოვდა, მაგალითად, ერთ კიეველ ბიზნესმენს სამხრეთ აფრიკაში ჩარხები გააყიდვინა და, რა თქმა უნდა, გასამრჯელოც მიიღო. ზოგიც ისე აძლევდა ფულს — ვინ იცის, სად და როდის გამოგვადგეს იაპონჩიკიო.

ივანკოვი ტელეფონზე ძალიან ფრთხილად ლაპარაკობდა, არავის ემუქრებოდა, არც გვარებს ასახელებდა. მხოლოდ ერთხელ დაუშვა შეცდომა, როცა ვიღაცას უთხრა, — ძმაო, აქ პლაცდარმი მოგიმზადეო. ამ სიტყვამ ამერიკის სამართალდამცველები ფეხზე დააყენა.

***

საქმე, რომელსაც ერქვა „ამერიკის შეერთებული შტატები — ვ. ივანკოვის წინააღმდეგ“, აშშ-მა 10 წლის წინ მოიგო, თუმცა მეორე გახმაურებული საქმე „ტაივანჩიკის“ (ალიკ ტოხტახუნოვი) წინააღმდეგ ჩავარდა. ის რუსეთში ლამის ეროვნულ გმირად იქცა, რომელსაც თურმე არაფერი დაუშავებია, მხოლოდ მშობლიური სპორტის სახელისთვის იღვწოდა. მაგრამ ამერიკელ სამართალდამცველებს ფარხმალი არ დაუყრიათ, ტაივანჩიკის საქმის ძიება გრძელდება.

# ნათლიის დაბრუნება



***

2004 წლის 13 ივლისს ამერიკელმა სამართალდამცავებმა ვიაჩესლავ ივანკოვი ვადამდე გაათავისუფლეს და, რუსეთთან მოლაპარაკების თანახმად, სპეცრეისით მოსკოვში ჩაიყვანეს. ამჟამად ის „მატროსკაია ტიშინაში“ ზის და მორიგ სასამართლოს ელოდება.

იაპონჩიკი უკმაყოფილო დარჩა სამშობლოში „მიღებით“. აეროპორტში დახვედრილ ჟურნალისტებს აფურთხებდა, ლანძღავდა — როგორ მიწოდებთ „ბანდიტს“, მე არც კაცი მომიკლავს და არც ვინმე გამიძარცვავს, ამერიკაშიც არაფრის გულისთვის მაყურყუტეს ციხეშიო.

რუსეთის სამართალდამცველები მას ბრალს სდებენ მოსკოვის რესტორან „ფიდანში“ 1992 წელს თურქეთის ორი მოქალაქის მკვლელობაში. იაპონჩიკსა და მის თანამზრახველს, მეტსახელად „სლივას“, არ მოეწონათ, რომ რესტორნის გარდერობში მათზე ადრე ორ უცხოელ კომერსანტს მოემსახურნენ. აყალმაყალი სროლით დამთავრდა. ორი თურქი ადგილზე გარდაიცვალა, მესამე მძიმედ დაიჭრა, მაგრამ ექიმებმა გადაარჩინეს.

იაპონჩიკის ადვოკატის, იური რაკიტინის თქმით, ვიაჩესლავ კირილოვიჩი უარობს მკვლელობის ბრალდებას და სრულ რეაბილიტაციას ითხოვს.

ადვოკატისვე თქმით, იაპონჩიკმა დაწერა განცხადება იმის თაობაზე, რომ არავის ნახვა არ სურს მეუღლის გარდა, რომელიც ამ დღეებში ჩამოვა ამერიკიდან. ზუსტად ვერ გეტყვით, რას, მაგრამ ბევრს კითხულობს, უყურებს ტელევიზორს, აღშფოთებულია გაუთავებელი რეკლამების გამო. სხვათა შორის, როცა ივანკოვი „მატროსკაია ტიშინაში“ მიიყვანეს, პატიმრებმა მის პატივსაცემად სალუტი მოაწყვეს.

ჟურნალისტის კითხვაზე, ბანკეტიც ხომ არ გაუმართესო, ადვოკატმა სავსებით სერიოზულად უპასუხა, — ბანკეტი მისი გათავისუფლების შემდეგ იქნება, მას ნამდვილად გამოუშვებენ საქმის ხანდაზმულობის გამოო.

ამბობენ, რომ იზოლატორში მისულ გამომძიებელს იაპონჩიკმა ჰკითხა, — ამდენ ხანს სად იყავით, „სლივას“ სიკვდილს ელოდით, რომ მერე ყველაფერი ჩემთვის გადმოგებრალებინათ? არაფერი გამოგივათ! რომ მეკითხებით, 12 წლის წინ რესტორანში რას აკეთებდიო, რა მახსოვს. იქნებ მაგ დროს სულაც საქართველოში ვიყავი... აღარ მინდა თქვენთან ლაპარაკიო.

იაპონჩიკმა გამომძიებლის კითხვებზე პასუხის გაცემა თავის ადვოკატს დაავალა, თავად კი დუმს. თუმცა სხვა თემებზე სიამოვნებით ლაპარაკობს; მაგალითად, არ მალავს, რომ ვერ იტანს „ამერიკელებს, ებრაელებს, „შავებს“ და უპირველესად, ჟურნალისტებს“.

იაპონჩიკმა განაცხადა, რომ „მატროსკაია ტიშინადან“ გამოსვლისთანავე უჩივლებს ყველა ჟურნალისტს, რომლებიც მასზე სიცრუეს და სისულელეებს წერენ, ამოღებულ ფულს კი ციხეში მსხდომ უდანაშაულო პატიმრებს დაურიგებს.

რუსი სამართალდამცველები დარწმუნებულნი არიან, რომ რესტორანში თურქების მკვლელობა ნამდვილად იაპონჩიკის ჩადენილია, მაგრამ საქმის ხანდაზმულობის გამო ალბათ გაათავისუფლებენ.

ამერიკაში ცხოვრების წლებმა იაპონჩიკს სამშობლოში „მაფიის ნათლიის“ ავტორიტეტი დააკარგვინა. თანაც ახალგაზრდა, უკვე ავტორიტეტიან დამნაშავეებს ფეხზე ჰკიდიათ ვეტერანი და არც მასთან საქმის დაჭერას მოინდომებენ — თუ იაპონჩიკი გამოუშვეს და მან რუსეთში ჩვეული „ბიზნესის“ გაგრძელება მოინდომა, თვითონვე მოიშორებენ კონკურენტს.

მათ გარდა, იაპონჩიკს სამშობლოში ძველი მტრებიც ეყოლება.

**გენადი ივანკოვი, იაპონჩიკის ვაჟი:** — მამაჩემი ძალიან საინტერესო კაცია, ნაკითხი, განსაკუთრებით უყვარს პოეზია, თვითონაც წერს ლექსებს. რუსი მომღერლები მის შემოქმედებას დიდად აფასებენ. ბევრი ცნობილი პიროვნება პატივად თვლის მამაჩემთან მეგობრობას.

სხვათა შორის, რამდენიმე კინოკომპანიამ შემომთავაზა ფილმის გადაღება მამაჩემზე, ვფიქრობ, მისი ბიოგრაფია ეკრანიზაციის ღირსია.

**სერგეი (გვარს არ ასახელებს): — 6 წელი იჯდა იაპონჩიკთან ერთად ამერიკის ციხეში:** — ვიაჩესლავ კირილოვიჩს ყველა პატივს სცემდა, ანგარიშს უწევდა. სულ გვარიგებდა — ეროვნებასთან დაკავშირებით არ იდავოთ, ერთმანეთის სარწმუნოებას პატივი ეცითო. ჭადრაკს ხშირად ვთამაშობდი. წაგებულს ფული უნდა გადაეხადა, რომ მოგებულის ცოლის ან მეგობარი ქალისთვის ყვავილები მიერთმია. კარტის თამაშს გვიკრძალავდა — ეს დიდი უბედურებააო. ისე ბრწყინვალედ შეისწავლა ინგლისური, რომ მაღალი კატეგორიის თარჯიმნებსაც კი უკვირდათ. ვიაჩესლავ კირილოვიჩი ხშირად გვიმეორებდა, — მამაკაცმა ყველაფერს უნდა გაუძლოსო.

***მოამზადა ნანა ილურიძემ***

# „საქცემენტის“ მაგარი ცემენტი კავკასიას ააშენებს

ალბათ ჯერ ნაადრევია იმაზე ლაპარაკი, რომ ქართული ცემენტი მთელი კავკასიის ბაზარს გასწვდება. თუმცა, თუ სამშენებლო მასალის მწარმოებელი სააქციო საზოგადოება „საქცემენტი“ მუშაობას ასეთი ტემპით გააგრძელებს, კავკასიის სამშენებლო მასალების ბაზრის ცემენტის სეგმენტის ქართული პროდუქციით „დაპყრობა“ სულაც არ არის შორეული პერსპექტივა. ამ იმედით სულდგმულობენ დღეს კასპში, სადაც „საქცემენტის“ კასპის ცემენტის ქარხანა მდებარეობს. ამ დღეებში კასპელებს ზეიმი ჰქონდათ. ცემენტის ქარხანაში №2 მბრუნავი ღუმელის ექსპლუატაციაში გაშვების ცერემონიალზე წითელი ლენტი სააქციო საზოგადოებისა და ქარხნის ხელმძღვანელებმა და ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებმა გაჭრეს. როგორც კასპის ცემენტის ქარხნის მთავარი ინჟინერი ნოდარ ბერიანიძე ამბობს, ღუმელი 15-წლიანი უქმად ყოფნის შემდეგ ამოქმედდა. ინვესტორის დავალებით ჯერ კიდევ 2003 წლის დეკემბერში შეუმუშავებიათ ამ ღუმელის ექსპლუატაციაში გასაშვები ღონისძიებათა სრული პაკეტი. 2004 წლის მარტში ინტენსიურად დაწყებული სამუშაოებისა და ღუმელის აღსადგენად ერთი მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიციის განხორციელების შედეგად კი წარმოებას მეორე ტექნოლოგიური ხაზის ამოქმედების საშუალებაც მიეცა.

კასპის ცემენტის ქარხანა ორი მბრუნავი ღუმელით 1931 წლის დამდეგს ამუშავდა. თითოეულის წარმადობა საათში 9-9 ტონას შეადგენდა. 1980-88 წლების შემდეგ ქარხანაში საწარმოო სიმძლავრეების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია აღარ განხორციელებულა. ამ პერიოდში ქარხანა წელიწადში 866 ათას ტონა ცემენტს აწარმოებდა და სულ 933 კაცი ჰყავდა დასაქმებული. 1991 წელს ცემენტის წარმოება შემცირდა და 1994 წლიდან 1999 წლამდე კი სულ შეწყდა. ქარხანა გაპარტახდა, გაიძარცვა და მისმა სახელფასო თუ სხვა დავალიანებებმა 9 მლნ ლარი შეადგინა. 2000 წელს შპს „ინტერტრანსის“ სოლიდური ინვესტიციებისა და მართვის ახლებური სტილის შედეგად კასპის ცემენტის ქარხანასა და მთლიანად დაბაში მომავლის იმედი გაჩნდა. ქარხნის განვითარების ახალი პროექტისა და ორსაფეხურიანი აღდგენის პროგრამის მიხედვით ხალხი სამუშაო ადგილებს დაუბრუნდა. 2001 წლის სექტემბრიდან რთული ფინანსური მდგომარეობიდან გამოსული ქარხანა გამართულად ამუშავდა ერთი ტექნოლოგიური ხაზით. 2003 წლისთვის, ბოლო ათწლეულის მანძილზე პირველად, წარმოებამ სამეურნეო წელი 540 ათასი ლარის მოგებით დაასრულა და მუშა-მოსამსახურეთა ძველი სახელფასო დავალიანების დაფარვაც შეძლო.

გარდა ამ უნიკალური თვისებებისა, ის ქიმიურად ინერტულია და არ აღიზიანებს კანს.

**ლურჯი თიხა** პოპულარობით მეორე ადგილზეა. აქვს ბრწყინვალე ანთებსაწინააღმდეგო და ანტისტრესული თვისებები. იყენებენ თმის ცვენის შესაჩერებლად, ხელს უწყობს თმის ძირების ჟანგბადითა და სხვა სასარგებლო ნივთიერებებით კვებას.

ცხიმიანი სებორეის დროს გამოიყენება **მწვანე თიხა,** რომელიც ავიწროებს ფორებს და არეგულირებს ცხიმოვან ჯირკვლებს. გარდა ამისა, მწვანე თიხას, რომელიც მდიდარია თუთიით, ფოსფორით, მაგნიუმით და სპილენძით, გააჩნია მატონიზებელი თვისებები და ხელს უწყობს სისხლის მოძრაობას.

**წითელი თიხა** შეიცავს სპილენძს, ამშვიდებს ალერგიული რეაქციებისადმი მიდრეკილ გაღიზიანებულ კანს, ხელს უშლის თმისა და ფრჩხილების მტვრევას.

თიხებით ამზადებენ ნიღბებს, ლოსიონებს, შამპუნებს და ბევრ სხვა, კანის სამკურნალო საშუალებებს.

***ზდოროვიე №8***

## ხიზილალა — გემრიელიც და სასარგებლოც

ყველას ძალიან გვიყვარს ხიზილალა, მოგვწონს მისი განუმეორებელი გემო და თითქმის ყველამ ვიცით, რომ ის უზომოდ სასარგებლოა! ხიზილალა შეიცავს ბევრ ცილას — დაახლოებით 30% პროტეინებს, რომელსაც პრაქტიკულად მთლიანად შეითვისებს ორგანიზმი, რაც ცხოველური წარმოშობის ცილისათვის იშვიათობაა. გარდა ამისა, ის შეიცავს ურიცხვ სასარგებლო ამინომჟავას, მინარალს, A, C, D ვიტამინებს და ფოლიუმის მჟავას.

***მეგაპოლის ნოვოსტი №31***

## სიმინდი — „ამერიკელი ქალბატონი“



მარცვლეული კულტურებიდან თითქმის მთელ მსოფლიოში გავრცელებული სიმინდი ამერიკიდან ევროპაში ქრისტეფორე კოლუმბმა შემოიტანა.

მოხარშული ჭყინტი სიმინდი და მისი ფქვილისგან დამზადებული ბურბუშელა ხომ ყველას საყვარელი საჭმელია. სიმინდის ფქვილისგანვე ამზადებენ პურ-ფუნთუშეულს, ჩიფსებს და ა.შ. მართალია, სიმინდი ღარიბია ამინომჟავებით, მაგრამ მდიდარია ცილებით (10,3გ%), ნახშირწყლებით (70გ%), ცხიმოვანი მჟავებით, ამიტომ მისგან მიღებული ზეთი ბევრად ღირებულია, ვიდრე მზესუმზირისა და ზეითუნის ზეთი. მასში უჯერი ცხიმოვანი მჟავების რაოდენობა 58%-ია. სიმინდი აუმჯობესებს საჭმლის მონელების ტრაქტის მუშაობას, ამუხრუჭებს ნაწლავებში დუღილის პროცესს, ხოლო E ვიტამინი, რომელსაც დიდი რაოდენობით შეიცავს, ძლიერი ანტიოქსიდანტია, ამიტომაც სიმინდი რეკომენდებულია პროფილაქტიკის მიზნით ათეროსკლეროზის, ონკოდაავადებების და ნაადრევი სიბერის დროს.

გთავაზობთ ხალხურ და მეცნიერულ მედიცინაში გავრცელებულ რეცეპტებს:

**1.** *თირკმლების დაავადების დროს:* — შეურიეთ ერთმანეთს თანაბარი რაოდენობის სიმინდის ფოჩი, ლობიოს პარკი და დათვის კენკრა. აიღეთ 40გ ნარევი, დაასხით 1ლ წყალი და 15 წუთი ადუღეთ, გაწურეთ და დღის განმავლობაში 6 ჯერზე მიიღეთ.

**2.** *ნაღვლის შეგუბების დროს:* — 1 წილ სიმინდის ფოჩს დაამატეთ 20 წილი მდუღარე წყალი და ნაყენი მიიღეთ 1 ს/კ ყოველი 3 საათში ერთხელ.

***ლიზა №31***

## ქათმის გრიპი მუტაციას განიცდის

ქათმის გრიპის ეპიდემიამ შარშან აზიის უმეტესი ქვეყნები დააზარალა. აქ 100 მილიონ ქათამზე მეტი გაანადგურეს. აზიელებმა თითქოსდა შვებით ამოისუნთქეს, მაგრამ სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. როგორც ირკვევა, იმ ფერმებში, სადაც დასნეულებული ქათმები გაანადგურეს და დეზინფექცია ჩაატარეს, ვირუსი ცოცხალი გადარჩა. მეტიც, ჩინელ ექსპერტთა თქმით, ფერმებში ვირუსის „გადასხვაფერებული“ ვარიანტი აღმოაჩინეს, რომლითაც უკვე დაავადდნენ არა მხოლოდ ქათმები, როგორც ეს შარშან მოხდა, არამედ სხვა შინაური ფრინველებიც. სავარაუდოდ, შესაძლებელია ვირუსი შინაურ ოთხფეხა ცხოველებსაც „მოერიოს“, რაც კატასტროფის ტოლფასი იქნება. ამით აზიის სოფლის მეურნეობა ფაქტობრივად განადგურდება. ექსპერტები მუტანტ ვირუსთან შებრძოლების დამაიმედებელ განცხადებებს ვერ აკეთებენ. მეტიც, გაეროს ცხოველთა ჯანდაცვის სერვისის ხელმძღვანელის, ჯოზეფ დომენეჩის განცხადებით, მას შეუძლია უფრო საზარელი პროგნოზიც კი გააკეთოს, რომლის მიხედვითაც ქათმის ვირუსის სწრაფი მუტაცია ადვილი შესაძლებელია უშუალოდ ადამიანებისთვის აღმოჩნდეს სახიფათო...

***ნიუ ზუიქი***

## ისევ ძველი ხერხით...



თავის ტკივილის დროს ყველაზე იოლია ტკივილგამაყუჩებელი აბების მიღება, თუმცა უმჯობესია ფარმაცევტული პრეპარატებისაგან თავი შევიკავოთ და თუ შესაძლებელია, თავს ხალხური მეთოდებით ვუშველოთ.

ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი დაიდეთ კეფაზე, პირსახოცით შეიხვიეთ და არ მოიხსნათ ტკივილის გაქრობამდე. მეთოდი საიმედოა და სრულიად უვნებელი.

***ოტდოხნი! №30***

# იცინეთ და იცინეთ



სიცილი უნიკალური სამკურნალო საშუალებაა თუნდაც იმით, რომ ის არა მარტო ეფექტიანია, არამედ შესაძლებელია ყველასათვის — მდიდარსა და ღარიბისათვის, ბავშვისა და მოხუცისათვის.

სიცილის დროს ჩასუნთქვა ხდება ღრმად და ხანგრძლივად, ამოსუნთქვის პროცესი კი პირიქით — მოკლე და ისე ძლიერია, რომ ფილტვები ჰაერისგან ერთბაშად თავისუფლდება.

ამ დროს ჟანგბადის ცვლა 4-ჯერ იზრდება, აქტიურდება ფიზიოლოგიური პროცესები ორგანიზმში, მუშაობას იწყებს სახის კუნთები, სტიმულირდება ტვინში სისხლის მიმოქცევა, რაც მთავარია, მოცინარი ადამიანის სისხლში გადადის ენდორფინები (სიხარულის ჰორმონები), ქრება სტრესები და ტკივილის შეგრძნებები. გაგიკვირდებათ, მაგრამ 10-წუთიანი სიცილის შემდეგ ჰიპერტონიკებს წნევა 10-20 მმ-ით დაბლა ეწევათ, ავადმყოფი ჯანმრთელდება. გახსოვდეთ, სიცილი გადამდებია. შეეცადეთ, ეს მხიარული განწყობა გადასდოთ მეგობრებს, ახლობლებს, კოლეგებს და ა.შ.

გაიღიმეთ, მაშინაც კი, როდესაც ცუდად ხართ და გუნება-განწყობილება გამოგიკეთდებათ.

ექიმები ამტკიცებენ, რომ:

— სიცილი ახანგრძლივებს სიცოცხლეს;
— არეგულირებს სისხლის მიმოქცევას;
— ამაღლებს იმუნიტეტს;
— სტაბილურს ხდის გულისა და ტვინის მუშაობას;
— ხსნის სტრესს, კურნავს უძილობას, დეპრესიას;
— ამსუბუქებს ასთმის შეტევას;
— ხშირად შეხვდით მხიარულ ადამიანებს, თავი აარიდეთ ბრაზიანებს;
— უყურეთ კომედიურ ფილმებს, სპექტაკლებს;
— იარეთ ცირკში და იუმორისტთა კონცერტებზე.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ კარგი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად და სტრესებისგან თავის დასაცავად დღე-ღამეში მამაკაცებმა უნდა იცინონ 10 წუთი მაინც, ქალებმა — 12, ბავშვებმა — 14.

მაგრამ ექიმები გვაფრთხილებენ, რომ სიცილის თერაპიასაც აქვს უკუჩვენებები და ის არარეკომენდებულია:
— ფეხმძიმეებისთვის;
— თიაქრით, ბუასილით და თვალებით დაავადებულებისათვის;
— ოპერაციის შემდეგ;
— რესპირატორული გადამდები სენით დაავადებულთათვის (ბრონქიტი, ტუბერკულოზი). მათ შეიძლება იცინონ, მაგრამ მარტო, რათა არ დააავადონ გარშემომყოფნი.

***კომსომოლსკაია პრავდა №137***


ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მის: გამსახურდიას (პეკინი) №10
პოლიკლინიკა, კაბ. №7, 10-13სთ-მდე
☎ 8(93) 31 42 35





სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"
სექსოპათოლოგიის კლინიკა
ტელ.: 32 21 21
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:

*პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.*

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11


**გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია პულსის რაობის შესახებ. რა დარღვევები ახასიათებს მას.**

***ნ. ჯაში, თბილისი***

# როგორი პულსი გაქვთ?

ჯანმრთელი ადამიანის პულსის სიხშირე სიმშვიდის დროს წუთში 70-80 დარტყმაა. ბავშვებს უფრო ხშირი პულსი აქვთ, ვიდრე მოზრდილებს, ხოლო ქალებს მამაკაცისაზე 10-15 დარტყმით მეტი. პულსის სიხშირე შეესაბამება გულის შეკუმშვათა რიცხვს.

პულსი ადვილად იცვლება ფსიქიკური აგზნების, ფიზიკური დატვირთვის, გარემოს ტემპერატურის ცვლილების, ალკოჰოლის ან ზოგიერთი მედიკამენტის მიღების, სხვადასხვა დაავადების დროს.

პულსის შემოწმება ყველაზე მარტივი და მოსახერხებელია სხივის არტერიაზე თითის დადებით (მარჯვენა ხელზე მარცხენა ხელით, მარცხენაზე კი — მარჯვენით). გამოსაკვლევ პირს მარჯვენა ხელის II, III და IV თითების წვერები უნდა დაადოთ წინამხრის მესამედში, ხელისგულის მხარეს, სხივ-მენჯის სახსართან, ცერა თითი კი — გარეთა ზედაპირზე. პულსი შეიძლება გაისინჯოს საძილე, საფეთქლის, მხრის, ტერფის და სხვა არტერიებზე.

ყურადღება უნდა მიექცეს პულსის სიხშირეს, რიტმს, ავსებას, დაჭიმულობას.

პულსის გახშირებას *ტაქიკარდია* ეწოდება. იგი აღინიშნება ფსიქიკური დატვირთვის, ორგანიზმის ჩირქოვანი, ანთებითი პროცესების, სხეულის ტემპერატურის მომატების და სხვა მდგომარეობის დროს. აღსანიშნავია, რომ ტემპერატურის 1 გრადუსით მომატება პულსის წუთში 8-10 დარტყმით გახშირებას იწვევს.

ტაქიკარდია გულ-სისხლძარღვთა დაავადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანია. არის შემთხვევა, როდესაც პულსის სიხშირე წუთში 200-ს აღწევს, ხოლო ზოგჯერ მისი დათვლა შეუძლებელიცაა.

პულსის შენელებას 60-მდე და ქვემოთ *ბრადიკარდია* ეწოდება. თუ გულისცემა 40-ზე ნაკლებია, საჭიროა სასწრაფო სამედიცინო ჩარევა.

*პულსის ავსება* ეწოდება გულის შეკუმშვის დროს არტერიის სისხლსავსეობის დონეს. კარგი ავსებისას თითები მაღალ პულსურ ტალღას შეიგრძნობს, ცუდი ავსებისას კი პულსური ტალღა სუსტია, ძლივს შეიგრძნობა. კარგი ავსების პულსი აქვს ჯანმრთელ ადამიანს, ხოლო ცუდი ავსების პულსი — დაავადებული გულის კუნთით, ინფექციური დაავადებებით ან სისხლდენით არის განპირობებული.

გახშირებულ, ოდნავ შესაგრძნობ პულსს *ძაფისებრი* ეწოდება.

*პულსის დაჭიმულობას* უწოდებენ წინააღმდეგობას, რომელიც არტერიაზე თითის ზეწოლისას შეიგრძნობა. იგი არტერიის კედელზე სისხლის ზეწოლის, სისხლძარღვის კედლის ტონუსის შედეგია. არტერიის ტონუსი მომატებულია, ჰიპერტონიული დაავადების დროს, როდესაც არტერიის თითით მიჭყლეტა გაძნელებულია, ხოლო არტერიის ტონუსის მკვეთრად დაქვეითების შემთხვევაში პულსი არტერიაზე მსუბუქი ზეწოლითაც კი ქრება.

დიდი მნიშვნელობა აქვს პულსის რიტმულობას. ჯანმრთელი ადამიანის გული რიტმულად იკუმშება, შეკუმშვათა შორის თანაბარი ინტერვალებით. თუ გულის მოქმედების ნორმალური რიტმი დარღვეულია, ამას *არითმია* ეწოდება. არსებობს არითმიის მრავალი სახეობა, რომელთა შორისაც ყველაზე ხშირია მოციმციმე არითმია.

*მოციმციმე არითმია* წინაგულსა და პარკუჭებს შორის რიტმის დარღვევაა და გულის კუნთის ღრმა დაზიანებაზე მიუთითებს. ამ დროს სუსტი და ძლიერი პულსური ტალღები უწესრიგოდ წარმოიქმნება. მოციმციმე არითმიას ახასიათებს პულსის დეფიციტი, ანუ გულის კუნთი ყოველი შეკუმშვისას ვერ გადაისვრის საკმარისი რაოდენობით სისხლს. ზოგჯერ შეკუმშვა იმდენად სუსტია, რომ პულსური ტალღა ვერ აღწევს პერიფერიულ არტერიებამდე და არ ისინჯება. სწორედ ამიტომ (დათვლისას) გულისცემების სიხშირე სჭარბობს მაჯისცემის სიხშირეს. პულსის დეფიციტი გულის მუშაობის გაუარესების შედეგია.

ასე რომ, პულსის სწორად დათვლას, რიტმის, დაჭიმულობის, ავსების განსაზღვრას გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი ენიჭება დაავადების დიაგნოსტიკაში.

***მაია მუხიგული***

# გული და ფეხები



თურმე გრძელი ფეხები არა მარტო ესთეტიკური და ლამაზია, არამედ... გულის ჯანმრთელობის საწინდარიცაა.

ინგლისელმა მეცნიერებმა დაადგინეს მეტად საინტერესო კანონზომიერება — რაც უფრო გრძელი ფეხები აქვს ქალს, მით უფრო ნაკლებად ავადდება გულით. ექსპერიმენტში მონაწილეობდა 60-დან 79 წლამდე ასაკის 40 ათასამდე ცდის პირი. შედეგები გამაოგნებელი იყო: ყოველი 4 სმ-ით გრძელფეხებიანებში გულის დაავადებთა რისკი 16%-ით მცირდებოდა. მეცნიერების აზრით, ეს ვიტამინების დამსახურებაა. ვინც ადრეულ ასაკში უხვად იღებდა ვიტამინებით მდიდარ საკვებს, მას ფეხებიც უფრო გრძელი აქვს და ცხადია, გულიც ჯანმრთელი.

***ცელებნიკი***

# ექიმი გვირჩევს კოცნას

კოცნა არა მარტო „სამოთხისეული სიამოვნებაა“, არამედ საუკეთესო საშუალება სხვადასხვა დაავადების წინააღმდეგ.

ლოს-ანჯელესის სექსუალური პრობლემების საზოგადოების ექიმები ამტკიცებენ, რომ „ხანგრძლივი“ კოცნა დადებითად მოქმედებს სისხლის მიმოქცევის სისტემაზე



— კოცნის დროს პულსი ხშირდება — 110 დარტყმა წუთში. ეს კი გულ-სისხლძარღვთა სისტემის შესანიშნავი ვარჯიშია. გარდა ამისა, კოცნის შემდეგ ფილტვები იწყებენ გაძლიერებული რეჟიმით მუშაობას: წუთში 60 ჩასუნთქვა ჩვეულებრივი 20-ის ნაცვლად. მსგავსი „ვენტილაცია“ ფილტვების დაავადებების საუკეთესო პროფილაქტიკაა.

„გრძელი კოცნის“ მოყვარულები თავისუფლდებიან სტრესისა და მისი შედეგებისგან“, — დარწმუნებულნი არიან მონრეალის ერთ-ერთი კლინიკის ექიმები. ხანგრძლივი კოცნაააქტიურებს ბიოქიმიურ რეაქციებს, ანადგურებს „სტრესის ჰორმონებს“.

ავსტრიელი სწავლულები ამტკიცებენ, რომ კოცნა არის პერორალური ვაქცინაციის ერთ-ერთი სახეობა. არც არის გასაკვირი: ნერწყვი ხომ ურიცხვი რაოდენობის ბაქტერიას შეიცავს. თანაც მათი 80% აქვს ყველას, ხოლო 20% — ინდივიდუალურია, რომელსაც გადავცემთ პარტნიორს და აგრეთვე ვიღებთ მისგან. შედეგად, ჩვენი იმუნური სისტემა აქტიურდება — იწყება ანტისხეულების გაძლიერებული გამომუშავება.

დაბოლოს, რეგულარული კოცნა — საიმედო საშუალებაა ნაოჭების წინააღმდეგ, ვინაიდან ამ პროცესში მონაწილეობს სახის 42 კუნთი.

***ტაიმი***

# დავიცვათ თავი ნიტრატებისაგან!

ნიტრატებისგან თავდაცვის ყველაზე საიმედო საშუალებაა „ცოცხალი ვიტამინების“ აგარაკზე, აივანზე ან ფანჯრის რაფაზე მოყვანა. გამოკვლევამ აჩვენა, რომ კამა, ქინძი, მწვანე ხახვი, ისპანახი, სალათი და სხვა მწვანილი სასუქიანი ნიადაგიდან იწოვს ნიტრატებს.

შედარებით ნაკლებია ნიტრატების კონცენტრაცია ბოლოკში, ჭარხალში, ყვავილოვან და ჩვეულებრივ კომბოსტოში, ყაბაყში, გოგრაში, თალგამში, სტაფილოში, კიტრში, საზამთროში. უფრო ნაკლები — ბრიუსელის კომბოსტოში, ბარდაში, კარტოფილში, პომიდორში, ლო-



ბიოში, ხახვში, ხილსა და კენკრაში.

მაგრამ, ყველაფერი არც ისე საშიშია. მავნე ქიმიური ნივთიერებების ნაწილი ხილსა და ბოსტნეულს შეიძლება მოვაშოროთ გამდინარე ონკანის წყლით. თუ ბოსტნეული და ხილი ბაზრიდან მოიტანეთ, თავდაცვის მიზნით ჯობს ამოვჭრათ და გადავაგდოთ ის ნაწილები, სადაც ილექება ნიტრატები. კომბოსტოს უნდა მოვაშოროთ ტკბილი მურკი. სტაფილოს, ბოლოკს და ჭარხალს მოვაჭრათ გული და ბოლო. კარტოფილი, კიტრი, საზამთრო, ვაშლი ყოველთვის უნდა გავთალოთ, სწორედ იქაა მეტი ნიტრატები. ოხრახუშის, კამის, ნიახურის მხოლოდ ფოთლები გამოიყენეთ. ბოსტნეულის მოხარშვის შემდეგ ნიტრატები თითქმის მთლიანად მიჰყვება წყალს, რომელიც უნდა გადავღვაროთ.

***ჟენსკიე სეკრეტი***

# მიირთვით შავი ქოლო

ოჰაიოს ონკოლოგიური ცენტრის მეცნიერები ამტკიცებენ, რომ შავი ჟოლო მდიდარია ანტიოქსიდანტებით, ვიტამინებით, მინერალებით, შეუძლია მრავალი დაავადებისგან დაცვა. ეს კენკრა ასევე იცავს ადამიანს სიმსივნური დაავადებებისაგან. შავი ჟოლო შეიცავს დიდი რაოდენობით ანტოციანინს, რომელიც იცავს უჯრედებს კანცეროგენებისგან. ვირთაგვებსა და თაგვებზე ახლახან ჩატარებულმა ცდებმა აჩვენა, შავი ჟოლოს რეგულარული მიღება 80%-ით ამცირებს ნაწლავების სიმსივნით დაავადებას, ხოლო კუჭისას — 75%-ით.

შავი ჟოლოს მიღება შეიძლება ცოცხლად, გაყინული, გამხმარი და მოხარშული. ნებისმიერ შემთხვევაში ის ინარჩუნებს სამკურნალო თვისებებს.

***მეგაპოლის-ექსპრესი №31***

# უზბეკეთის პრეზიდენტის ქალიშვილი დიდი ქონების პატრონია

უზბეკეთის პრეზიდენტის, ისლამ ქარიმოვის ქალიშვილს, გულნარას, საკუთარი ფინანსური იმპერია აქვს. მას ეკუთვნის ღამის კლუბები, რესტორნები, ტურისტული სააგენტო, ცემენტის ქარხანა... ვარაუდობენ, რომ გულნარა ქარიმოვა მამას შეცვლის პრეზიდენტის პოსტზე.

კანონით, ღამის კლუბები ტაშკენტში შუაღამისას უნდა დაიკეტოს, მაგრამ უზბეკეთის



პრინცესას წინ რა დაუდგება — მისი კლუბი გათენებამდე ღიაა და ისიც მცველებთან ერთად ხშირად ამ დროს მიდის გასართობად.

ყოფილ ქმარს, ამჟამად აშშ-ში მცხოვრებ ავღანელ ბიზნესმენს, შარშან სკანდალით გაშორდა — საერთო ქონების გაყოფა გაუჭირდათ, თუმცა თვითონ დიდი ქონების პატრონია. მარტო 4,5 მლნ დოლარის სამკაული აქვს, ბანკებში მის ანგარიშზეა 10 მლნ დოლარი, ჟენევასა და დუბაიში კი საინვესტიციო ჰოლდინგების, 10 მილიონად შეფასებული სავაჭრო კომპლექსის მფლობელია.

უზბეკეთის მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს ქარიმოვების კლანის ზღვარგადასული სიხარბით. ცენტრალური აზიის გულში იზრდება უკმაყოფილება ავტორიტარული რეჟიმის მიმართ. მოსახლეობის დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ქარიმოვმა საზღვრების ჩაკეტვით დიდი ზიანი მიაყენა ეკონომიკას. ეს რეჟიმი უზბეკეთს ჩიხში შეიყვანს, — ამბობს ფარჰად ინოლამბაევი, იგი, ადრე გულნარა ქარიმოვას ფინანსური მრჩეველი, ამჟამად კოლუმბიის უნივერსიტეტის მეცნიერი თანამშრომელია. ქარიმოვების ოჯახი აკონტროლებს ყველაფერს. ქვეყანაში მატულობს გაბოროტებულ ადამიანთა რიცხვი, ციხეები სავსეა პოლიტპატიმრებით.

ივლისში აშშ-მა უზბეკეთს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გახშირების გამო ფინანსური დახმარება შეუწყვიტა.

*ტაიმი*

# ერაყში ქრისტიანებს აღარ დაედგომებათ



ერაყში ქრისტიანულ ტაძრებზე განხორციელებულ ტერაქტს 10 ადამიანი ემსხვერპლა. სადამ ჰუსეინის მმართველობის დროს ერაყის ხელისუფლება თავს იწონებდა, მუსლიმანებსა და ქრისტიანებს გასაყოფი არაფერი აქვთ, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ტარიკ აზიზი ქრისტიანიაო.

სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ ვითარება არ შეცვლილა, მართალია მოსახლეობის მხოლოდ 3%-ია ქრისტიანი, მაგრამ დროებით მთავრობაში მათი წარმომადგენელიც შეიყვანეს, მუსლიმანები და ქრისტიანები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ, მაგრამ ბოლო ხანს, რაც ამერიკელმა სამხედროებმა ქრისტიანულ ტაძრებში დაიწყეს სიარული, მდგომარეობა დაიძაბა. რადიკალურად განწყობილმა შიიტებმა ქრისტიანების შევიწროება დაიწყეს. ბაღდადისა და მოსულის 5 ტაძარში ერთდროულად მოხდა აფეთქება. ტერაქტის შემდეგ ქვეყანა უკვე ასობით ქრისტიანმა დატოვა და სირიაში წავიდა.

*კომერსანტი №141*

# მზვერავები — პრეზიდენტის წინააღმდეგ

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ჯონ მაკლაფლინი ამ სისტემაში რეფორმების წინააღმდეგია.

2001 წლის 11 სექტემბრამდე და ტერაქტების შემდეგ სპეცსამსახურების მუშაობის შემსწავლელმა საგანგებო კომისიამ მათი საქმიანობა არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია და პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს ურჩია შემოიღოს ახალი მინისტრის თანამდებობა. ეს იქნება დაზვერვის საქმეთა მინისტრი, რომელიც უხელმძღვანელებს სადაზვერვო გაერთიანებაში შემავალ თხუთმეტსავე დაწესებულებას. ჯორჯ ბუშს კომენტარი არ გაუკეთებია, მაგრამ პრესმდივანმა გადაკვრით მიანიშნა, რომ პრეზიდენტს იდეა მოეწონა.

ჯონ მაკლაფლინი სწორედ ამის წინააღმდეგ გამოვიდა — ერთ-ერთი ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, — სუპერსამინისტროს ბიუროკრატიული აპარატი საქმეს ვერ წაადგება. გარდა ამისა, რად გვინდა ეს სამინისტრო, როცა კანონის თანახმად, 1947 წლიდან ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აშშ-ის ნებისმიერი სადაზვერვო სამსახურის საქმიანი კოორდინირების უფლება აქვს.

პრეზიდენტის წარმომადგენლის თქმით, ეს ცსს-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულე-




ბლის, ჯონ მაკლაფლინის კერძო აზრია და შესაძლოა არ დაემთხვეს ადმინისტრაციის მოსაზრებებს.

*ვლასტი №29*

# ავღანელები არჩევნებისთვის ემზადებიან



ავღანეთის ხელისუფლების გავლენა ჯერჯერობით არ ვრცელდება იმ ტერიტორიის გარეთ, რომელსაც საერთაშორისო სამშვიდობოები და ამერიკელი სამხედროები აკონტროლებენ.

ქაბულიდან მიღებული ცნობებით, სამხრეთ ავღანეთში თავი წამოყვეს თალიბებმა, ისინი თავს ესხმიან ამერიკელებს. ქვეყნის დანარჩენ ნაწილში ადგილობრივი შეიარაღებული ბანდები დათარეშობენ. არსებული მონაცემებით, ავღანეთში 40-60 ათასი შეიარაღებული პირია. მთავრობა ცდილობს მათ განიარაღებას, მაგრამ ეს პროცესი ძალიან ნელა მიდის. ცენტრალური მთავრობის არმიის შექმნა კი ყოვნდება.

გაეროს წარმომადგენლის, დევიდ სინგჰის თქმით, ავღანეთში მოხერხდა მომავალი არჩევნებისთვის მოსახლეობის დიდი ნაწილის რეგისტრაციაში გატარება. თუმცა ეს საკმაოდ ძნელი იყო, განსაკუთრებით მაღალმთიან, მიუვალ ადგილებში. ასე რომ, 9 ოქტომბერს არჩევნები ნამდვილად გაიმართება.

პრეზიდენტობის მსურველთა 23-კაციან სიას სათავეში ამჟამინდელი პრეზიდენტი ჰამიდ ყარზაი უდგას, რომელიც ადვილად არ შეელევა თანამდებობას. კანდიდატებიდან შესაძლოა მას მეტოქეობა გაუწიოს გენერალმა აბდულ რაშიდ დუსთუმმა. არჩევნები კი გაიმართება, მაგრამ რას შემატებს ეს ამჟამინდელ ხელისუფლებას? უცხოელი დამკვირვებლების აზრით, ბევრს არაფერს.

ავღანეთის ხელისუფლებას ვერდიქტი გამოუტანა საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციამ „ექიმები — საზღვრებს გარეშე“, რომელმაც ქვეყანაში 24 წლის მუშაობის შემდეგ იქაურობა დატოვა. ამის მიზეზი ის გახდა, რომ ერთი თვის წინ მოკლეს მისი 5 თანამშრომელი.

ქაბულმა კარგად იცის, ვინც ჩაიდინა მკვლელობა, მაგრამ ყურს იყრუებს. გარდა ამისა, ხელისუფლება საკუთარი კეთილდღეობისათვის იყენებს ამ ორგანიზაციის ქველმოქმედებას. ამიტომაც დატოვა მან ავღანეთი. თუ არჩევნების შემდეგ ქვეყანაში სასიკეთოდ შეიცვალა ვითარება, საქველმოქმედო ორგანიზაცია დაბრუნდება.

*ნიუს რუ*

# შამილ ბასაევი და ასლან მასხადოვი დაზავდნენ

ჩეჩენი სეპარატისტების საიტზე გავრცელდა „ბოევიკების“ მიერ ივნისში, ინგუშეთზე თავდასხმის რეპორტაჟი. ფირზე აღბეჭდილნი არიან შამილ ბასაევი და „იჩქერიის პრეზიდენტი“. შამილ ბასაევი ნაღმმტყორცნების ფონზე ჰყვება თავდასხმის დეტალებს და აცხადებს, რომ მათ დაიბრუნეს და ჩეჩნეთში წაიღეს ფედერალების მიერ მოჯაჰედებისათვის წართმეული იარაღი სამართლიანი ბრძოლის გასაგრძელებლად. ბასაევის თქმით, ოპერაციას თავად ხელმძღვანელობდა მეორე ცნობილ საველე მეთაურთან, დოკუ უმაროვთან ერთად. მართალია, ჩვენ 6 მოჯაჰედი დაგვეღუპა, მაგრამ ოპერაციამ ბრწყინვალედ ჩაიარა, ფედერალებს მნიშვნელოვანი ზარალი მივაყენეთ, — განაცხადა ბასაევმა.

ბასაევის გვერდით ასლან მასხადოვის გამოჩენა ძალიან მნიშვნელოვანია. ახმატ კადიროვის მკვლელობამდე მასხადოვი საგანგებოდ ერიდებოდა ბასაევს და შეუთანხმებელ მოქმედებაში (დაწყებული დაღესტნიდან) ადანაშაულებდა.

ანალიტიკოსები ამას იმით ხსნიდნენ, რომ მასხადოვს სურდა დასავლეთის წინაშე ღირსეული კაცის სახელი ჰქონოდა, რათა ეთქვათ, — ბასაევისგან განსხვავებით ტერორისტი არ არის, არც შაჰიდი ქალების რაზმებს ამზადებს. იგი დამოუკიდებელი სახელმწიფოს დამხობილი ლიდერიაო.

ბასაევი, თავის მხრივ, მასხადოვს უწოდებდა „ოპერეტის პრეზიდენტს“, რომელიც საკუთარ სოფელ ალეროისაც კი ვერ აკონტროლებს.

ახლა ისინი გვერდიგვერდ დგანან. თუმცა იჩქერიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, უსმან ფერზაულს, მიაჩნია, რომ წინააღმდეგობის ლიდერების დაზავებაზე ლაპარაკი ნაადრევია.

*ნეზავისიმაია გაზეტა №138*

## მოკლედ

**სადამ ჰუსეინის** სასამართლო პროცესი ერაყში 2005 წლის იანვარში, არჩევნების შემდეგ ჩატარდება. სპეცტრიბუნალის ადმინისტრაციული დირექტორის, სალემ ჩალაბის განცხადებით, ყოფილი ერაყელი დიქტატორისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოსატანად საკმარისზე მეტი საბუთი არსებობს. მისი თქმით, ტრიბუნალის წევრები ელიან სირიის მთავრობის პასუხს ერაყის პრემიერ-მინისტრის, იიად ალავის მოთხოვნაზე — გადასცენ მათ ქვეყანაში თავშეფარებული სადამ ჰუსეინის მთავრობის წევრები.

**ნავთობკარტელი** ოპეკ-ი ამჟამად ნავთობის სარეკორდო მოცულობას — დღეში 30 მლნ ბარელს მოიპოვებს. ორგანიზაციის პრეზიდენტის თქმით, საჭიროების შემთხვევაში მოცულობა შეიძლება 1,5 მლნ ბარელით გაიზარდოს.

**იაპონელებმა** 6 აგვისტოს აღნიშნეს თავიანთი ისტორიის ყველაზე ტრაგიკული თარიღი — 59 წლის წინ ამერიკელმა მფრინავმა ჰიროსიმის თავზე ატომური ბომბი ჩამოაგდო. ხალხმრავალ სამგლოვიარო ცერემონიას პრემიერ-მინისტრი ძიუნიტირო კოიძუმი დაესწრო. ტრადიციის თანახმად, მემორიალზე დააფინეს სხივური დაავადებებით დაღუპულთა სია. წლეულს სიაში 5140 გვარი ეწერა.

**ჩუკოტკის** ავტონომიური ოლქის ქ. ანადირში, წყნარი ოკეანის სანაპიროზე, მაღალ კლდეზე დადგეს წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის მსოფლიოში ყველაზე დიდი — 10 მ სიმაღლის ბრინჯაოს ძეგლი.

**ბანგლადეშში** კოკისპირული წვიმებით გამოწვეულმა წყალდიდობამ გადარეცხა ბრინჯის ნათესების უდიდესი ნაწილი და 20 მილიონამდე ადამიანი საკვების გარეშე დატოვა. გაერომ ბანგლადეშის დასახმარებლად ჰუმანიტარული დახმარების შეგროვება დაიწყო.

**ნიუ-იორკში,** სამწლიანი შესვენების შემდეგ, გაიხსნა თავისუფლების ქანდაკება. ნაციონალური პარკების ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, უსაფრთხოების მიზნით, ქანდაკების ზედა ნაწილში მნახველებს არ დაუშვებენ. უსაფრთხოების სისტემის მოდერნიზება თითქმის 30 მლნ დოლარი დაჯდა.

**ისრაელის** ტურიზმის მინისტრმა, გედეონ ეზრამ თანამემამულეებს, რომლებიც დასასვენებლად საზღვარგარეთ აპირებენ წასვლას, საგანგებო წერილით მიმართა და სთხოვა, არ შეარცხვინონ ქვეყანა და ღირსეულად დაიჭირონ თავი, ახსოვდეთ, რომ ყველგან, სადაც არ უნდა იყვნენ, თავიანთი ქვეყნის დესპანები არიან. ამ წერილის დაწერა ტურიზმის მინისტრს აიძულა კვიპროსზე, ერთ-ერთ სასტუმროში, ისრაელელი ტურისტების მიერ ატეხილმა დებოშმა, რომლის თაობაზეც კვიპროსის ხელისუფლებამ აცნობა ისრაელის მთავრობას.

# თურქმენბაში დიდ გზაზე გავიდა

ახალი სასწავლო წლიდან თურქმენეთის ყველა ავტოსკოლაში მარტო მანქანის ტარებას კი არ ასწავლიან, არამედ საფარმურატ ნიაზოვის წიგნს „რუჰნამესაც“. ასე რომ, მართვის უფლების მიღების მსურველებს ყოველთა თურქმენთა მამის ნაწარმოების ცოდნასაც მოსთხოვენ.



საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს წყაროს ცნობით, ეს სიახლე მომავალი მძღოლების პროფესიონალიზმის ამაღლებას და სულიერად გამდიდრებას შეუწყობს ხელს(?!).

ადვილი შესაძლებელია, რომ თურქმენბაშიმ საკუთარი შემოქმედების პოპულარიზაციის საქმეში გადააჭარბოს კიდეც ამხანაგ კიმ ჩენ ირს. როგორც ცნობილია, ჩრდილოეთ კორეაში ავტომობილის მართვის უფლების მისაღებად არა მარტო კიმ ჩენ ირის, არამედ მამამისის ნაწარმოებების ცოდნაცაა სავალდებულო.

*იტოგი*

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*


უნივერსიტეტი «საქართველო» და მასთან არსებული სამედიცინო კოლეჯი 2004-2005 სასწავლო წლისთვის აცხადებს აბიტურიენტების მიღებას შემდეგ ფაკულტეტებზე

უნივერსიტეტში:
1. სამედიცინო
სამკურნალო
სტომატოლოგია
ფარმაცია
2. სამართალმცოდნეობა

კოლეჯში:
1. საერთო პროფილის მედდა
2. საბებიო საქმე
3. ორთოპედული სტომატოლოგია
4. ფარმაცია

თბილისი, ბუდაპეშტის ქ. 1ბ
☎ 29-40-70; 95-67-36; 37-18-29
E-mail: unisak@myoffice.ge http://unisak.myweb.ge

თბილისის საინჟინრო-ჰუმანიტარული ინსტიტუტი „მთიები“
აცხადებს მიღებას 2004-2005 სასწავლო წლისთვის შემდეგ სპეციალობებზე:
1. სამართალმცოდნეობა (იურიდიული); 2. უცხოური ენები; 3. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა; 4. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია; 5. ქართული ენა და ლიტერატურა; 6. ისტორია; 7. ჟურნალისტიკა; 8. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; 9. საბანკო საქმე; 10. საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი; 11. ფინანსები და კრედიტები.
წარმოებს მოწინავე სტუდენტების სტაჟირება საზღვარგარეთ.
ინსტიტუტთან 9 და 11 კლასდამთავრებულთათვის ფუნქციონირებს კოლეჯი შემდეგი სპეციალობებით:
1. სამეანო საქმე; 2. ორთოპედიული სტომატოლოგია; 3. მედდა; 4. სამართალმცოდნეობა; 5. საბაჟო-ეკონომიკური; 6. უცხოური ენები; 7. ფარმაცევტია.
მის: დავით აღმაშენებლის 178, მე-18 სკოლა
☎ 35-27-00; 36-00-83; 899-90-25-99; 893-30-32-83; 52-67-67

# თუ ბიუჯეტში ბევრი ფულია, ეს ეკონომიკა რაღამ გააშეშა?!.



სოსო სიმონიშვილი

ამდენი წლის დეფიციტური, სეკვესტრული და გარღვეულ-დაფლეთილი ბიუჯეტების შემდეგ, ნოვაციებით ცნობილმა მთავრობამ იავარდი სახელმწიფოს ხურჯინსაც მოჰფინა და ხალხს ახალ ეკონომიკურ ტერმინთან ერთად გადაჭარბებით შესრულებული ბიუჯეტის პროექტი შესთავაზა. აი, თურმე რა ძალა აქვს ძველ კომუნისტურ შეგონებას: დავეწიოთ და გადავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებსო. მაშინ, როდესაც ამერიკელები დეფიციტური ბიუჯეტის შევსებას ცდილობენ (ისე, ცოტა ხომ არ გვესესხებინა მაღალი საპროცენტო განაკვეთით?), ჩვენი მთავრობა უშურველად ინაწილებს პრეფიციტულ ბიუჯეტს. მოსახლეობას კი ისე მოაჭერინეს ქამრები, რომ პირები დააფჩენინეს: იქნებ ჩვენც რამე გადმოგვიგდონო! ჯერჯერობით, ცნობილია, რომ მიმდინარე წელს მხოლოდ ერთი თვის საპენსიო და სახელფასო დავალიანებები დაიფარება. ყოველივეს კი მთავრობის ბოლოდროინდელი შეშფოთებაც ემატება: ეკონომიკაში სტაგნაციაა და გარდამავალი პერიოდიდან უნდა გამოვიდეთო. ასეთ ვითარებაში კი ხალხს ვერაფერი გაუგია: თუ ბიუჯეტში ფული ბევრია და ამასთან, ყველაფერი იყიდება, ეს ეკონომიკა რაღამ გააშეშაო.



სანდრო თვალჭრელიძე

**სანდრო თვალჭრელიძე,** ეკონომიკის ექსპერტი:

— მართალია, შემოსავლები იზრდება ქვეყანაში, მაგრამ ამავდროულად ცხოვრებაც ძვირდება. ასეთ ვითარებაში კი მთავრობამ პრეფიციტული ბიუჯეტიდან ხალხის სოციალური კეთილდღეობისთვის ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას, რაც სამწუხაროდ არ ჩანს. მთავრობამ მხარი დაუჭირა ე. წ. სიღარიბის შემცირებისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამას, რომლის ძირითადი პათოსია რესურსების სამართლიანი გადანაწილება. ჯერჯერობით კი მხოლოდ მაღალჩინოსანთა ხელფასები გაიზარდა, რაც თავისთავად მისასალმებელია, მაგრამ სიღარიბის დასაძლევად ნაბიჯიც არ გადადგმულა. ერთადერთი, რაშიც სახელმწიფო ფულს ხარჯავს, ძალოვანი სტრუქტურების რეფორმირებაა, მაგრამ ასივე პროცენტით მხოლოდ ამის შესრულება სახიფათო და არასამართლიანია. ამან შესაძლოა სოციალურ ბუნტამდეც მიგვიყვანოს. უფსკრული, რომელიც ხალხსა და ხელისუფლებას შორის წინა მთავრობის დროს არსებობდა, კვლავ ჩნდება. როდესაც მთავრობის პირველი პირი იძლევა დაპირებას, რომ ხელფასს საარსებო მინიმუმს მიუახლოებს, ცხვირიდან სისხლის დინების ფასადაც რომ დაუჯდეს, დანაპირები უნდა შეასრულოს. პენსიების 7-ლარიანი დანამატი მთლიანად ცხოვრების სამომხმარებლო ფასების ზრდამ შთანთქა, ამიტომ შეღავათი მომატებული პენსიის ხარჯზე არავის უგრძნია. მაპატიონ, მაგრამ მგონია, რომ ლარის კურსის გამყარებაზეც სახელმწიფო ერთგვარ სპეკულაციას ეწევა. ქვეყანაში ლარის კურსის მინიმალურ გამყარებას უნდა მოჰყვეს სამომხმარებლო ფასების დაცემა. თუ ოქტომბრიდან ფასებმა არ დაიწყო შემცირება და პროპორციაში არ მოვიდა ლარის გაცვლით კურსთან, ნათელი იქნება, რომ სახელმწიფო თამაშობს, როგორც ბირჟაზე, ასევე სავალუტო კურსზე და შემოსავლების დიდი ნაწილი არის ფსევდოშემოსავლები, რომლებიც ჰაერიდან არის გაჩენილი.

**— ბიუჯეტში სერიოზული თანხების მობილიზებას მთავრობა მიმდინარე საპრივატიზაციო პროცესიდან აპირებს...**

— პრივატიზების პირველ ტალღაში, ანუ იმ 372 ობიექტს შორის, მხოლოდ რამდენიმე საინტერესო ობიექტია (რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, თბილავიამშენი, გემთსაშენი ქარხანა და შესაძლოა ნაწილობრივ საფეიქრო-სამკერვალო ფაბრიკები ბათუმში), მაგრამ ძირითადი მასა, ის ქონებაა, რომლისგანაც სახელმწიფოს განთავისუფლება უნდა. ვის რაში სჭირდება გაურკვეველი სამონიტორინგო სამსახურები, არქიტექტურული სახელოსნოები და 69 რაიონში განლაგებული ნავთობბაზები დაჟანგული ცისტერნებით. უბრალოდ, მთავრობას არ უნდა, ხელფასი უხადოს იქ დასაქმებულ ხალხს. მაგრამ თუ პრივატიზების კამპანია დამარცხდება, ამას მოჰყვება ძალიან დიდი სამთავრობო კრიზისი. ალბათ, ყველას კარგად გახსოვთ პრეზიდენტის ინიციატივა, რომ გაყიდულიყო კრწანისის სამთავრობო რეზიდენცია. საპრივატიზაციო ნუსხაში კი მითითებულია მხოლოდ ფინური სამთავრობო აგარაკი, რომელიც ნახევრად დანგრეულია.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ პრივატიზების პროცესში შესაძლოა ეკონომიკურ დანაშაულებათა ახალი ტალღა გამოვლინდეს?**

— ქართველები ვართ და გამჯდარი გვაქვს შინამეურნეობის მენტალიტეტი და თუ მოაპარინებ, ყველა მოიპარავს. ამიტომ ადმინისტრირება და პოლიციური ზედამხედველობა ძალიან ხისტი უნდა იყოს. ახლა პრივატიზაციაში კორუფციული ელემენტის ჩართვა სახელმწიფო ღალატის ტოლფასი იქნება.

**— თქვენც ფიქრობთ, რომ საქართველოში შეიძლება ყველაფერი გაიყიდოს? ე. წ. სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებს ვგულისხმობ...**

— რა თქმა უნდა, ყველაფერი უნდა გაიყიდოს, მაგრამ ეს ფული სოციალურ პროგრამებზე უნდა დაიხარჯოს. დაწყებით სტადიაზე მე მომხრე ვარ ფართო აქციონირების, ანუ საქართველოს რკინიგზა, მეტრო, თბილგაზი იყოს ღია ტიპის სააქციო საზოგადოებები, სადაც ნებისმიერ მოქალაქეს ექნება თავისი აქცია, რომელსაც სურვილისამებრ განკარგავს.

მთავრობამ კი ეს აქციები ხალხს უფასოდ უნდა დაურიგოს.

**სოსო სიმონიშვილი,** ეკონომიკის ექსპერტი:

— იმ პირობებში, როდესაც ჯერ კიდევ სრულიად გამოუსადეგარი და უვარგისი საგადასახადო კოდექსი გვაქვს, ხოლო ქვეყნის ეკონომიკას ფულის დიდი წილი გამოვაცალეთ და სადღაც ბანკის ანგარიშზე გავყინეთ, ძნელია დაძლიო სტაგნაცია და კრიზისიდან გამოხვიდე; როდესაც ფულს ეკონომიკიდან ამოიღებ, როგორც წარმოების ფაქტორს და მიგაქვს ბიუჯეტში, სადაც ის კარგავს ამ ფუნქციას და მისი ზრუნვის ტემპიც ძალიან შემცირებულია, არ ქმნის ახალ ღირებულებას და ა.შ., ეკონომიკის ვარდნა გარდაუვალია. როგორც აღმოჩნდა, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა საკმაოდ მოწყვლადია, რადგან ასეთი ოდენობით თანხების ამოღებამ მასზე უარყოფითად იმოქმედა. უკვე თხუთმეტი წელია, რაც საქართველოში სისტემური ეკონომიკური კრიზისი არსებობს, მაგრამ ასეთი სიტუაციების რეგულირების არანაირი გამოცდილება არ გაგვაჩნია. ამასთან, ქვეყანაში შეინიშნება ფასების ფონის საერთო ზრდა, ანუ ინფლაცია, მაგრამ ლარს სხვა ვალუტასთან მიმართებაში თუ განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ დოლარის მიმართ იგი პირიქით გამყარდა, გაიზარდა მისი ფასი. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული ვალუტა უფასურდება ზოგადად საქონლის მიმართ, ის არ შეიძლება არ გაუფასურდეს სხვა ვალუტების მიმართაც, სხვა შემთხვევაში ანომალიურ ვითარებასთან გვექნება საქმე. ქვეყანაში მოხდა ფულის მასის ხელოვნურად შემცირება, რამაც გამოიწვია მისი გაძვირება არა საქონლის, არამედ მხოლოდ სხვა ვალუტების მიმართ. ამან კი გამოიწვია ის, რომ ჩვენს ისედაც დაზარალებულ ეკონომიკას დაემატა ფასების ფონის ზრდა.

**— ექსპერტებისგან განსხვავებით, ხელისუფლებას საკმაოდ ოპტიმისტური განწყობა აქვს. მათ აქვთ ჯერ არნახული პრეფიციტული ბიუჯეტი, სოლიდური თანხები ეროვნული ბანკის ანგარიშზე (რა მნიშვნელობა აქვს ამ თანხების წარმომავლობას?!) და სერიოზული კაპიტალის შემოსვლას მოსალოდნელი პრივატიზებიდან ელიან.**

— დღეისათვის ხელისუფლებას აქვს საუკეთესო მომენტი იმისათვის, რომ პრეფიციტი ბიუჯეტში არგუმენტად გამოიყენოს და სავალუტო ფონდს დასტყუოს ორი რამ: დაგვეთანხმოს სავალუტო ფონდი საგადასახადო სისტემის სერიოზულ ლიბერალიზაციასა და მეორე — ეროვნული ვალუტის კურსის დაწევაზე. თავის მხრივ, ეროვნულმა ბანკმა ბაზარზე დიდი ოდენობით ლარი უნდა გაყიდოს და, შესაბამისად, შეისყიდოს დოლარი და ევრო. და კიდევ, ბიუჯეტში სოციალურ ხარჯებზე გაცილებით დიდი თანხები რომ ყოფილიყო გაწერილი, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა ზოგად ეკონომიკურ მდგომარეობას ქვეყანაში.

რაც შეეხება პრივატიზაციას, არასწორია, როდესაც პრივატიზებას უყურებენ, როგორც ბიუჯეტის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს. პრივატიზება უნდა ემსახურებოდეს ერთადერთ მიზანს — ქვეყანაში წარმოების გაზრდას.

***ემა ტუხიაშვილი***

## სამხედრო თემაზე

# სანგრიდან დანახული ღამის ცხინვალი

## ჩაბნელებული პოზიციებიდან უცნაურად განათებული ცხინვალი მოჩანს

*(დასაწყისი იხ. გვ.8)*

სანამ სამხედროები პოსტზე დგანან და სიბნელეს „უსმენენ“, რადიოეთერში ნამდვილი „ომი“ მიმდინარეობს, ოღონდ სიტყვიერი. ერთ-ერთ რადიოსიხშირეს, რომელსაც ორივე მხარე უსმენს, „გინების ტალღა“ შეიძლება დაარქვა, თანაც 24-საათიანი; თქვენი მონა-მორჩილი სტატიის კახელი ავტორიც კი ვერასოდეს იფიქრებდა, თუ ასეთი უშვერი სიტყვებით შეიძლებოდა ვინმესთვის მიმართვა. პოზიციებზე მდგარმა ქართველებმა ოსური არ იციან, ამიტომაც ოსის რადიოგადამცემი დედაენაზე გვიკურთხებს. მათ კი საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილების არანაკლებ ხატოვანი პასუხები უბრუნდებათ...

სხვათა შორის, კოკოითის ხელისუფლების თითქმის ყველა წევრს აქვს მობილური ტელეფონი, თანაც უფრო „მაგთიში“ ჩართული, რადგან იქ უკეთ იჭერს. ცოტა ხნის წინ ცხინვალის ტელეანძაზე რუსულმა ფიჭური კავშირგაბმულობის სისტემამ, „მეგაფონმა“, თავისი ანტენა დაამონტაჟა და ახლა ცხინვალელებს თავისუფლად შეუძლიათ დაუკავშირდნენ რუსეთის ნებისმიერ წერტილს.

საქართველოს კავშირგაბმულობის მარეგულირებელმა კომისიამ დაუყოვნებლივ უნდა განუცხადოს პროტესტი რუს კოლეგებს, რომლებმაც უნებართვოდ, კანონის დარღვევით დაამონტაჟეს უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე თავისი სისტემის ანტენები.

...სანგარში კვირაობით ჯდომა ნამდვილად არ ამაღლებს ჯარისკაცების სულისკვეთებას, ამიტომაც აუცილებელია მათი დროული როტაცია. ჩვენი ცხინვალთან ყოფნის პერიოდში ქართული სამშვიდობო ბატალიონის ნაწილს თავდაცვის სამინისტროს „კომანდოს“ ბატალიონის დანაყოფები ჩაენაცვლნენ.

დაძაბულობა ცხინვალის გარშემო არ ნელდება. აშკარაა, რომ მიდის ნერვების ორთაბრძოლა, პირველს ვის გაუწყდება მოთმინების ძაფი და დაიწყებს აქტიურ საბრძოლო მოქმედებას...

# „ორი ფლოტის“ პრობლემა

## აფხაზეთის დასაბრუნებლად ძლიერი სამხედრო ფლოტი დაგვჭირდება

*(დასაწყისი იხ. გვ 9)*

სამწუხაროდ, საქართველოს ეკონომიკა არ იძლევა ამ სტრუქტურების იმ დონეზე დაფინანსების შესაძლებლობას, რომ მათ ყველა საბრძოლო დავალება წარმატებით შეასრულონ.

სახეზეა სახსრების არაეკონომიკური ხარჯვა: ფოთის სამხედრო პორტში მდგარ ორივე საზღვაო უწყებას ცალ-ცალკე შტაბი, ზურგი და სხვა დანაყოფები გააჩნია. ამას ემატება ერთგვარი უწყებრივი დაპირისპირებაც, რომელიც საერთო საქმეს ნამდვილად არ რგებს.

ამიტომაც, ლოგიკური იქნებოდა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ მომხდარიყო ამ უწყებების შერწყმა, რათა მათ გაერთიანებული ძალებით დაეცვათ საქართველოს ინტერესები შავ ზღვაში.

მაგრამ აქ დგება მუდმივი პრობლემა — ვინ ვის შეუერთდეს?

ზოგის აზრით, მთავარია სანაპირო ზოლის დაცვა. საქართველოს არ სჭირდება დიდი სამხედრო გემები, რადგან შავ ზღვაში რუსეთის შავი ზღვის ფლოტი ყოველთვის დაგვჯაბნის. ამიტომაც აჯობებს სანაპირო დაცვამ „ჩაყლაპოს“ სამხედრო ფლოტი.

თუმცა, ძნელი წარმოსადგენია ის სანაპირო დაცვა, რომლის კატარღებზე მხოლოდ რამდენიმე მცირეკალიბრიანი ქვემეხი და ათობით მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევია, არა თუ დესანტს დაეხმაროს აფხაზეთის სანაპიროზე გადასხმაში, არამედ საერთოდ საზღვაო ბრძოლა მოუგოს სეპარატისტების გადაკეთებულ და კარგად შეიარაღებულ კატარღებს.

უპრიანი ჩანს, პირიქით, სანაპირო დაცვის სამსახური შევიდეს ცალკეული დივიზიონის სახით საზღვაო თავდაცვის ძალებში, რითაც კიდევ უფრო გაძლიერდება ამ უკანასკნელის (საზღვაო თავდაცვის ძალებში 26 სხვადასხვა კლასისა და ტიპის დიდი, საშუალო და პატარა სამხედრო კატარღაა) შესაძლებლობები არა მარტო სანაპირო ზოლში, არამედ შავი ზღვის შუაგულშიც. მაგრამ რჩება საშიშროება, რომ სამხედრო მეზღვაურებს გაუჭირდებათ ჩასწვდნენ ყველა იმ ნიუანსს, რაც, წესით, უნდა იცოდნენ სანაპირო დაცვის სამოქალაქო სამსახურის წარმომადგენლებმა უცხო ქვეყნის ხომალდების აბორდაჟზე აყვანისა და შემოწმების დროს.

ამასთან, არსებობს საშიშროება, რომ თუკი სანაპირო დაცვის სამოქალაქო სამსახური სამხედრო სტრუქტურაში გაწევრდება, მას შეუწყდება ის რამდენიმე მლნ დოლარიანი ყოველწლიური დახმარება, რასაც აშშ-დან იღებს.

ამ საკითხის გადაწყვეტის კიდევ ერთ კომპრომისული გზა ამ დღეებში გამოჩნდა — როგორც „კვირის პალიტრამ“ ექსკლუზიურად შეიტყო, ამერიკული მხარე თბილისს სთავაზობს: სანაპირო დაცვის სამსახური შსს-დან გადავიდეს თავდაცვის სამინისტროში, მაგრამ რომ არ შეუწყდეს აშშ-ის ადმინისტრაციის ყოველწლიური მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება, ამიტომაც სანაპირო დაცვა დაექვემდებარება არა სამხედროებით დაკომპლექტებულ გენერალურ შტაბს, არამედ თავდაცვის სამოქალაქო მინისტრს და ამით შეინარჩუნებს სამოქალაქო სტატუსს. ერთ სტრუქტურაში საზღვაო თავდაცვის ძალებისა და სანაპირო დაცვის გაერთიანება კი გააადვილებს მათ ურთიერთქმედებას შავ ზღვაში საქართველოს სახელმწიფო ინტერესების დასაცავად.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 7 აგვისტოდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,8500 |
| ევრო | 2,2307 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,3779 |
| რუსული რუბლი | 0,0634 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,2581 |

„ტრანსფორმისი“ ფირმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

შპს „გეოკორი“
აწარმოებს
ბურღვით
სამუშაოებს
სასმელი და
ტექნიკური
წყლის
მისაღებად



მის: აკურის ქ. №8
(სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02

ფირმა „ფლორანი“
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
უმაღლესი ხარისხის პროფილით
სხვადასხვა ფერები და საკეტები
დაბალ ფასებში
☎ 38-08-14
26-44-77; 53-21-51
899 25-38-74; 899 20-57-32
მის: გამსახურდიას 44 (გაგარინის მოედანი, სასტუმრო „ხიბლი“-ს უკან)

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. ცოცხალი ანეკდოტი



უბანში ვართ შეკრებილი ბიჭები და ვყვები ანეკდოტს: „ტახტზე წამოწოლილი მიხო მთელი დღე „პრიმას" ეწევა. ხან რა უთხრეს, ხან რა აჩვენეს, მაგრამ ვერაფრით გააკვირვეს. გამოიძახეს დევიდ კოპერფილდი. ისიც წამოწოლილი მიფრინდა მიხოსთან და უთხრა, — მიხო, მოიტა სიგარეტი მომაწევინეო. მიხომაც — აიღე და მოსწიეო.

ისევ მოფრინდა კოპერფილდი, ოღონდ სხეულის ქვედა ნაწილი არ უჩანდა. მოიტა, სიგარეტი მომაწევინეო. მიხომაც იგივე უპასუხა, არანაირი გაკვირვება. შემდეგ მარტო თავი მიფრინდა მიხოსთან და ისევ სიგარეტი მოსთხოვა. მიხომ უპასუხა, — ხო ხედავ, რომ სიგარეტი გწყენს და რაღას ეწევიო."

რომ მოვრჩი მოყოლას, ერთ-ერთი ბიჭი, მალხაზი, აღტაცებას ვერ ფარავდა: — რა მაგარი „პრიმა" ყოფილაო. სიცილი მაშინ უნდა გენახათ, ეს რომ თქვა, თორემ ანეკდოტი ბევრი არაფერია.

***შალვა ლომიაშვილი, კასპის რაიონი, სოფელი მეტეხი***

## 2. რატომ გამორთო?!



ჩემი მეზობელი, ისიც ჩემსავით აფხაზეთიდან დევნილი, ბატონი ვაჟა ხუფენია დენის გამორთვის დროსაც აგინებს მის გამომრთველს და ჩართვის დროსაც.

ჩემს შეკითხვაზე, ჩართვის დროს მაინც რატომ აგინებ ჩამრთველს-მეთქი, ის ერთმნიშვნელოვნად მპასუხობს:

— რატომ გამორთო, მაგის დედაცო!

**P.S.** ეს ამბავი ანეკდოტადაც მოვისმინე და მივხვდი, რომ ადამიანები ხშირად ექცევიან ერთნაირ სიტუაციაში და „დასკვნებიც" ერთნაირი გამოაქვთ...

***გია ალანია, გალი***

## 3. ქუთაისელი „სტარშინა"



ჩემს ახალგაზრდობაში ქუთაისში იყო ერთი კოლორიტული, ახმახი, მილიციის „სტარშინა" ვალიკია, თითქმის მთელი ქალაქი იცნობდა. დილიდან გვიანობამდე იდგა სასტუმრო „ქუთაისის" წინ, ქალაქის ცენტრში ან პარკის ირგვლივ დასეირნობდა. ბიჭები ვპატიჟებდით ხოლმე ლუდზე, ხინკალზე. ასევე პატიჟებდნენ სხვებიც. სწორედ ამიტომაც იყო, რომ მისი დაჭერილი კაცი არავის უნახავს, ყველას ახლობლად თვლიდა და რა ექნა! ჰოდა, ეს ამბავი, რა თქმა უნდა, იცოდა ქუთაისის მილიციის უფროსმაც, რომელსაც, როგორც მოგეხსენებათ, კომუნისტების დროს, ხალხის დასაჭერი გეგმა ჰქონდა. ამ გეგმის შესრულებაში კი ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო, ჩვენი ახმახი ვალიკია ვერ ეხმარებოდა. ერთხელაც, საღამოს თათბირზე უფროსმა სასტიკად შეახურა ვალიკია და ბოლო გაფრთხილებაც მისცა — თუ ხვალ ვინმე არ დაგიჭერია, მილიციიდან დაგითხოვო.

წამოვიდა დაღვრემილი, როგორი დასაკარგი იყო სეირნობაში აღებული მილიციელის ხელფასი?! კარგად გამოიძინა და დილაუთენია გაეშურა სასტუმროს წინ მდებარე პარკში „საკბილოს" საპოვნელად. ჰოი საოცრებავ — ბულვარში დარბის ვიღაც უცნობი (გაუმართლა ვალიკიას!) გახუნებული სპორტული რეიტუზით, იქნევს ხელებს, ფეხებს. გაუხარდა ვიღაც „რუსი პიანიცას" დანახვა, ეცა უცებ, სანამ „რუსი" აზრზე მოვიდოდა, გადაუგრიხა ხელები და გახარებულმა გააცუნცულა პირდაპირ მილიციის უფროსის კაბინეტისკენ. მთელი მილიციის განყოფილება ფეხზე დადგა — ვალიკიამ დაჭერილი კაცი მოიყვანაო. რუსი კი „ბუინობს" რუსულად, რომლის ერთი სიტყვაც კი არ ესმის ვალიკიას. მილიციის უფროსსაც გაეხარდა, ვალიკია ამუშავდაო. შეიყვანეს რუსი კაბინეტში „დაკითხვაზე", თან ვალიკიას ეკითხება, რა დააშავაო? რა უფროსო და მთვრალია და სასტუმროს წინ მზესუმზირის ნაფცქვენებს ყრიდაო, — დაუმძიმა რუსს დანაშაული ვალიკიამ. უფროსმა ახედა-დახედა „პატიმრის" დახვეწილ სახეს, ლოთს არ ჰგავდა. ისევ მიმართა ვალიკიას, — ბიჭო! სანამ დავკითხავდე, კარგად დაფიქრდი, არ ჰგავს რუსი ლოთსო!.. რას ამბობთ, ყველაფერს კიდევ არ ვამბობ, რაც მაგან ჩაიდინაო, — გაჯიუტდა მილიციელი. უფროსი მიუბრუნდა „პატიმარს" და რუსულ ენაზე დაუწყო ვინაობის გამოკითხვა. ვალიკია ატყობს, რაც მეტ შეკითხვას უსვამს „პატიმარს", უფრო და უფრო ფითრდება უფროსი, და ბოლოს კანკალზე რომ გადავიდა, მოუბრუნდა ვალიკიას და უღრიალა — ხომ გითხარი, შე შობელძაღლო, აგი რუსი ლოთი არაა-მეთქი?

თურმე ეს ჩვენი „რუსი" წინა ღამით ჩამოფრინდა მოსკოვიდან, დაბინავდა სასტუმროში, არის საკავშირო კა-გე-ბეს პოლკოვნიკი და დავალებული აქვს ქუთაისის მილიციის მუშაობის შემოწმება, დილით კი სანამ ქალაქი გაიღვიძებდა, სასტუმროს პარკში დააპირა ვარჯიში, რომელიც ვალიკიამ შეაწყვეტინა, მილიციაში უკრა თავი და „გაახარა" თავისი უფროსი!

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***

## 4. „პახმელიის" ტყვეობაში...



ჩაცმულობის მხრივ ზედმიწევნით პედანტი ვარ. ამ თვისებას თუ დავუმატებ იმას, რომ პედაგოგი ვარ და ერთ-ერთ ინსტიტუტში ლექციებს ვკითხულობ, წარმოიდგინეთ, როგორ ყურადღებით ვეკიდები საკუთარ ჩაცმულობას, რომ სტუდენტებმა ჩემგან აიღონ მაგალითი.. მაგრამ ეს ოხერი „პახმელია" რას არ დაგმართებს ადამიანს... მეც წყალში „ჩამიყარა" ათეული წლების შრომა „ჩაცმულობის ესთეტიკის დარგში"...

ეს ამბავი კი ასე მოხდა: მორიგი გვარიანი ქეიფის შემდეგ დილით, ჩვეულებრივ, 7 საათზე ავდექი. საგულდაგულოდ გავიპარსე, ჩავიცვი, ჰალსტუხიც გავიკეთე და ლექციების ჩასატარებლად წავედი...

ქუჩაში გასვლისთანავე განსაკუთრებული ყურადღება ვიგრძენი... მაგრამ „პახმელიით" გაბრუებულს ამაზე საფიქრალად არ მეცალა.

ინსტიტუტში მისულს ყარაულმა კარი გამიღო, გაფართოებული თვალებით შემომხედა და პირი ამარიდა... დერეფანში განვაგრძე გზა... უცებ ერთ-ერთმა ლექტორმა სტუდენტებთან საუბარი მიატოვა. ჩემკენ გამოქანდა და გაოგნებულმა მკითხა: — კაცო, ეგ რა დაგიხურავს?!

თავზე ხელი მოვისვი და დამცეცხლა... დილით, თმების დასაყენებელი ჩემი ბიჭის საზაფხულო ყვითელი პლუშის ქუდი დავიხურე, კარტუზშებრუნებული... რასაკვირველია, ქუდი თავიდან მოვიგლიჯე, მაგრამ უფრო უარესიც მელოდა-თურმე. ქუდზე დიდი ისარგაყრილი გული ეხატა და რუდუნებით ეწერა: „ეკა, მიყვარხარ!.." ეკა კი ჩემდა ჭირად, ახალგაზრდა პრაქტიკანტსაც ერქვა, რომლისთვისაც მთელი ინსტიტუტი „ვენებს იჭრიდა!"

***იური ცუცქირიძე, თბილისი***

## 5. ცნობილთა ნაკვესები

## ნიაზ დიასამიძე

* * *

— ქიშ! — უთხრა ნიაზ დიასამიძეს მეგობარმა.

ნიაზს ეწყინა, რომ წააგო.

— რა უზრდელი ხარ!

— რატომ?

— ეგრე უნდა მითხრა?

— აბა, როგორ?

— როგორ და: ქიშთ!..



* * *



ნიაზ დიასამიძის მეგობარი ამირან ჭიჭინაძე, კინოფილმ „გიორგობისთვის" სცენარის ავტორი, ჰყვება:

„ერთხელ ნიაზი ტროლეიბუსში ასულა. ვიღაცა მიადგა, გაიარეო, გაიწია... მერე კიდევ სთხოვეს, გადაიწიეთო, — ისევ გაიწია, კიდევ რომ სთხოვა ვიღაცამ, ცოტა გაიწიეთო, ნიაზს უთქვამს:

— შე კაი დედმამიშვილო, ფეხით სიარული რომ მდომებოდა, ტროლეიბუსში კი არ ჩავჯდებოდიო".

**შეკრიბა ზაზა სეფაშვილმა**

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



**6.** ოთხი ნარკომანი ოთახში ზის. კარზე კაკუნია, მაგრამ გაღება ოთხივეს ეზარება. ბოლოს გადაწყვიტეს, „ჯოკერი" ეთამაშათ და კარი ბოლო ადგილზე გასულს გაეღო. ორ საათში, ბოლო ადგილზე გასულმა კარი გააღო, გარეთ მდგომი მისი მეგობარი კი გაოცებული ეუბნება:

— აუ, შენ რა „შუსტრი" ხარ, ტო, კართან იყავი ჩასაფრებული?

***კობა ხატისაშვილი, თბილისი***



**7.** ნარკომანი სარკეში იყურება და აღტაცებით ამბობს:

— ვა, ეს მე ვარ, ტო!

შემდეგ მეორე ოთახში გადის და იქაც იხედება სარკეში:

— ვა, ისევ მე ვარ, ტო?!

ამ დროს კარზე დააკაკუნეს.

— ვინ არის? — გასძახა ნარკომანმა.

— მე ვარ!

— ვა, გარეთაც მე ვარ, ტო?!

***ემზარ ფრუიძე, წყალტუბო***

## ყურადღება!

## კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ" მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, III ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 11 აგვისტოს 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 12 აგვისტოს 13 საათამდე.*

**კურიოზების კონკურსი**

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ________

________

თქვენი სახელი, გვარი

**კვირის პალიტრა №32**

## მილოცვა



**ციცო დუდავას!**

დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს! გკოცნით!

ყველას ძალიან გვენატრები და გვიყვარხარ!

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და დიდ სიხარულს. სულ მალე ყოფილიყავი ჩვენ გვერდით!

*მეუღლე და შვილები*

**ლია (მაყვალა) დიასამიძეს!**

ლიკუ, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებებს პირად ცხოვრებაში. იხარე და იდღეგრძელე. გფარავდეს მაღალი ღმერთი.

*დიდი სიყვარულით ლევანი, მზია, ლაშა და ანუკი*

## მადლობა

გურჯაანის ნაყინის ქარხნის დირექტორს ბატონ **გურამ ბერიკაშვილს** დიდ მადლობას უხდის უმცროსი *ილია ასკილაშვილი,* უანგარო დახმარებისთვის.

## ბინები

სასწრაფოდ! იყიდება პრესტიჟულ სახლში 120 კვმ სუფთა ბინა, 3 ოთახი გადაკეთებული 4-ად, 15(16), ჩაშენებული კარადებით, „ტერმექსით“, გისოსებით. 2 სველი წერტილი და სამზარეულო – კაფელით და მეტლახით. ფასი $34.000. მის: იოსელიანის №37. ტელ: 877 45-68-16

გირავდება 3-ოთახიანი ბინა ვაკეში, მრგვალ ბაღთან. შესაძლებელია ყიდვაც. ტელ: 893 90-49-21

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას ავსტრიაში, გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება $200-400 აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიდუბე“, „სამთო ქიმიის ინსტიტუტი“, I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

გვესაჭიროება პარტნიორები საერთაშორისო განვითარებად კომპანიაში, სადაც შესაძლებელია თანამედროვე და ეფექტური მეთოდების გამოყენებით ზრდადი შემოსავლის მიღება. მუშაობის გრაფიკი თავისუფალია, არა აქვს მნიშვნელობა პროფესიასა და ასაკს. მსურველებს ვიხმობთ რეგიონებიდანაც. ინფორმაცია უფასოა. ტელ: 38-15-64 (18-24 სთ)

ვითარდება ამერიკული პროგრამა. კადრების მომზადება ახალი ტექნოლოგიების გათვალისწინებით. გარანტირებულია დასაქმება. ტელ: 893 16-04-57. საყვარელიძე

## მომსახურება

სტუდენტური, ოჯახური, ინდივიდუალური და ჯგუფური დასვენება ქობულეთში (ფიჭვნარი) სხვადასხვა კომფორტის და პირობების კერძო ბინებში, სამჯერადი კვებით ჩვენს კაფე-სასადილოში. ყველაფერი ეს შედის საგზურის ღირებულებაში: 10 დღე – 120-130-140-150-170-220 ლ. შეღავათები – ბავშვებსა და ჯგუფებზე. მის: თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №113-115 (ეზოში). კაბ. №31. „მკურნალი სუმბაძე“. ტელ: 91-18-38 (სამს.); 69-18-38 (ბინა); 877 41-86-16. ცისანა სუმბაძე

პირველი ქართული AU-PAIR სააგენტო გთავაზობთ AU-PAIR პროგრამით, ერთი წლით გერმანიაში გამგზავრებას. იცხოვრებთ მასპინძელ ოჯახებში და ივლით ენის კურსებზე. სიახლე: ჯიბის ფული – 280 ევრო! სწრაფი შუამავლობა. მუშაობის 10-წლიანი გამოცდილება. ტელ: 91-19-61; 34-66-02

ავეჯის რესტავრაცია! სამეულები, ტახტები, მატრასები; ქსოვილის შეცვლა, დარბილება; მეორადი მოხმარების სამეულებზე ლაქების ამოყვანა, მშრალი წმენდა. ტელ: 76-01-33. გია

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 12 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ან პლატინის ერთჯერადი ნემსით და გაყუჩებით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი, განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი – პირველსავე სეანსზე; სახის გაწმენდა; მასაჟი საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის 66. ბინა 46. ტელ: 37-74-22; 877 72-62-08. მანანა

ნათელმხილველი აშიშა კვლავ თბილისშია და აგრძელებს მიღებას ძველ მისამართზე. მკითხაობა, ჯადოთვალის, წყევლის დაზუსტება, მოხსნა; თილისმები, ოჯახური და მეგობრული ურთიერთობების მოგვარება. მიღება მხოლოდ სატელეფონო ჩაწერით. ტელ: 893 96-94-51

## მკურნალობა

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი (t = 37,2°C), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები; წონის დაკლება. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი“, ძმები გარიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03; 893 20-68-21

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ციცო მჭედლიძე

სმენის აღდგენა, ხმაურის, ქავილის, ყურის ანთების, ტკივილების მკურნალობა ენერგოინფორმაციის მეთოდით, აპარატურისა და ოპერაციული ჩარევის გარეშე, ყველა ასაკის პაციენტთათვის. ვმკურნალობ სხვა დაავადებებსაც. პაციენტების მიღება – 9-13 სთ. მის: ვაკე, ჭავჭავაძის №37ა, სამების ეკლესიის უკან, თენგიზ აბულაძის ქ. №8. დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. ტელ: 91-31-19; 91-32-42; 899 97-85-46. ლევან სეხნიაშვილი

ძვირფასო მშობლებო, მეუღლეებო, თუ ალკოჰოლიზმი, ნარკომანია და ნიკოტინი იქცა თქვენი ოჯახის, სიყვარულისა და მომავლის დამანგრეველ მიზეზად, თუ ვეღარ უმკლავდებით ამ მავნე ჩვევებისაგან გამოწვეულ ჯოჯოხეთურ პრობლემებს, მოგვმართეთ და სულ მალე დარწმუნდებით, რომ უკურნებელი არაფერია. ტელ: 98-86-19; 34-02-38; 893 12-71-43. ექიმი-კონსულტანტი ნინო

ალკოჰოლიზმი და მისგან გამოწვეული გართულებები – ნაბახუსევის სინდრომის („პახმელიის“) მოხსნა, შიშები, ნევროზები; ჰალუცინაციები; ჰეპატიტები. მკურნლობა ხდება პაციენტისგან უჩუმრად. პრეპარატები მცენარეულია და გაჯერებული ვიტამინებით. არის მაღალეფექტური. ტელ: 53-08-02. თამრიკო

ალკოჰოლიზმი, თამბაქოს გადაგდება, ალკოჰოლიზმისაგან და ნარკომანიისაგან გამოწვეული გართულებების მკურნალობა: 1. ნევროზები; 2. ჰალუცინაციები; 3. ჰეპატიტები; 4. ორგანიზმის გაწმენდა. უსაფრთხო, სერტიფიცირებული პრეპარატები, აკად. ლიხარიოვის მეთოდებით (მოსკოვის კრემლის ლაბორატორიიდან). მკურნლობა შესაძლებელია პაციენტისგან ფარულად. ტელ: 899 22-63-90. ნინო

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, საშწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. განკურნება გარანტირებულია. ტელ: 56-37-37; 899 54-64-81

ანტიალკოჰოლი და ანტითამბაქო, ნევროზი, უძილობა, შიშები, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ჰიპერტონია, ვარიკოზი, ბუასილი, კოლიტი, სოკო, ფსორიაზი, თვალის დაავადებები, ქრ. ბრონქიტი, ასთმა, ალერგია, კუჭის წყლული – სერტიფიცირებული მცენარეული პრეპარატებით, რომლებსაც უკუჩვენება არ გააჩნია – დამზადებულია მოსკოვში, აკადემიკოს ლიხარიოვის ლაბორატორიაში. ტელ: 99-75-90; 899 21-13-66. ლალი

აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდებით, ულტრათანამედროვე „ЛООВИТ“ პროგრამებითა და უნიკალური შედეგებით: პროსტატიტი, სქესობრივი სისუსტე, სპერმის უხარისხობა და სხვა მამაკაცური პრობლემები. ანონიმურობა დაცულია. ტელ: 35-17-48. დათა

აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდებით, ულტრათანამედროვე „ЛООВИТ“ პროგრამებითა და უნიკალური შედეგებით: ალკოჰოლიზმი, შიში, ჰალუცინაცია, აკვიატება, დეპრესია, მაღალი წნევები, ინსულტის შემდგომი პერიოდი. ტელ: 35-17-48. დათა

## განათლება

კომპიუტერული სტუდია „დაჯი“ კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. კოსმეტოლოგ-ვიზაჟისტი; 2. მასაჟისტი; 3. საპარიკმახერო. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის: აღმაშენებლის №115, კაბ. №20(ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს.); 96-22-89 (ბინა)

თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი გიწვევთ დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე: სამართალმცოდნეობა, ეკონომიკური, უცხო ენები. უმაღლესდამთავრებულები მიიღებიან II, III კურსებზე. ფასი 200 ლარი. ტელ: 32-06-97; 30-51-30; 893 93-38-15. მის: თოფურიას №12. 128-ე საშ. სკოლა (ვაჟა-ფშაველას III-IV კვარტალებს შორის).

ავტოსკოლა ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს. სკოლა უზრუნველყოფილია ყველანაირი მარკის მსუბუქი და სატვირთო ავტომობილით. მოდი, ისწავლე, აიღე მართვის მოწმობა! ჩვენი მისამართებია: ლადო ასათიანის №28; მუხიანის დასახლება, I მ-რ, II კორპ. ტელ: 99-53-24; 64-02-10; 899 14-14-84

სიახლე! ერუდირებული და მონდომებული მოზარდებისათვის კომპიუტერის და ინგლისურის შესწავლა სპეციალური პროგრამით – „დამწყებიდან პროფესიონალამდე“. სწავლა 1-ელ სექტემბრიდან იწყება. ჩაწერა ყოველდღე, 12.00–15.00 სთ. მის: მეტრო „რუსთაველი, „კინოს სახლის“ შენობის უკან, გავაშელის ქ. №7. ტელ: 98-80-23; 877 41-87-33. I კურსი – საოფისე საქმიანობა + კომპიუტერული გრაფიკა; II კურსი – Web დიზაინი, ანიმაცია; III კურსი – პროგრამირება პრაქტიკული გამოყენებით.

## იყიდება

ახალი კორეული სატელიტური ანტენა ციფრული მიმღებით. იღებს ქართულ, რუსულ და ევროპულ ტელეარხებს. აჩვენებს ყველგან: ქალაქში, სოფელში, აგარაკზე, მთაში, აგრეთვე საზღვარგარეთ. არხების რაოდენობა – 380; კომპლექტის ფასი – $140; მონტაჟი – 40 ლარი. რუსეთის 25 ტელეარხი – ფასი $200-მდე, მონტაჟი – 50 ლარი. ტელ: 899 94-27-04

ბამბუკის ძველებურ, ანტიკვარულ სტილში უნიკალური დიზაინით დამზადებული 15-ნაჭრიანი კომპლექტი (დივანი, 2 სავარძელი, მაგიდა, 4 სკამი, ტელეფონისა და ჟურნალების მაგიდები, სხვადასხვა ზომის 5 ტაბურეტი). ფასი $1500. ტელ. 899 95-38-48; 94-12-63

1. 4 მმ-იანი მავთულისაგან დამზადებული „გაბიონის“ ბადე, 100X100 მმ-იანი უჯრედით – მდინარეების ნაპირის სამაგრი სამუშაოებისთვის; 2. შემოსაღობი მავთულბადე; 3. ვენახის Φ2-Φ2,5 მმ-იანი მავთული. ტელ: 899 14-28-16

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით, აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-12 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

## შევიძენ

35 სმ-ზე გრძელ თმას. ტელ. 58-78-88; 893 32-14-12

## სხვადასხვა

ეკოლოგიისა და განვითარების საერთაშორისო ფონდი „ამიანტი“ და შვეიცარიული ფირმა „NEWFO SA“ აცხადებს კონკურსს დევიზით: **„ინოვაციური პროექტები — საქართველოს ნაციონალური ეკონომიკური ინტერესები გლობალიზაციის ეპოქაში“.**

კონკურსი ეძღვნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის კათედრის 50 წლის იუბილეს.

*საკონკურსო თემატიკა:*

– წიაღისეულის საბადოების მარკეტინგი;
– ბუნებრივი და ტექნოგენური საცავების მარკეტინგი;
– სარეკრიაციო ზონების მარკეტინგი.

მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

სამი საუკეთესო პროექტისთვის დაწესებულია პრიზები – 600, 400 და 200 ლარის ოდენობით.

ფონდი „ამიანტი“ იზრუნებს ჟიურის მიერ რეკომენდებული პროექტებისთვის ინვესტიციის მოზიდვის შესაძლებლობებზე. ანოტაციის (არაუმეტეს ორი გვერდისა) წარმოდგენის ვადაა 1.09-17.09.2004; სრული პროექტის წარმოდგენის ვადაა 01.10.2004. კონფერენცია ჩატარდება 2004 წლის 16 და 17 ოქტომბერს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მესამე კორპუსში, პროფესორ გიორგი ჯაფარიძის სახელობის №432 აუდიტორიაში. დასაწყისი 11 სთ. საორგანიზაციო კომიტეტი: კოსტავას ქ. №77. 0175 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი; III კორპ. III სართ. ოთ. №410. ტელ: 37-73-19; 36-41-67; ფაქსი: 22-53-08; მობ: 899 401-503; ელფოსტა: amianti@posta.ge








## ლეილა შიოშვილი-ჯაფოშვილის ხსოვნას!

ძვირფასო, საყვარელო დედიკო! ახლობლის სიკვდილი ყოველთვის უდროოა, დედისა — მით უფრო. ჯერ საიმქვეყნოდ ახალგაზრდა იყავი... სიხარულიც ბევრი გარგუნა უფალმა — შენი მოთაყვანე ქმარი და შვილები, თავს დაგტრიალებდნენ და, დისწულები, დეიდა, დედა, რომლის მკლავებში დალიე სული... სიკეთით გზრდიდი, დაგვაფრთიანე, სიყვარული გვასწავლე, თანადგომა...

შენ ხომ გიყვარდა ყველა — შენც როგორ ჰყვარებიხარ ნათესავს, მეგობარს, მეზობელს — სწორედ ეს სიყვარული გაიყოლე თან.

იმ ქვეყნად ალბათ უკვე შეგეგებნენ შენი უმცროსი, საფიცარი ძმა პეტიკო, მამა, ბიძა — ქორო...

გმადლობთ, დედიკო, ასეთი კარგი რომ იყავი, გმადლობთ, ასეთები რომ დაგვზარდე. შენი სიკეთე, ვიცით, გზას გაგვინათებს.

ღმერთმა დაამკვიდროს შენი სული სასუფეველში.

*შენი მიშიკო, ნათია, თეა*

## ალიკა ბერიძის მონატრება



ჩემო ალიკა! რა უნუგეშო ტკივილიანი ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შენმა ლამაზმა სულმა მარადისობაში დაიმკვიდრა ადგილი. უზომო მწუხარება დაგვიტოვე. არა აქვს ცრემლს დასასრული.

ვერ ვივიწყებთ შენს გონივრულ, აზრიან საუბარს. ხალისიანი, ენამზიანი, საოცრად მოსიყვარულე იყავი ყველას მიმართ. დიდთან დიდსა და პატარასთან პატარას, ლაღი იუმორის უბადლო ნიჭი გამშვენებდა. ვიგონებთ წარსულს და გვიკვირს, 23 წელში რამდენი სიკეთისა და სიყვარულის დათესვა მოგისწრია. ვფიქრობთ, უფალმა ასეთი გამორჩეული თვისებების გამო გაგარიდა ამ ცოდვილ წუთისოფელს და თავისთან გიხმო.

ბუნებამ და ღმერთმა ყველაფრით დაგაჯილდოვა, მაგრამ ბედის მოცემა დაავიწყდა და შეგიწირა ამ უბედობამ.

ყოველი დღე შენს მონატრებაზე ფიქრით თენდება და ღამდება. სამწუხაროდ, ახლა უკვე მოგონებით ვცხოვრობთ. მშობლების ერთადერთი იმედი იყავი, შენთან სიახლოვე ყველას სიყვარულით ათბობდა, მაგრამ მოულოდნელმა შემთხვევამ შენი თავი სამუდამოდ წაგვართვა და ოჯახს, ნათესავებს და მეგობრებს უსაზღვრო ტკივილი დაუტოვა.

გვიჭირს შენი მშობლების ნუგეშისცემა, მათთვის მთელი სამყარო ხომ შენ იყავი... როგორი მეოცნებე იყავი, რამდენ გეგმას აწყობდი სამომავლოდ, მაგრამ ერთმა უბედურმა შემთხვევამ ყველაფერი უკუღმა დაატრიალა. რა სასტიკია რეალობა. სულ გვგონია, რომ მოხვალ და მწუხარებისგან შეგუბებულ ჰაერს მხიარული ხმით გაააპობ, უშენობით გაცივებული სახლის კედლებს გაათბობ, მაგრამ ამაოდ. ერთი რამ გვაიმედებს — რომ ასეთი ამაღლებული სულით, ალბათ წამებში დაიმკვიდრე ცათა სასუფეველი. ხშირად ვლოცულობთ შენს სახელზე, გინთებთ უამრავ სანთელს, რათა უფრო გაბრწყინდეს შენი სპეტაკი სული.

ვფიცავთ, არ დავივიწყებთ შენს სამუდამო ადგილსამყოფელს, ხშირად ვივლით, რათა ყვავილებმა იბიბინოს ყოველთვის.

ნათელში იყავი, ჩვენო ალიკა. ღმერთი იყოს შენი მფარველი.

*შენი დეიდაშვილები: ელზა და ეკა ლომიძეები ოჯახებით*

## შვილის მონატრება

ალიკა, დედიკო, შენს უსაშველო მონატრებაში გაილია ტანჯვა-წამების მტკივნეული 2 წელი. ორი წელია, იმ ბედნიერ დღეს ვნატრობ, გავიღვიძო და აღარ ვიგრძნო მძიმე, მოურჩენელი ტკივილი, რომელიც ყოველი გაღვიძებისთანავე თან მახლავს.

5 აგვისტო შენი მშობლებისათვის ის უბედური დღეა, რომელმაც სამუდამო დაღი დაასვა ჩვენს ბედნიერ ცხოვრებას. ამ დღემ დამავიწყა ბედნიერების არსებობა. სამუდამოდ გაქრა ჩვენი ოჯახის სიხარული და ბედნიერი დღეები: უშენობამ სევდად გვაქცია და ყველაფერი გაუფერულდა. ერთ წამში დაგვემსხვრა ოცნების კოშკები. სამსახურის დაწყება აუხდენელ ოცნებად დაგრჩა. ამაზე მეტი სიმწარე დედამიწაზე არ არსებობს, შვილის სიკვდილის შემდეგ დედ-მამა ცოცხალი რომ რჩება. ნამდვილად სასჯელია სიცოცხლე შვილმკვდარი მშობლებისათვის.

ჩვენი ცხოვრების მთავარი საფიქრალი შენ იყავი და ახლაც შენ ხარ. შენს სახელს ისევ ისე გავუფრთხილდებით, როგორც სიცოცხლეში ვუფრთხილდებოდით. მე და შენი მზრუნველი მამიკოსათვის მიწიერი ცხოვრება აღარ არის მნიშვნელოვანი. უშენოდ არასოდეს ვიქნებით ბედნიერნი. თურმე შენ გვაგრძნობინებდი სიცოცხლის ძალას და ვაი, რომ სიკვდილის ძალაც შენ გვაგრძნობინე.

შეიცვალა ჩვენი დამოკიდებულება სამყაროსადმი. მივხვდით, რომ შენი სრულყოფილებით ზეციურ სამყაროს უფრო შეეფერები.

უშენობამ ქვად მაქცია. სულ თან დამყვება შენი ლამაზი, მოციმციმე თვალები. გვენატრება შენი სიმღერები. მიკვირს, უშენოდ როგორ ვცოცხლობთ ამ ქვეყანაზე. ალბათ ესეც ღმერთის განგებაა.

მხოლოდ 23 წელი იცხოვრე, შვილო, ამქვეყნად, მაგრამ მოასწარი, კაცურად დაგეტოვებინა ლამაზი სახელი შენი მეგობრებისა და ახლობლების გულებში.

ბუნებამ ადამიანების დიდი სიყვარულის ნიჭით დაგაჯილდოვა. ადამიანებთან ურთიერთობის საოცარი უნარი გქონდა. კარგი შუამდგომლობა იცოდი მეგობრებში და ძალიან გთხოვ, დედიკო, იქნებ ღმერთთან გვიშუამდგომლო, რომ მე და მამიკო მალე შენთან მოვიდეთ და გავაგრძელოთ ის ბედნიერი ცხოვრება, რომელიც გვქონდა. შენ ირგვლივ ყველაფერი მშვენიერი, ლამაზი და ამაღლებული იყო, რადგან შენ თვითონ ქმნიდი ამ ხალისიან, მხიარულ, იმედიან განწყობილებას.

გინთებთ უამრავ სანთელს, რათა უფრო გაბრწყინდეს შენი სპეტაკი, ლამაზი სული. ამას, დედიკო, შენი სულის საამებლად და მოსახსენიებლად ვაკეთებთ.

გთხოვ პატიებას, რომ უშენოდ ვაგრძელებთ სიცოცხლეს — რომელიც მხოლოდ არსებობაა იმისათვის, რომ შენს ლამაზ სულს ლოცვით ვეფერო შენთან მოსვლამდე.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სპეტაკი სული, ჩვენთვის საფიცარო შვილო...

*შენი დამწუხრებული მშობლები — გურამ და ლილი ბერიძეები*

## ალიკა ბერიძის მონატრება

ჩვენო ალიკა, ორმა წელმა ვერ გაანელა შენი მონატრების გრძნობა. რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, შენ არ დაგივიწყებთ. დრო გვაშორებს შენთან და უფრო გაუსაძლისს ხდის მონატრებას. უკვე ორი წელი შეგისრულდა, რაც შეუცნობელ სამყაროში გადასახლდი.

როცა ამ ქვეყნიდან წასულ ახლობელ საყვარელ ადამიანს იგონებ, თითქოს ტკივილი გიმსუბუქდება, რადგან მისი ხსოვნის წინაშე უმნიშვნელო ვალს მაინც იხდი.

ალიკა, ვერ შევეჩვიეთ უშენობას. სევდას, ტკივილსა და მწუხარებას შენი სახელი დავარქვით. რამდენი ტკბილი სიტყვა გვაგონდება, ჩვენო პატარა ძმაო... ვიხსენებთ შენს ნამღერ სიმღერებს და ცრემლები გვახრჩობს, გული გვტკივა, რომ ჩვენგან ნაადრევად წახვედი. წახვედი და თან გაიყოლე აუხდენელი ოცნებები. შენს მშობლებს რამდენ რამეს ჰპირდებოდი, მაგრამ... ბედმა გიმტყუნა და მარადისობაში გადაინაცვლე. ბევრ კარგს ვიხსენებთ შენზე, მაგრამ დიდ მონატრებას ვერაფერი შეგვივსებს. აქედან გეფერებით, როგორც ცოცხალს, მაგრამ ჩვენგან შორს მყოფს.

ყოველმხრივ რჩეული იყავი — გარეგნობით, აღზრდით, ბუნებით... შენ გვერდით მყოფთ, მოდუნებისა და მოწყენის ნებას არ აძლევდი. შენი ხანმოკლე სიცოცხლით ბევრი სიკეთე და სიყვარული დაიმსახურე.

ნათელში იყოს შენი სპეტაკი სული, ჩვენო ალიკა. ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

*შენი ბიძაშვილები: მზია, ნუკრი, ანა და თამუნა ლაბაძეები ოჯახებით*

## სანდრო ცაძიკიძის გახსენება



წელს პირველად მოვიდა შენი დაბადების დღე უშენოდ, სანდრო, რომელსაც გულისტკივილით, სევდითა და ცრემლებით შევხვდებით. რა უიღბლო ყოფილხარ, ბიჭო. 11 აგვისტოს 24 წლისა გახდებოდი, მაგრამ 25 დეკემბერი საბედისწერო აღმოჩნდა შენთვის და უეცრად ტრაგიკულად ჩაგიტყდა 24-ე ზამთარი. ადრე დამთავრდა შენი „წუთისოფლის სტუმრობის“ ჟამი და სულეთის მარადიულ სამყაროს შეუერთდი.

რა ულმობელი ყოფილა წუთისოფელი. ღმერთს ვერ შევცოდავთ, მაგრამ მაინც რა უღვთო იყო შენი სიკვდილი. რით ვანუგეშოთ გამწარებული დედაშენი, რომელსაც სრულიად ახალგაზრდას, მეუღლის დაღუპვით გამოწვეული მწუხარების შემდეგ, ბედმა შვილმკვდარი დედის საშინელი ხვედრიც არგუნა?!

მძიმეა ობლად დარჩენილი ოჯახის ხვედრი. შენ საამაყო მამის უდროოდ დაღუპვით გამოწვეული ობლობა არ გაკმარა ღმერთმა. შენ ხომ ძალიან ჩამოჰგავდი მამას — სიკეთით, სათნოებით, პატიოსნებით, მოკრძალებით, სხვისი ჭირის გათავისებით. შენ არ შეგშინებია ცხოვრებისეული წინააღმდეგობების. დიდ მომავალზე ფიქრობდი, მაგრამ არ დაგცალდა. რამდენი ჩანაფიქრი დაგრჩა განუხორციელებელი, ჩვენო გულალალო, მეოცნებე ბიჭო.

სრულიად უდანაშაულოდ დაიღუპე, შემთხვევით, მაგრამ შემთხვევით არაფერი ხდება ამ ქვეყანაზე. შენ ამოგარჩია უფალმა და ზეციურ საუფლოში შენი წაყვანა ისურვა. ჩვენ გვჯერა სულის არსებობისა და ამიტომ ვინუგეშებთ თავს — ღმერთს თავისთან რჩეულები მიჰყავს-თქო.

სავანე ყოფილიყოს შენთვის, შენს გულზე უდროოდ დაყრილი ალვანის წმინდა სამების მიწა.

ნათელში იყოს მარადიულობაში გადასული შენი ლამაზი სული, ჩვენო „სანდალა“, ჩვენო სიამაყევ და უკურნებელო ტკივილო.

*შენი ახლობლები*

## ლევან (ლერი) ბერაძის გახსენება



ლევან, შვილო, 18 აგვისტოს გისრულდება 33 წელი. წელიწად-ნახევარი გადის, რაც ჩვენგან წახვედი, გაუხარელი, სურვილებაუსრულებელი, ცხოვრებით გაუმაძღარი. მხოლოდ მოგონებები დაგვიტოვე შენ ირგვლივ მყოფთ, უბედურ დედას, ძმებს, ძმისშვილებს, მეგობრებს და ნათესავებს.

წუთი არ არის, რომ შენ არ მოგიგონოთ. სასაფლაოზე ავდივართ და გულს იქ ვიოხებთ უბედურები.

ჩემო უდროოდ წასულო შვილო, სანთელი არ მოგაკლდეს შენს სამუდამო სასუფეველში.

*შენი უბედური დედა*

## მერაბ გაბუნიას!



შვილო მერაბ! სამი წელი შესრულდა, რაც დედას არ დალაპარაკებიხარ. სამი წელი... იცი რამდენია დედისთვის, შენი ოჯახისთვის, ყველა შენიანისთვის? სიყვარულო, მწუხარებავ, ვითვლი დღეებს შენთან შეხვედრის მოლოდინით. უსაზღვროა, შვილო, შენი მონატრება. მიკვირს რატომ, როგორ ვცოცხლობ უშენოდ.

უფალს შევთხოვ, მალე დამთავრდეს უბედური მშობლების ტანჯვა. შენი შვილი გაიზარდა, წელს სკოლაში წავა. ვაი, რომ შენ ვერ მიაცილებ.

ცხრა აგვისტოს მოვალთ შენთან შენი ახლობლები და სანთლებს დაგინთებთ. გჯეროდეს, გვიყვარხარ, გვენატრები უსაზღვროდ.

გვაპატიე სიცოცხლე უშენოდ.

*შენი ოჯახი*

## ნაზი მამუკაშვილის მონატრება



დრო ყველაფრის მკურნალიაო, — გაგვიგონია, მაგრამ არის თურმე ისეთი ტკივილი, დრო რომ ვერ აყუჩებს. ასეთი ტკივილი შენ ხარ, ჩვენო დედიკო. ჩვენთვის მეხის გავარდნას ჰგავდა შენი სიკვდილი. უკურნებელმა სენმა დაგრია ხელი. ვაი, რომ ვერსად ვიპოვეთ შენი საშველი. სიცოცხლე გიყვარდა, სიკეთისა და სიყვარულისთვის იყავი დაბადებული. გაზაფხული გიყვარდა, ეტრფოდი ბუნების გამოღვიძებას. ამბობდი, ხალისი მემატებაო. უკვე მერვე გაზაფხული მოვიდა უშენოდ. ისევ შენ გელოდებით. უკანასკნელ წუთებში მყოფი, ისევ ჩვენ გვამშვიდებდი და გვეფერებოდი.

წახვედი ჩვენგან ზეციურ საუფლოში და დაგვიტოვე დიდი ტკივილი. ერთ შვილიშვილს მოესწარი, ახლა ოთხი გყავს. შენი ბექა დავაჟკაცდა, სხვები მხოლოდ სურათიდან გიცნობენ, თითს იშვერენ მოღიმარი ქალისაკენ და გიღიმიან. შენ კი ალბათ ზეციდან გვადევნებ თვალს.

ბედნიერ საქართველოზე ოცნებობდი. ამ სულისკვეთებით ზრდიდი ათასობით ახალგაზრდას. წლების განმავლობაში სათავეში ედექი ნორიოს საშუალო სკოლას და სიკეთეს თესდი, გულის სითბოს ყველას უნაწილებდი.

ილოცე ყველასთვის, ვინც გაგიხსენებს, სანთელს დაგინთებს და შენს შესანდობარს ცრემლებს ჩააყოლებს, ჩვენ კი უშენობას არ გვაგრძნობინებს, შენეული მფარველობით გვერდით დაგვიდგება.

*უსაზღვრო ტკივილს, უსაზღვრო ლოდინს*
*არ უჩანს ბოლო*
*როგორ გვიყვარხარ, ჩვენო დედიკო*
*ო, იცი როგორ?*
*გვიჭირს თუ გვილხინს, სული შენი ჩვენთან*
*ტრიალებს,*
*მაგრამ გვითხარი, რა მოვუხერხოთ*
*შენვან დატოვილ ღია იარებს?*
*ჩვენო ტკივილო და სიამაყევ,*
*მუდამ ნათელი გზებით იარე!*

*შენი ოჯახი*

## ადამ (ადიკო) ლაბაძის მოგონება



სამი წელი შესრულდა, ძმაო ადიკო, რაც უშენობას განვიცდით. შენი დაბადება ჩემი ოცნების შესრულება იყო. ფეხმძიმე დედას ვთხოვდი, ორი დის შემდეგ ჩემთვის ძმა გაეჩინა. პატარა ბიჭს ღმერთმა ოცნება შემისრულა და შენი თავი მაჩუქა. სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა, ერთ წელიწადში მშობლები გარდაიცვალნენ, რომელთა სახეებიც შენ არ დაგამახსოვრდა. ჩვენ ვიყავით ერთმანეთისთვის მშობლებიც, ძმებიც და მეგობრებიც.

შრომითი საქმიანობა ბავშვობიდან დავიწყეთ და პატიოსანი შრომით შევქმენით სანიმუშო ოჯახები. ძვირფასი შთამომავლობით ვამაყობდით ორივენი, მაგრამ საუბედუროდ, შენ არ დაგცალდა ხანგრძლივი სიამოვნება ოჯახში.

დრო მკურნალი არ ყოფილა. შენსა და ჩემს ოჯახს დღითი დღე ემატება უშენობით გამოწვეული მწუხარება. ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს. ჩვენ არასოდეს დაგივიწყებთ.

*ცოლი ნათელა, ძმა ლევანი ოჯახებით*

## თამუნა შველიძე-მაისურაძის გახსენება



გავიდა ცრემლიანი, გულისტკივილით და გოდებით სავსე ერთი წელი, რაც შენ აღარ ხარ ამქვეყნად, ჩემო თვალისჩინო და დედის იმედო თამუნა. ვერც კი მიხვდი, ისე მოულოდნელად შეეხო შენს ჯანმრთელ, ლამაზ სიცოცხლეს 40 წლის ასაკში ბოროტი ანგელოზი. მეუღლის დაღუპვის წლისთავი აღნიშნე და შენც მის კვალს გაჰყევი. ღვთის რწმენით გზრდიდი და ობლობისთვის როგორ გაიმეტა ღმერთმა შენი სოფო და მიშიკო, ნუთუ სანთელ-საკმეველმა თავისი გზა დაკარგა?

უსაზღვროდ გვენატრები ყველას, ზღვა ცრემლებისგან ვიხრჩობით. ქვითინებს შენი ერთადერთი და ირმა, დედამთილი ნელი, რომელსაც „დედას“ ეძახდი.

ღვთისგან გამორჩეული, ოჯახის ერთგული, ალალმართალი, სპეტაკი სულის, უაღრესად მოსიყვარულე, უხვად ასხივებდი ნათელს და სიყვარულს. ალბათ გულმაც ვეღარ გაუძლო ამდენ დატვირთვას და ნაადრევად შეწყვიტა ფეთქვა.

ჩემო ხატულავ, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ცად ამაღლებული, ლამაზი სული.

*დედა ნუნუ გოგსაძე*

## თამუნა შველიძის მონატრება



წელიწადი გადის, რაც გამოაკლდი და აღარ ამშვენებ შენს მეგობრებს, ახლობლებს შენი ხალისიანი და ლამაზი სიცოცხლით. ასაკით ჩემზე უმცროსი, სიახლოვის და უდიდესი სიყვარულის სიმბოლოდ ერთადერთი, ხორციელად და სულიერად მშვენიერი ნათლია მყავდი.

თვალები სულის სარკეაო — ამბობენ. შენს ლამაზ თვალებში ირეკლებოდა სიკეთის შემცველი სილამაზე, მოყვასის უსაზღვრო სითბო და სიყვარული. ვერ აგვიხსნია, რამ ჩაფერფლა ასე უეცრად და ნაადრევად შენი ლამაზი სიცოცხლე.

განვიცდით, ვწუხვართ და გვენატრები, ჩემო თამუნა.

*ნათლული ცარო ნავერიანი*

## შორენა კიზირიას ხსოვნას!



ჩემო საყვარელო დისწულო — ეს სიტყვა ვერ გამოხატავს შენდამი გრძნობას. ლამაზო, ჭკვიანო, ერთგულო, დარდიანო... ძალიან ახალგაზრდა წახვედი — ტკივილით, სევდით. ჩვენც სევდა-ტკივილი დაგვიტოვე და შვილი, რომელსაც ყველაზე მეტად მოენატრები. შენი სიკეთე დაუხვდება მას გზასავალზე, მაგრამ უშენობაც... ნეტავ, ასეთი კარგი არ ყოფილიყავი — სამუდამოდ ჩაგვწყვიტე გული.

შორენა, მარტო დისწული კი არ იყავი ჩემი, არამედ შვილი, მეგობარი, გულისნადების გამზიარებელი და შემხიდე... გჯეროდეს, შვილს ღირსეულ ადამიანად აღვიზრდით.

ღმერთმა გაცხონოს.

*შენი დეიდა ნათია*



ზემო მაჩხაანის თემის საკრებულოს გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება

**გიორგი (გიო) ალექსანდრეს ძე ბოსტოღანაშვილის**

ტრაგიკულად დაღუპვას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ვიკა ჯოჯუა, სალომე ნიკოლეიშვილი, იზო იმნაიშვილი, ასმათ პაპიძე თანაუგრძნობენ *თინა შიოშვილს* დის — **ლეილას** გარდაცვალებას. ღმერთმა აცხონოს განსვენებულის სული.



შვილები: ჯემალი, ჯულიეტა; შვილიშვილები: თამარ, მარიამ პეტაშვილები, ქეთი გურასბედიანი; რძალი გიული თაბუკაშვილი; სიძე მიშა ქურასბედიანი, ზაზა გაიაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**იოსებ ივანეს ძე პეტაშვილი**

*პანაშვიდი:* 9 აგვისტოს, 16 საათზე;
*დაკრძალვა:* 10 აგვისტოს, 15 საათზე.
*მისამართი:* არდაზიანის №28.

## ნატა თათარაშვილის მოსაგონარი



დღეს, როცა ყველა ქართველი (და არა მარტო ქართველი) შეძრწუნებულია დიდი შოთა რუსთაველის ფრესკისადმი ვანდალური მოპყრობის გამო, იქნებ მნიშვნელოვანიც იყოს, გავიხსენოთ შესანიშნავი ჟურნალისტი, უსათნოესი ქალბატონი, ნატა თათარაშვილი, რომლის სახელსაც უკავშირდება იერუსალიმში ღვთისმშობლის ქართული ხატის ჩაბრძანება. ეს კი ასე მოხდა:

ნატა პირველ სტუმრობას წმინდა მიწაზე თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ეტაპად მიიჩნევდა. ... და როცა იერუსალიმში, ნაზარეთის ხარების ტაძარში (გამოცხადების ტაძარი) აღმოაჩინა, რომ იქ ყველა მართლმადიდებლური ქვეყნის ღვთისმშობლის ხატი იყო დაბრძანებული, საქართველოს ხატი კი არსად ჩანდა, ყველა ღონე იხმარა, რომ საქართველოდან ჩაებრძანებინა ხატი გამოცხადების ტაძარში. 53-ე საშუალო სკოლის მოსწავლეების სახელით, სადაც მისი ერთადერთი ქალიშვილი სწავლობდა, წერილი მისწერეს მსოფლიოში აღიარებულ ქართველ ფერმწერსა და მონუმენტალისტს, ზურაბ წერეთელს. მან უყოყმანოდ შეუსრულა თხოვნა თანამემამულეებს — ქართულ მინანქარში აამეტყველა წილკნის ღვთისმშობლის ხატი... მისი მოცულობის გამო გართულდა ტრანსპორტირება. ის ხატი უნივერსიტეტის დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარს შესწირეს... ხოლო შემდგომ უკვე შედარებით მომცრო ზომის ეს ხატი თვით ვატიკანის ელჩმაც კი მოინახულა ნატა თათარაშვილის ოჯახში, სანამ იერუსალიმში წააბრძანებდნენ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დოცენტის, ნატა თათარაშვილის კვლევის საგანი ტელეპუბლიცისტიკა გახლდათ. მისი ავტორობით გამოცემულ სახელმძღვანელოში (რომელიც ნატას უდროოდ გარდაცვალების შემდეგ გამოიცა) თავმოყრილი მასალები მეტყველებდნენ იმაზე, თუ როგორი სიღრმითა და ინტერესით იკვლევდა იგი ყველაზე რთულ, ყველაზე საჭირო, ყველაზე პროგრესულ თემებს. სადოქტორო ნაშრომიც გამზადებული ჰქონდა. სამწუხაროდ, არ დასცალდა.

ნატა გამორჩეული პიროვნება გახლდათ, კეთილმოსურნე და ქველმოქმედი, ღირსებით სავსე ქალბატონი. იგი ხომ შესანიშნავი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის, ღირსეული მამულიშვილის, შოთა თათარაშვილის და ულამაზესი მანდილოსნის, თბილისში ცნობილი სტომატოლოგის, მერი კანდელაკის ქალიშვილი იყო. ყოველთვის შეეძლო სხვისი სიკეთისა და შრომის დაფასება, გაჭირვებულის გვერდში დგომა, — ეს ნატა თათარაშვილის ცხოვრების წესი გახლდათ. დედაშვილობაშიც გამორჩეული იყო.

— ძნელია დავით სალარიძის მეუღლეობა? — ხშირად უსვამდნენ ამ უხერხულ შეკითხვას როგორც ჟურნალისტები, ისე მეგობრები. პოლიტიკაში მუდამ პრინციპული პოზიციის მქონე, თანამდებობებზე — მუდამ მკაცრი და შეუვალი, — ასეთი მეუღლე ჰყავდა ნატას, რომელიც ამავე დროს მისი საუკეთესო მეგობარი იყო...

ნატას მიერ არჩეული გზა მუდამ ჩრდილში დგომა და საქვეყნო საქმის უხმაუროდ კეთება იყო...

ნატა თათარაშვილი დააკლდა ოჯახს, უნივერსიტეტს, მეგობრებს, სტუდენტებსა და ქვეყანას, რომლის საკეთილდღეოდაც ილვწოდა სიცოცხლის ბოლო წუთამდე...

ნათელში ამყოფოს უფალმა ნატა თათარაშვილის სული.

*მეგობარი ჟურნალისტების სახელით, დოდო იორდანიშვილი*

ჩვენ გვწერენ

# სიცოცხლის მხსნელი



იმ შემოდგომით ჩემი მეგობარი ვასიკო ავტოკატასტროფაში მოყვა და თავის ქალის მძიმე ტრავმით საავადმყოფოში მოათავსეს. მისი გადარჩენის იმედი არც ექიმებს ჰქონდათ და არც ნათესავებს, მაგრამ მაინც აჯობა სიკვდილს, თუმცა თითქმის ორი თვე კომაში იყო. საავადმყოფოდან გამოსული მეგობრებმა ვინახულეთ. საოცრად შეცვლილი გვეჩვენა, რამაც თავზარი დაგვცა: თაბაშირის ნიღბად ქცეულ სახეზე რაღაცნაირი იდუმალი გამომეტყველება შეჰყინვოდა. ხმის ტემბრიც შეცვლოდა — უფრო ყრუ და უსიცოცხლო გახდომოდა, რეაქციაც ზანტი, შენელებული ჰქონდა. ცხადია, არ შევიმჩნიეთ და შევეცადეთ, უწინდებურად უშუალო და ხალისიანი საუბარი გაგვება, მაგრამ უხეიროდ გამოგვივიდა. ამიტომ მოვიმიზეზეთ — გვეშინია, არ გადაგღალოთთო და სასწრაფოდ დავემშვიდობეთ. ვასიკომ კარამდე მიგვაცილა და გასვლისას ხელი მაჯაზე წამავლო:

— ვიცი, რომ გათხოვებას აპირებ, — მითხრა თითქოსდა გულგრილად, — მაგრამ არ გირჩევ, ეს ქორწინება ტანჯვის მეტს არაფერს მოგიტანს...

არაფერი ვუპასუხე, რადგან მძიმე ავადმყოფად მიმაჩნდა და მისი ნათქვამის სერიოზულად აღქმა არ შემეძლო. გავუღიმე და ხელი მხარზე მოვუთათუნე, — ნუ დარდობ, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი.

ერთი თვის მერე გავთხოვდი, წლისთავზე კი თვალებბრიალა და ანგელოზივით პირმშვენიერი ვაჟი შეგვეძინა. სანიმუშო ოჯახი გვქონდა, თემური არაჩვეულებრივი მეუღლე და მზრუნველი მამა გამოდგა. ოჯახში სიამტკბილობა იყო და ხელმოკლედაც არ ვცხოვრობდით. ასე რომ, ვასიკოს სიტყვები სრულიად გადამავიწყდა.

გავიდა დრო. ჩვენმა ბიჭუნამ ავადმყოფობა დაიწყო და ძალიან ჭირვეული გახდა. ექიმებთან სიარულს და წამლების შეძენას ველარ ავუდიოდით. ძალიან გავწვალდით და ბოლოს, გადავწყვიტეთ, ბავშვისთვის ძირფესვიანი სამედიცინო გამოკვლევა ჩაგვეტარებინა. როდესაც ექიმებმა დიაგნოზი გამოგვიცხადეს, თვალთ დამიბნელდა: ლეიკოზი, ძვლის ტვინის დაზიანება... გადარჩენის შანსი თითქმის არ იყო. რა ვიღონოთ? — ვკითხე ექიმს. მან ხელები გაშალა და მომიგო, — სისხლის ანალიზი უნდა აიღოთ თქვენც და თქვენმა ქმარმაც, იქნებ რომელიმე თქვენგანი დონორად გამოდგესო. ამ იმედს ჩავებღაუჭეთ, მაგრამ ბედისწერა აშკარად დაგვცინოდა — მშობლებს დონორობის გაწევა არ შეგვეძლო...

სასოწარკვეთილებამ შემიპყრო — სიცოცხლე აღარ მინდოდა... იმ პერიოდში მეგობრებისაგან შევიტყვე, რომ ვასიკო ტვინში სისხლის გაჟონვით გარდაიცვალა, მაგრამ... დაკრძალვაზეც არ მივსულვარ, არ შემეძლო!

დაახლოებით 40 დღის შემდეგ ვასიკო დამესიზმრა — გაცრეცილი სახე და ვეება, ავადმყოფურად მოციმციმე თვალები ჰქონდა. ნუ გეშინია, — მითხრა, — შენი ბიჭუნა იცოცხლებს! რანაირად, — შევტირე, — მისი მდგომარეობა დღითი დღე უარესდება-მეთქი. გამიღიმა, ხელი მხარზე შემახო და იდუმალი ხმით მითხრა, — წამალი შენშია...

ოფლში გაღვრილს გამომეღვიძა, მაგრამ ვიგრძენი, რომ ჩემი სასოწარკვეთილება ნელნელა იმედიანობამ შეცვალა, თუმცა, წარმოდგენა არ მქონდა, რას გულისხმობდა ვასიკო ან რანაირად უნდა აღმომეჩინა საკუთარ თავში ჩემი შვილის მხსნელი წამალი... ბოლოს, გადავწყვიტე, რომ გარდაცვლილი სასოწარკვეთილებისა და უმოქმედობის გამო მსაყვედურობდა — მე ხომ ფარ-ხმალი დავყარე და შვილის გადარჩენისათვის ბრძოლა შევწყვიტე!

ორი კვირის შემდეგ გაირკვა, რომ ფეხმძიმედ ვიყავი და ამან, სიხარულის ნაცვლად, ნაღველი მომგვარა. გამოდიოდა, რომ ჩემი ბიჭუნა მაინც უნდა გადასახლებულიყო სამარადისო სასუფეველში, მისი ადგილი კი ახალ სიცოცხლეს დაეკავებინა. ალბათ ამას გულისხმობდა ვასიკოც, მაგრამ...

— შესანიშნავია, — მითხრა ექიმმა მასთან ვიზიტის ბოლოს, — როგორც ხედავთ, თქვენი ვაჟის გადასარჩენად სერიოზული შანსი გამოგიჩნდათ. როგორც წესი, თუ მშობლები შვილის დონორად არ გამოდგებიან, ამ ფუნქციის შესრულება წარმატებით შეუძლია მის ძამიკოს ან დაიკოს!

ასეც მოხდა. ამ ქვეყანას მოევლინა ლიზიკო — სრულიად ჯანმრთელი და ბუთხუზა პატარა და მან სიცოცხლე აჩუქა თავის უფროს ძმას — ძვლის ტვინის გადანერგვის ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. თუმცა, მშობიარობაც და ოპერაციის გაკეთებაც საზღვარგარეთ მოგვიხდა. დღეს ჩემი ორივე შვილი ჯანმრთელი და სიცოცხლით სავსეა, მე კი ყოველ წელიწადს, 16 ოქტომბერს, ვასიკოს დაბადების დღეს სისხლივით წითელი ვარდები მიმაქვს მის საფლავზე...

***ლ.ვ., თბილისი***

# მფარველი ანგელოზის დესპანი

...ნაშუაღამევს მომიხდა შინ დაბრუნება. მეგობართან ვიყავი, მთელი დღე ვიმუშავეთ, მერე კომპიუტერით ინტერნეტში შევედით და გართობას შევყევით. მეგობარი მტკვრის გაღმა ცხოვრობს, მე — გამოღმა. ახალი ნაწვიმარი იყო და ზაფხულის პირობაზე მშვენიერი სასეირნო ამინდი. შევყევი ნელ-ნელა გზას. ხიდზე რომ გადმოვდიოდი, შევამჩნიე, სიბნელეში ვიღაც კაცი იდგა და მტკვრისკენ იყურებოდა. რაღაც უსიამოვნო გრძნობამ გამკენწლა — მძარცველი არ იყოს-მეთქი, მაგრამ რა მექნა, სად უნდა წავსულიყავი, ხიდი ხომ უნდა გადამევლო...

ავჩქარდი, თან რაც შემეძლო, ფეხაკრეფით მივდიოდი, ეგება ვერ შემამჩნიოს-მეთქი. რომ გავუსწორდი, უცებ ხმამაღლა დამიძახა: — მარლენ! კინაღამ გული გამისკდა. ჩემი ასაკისთვის შეუფერებელი, იშვიათი სახელი — მარლენი მქვია, პაპის პატივსაცემად.

შევჩერდი. ის მობრუნდა და ჩემკენ წამოვიდა. ძარღვებში სისხლი გამეყინა, უცხო იყო, აქამდე არსად მენახა.

— მოდი, რა გაჩვენო, — მითხრა და ხელი იდაყვზე მომკიდა. ხიდის მოაჯირთან მივედით. მან შორს, ჰორიზონტისაკენ გამახედა და მკითხა:

— ხედავ?

ვერაფერი დავინახე და მხრები ავიჩეჩე. შიშისაგან ხმა ჩამწყდარი მქონდა.

— კარგად დააკვირდი, გიოს ვერ ხედავ?

გონება დავძაბე და მართლა დავინახე გიო, ჩემი მეგობარი, რომლისგანაც მოვდიოდი. ტახტზე იწვა თვალდახუჭული. უცებ აწრიალდა, ტახტიდან გადმოვარდა და ტკივილისაგან დაიკლაკნა.

— ეს რა არის? — ვკითხე უცნობს, — ვერაფერი გავიგე.

— მთავარი ის კი არ არის, გაიგო, მთავარია, იჩქარო, — მითხრა იდუმალმა უცნობმა და მიბიძგა...

— ვინ ხართ? — ვკითხე გულგახეთქილმა.

— მთავარი ის კი არ არის, გაიგო, მთავარია, იჩქარო, — გამიმეორა ისევ და მივხვდი, მეტს არაფერს მეტყოდა. სირბილით გავბრუნდი უკან. იქნებ სისულელეა, მაგრამ მართალი რომ იყოს? — ვფიქრობდი გულში.

გიოს კარზე ბრაგაბრუგი ავტეხე. მეზობლები გამოცვივდნენ. მოკლედ ავუხსენი: გიო მარტოა, რაღაც ჭირს-მეთქი. ჯანიანი კარის მეზობელი შინ შევარდა, რაღაც ხელსაწყო გამოიტანა, კარს ეცა და შეამტვრია. გიო ტახტზე იწვა, ოთახი კი გაზის სუნით იყო გაჟღენთილი. მე მეგობარს დავტაცე ხელი, ვიღაც მომეხმარა, სადარბაზოში გავიყვანეთ... სხვები გაზქურისკენ გაცვივდნენ და გადაკეტეს. თურმე დაღლილ გიოს ჩაი დაუდგამს, თვითონ ჩასძინებია. ადუღებული წყალი გადმოსულა და გაზქურა ჩაუქრია...

გიო გადარჩა... მართალია, ერთი კვირა სუსტად იყო, მკურნალობაც დასჭირდა, მაგრამ რაც მთავარია, გადარჩა!

...ბევრი ვილაპარაკეთ ამ შემთხვევაზე. ვერც მან და ვერც მე ვერ გავარკვიეთ, ვინ იყო იდუმალი კაცი, ხიდზე რომ დამხვდა. ბოლოს, გიომ თქვა: — ჩემი მფარველი ანგელოზის დესპანი იქნებოდაო. ალბათ ასეა.

***მ.ი., თბილისი***

**„საზალოო-სალაღო“ გვერდის პასუხები**

I. საათი.

II. მე-3 დეტალი განსხვავდება.

III. **აბა, გამოიცანი:**

1) — გ); 2) — ბ); 3) — ა); 4) — ა); 5) — გ); 6) — გ); 7) — ბ).

# სისხლით დახატული ყვავილი თოვლზე



ზამთრის უძალო მზის სხივები თავს ამაოდ ევლებოდა ბაჩლის მთებს. ვერ იქნა, ვერ ჩამოადნო მისი შესუდრული კალთები. ყინვისაგან შეჭირვებული მწვერვალები მდუმარედ დაჰყურებდნენ თოვლქვეშ გარინდებულ ნასოფლარს. აღარ ისმოდა ბაჩალში მამლების ყივილი, არც ცად შეკიდებული კვამლის სვეტები მოჩანდა სადმე. მდინარე — ბაჩლურა ყინულქვეშ შეყუჟულიყო და წელათრეული ძლივს მიარღვევდა გზასავალს. მის ნაპირას, გრძელ გომურში ბოლავდა მხოლოდ ბუხარი. ძაღლების უხალისო და ზანტი ყეფაც მარტო იქიდანღა მოისმოდა. ერთ დროს ხალხმრავალი სოფლიდან დიდიან-პატარიანად ყველა ბარში გაკრეფილიყო. მსხვილფეხა პირუტყვის ფერმაში დარჩენილი ორი მწყემსი უხალისოდ და უწადინოდ ატარებდა ზამთრის გაწელილ ღამეებს. თოვლი თივის ზვინებამდე და მდინარემდე გაეხვეტათ. ამ ბილიკზე მიდი-მოდიოდნენ, უჭირდათ სხვაგან ფეხუკარებ თოვლში სიარული.

ერთ დღეს მზემ იძალა, გამოანათა, ცოტაზე თოვლიც წაალხო და ჯანღიც აკრიფა. ღამით გაყინა და ორთაგან ერთ მწყემსს, სახელად გაგას, ნადირობის ჟინი აუშალა. იმ ღამეს სიზმარი ნახა გაგამ, თავის თვალხატულა 14 წლის ხვარამზეს ფიფქისფერი მოსასხამი ებურა და ფანჯრიდან გაფრენას ლამობდა. რიჟრაჟზე გამოეღვიძა. შეჭირხლული ფანჯრიდან გახედა არეს. ყინვა ნადირს ტყიდან გამორეკავდაო — იაზრა. სიზმარიც გადაავიწყდა და საქმეც. გადაიკიდა თავისი ცალლულა თოფი, ორიოდე ვაზნა ჯიბეში ჩაიყარა, ამოიკრა ფეხზე თხილის წნელისაგან მოწნული ლასტები. ჭალის პირებს დავხედავო, — ცალყბად მიუგდო თანამეინახეს ამბავი და რის ვაი-ვაგლახით აღმა აუყვა ბაჩლურას. მალე მელიისა და მგლის ნავალს წააწყდა, კვალს აედევნა. გულდაგულ ზვერავდა წვრილიანებსა და მოყუდროებულ ადგილებს. ერთგან ცალი მხრიდან გადმოხრილი კლდე ეფარებოდა ჭალისპირს. იქით გადაუხვია, ანაზდად წყვილ შველს შეეფეთა. თვალის დახამხამებაში გადმოიღო მხრიდან გატენილი თოფი და თითქმის დაუმიზნებლად ესროლა. გააყრუოლა წიფლის ჩამობურულ ხეებს, მხრები დაიბერტყეს, ერთდროულად გაიფანტა თოვლის ბუქი და თოფის წამლის კვამლი. გასროლა მოუცდა მონადირეს. შვლები აღარსად ჩანდნენ. ფეხებზე ლასტებამოკრული გაგა მალე წამოეწია თოვლში სკუპ-სკუპით მიმავალ ცხოველებს. ისევ იჩქარა გაგამ. ისევ ამაოდ შეასკდა თოფის ხმა მთის კალთებს. სადღაც ზვავმა იხუვლა და გზაც ჩახერგა. მეტი ტყვია აღარც ეშოვებოდა და ხანჯალზე გაიკრა ხელი. გრძნობდა, შვლები ჩახერგილ გზას მაინც ვერ გასცდებოდნენ... იმ საცოდავებმა სკუპ-სკუპს მოუმატეს, დამფრთხლები წინ მიიწევდნენ. მანძილი კი თანდათან მოკლდებოდა მდევარსა და ოტებულთა შორის... ხსნა არსაიდან ჩანდა. თოვლში ჩაფლული შვლები აქეთ-იქით აცეცებდნენ შიშჩამდგარ თვალებს. უცებ ერთი შედგა. მორჩილად დახარა თავი. გაგას უკვე ესმოდა მისი გულის ბაგაბუგი. მეორეც მობრუნდა, წინ აეფარა თანამგზავრს, თავის ნაკვალევს გამოჰყვა მონადირისაკენ. მოდიოდა ნელა, შეძრწუნებული, მავედრებელი თვალებით. მონადირესაც ნაბიჯი აღარ გადაუდგამს. მიუახლოვდა შველი. ბრიალა თვალებიდან ცრემლი მოსდიოდა ღვარად. მივიდა და თოვლში წელამდე ჩაფლულ გაგას მკერდზე მიადო თავი. ტყაპუჭის ქვეშ თითქოს სასიამოვნო სითბო იგრძნო, მიეკრა, მიეხუტა, რაღაც წაიკრუტუნა ვედრებით. სიხარულით ამოიხრიალა გაგამ. იელვა ორლესულმა. ჯერ მონადირის ტყაპუჭს შეასკდა სისხლის ჭავლი, მერე თოვლში გაჟონა და რაღაც საოცარი წითელი ყვავილი გამოისახა იმ აუწერელ სიქათქათეში. იბღავლა მეორე შველმა, განწირული ადგილიდან არც დაძრულა. გაგა ველარც ყვავილს ხედავდა, აღარც შვლის ბღავილი ესმოდა. ერთი ნახტომით დააცხრა, მასაც გამოღადრა ყელი. შვლებს შუა ჩაიმუხლა და ელოდა, სანამ სულ ჩაქრებოდა სიცოცხლე. წამით არ დაყოვნებულა, ისე ჩაიყინა სისხლით მოხატული ყვავილი თოვლზე.

მეორე დღეს გვიან გამოეღვიძა შვლის მწვადებზე ნაქეიფარ და ჟიპიტაურით გამომთვრალ გაგას. მზე კარგად ამოწვერილიყო. უცნაური, წითელი ფერი დაჰკრავდა. ასეთი მზე ნაწვიმარზე, ჩასვლისას თუ უნახავს გაგას. მკვდრის მზეს ეძახიან იმფრად ჩამავალ მზეს... ალბათ, თვალები არაყმა დამიბინდაო, გარეთ გამოვიდა. ერთი ბლუჯა თოვლი მოისვა პირისახეზე. მოკრიალებულ ცას ახედა. მზე ისევ მკვდრისფრად ანათებდა.

...მგზავრი ძლივს მოაპობდა თოვლს. გაგასთან შედგა. მხარზე თანაგრძნობით დაადო ხელი. — ვაიო, — დაიღრიალა გაგამ და სახეშეშლილი დაეშვა თავქვე...

...სოფლიდან ამოსული ბათირა, ბუხართან მიმჯდარ მწყემსს უამბობდა გაგას ოჯახში დატრიალებული უბედურების ამბავს: მამის თხილამურებით სახატე მთისკენ მიმავალი უნახავთ ხვარამზე. დაშვებისას გადაჩეხილა უფსკრულში. ცოცხალმკვდარი ამოიყვანეს. დედის კალთაზე მისვენებულმა ამოიძახა თურმე: — ვაიმე, შველიო და გათავდა...

ამ ამბავს დღესაც ბევრი სინანულით იხსენებს.

***მიშა მგელიაშვილი, თიანეთი***

# ჩარლის გონიერება...



ფრანგული „ბოლონკას“ — ჩარლის თვისებებზე გვიამბობს მისი პატრონი, 24 წლის ლანა:

— ჩარლი მეგობრებმა მაჩუქეს დაბადების დღეზე. დედაჩემი ბუზღუნებდა, — ძაღლს სახლში რა უნდაო, მაგრამ მამა დაგვიდგა გვერდით მე და ჩემს უმცროს დას. სხვათა შორის, მოგვიანებით, როცა დედამ ჩარლიზე გული მოიბრუნა, ზოგჯერ ცდილობდა ძაღლთან მისვლას, მაგრამ ჩარლი ანჩხლობდა, მის დადგმულ საჭმელსაც არ ეკარებოდა და იძულებული გახდა, ეღიარებინა: — ძაღლს მოწამვლა დავუპირე. მეგონა, ვერ მიხვდებოდით მისი სიკვდილის მიზეზს, მაგრამ არ გაეკარა საწამლავიან ფაფასო. დედას მხოლოდ ერთხელ უცდია ძაღლის მოწამვლა, მაგრამ ჩარლიმ სიცოცხლის ბოლომდე გამოუცხადა მას უნდობლობა, თუმცა კი ორჯერ მაინც გადაარჩინა ხიფათს. ერთხელ მეზობელს ძმა გარდაეცვალა და რაიონში მიდიოდნენ პანაშვიდზე. მამას არ ეცალა და დედამ გადაწყვიტა წასვლა, ბოლო მომენტში, ჩარლი მას კოჭზე ჩააფრინდა და ისე მწარედ უკბინა, სისხლი დაადინა. დედა ექიმთან გაექანა... ალბათ მოკლავდა უბედურ ჩარლის შინ მობრუნებული, რომ არა მეზობლების ტრაგედია — მიკროავტობუსი გზიდან გადავარდა, ერთი კაცი დაიღუპა, ბევრი დაიმტვრა... მეორედ კი, დედა შინ მარტო იყო და შუაღამისას კარზე ზარის ხმამ გააღვიძა თურმე, როცა უკითხავს — ვინა ხარო, — ქალი გამოპასუხებია, — თქვენს მეუღლეს ავარია მოუვიდა და თქვენს წასაყვანად გამოგვგზავნაო.

დაბნეული დედა მაშინვე აპირებდა კარის გაღებას თურმე, მაგრამ გაავებულმა ჩარლიმ არ მიუშვა გასაღებამდე. ხმაურზე მეზობელს გაღვიძებია და ტელეფონით დაურეკავს, — ხომ მშვიდობა გაქვთო, მერე კი, ყოველი შემთხვევისთვის, იარაღი მოუმარჯვებია იმ კაცს და ფრთხილად გამოუხედავს, უცნობი ქალის უკან სამი ნიღბიანი კაცი რომ შეუნიშნავს, მიმხვდარა, რაც ხდებოდა და სროლა აუტეხია ზემოდან...

ჩარლის დედაჩემის ერთი მეგობარი არ უყვარდა. საკმარისი იყო, ის ქალი გვსტუმრებოდა, რომ ყეფით იკლებდა იქაურობას... მოგვიანებით ის ქალი ერთ-ერთ ოჯახში ოქროულობის ქურდობაზე შეისწრეს...

ჩემი და, ელენეც, ორჯერ გადაარჩინა. ერთხელ, მუცელი ასტკივდა. დედამ ოყნის გაკეთება დაუპირა, მოწამლული ეგონა და ჩარლიმ ორჯერ შეუშალა ხელი — ჯერ წყალი დაუღვარა, მერე სულ წაართვა ოყნა და ლოგინის ქვეშ შეათრია... ამის დამნახავმა მამამ — ეგ ძაღლი ტყუილად არ გაიგიჟებდა თავსო და ექიმს გამოუძახა. ელენეს ბრმა ნაწლავი გახეთქვოდა და სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს... მეორედ, როცა ელენე ბურთს გაეკიდა ქუჩაში და ლამის მანქანას შეუვარდა, ჩარლიმ დაასწრო და... ისე განვიცადეთ ეს ამბავი, რომ ჩვენ კი არა, დედაც მოთქვამდა. ბოლოს და ბოლოს, ისიც მიხვდა, რომ ოჯახის უერთგულესი არსება დაკარგა... ის კი არა, ჩარლიმ მკვდარმაც გადაგვარჩინა ხიფათს.

მეგობრებთან ერთად ზღვაზე ვისვენებდი. ერთ ღამეს მესიზმრა, თითქოს წყლის ველოსიპედზე ვაპირებდი დაჯდომას. ჩარლი იჯდა მის სავარძელში, ყეფდა გაავებით, არაფრით არ მიმიშვა ახლოს, მიკბინა ვითომ თითზე და სისხლი წამომივიდა... მეორე დღეს სანაპიროზე გასულს მეგობარმა შემომთავაზა წყლის ველოსიპედით გასეირნება... უცებ გამახსენდა იმღამინდელი სიზმარი და ველარ გავბედე წყალში შესვლა...

ის მეგობარი სხვასთან ერთად შევიდა ველოსიპედით ზღვაში. შორსაც შეცურდნენ... ნელნელა ღელვამ მოიმატა, რაც გვიან შენიშნეს და გაუჭირდათ ნაპირზე გამოსვლა. ბოლოს, გადაუბრუნდათ კიდეც ველოსიპედი და მაშველმა ძლივს გადაარჩინა...

***ინგა ჯაყელი***



# ჯორჯ სოროსი ცოლს გაეყარა

აშშ-ის ყველაზე სასურველ სასიძოებს შორის ამჟამად ცნობილი ფინანსისტი ჯორჯ სოროსიც მოხვდება. 73 წლის მილიარდერი გაეყარა ცოლს, სიუზანს, რომელთანაც 20 წელზე მეტხანს იცხოვრა. ამ ფაქტზე მოკლე განცხადება გააკეთა სოროსის ოფიციალურმა წარმომადგენელმა: „ჯორჯმა და სიუზანმა გადაწყვეტილება მიიღეს, — ოფიციალურად გაიყარნენ. ყველა ფინანსური თუ სხვა საკითხები მშვიდობიანად გადაჭრეს ოჯახის ადვოკატის მეშვეობით“. წარმომადგენელს არ დაუსახელებია საკომპენსაციო თანხა, რომელსაც 47 წლის სიუზანი მიიღებს თავისი ექსმეუღლისგან, რომელმაც სახელი იმით გაითქვა, რომ 450 მლნ დოლარს ხარჯავს ყოველწლიურად ქველმოქმედებაზე. ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ ყოფილ ცოლს და ორ ვაჟიშვილს სოროსმა დაუტოვა საგვარეულო მამული ნიუ-იორკის ახლოს, ბედფორდში, თვითონ კი მათ მახლობლად იცხოვრებს 19-ოთახიან სახლში, რომელიც გასულ წელს შეიძინა 21,1 მილიონად.

*დენგი №19*

# თავისუფლება — ყურანის სწავლის სანაცვლოდ



არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ყოველწლიურად ტარდება იმ პატიმართა დაჯილდოების ცერემონიალი, რომლებმაც ზეპირად დაისწავლეს ყურანი. პატიმარს, რომელიც მთლიანად დაიზეპირებს მუსლიმანთა წმინდა წიგნს, 15 წლით უმცირდება სასჯელის ვადა. ის, ვინც ყურანის 20 სურას (თავს) დაიზეპირებს, 30-დან 10 წელი აკლდება, ხოლო 10 თავის გამზუთხავს — 5 წელი. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა პატიმარს, მამაკაცს თუ ქალს, გარდა სიკვდილმისჯილებისა. როგორც პრემიის ორგანიზატორებმა დაადგინეს, წლეულს დუბაის ციხეებში ერთმა პატიმარმა მთლიანად ისწავლა ყურანი, 20-მა დასძლია 20 თავი, ხოლო 13-მა — წიგნის 10 სურა. ყველა მათგანს შესაბამისად შეუმსუბუქდა სასჯელის ვადა.

*ელ მუნდო*

# 19 წლის ყმაწვილმა 71 წლის დედაბერი შეირთო

კენიის პატარა ქალაქი მაკუუ აღშფოთებულია. 71 წლის ნიანგვიდა ვა ნვუგას ადანაშაულებენ „ქმრის აკვნიდან მოტაცებაში“ — სიძე, ჯეიმს მბურუ კამაუ, მხოლოდ და მხოლოდ, 19 წლისაა!

პატარძალი იხტიბარს არ იტეხს — ჩვენ სიყვარულით დავქორწინდითო, — ამტკიცებს. ნიანგვიდას 5 შვილი ჰყავს, უმცროსი ვაჟი, ნგუგი, მამინაცვალზე 14 წლით უფროსია. მბურუმ, „თავისი საოცნებო ქალი“ ცოლად რომ შეერთო, სასწავლებელი მიატოვა. „ჩვენი ქორწინება ღვთის ნებით მოხდა. მე მივხვდი, რომ მთელი ცხოვრება სიცრუეში ვცხოვრობდი, ახლა ბოლოს და ბოლოს, ვიპოვე ღმერთი და ბედნიერება“, — განაცხადა მბურუმ. ნიანგვიდაც ბედნიერია, რომ მბურუმ „ღვთის ნებით“, აირჩია ის და არა სხვა.

მბურუს თანაკლასელები გაოგნებულნი არიან მომხდარით, აპირებენ, საკადრისი პასუხი გასცენ კუდიან დედაბერს და დაიბრუნონ მეგობარი.

*ნიუ ზუიქი*



# შიმპანზე სამაგიეროს უხდის

ჩიკაგოს ზოოპარკის მაიმუნებს, როგორც იქნა, გაუჩნდათ შანსი, სამაგიერო გადაუხადონ იმ ადამიანებს, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე დასცინოდნენ და ემანჭებოდნენ პრიმატებს ვოლიერს მიღმა. ჩვენი ოთხფეხა ძმები გადაიყვანეს ღია ვაგონებში და ახლა თითოეულ შიმპანზეს შეუძლია ხალხისთვის უხილავ ღილაკს თითი დააჭიროს და წყლით გაწუწოს აბეზარი სტუმარი. ბევრი მნახველი ილანძღება, მაიმუნები ამ სცენას აღტაცებაში მოჰყავს, გახარებულნი ყვირიან და ბუქნაობენ. ზოოლოგ სტივ როსას თქმით, ბუნებაში შიმპანზეებს ძალიან უყვართ ერთმანეთისთვის ნივთების სროლა, გაწუწვა. ახალი ვოლიერების შემქმნელებმა გაითვალისწინეს ეს ფაქტი — ახალ, ღია ვოლიერში შიმპანზეებს შეუძლიათ ნამდვილ ლიანებზე ძრომიალი და ჩანჩქერში ჭყუმპალაობა. ვოლიერი 5100 კვმ-ზეა გადაჭიმული და მაქსიმალურად მიახლოებულია „ნატურალური“ აფრიკული ბუნების რეალობას.

*მირორი*

# თაღლითები მსოფლიოს სუპერმარკეტებში

ყოველწლიურად მსოფლიოში სუპერმარკეტებიდან იკარგება ათობით მილიარდი დოლარის ღირებულების საქონელი.

მხოლოდ აშშ-ში ყოველწლიურად სადღაც ქრება 30 მლრდ დოლარის საქონელი.

რაც შეეხება ქვეყნებს, სადაც უამრავი თაღლითი დაძრწის მაღაზიებში, ესენია (აშშ-ის შემდეგ): ცივსისხლიანი ნორვეგია, საბერძნეთი, პორტუგალია და ესპანეთი. თაღლითები, ძირითადად, იპარავენ: პრეზერვატივებს, ქალის თეთრეულს, მობილურის აქსესუარებს, შოკოლადს, ბატარეებს და აკუმულატორებს, ელექტროსაპარსებს, ჰიგიენურ პომადას, ალკოჰოლურ სასმელებს.

*ოგონიოკი №28*



# „ლომვეფხვა“

ბუნებაში ლომს და ვეფხვს დიდად არ ეპიტნავებათ ერთმანეთი, მაგრამ ტყვეობაში საქმე სულ სხვაგვარად ყოფილა. ქ. კანბერის ზოოპარკში ამ ორი მტაცებლის ჰიბრიდის ნახვა შეიძლება. ახალი სახეობა ავსტრალიელმა სელექციონერებმა გამოიყვანეს და ნაჯვარს „ლომვეფხვა“ უწოდეს. გარეგნობით ცხოველი ლომს ჰგავს, აქვს ვეფხვის თავი და ვეფხვისავე ზოლები. ორი წლის წინ დაბადებული და-ძმა მშვენივრად ცხოვრობს ზოოპარკში და დამთვალიერებლების განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს. მაგრამ „ლომვეფხვას“ შთამომავლობის გაგრძელება არ შეუძლია. ეს ცხოველები უნაყოფონი არიან. მათი ამქვეყნად გაჩენა განსაკუთრებული და ერთადერთი შემთხვევაა, სხვა ზოოპარკებში ავსტრალიელი კოლეგების მიბაძვას არ აპირებენ.

*იტოგი №28*

# თოლიები ხალხს დაერივნენ



მთელი მსოფლიოდან შემოდის ინფორმაცია, რომ საგრძნობლად იმატა ფრინველთა აგრესიამ ადამიანის მიმართ. მაგრამ სულ სხვაა, თუ თავს გესხმის ბეღურა ან მტრედი და სულ სხვა — როცა თოლია ცდილობს, ნისკარტით გაგიხვრიტოს თავის ქალა. ქალაქებში დასახლებული თოლიები ძალიან ბრაზიანები ხდებიან, როდესაც იცავენ თავიანთ ბუდეებს და კვერცხებს ადამიანებისაგან. ისინი დღეს ვირთაგვებზე საშიშნი არიან. ზაფხულის განმავლობაში რამდენიმე ათეული ბრიტანელი ხდება მათი მსხვერპლი. ბევრი გარდაიცვალა კიდეც თავის ქალაზე მიყენებული ტრავმით, ზოგიც შიშის ნიადაგზე გულის შეტევით. თოლიები ძაღლებსაც კი ესხმიან თავს. ინგლისის ზოგ ქალაქში (ძირითადად, ლონდონში) ამ გაბოროტებული ფრინველის წინაალმდეგ ქორიც კი გამოიყენეს. განსაკუთრებით საჭირო გახდა ასეთი დაცვა სკოლებისა და საბავშვო ბაღების მიდამოებში.

*სანი*

# ტერაქტებისაგან დამცველი ფეხსაცმელი

67 წლის დანიელმა პენსიონერმა, გუნი იენსენმა გამოიგონა და დასაპატენტებლად წარადგინა ახალი მოწყობილობა — სპეციალური ფეხსაცმელი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მაღალი ნაგებობიდან გადმოსახტომად.

გამომგონებელი განმარტავს, რომ ფეხსაცმლის შექმნა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ნიუ-იორკის სავაჭრო ცენტრში განხორციელებული ტერაქტების ამსახველი კადრები იხილა. იგი შეძრა ნანახმა, როცა სასოწარკვეთილი ხალხი ცათამბჯენებიდან ხტებოდა. გუნი იენსენის გამოგონების არსი შემდეგშია: მრავალსართულიან შენობებს მიამაგრებენ ვიწრო რელსებს, რომლებზეც შესაძლებელი იქნება სპეციალური ფეხსაცმელებით დაშვება.

*ოგონიოკი №24*

# ბავშვებს სიგნალიზაცია დაუყენეს

ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა დაკარგული ბავშვების მოსაძებნი საშუალება. ერთ-ერთი ბელგიური ფირმის მიერ გამოგონებულმა სამაჯურებმა ზუსტად უნდა გამოიცნონ ბავშვის ადგილსამყოფელი. მისი გატეხა და ბავშვის მაჯიდან მოხსნა ძალზე ძნელია. ის გამუდმებით უშვებს სიგნალებს, რომლის თანახმადაც ზუსტად შეიძლება დაკარგული ბავშვის მიგნება. სამაჯურმა უკვე გაიარა გამოცდა და მალე გასაყიდად გამოვა. ის უფასოდ დაურიგდება დისნეილენდისა და მსოფლიოს სხვა დიდი პარკების სტუმრებს, სადაც ყველაზე ხშირად იკარგებიან ბავშვები.

*ოჯი*

# ქორწინებები დღითი დღე მოკლდება

დღევანდელი ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა არის 2 წელი. თუ 50-იან წლებში ითვლებოდა, რომ ცოლ-ქმარს ერთად ყოფნა ჰბეზრდებოდა 7 წლის შემდეგ, დღეს ერთ ჭერქვეშ 5 წელი უკვე ბედნიერ ქორწინებადაა მიჩნეული. ამ დასკვნამდე მივიდნენ ბრაზილიელი სოციოლოგები.

*ტაიმი*

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ფრანკლინ რუზველტის სიტყვებს ამოიკითხავთ.**

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პ | რ | ე | ს | ა | ს | ლ | ი | დ | ე | რ | ო | ბ | ს | კ | ვ | ი | რ | ი | ს | პ | ა | ლ | ი | ტ | რ | ა |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ე | რ | გ | | ე | უ | ო | ი | ა | ო | უ | რ | რ | ა | ი | ი | უ | ი | ა | ა | დ | ო | ი | | ა | ნ | ე |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

**პ.** ბავშვთა ნებაყოფლობითი კომუნისტური ორგანიზაციის წევრი; **რ.** გერმანელი მწერალი, „ნასესხები სიცოცხლის“ ავტორი; **ე.** „ნატვრის ხის“ პერსონაჟი, რომელსაც არც მცურავის ეშინოდა და არც გველკუასი; **ს.** ქალაქ სოჩის ქართული სახელწოდება; **ა.** შუააზიელი ფილოსოფოსის აბუ ალი იბნ სინას ლათინიზებული სახელი; **ს.** ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი; **ლ.** ძველებური ფრანგული ფულის ერთეული; **ი.** მუსლიმანური თემის მეთაური; **დ.** დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება, რომელსაც მიიჩნევენ ურყევ ჭეშმარიტებად ყველა დროისა და ისტორიული პირობებისათვის; **ე.** რაიმე საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; **რ.** ბირმის დედაქალაქი; **ო.** რა ერქვა მთავარ პერსონაჟს სპილბერგის ფილმში „შინდლერის სია“; **ბ.** გერმანიის ერთ-ერთი კუთხე; **ს.** ჩეხი კომპოზიტორი; **კ.** კანის მძიმე გადამდები სნეულება (ითვლება უკურნებლად); **ვ.** იტალიელი ფეხბურთელი; **ი.** ვესტერნული ჟანრის ამერიკელი მსახიობი; **რ.** ქალაქ მადრიდის საფეხბურთო კლუბი; **ი.** მტაცებელი ცხოველი კატისებრთა ოჯახიდან; **ს.** ბერძნული ცეკვა; **პ.** ერთი ეპოქის, ერთი მიმართულების გამოჩენილ მოღვაწეთა ჯგუფი; **ა.** თეორემა, რომელსაც დამტკიცება არ სჭირდება; **ლ.** სპარტის მეფე, რომელიც სამასი მეომრით თერმოპილეს ხეობაში სპარსეთის 600 000-იან ჯარს ებრძოდა; **ი.** ათენი — თეზევსი, რომი — რომულუსი, თბილისი — ვახტანგი, მოსკოვი — ?; **ტ.** ქართული საწებელი; **რ.** ებრაელი ღვთისმსახური; **ა.** სესილია თაყაიშვილის პერსონაჟის სახელი ფილმში „დათა თუთაშხია“.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**
**გ.** გამბიტი; **ა.** აკლდამა; **ე.** ელიოზი; **რ.** რუქა; **თ.** თავადი; **ე.** ერნესტო; **პ.** პლეადა; **ა.** აული; **ლ.** ლიონი; **ი.** იუბილე; **ტ.** ტრაპეზი; **რ.** რეიგანი; **ა.** ამონალი; **ს.** სალიერი; **თ.** თეირანი; **ა.** ანხელი; **ნ.** ნოე; **ე.** ეკლერი; **რ.** რიონი; **თ.** თიბათვე; **ა.** არარატი; **დ.** დიანა.
**გამუქებულ უჯრებში იკითხება: მლიქვნელობა იოლი ხელობაა.**

# ᲙᲕᲘᲠᲘᲡ «ᲛᲘᲜᲘᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ»

„კვირის პალიტრა“ დაბადების დღეს ულოცავს ამ კვირაში დაბადებულ მკითხველებს. სახელგანთქმული ადამიანების „მინიკალენდარი“ კი ასეთია:



**9 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ:**

**ამადეო ავოგადრო,** ფიზიკოსი, ქიმიკოსი; **ჯილიან ანდერსონი,** მსახიობი; **მელანი გრიფიტი,** მსახიობი; **ფილიპე ინძაგი,** ფეხბურთელი; **ლეონიდ კუჩმა,** უკრაინის პრეზიდენტი.

**10 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ:**

**გიორგი ნიკოლაძე,** მათემატიკოსი, მეტალურგი; **გია ყანჩელი,** კომპოზიტორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; **ანზორ ერქომაიშვილი,** ლოტბარი; **ზურაბ ყიფშიძე,** თეატრისა და კინოს მსახიობი; **ანტონიო ბანდერასი,** მსახიობი; **ჰერბერტ ჰუვერი,** აშშ-ის 31-ე პრეზიდენტი; **მიხაილ ზოშჩენკო,** მწერალი; **ჰენრი ნესტლე,** ფირმა „ნესტლეს“ დამაარსებელი, რძის ფხვნილის გამომგონებელი; **ანატოლი სობჩაკი,** სახელმწიფო მოღვაწე;

**12 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ:**

**პიტ სამპრასი,** ჩოგბურთელი; **ჯორჯ სოროსი,** ფინანსისტი და ფილანთროპი.

**13 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ:**

**ტონი ბენეტი,** მომღერალი; **ფიდელ კასტრო,** კუბის პოლიტიკური ლიდერი; **ალფრედ ჰიჩკოკი,** რეჟისორი.

**14 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ:**

**სტივ მარტინი,** მსახიობი; **ალიონა სვირიდოვა,** მომღერალი; **ერნესტ სეტონ-თომპსონი,** მწერალი, მხატვარი, ანიმატორი; **მიხაილ შირვინდტი-უმცროსი,** პოპულარული რუსი ტელეწამყვანი.

**15 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ:**

**ნაპოლეონი,** მთავარსარდალი, საფრანგეთის იმპერატორი; **სკოტ დუგლას ოლტმანი,** ამერიკელი ასტრონავტი.

# ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲗᲐ ᲙᲝᲜᲐ

**კორკოტი** — ნაყვით კანგაცლილი ხორბალი რძეში ან წყალში მოხარშული და ერბოთი შეზავებული.

**კორომი** — ჯგუფად მდგარი ხეები; ნარგავი ტყე.

**კორტოხი** — გორაკი, ბექი, მაღლობი.

**კორჩიოტა** (კუთხ.) — იგივეა, რაც ყოჩივარდა.

**კორჩხი** — კავიანი ხე, ხორცის საკიდი.

**კოსალა** — იგივეა, რაც მელეღვია (კვირიონი), პატარა ჩიტი.

**კოსრო** — 1. საქოჩრე, კინკრიხო. 2. მოგრძო, წოწოლა თავი.

**კოტა** — 1. ხის რიკი კედელზე ან სვეტზე რისამე ჩამოსაკიდებლად. 2. ურმის უღლის რიკი. ურმის ღერძის წინ და უკან ჩაყრილი ორი ჭინჭილაქი ღერძი, რომ არ წაგორდეს. 3. ხე-ტარი ხმლისა. 4. იგივეა, რაც ტახტა (ტახტა — უნაგირის კეხის წინ და უკან ამოშვერილი ნაწილები).

**კოტეჯი** (ინგლ.) — ერთბინიანი სახლი, მეტწილად ქალაქგარეთ.

**კოტიზი** (ძვ.) — იგივეა, რაც ბუზანკალი.

**კოტიზობა** — კოტიზისაგან შეწუხებული საქონლის შფოთვა.

**კოტიტა** — მოკლე და მსხვილი (ფეხი, ხელი, თითი).

**კოტორი** — პურის მონატეხი — კვერი.

**კოტორა** (საუბ.) — ვისაც თმა ძირში აქვს მოკრეჭილი ან მთლიანად გადაპარსული.

**კოტოში** — მუცელგანიერი პატარა ქილა; ადგამენ სხეულზე სამკურნალო მიზნით (სისხლის მოსაზიდად).

# «ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ ᲝᲯᲐᲮᲡ ᲙᲐᲞᲘᲙᲘᲪ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲚᲘᲐ...»

— როგორც ამბობენ, ექსპრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძესა და ზვიად გამსახურდიას ქვრივს, მანანა არჩვაძე-გამსახურდიას ახალმა მთავრობამ პენსია დაუნიშნა 14.000 ათასი ლარის ოდენობით. როგორც გავიგე, პენსიაზე მხოლოდ მანანა არჩვაძეს უთქვამს უარი. მართალია თუ არა ეს?

ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ **ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲐᲠᲩᲕᲐᲫᲔ-ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ,** ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ *(ბოდიშს ვუხდით კითხვის ავტორს, გოგა ხეჩუაშვილს, რომ კითხვის ავტორად რუბრიკის წამყვანი დასახელდა. ქალბატონი მანანა მხოლოდ იმ შემთხვევაში დაგვთანხმდა კომენტარზე, თუ დავასაბუთებდით კითხვის ავტორის ვინაობას, მისამართს და მის სხვა მონაცემებს, რაც ვერ მოხერხდა.)*

— საქართველოს პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ოჯახის წევრებისთვის ან მისი ქვრივისთვის პენსიის დანიშვნა მოქმედ მთავრობას არ შემოუთავაზებია. შევარდნაძის „მემკვიდრეების“ დამოკიდებულება ზვიად გამსახურდიას ოჯახის მიმართ არაფრით განსხვავდება მისი წინამორბედისგან. ისინი ალბათ იმას უფრო ისურვებდნენ, რომ ზვიად გამსახურდიას ოჯახი სრულიად არ არსებობდეს, ვიდრე პენსიით უზრუნველყონ. მეტიც, 2002-03 წლის საკანონმდებლო „მაცნეს“ ერთ-ერთი დადგენილების თანახმად, ჩვენს ოჯახს სოციალური დახმარების სახით უნდა გადმოსცემოდა 150.000 ლარი — ზვიად გამსახურდიას ოჯახს ერთი თეთრიც კი არ მიუღია აღნიშნული თანხიდან. კოლხური კოშკის, კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიების სახლ-მუზეუმის აღდგენაც იყო გათვალისწინებული. თავის დროზე, ქალაქის მერი ვანო ზოდელავა ამბობდა, თითქოს საკრებულოს თავმჯდომარე არ ეთანხმებოდა თანხის გამოყოფის საკითხს. მერწმუნეთ, ერთი კაპიკიც არ დახარჯულა კოლხური კოშკის აღსადგენად. არ მიგვიღია სოციალური დახმარებაც. იმჟამინდელმა რესპუბლიკის ხაზინის უფროსმა (ვინმე რამიშვილმა) ჯერ კიდევ 2003 წელს განმიცხადა, რომ საქართველოს ხაზინას ფული არ ჰქონდა. მოგვიანებით კი ახალმა „ხაზინადარმა“, ვაჟა პეტრიაშვილმა განაცხადა, რომ ეს იყო გასული წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა; რადგან 2004 წლის ბიუჯეტში ეს თანხა არ არის გათვალისწინებული, იგი გაბათილებულიაო. ასე რომ, საქართველოს პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ოჯახს სახელმწიფოსგან არც ერთი კაპიკი არ მიუღია.



# ᲘᲐᲤᲘ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲔᲡ!

— აღდგება თუ არა ტრამვაის მიმოსვლა გადასასვლელი ხიდისა და თბილისის ზღვის მიმართულებით? რამდენი ტრამვაია დღეისათვის თბილისში?

*ვალერი ქრელაშვილი*

ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ **ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲔ,** ᲢᲠᲐᲛᲕᲐᲘ-ᲢᲠᲝᲚᲔᲘᲑᲣᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ.

— გადასასვლელი ხიდიდან თბილისის ზღვის მიმართულებით ტრამვაის მიმოსვლის აღდგენა დღესვეა შესაძლებელი, რომ არა ერთი გარემოება — თავად მოსახლეობაა წინააღმდეგი. დაახლოებით 2 წლის წინ, ასკურავას ქუჩის მცხოვრებლებმა გზა გადაკეტეს იმ არგუმენტით, რომ მიწისძვრისგან დაზიანებულ საცხოვრებელ სახლებს ტრამვაის მიმოსვლა კიდევ უფრო დააზიანებდა. რადგან ქალაქის მერიის შესაბამისმა სამსახურებმა მოსახლეობას ვერ მისცეს იმის გარანტია, რომ უახლოეს მომავალში სახლებს სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდებოდა, ტრამვაის მოძრაობა ასკურავას ქუჩის მონაკვეთზე შეწყდა.

ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმომ სპეციალისტების დახმარებით შეისწავლა ქუჩის ეს მონაკვეთი და დავადგინეთ, რომ საცხოვრებელ სახლებს ტრამვაის მიმოსვლა ვერ დააზიანებს. სამწუხაროდ, ასკურავას ქუჩის მცხოვრებლები უნდობლობით შეხვდნენ ჩვენს დასკვნას და ტრამვაის ხაზიც გაუქმდა. თუ მოსახლეობას სურვილი ექნება, ტრამვაის მიმოსვლა ორ კვირაში აღდგება.

დედაქალაქის სხვადასხვა რაიონის მოსახლეობას არაერთხელ მოუმართავს ჩვენთვის ტრამვაი-ტროლეიბუსების ხაზების აღდგენის თხოვნით. მოგეხსენებათ, ტრამვაი-ტროლეიბუსი იაფი ტრანსპორტია. მძიმე სოციალური პირობების გამო ბევრ მოქალაქეს უჭირს სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობა.

ამჟამად თბილისში, მოსკოვის პროსპექტსა და ხუთი დეკემბრის ქუჩაზე მიმდინარეობს გზების შეკეთება. ამ მონაკვეთზე სრულიად გაუქმებულია ტრამვაი-ტროლეიბუსის ხაზი. ჩვენ მზად გვაქვს პროექტი და თუ საჭირო სახსრები გამოიძებნა, ამ მონაკვეთზე დაიწყება ტროლეიბუსის ხაზის გაყვანა. იგი გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე ტრამვაის ხაზის შეკეთება. რაც შეეხება ექსპლუატაციაში მყოფი ტრამვაის რაოდენობას, დღეისათვის ავჭალის დეპოში სულ 17 ტრამვაია, მათ შორის, ე. წ. საზაფხულო კონკა.

# ᲤᲝᲑᲘᲐ ᲗᲣ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲝᲑᲐ...

— ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ, ᲕᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲗ ᲤᲝᲑᲘᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲐᲡ:

**ნეკროფობია** — სიკვდილის შიში
**ნეფოფობია** — ღრუბლების შიში
**ნოქტიფობია** — ღამის სიბნელის შიში
**ნოსოკომეფობია** — საავადმყოფოების შიში
**ოენოფობია** — ღვინის სმის შიში
**ოლფაქტოფობია** — სუნის შეგრძნების შიში
**ომბროფობია** — წვიმის შიში
**პანოფობია** — ყველაფრის შიში
**პედიოფობია** — თოჯინების შიში
**პედოფობია** — ბავშვების შიში
**პლაკოფობია** — საფლავის ქვების შიში
**პიროფობია** — ცეცხლის შიში
**პტერეომერანოფობია** — ფრენის შიში
**რადიოფობია** — რადიაციის შიში
**რანიდოფობია** — ბაყაყის შიში
**რიტიფობია** — ნაოჭების შიში

**(გაგრძელება იქ. შემდეგ ნომერში)**

# «ᲛᲐᲔᲡᲢᲠᲝ» ᲐᲮᲐᲚ ᲢᲔᲚᲔᲡᲔᲠᲘᲐᲚᲡ ᲒᲕᲞᲘᲠᲓᲔᲑᲐ

— არსებობს ვარაუდი, რომ ტელეკომპანია „I სტერეოს“ და სტუდია „მაესტროს“ შორის განხეთქილებაა. ხმა დაირხა, რომ ტელეკომპანიები, „ევრიკა“ და „კავკასია“, „მაესტროსთან“ მოლაპარაკებებს აწარმოებენ და დიდ ჰონორარსაც კი ჰპირდებიან მამუკა ღლონტს (შემოქმედებითი გაერთიანების დირექტორს). მართალია თუ არა ეს, როდის და რომელი ტელეკომპანიის ეთერში გამოჩნდება „მაესტრო“. „I სტერეოსთან“ განხეთქილებამ „მაესტროს“ კოლექტივშიც ხომ არ გააჩინა ბზარი?

*ნუცა მათიაშვილი*



ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ **ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲦᲚᲝᲜᲢᲘ,** ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ „ᲛᲐᲔᲡᲢᲠᲝᲡ“ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ.

— ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები, ამიტომ ვერ დავასახელებ იმ ტელეკომპანიას, რომლის ეთერშიც გავა „მაესტრო“. მასში „მაესტროს“ 24-საათიანი მაუწყებლობა ექნება. მოლაპარაკებები, სავარაუდოდ, უახლოეს ათ დღეში დასრულდება, ხოლო „მაესტრო“ ალბათ ეთერში 1-ელ ოქტომბერს გავა. „მაესტროს“ კოლექტივი მწყობრშია, არავინ მოგვკლებია.

„I სტერეოს“ პოპულარობა ნამდვილად „მაესტროს“ დამსახურებაა, ისევე, როგორც მისი მაუწყებლობის მთელ საქართველოში გავრცელება (ლიცენზიის მოპოვება). „I სტერეოს“ ხომ დაარსების დღიდან არც ერთი რეიტინგიანი გადაცემა არ გაუკეთებია. თუმცა „მაესტროსაც“ მიეცა მუშაობის და მაყურებლის სიყვარულის მოპოვების საშუალება. ჩვენი განხეთქილების მიზეზი ის იყო, რომ „I სტერეომ“ არ გაგვიფორმა ხანგრძლივვადიანი ხელშეკრულება, რის გამოც ვერ ვახდენდით ინვესტირებას, ანუ თანხების დაბანდებას გადაცემებში (ჩადებული თანხის ამოღებას მინიმუმ 2-3 წელი მაინც უნდა). ახალ ტელეკომპანიაში დავიწყებთ იუმორისტული ტელესერიალის გადაღებას, სადაც „პა-სეანსის“ ყოფილი წევრები და ცნობილი ადამიანები მიიღებენ მონაწილეობას. გვექნება ახალი თამაშები, შეიცვლება დილის გადაცემის ფორმატი. ერთი სიტყვით, განვახორციელებთ ყველა იმ პროექტს, რომელთა რეალიზების საშუალებაც არ გვქონდა „I სტერეოს“ ეთერში.

*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ქორქოლიანმა*

ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს.


ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘ

✔ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘᲚᲝᲑᲐ... ᲓᲐ ᲠᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐᲡ ᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲐᲕᲗᲝ ᲪᲥᲕᲘᲢᲘᲜᲘᲫᲔ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲡ

✔ ᲘᲐ ᲤᲐᲠᲣᲚᲐᲕᲐ ᲡᲐᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡ ᲓᲔᲢᲐᲚᲔᲑᲡ ᲐᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲡ

✔ ᲠᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲐᲥᲕᲡ „ᲢᲔᲚᲔᲘᲛᲔᲓᲘᲓᲐᲜ“ ᲬᲐᲛᲝᲡᲣᲚ ᲒᲝᲒᲐ ᲒᲝᲛᲘᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲙᲐᲮᲐ ᲑᲔᲜᲓᲣᲥᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ

✔ ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲨᲘ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲙᲔᲓᲔᲚᲖᲔ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲡᲐᲮᲐ




...და მრავალი საინტერესო წერილი

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ!

# რა ელის ალენ ჟირესს — ტრიუმფალური მარში თუ ვატერლოო?

კარს მოგვადგა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ფეხბურთში. საქართველოს ნაკრების თავკაცმა ალენ ჟირესმა უკანასკნელი შემოწმება გუნდის კანდიდატებს 18 აგვისტოს, მოლდოვის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში უნდა მოუწყოს. ტირასპოლში დაგეგმილი შეხვედრა გენერალური რეპეტიცია იქნება, რის შემდეგაც მუსიე ალენმა სათ-



ურქეთო ბატალიებისთვის 18 შეგირდი უნდა გაამზადოს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში, გასულ კვირას გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელსაც ჟირესის გარდა მისი თანაშემწე გია გურული და ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი გოჩა ტყებუჩავა ესწრებოდნენ, ძირითადად მოწვეულ და მოსაწვევ მოთამაშეებზე იყო ლაპარაკი. ჩანს, ფრანგი სპეციალისტი საკუთარი გეგმების ძირითად ნაწილს სამომავლოდ ინახავს. ყოველ შემთხვევაში, შესარჩევი ციკლის მოახლოებას ცოტა სხვანაირი „ფაციფუცი“ უნდა ეტყობოდეს და რაკილა ეს არ იგრძნობა, ისე გამოდის, რომ ჟირესი მწვანე მინდორზე აპირებს უშუალო მეტოქეებთან ბრძოლაში თავისი საიდუმლო არსენალის გამომზეურებას. საქართველოს უმძიმესი ორთაბრძოლები მოუწევს ჯგუფის დანარჩენ გუნდებთან. ორად ორი ტესტ-მატჩი იმ ფონზე, როცა ჩვენი კონკურენტები გაცილებით უკეთესად ემზადებიან, ვერ არის სახარბიელო, მაგრამ საბანსაც ისე ვიხურავთ, როგორც გვწვდება. ეგ არის, თუ ჩვენი ამბიციები ტანმორჩილი ჟირესის სიგრძეზე „გავიწვდინეთ,“ მაშინ სასიკეთოს ამ საქმიდან არ უნდა ველოდოთ. კარგად გამიგეთ, ჟირესი ბრწყინვალე ფეხბურთელი იყო და შესაძლოა, პიროვნულადაც წუნი არ დაედებოდეს, მაგრამ ისრაელთან თბილისური წაგების შემდეგ ვერაფრით გავხდი ოპტიმისტი და თუ გინდათ, მომკალით. ნაკრების აღმასვლას უფრო სხვანაირი, ძირეული ძარღვის გამოცოცხლება სჭირდება, სხვანაირი ოფლის ღვრა და „ძვალთა მსხვრევა“ უნდა და უამისოდ, ძალიან მიჭირს იმის დაჯერება, რომ ქვეყნის უპირველესი გუნდი დანიის, საბერძნეთის, თურქეთისა და უკრაინის ნაკრებებთან ჭიდილს გაუძლებს. ისე კი, ღმერთმა ქნას, ვცდებოდე. მერწმუნეთ, სხვაზე ნაკლები გულშემატკივარი არ გახლავართ, ქართული ფეხბურთის ძველი დიდების და ნამდვილი ვარსკვლავების თამაშის თვითმხილველიც ვარ და ნამდვილი ქართული ფეხბურთის მონატრება იქამდე შემაწუხებს, ვიდრე მსგავსი ტრიუმფით ხელახლა არ გაიხარებს საქართველო.

ძალიან მინდა მჯეროდეს ალენ ჟირესის გენიალური სტრატეგიისა, რომლის არსებობის შესახებ 4 სექტემბერს, თურქეთთან მატჩის დროს შევიტყობთ. ფრანგის სამწვრთნელო ამბიციებიც და სამომავლო პერსპექტივებიც იქ გამოჩნდება და არა 18 აგვისტოს, მოლდოვასთან ამხანაგურად გაპაექრებაში.

ისე კი, ტანმორჩილი იყო ნაპოლეონიც და... რა ვიცი, ქვეყანას კი აზანზარებდა. ნამდვილად ბედნიერები ვიქნებით, თუ ალენ ჟირესის საბრძოლო ეპოპეა 2006 წელს გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატზე ტრიუმფალური მარშით დასრულდება და ფრანგი მწვრთნელი საქართველოს არ გაიხსენებს როგორც სამარცხვინო ვატერლოოს, რისი მწარე გამოცდილებაც ჟირესის წინამორბედებს არაერთხელ ჰქონიათ.

# ვიეირა ცალი ფეხით მადრიდშია, მეორით ლონდონში

„რეალის“ პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი ახალ სენსაციას ამზადებს და „არსენალიდან“ პატრიკ ვიეირას ეპატიჟება. სამეფო კლუბის მაცდურ წინადადებას ვერც ფეხბურთელი და ვერც ლონდონური კლუბი წინ ვერ აღუდგებიან. მხარეებმა სიტყვიერ შეთანხმებას უკვე მიაღწიეს. სატრანსფერო თანხა 23 მილიონი გირვანქა სტერლინგის ფარგლებში მერყეობს, თუმცა „არსენალის“ აღმასრულებელ დირექტორს დევიდ დინს ფული ეცოტავება. „რეალი“ ვიეირას საკითხს თითქმის გადაწყვეტილად მიიჩნევს და გრანდიოზულ პრეზენტაციასაც გეგმავს. პატრიკი სამედიცინო შემოწმების მიზნით პირად ექიმს ეწვია და თმის ღერიდან ფეხის ფრჩხილამდე გამოიკვლია საკუთარი ჯანმრთელობა. მას შარშანდელი ტრავმის გამოვლენის ეშინია, რის გამოც ბევრი მატჩი გაუცდა გასულ სეზონში. თუ ეს ტრანსფერი შედგა, „რეალი“ ვიეირას საშუალებით შეავსებს თავდასხმასა და დაცვას შორის არსებულ უფსკრულს, რომელიც ბოლო წლებია მადრიდელებს აქილევსის ქუსლად ექცათ. „არსენალს“ კი მისი სახით სერიოზული დანაკლისი ექნება. ინფორმაციამ იმის შესახებაც გაჟონა, რომ შესაძლოა „მეთოფეთა“ კიდევ ერთი



წამყვანი ფეხბურთელი ფრედი ლუნგბერგიც წავიდეს გუნდიდან. თუ ეს გამართლდა, „არსენალის“ მწვრთნელს არსენ ვენგერს ახალი სეზონის წინ ძილი ნამდვილად დაუფრთხება.

# ერიქსონი ქალებში ველარ „გაძვრება“



— ოჯახს მიხედე, სვენ!..

ხუთშაბათს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ კიდევ ერთხელ განიხილა ერიქსონის საქმე. ასოციაციის კეკლუც მდივანთან, ფარია ალამთან გახმაურებული სკანდალის შემდეგ, ინგლისელთა შვედ დამრიგებელს გადადგომა ემუქრებოდა, მაგრამ აღმასკომმა მექალთანე მწვრთნელი პოსტზე დატოვა. ევროპაში მსგავსი სკანდალები აღარავის აკვირვებს, რადგან ცნობილი პიროვნებები წინდებივით იცვლიან გულის სწორებს. თუმცა ინგლისური დავიდარაბის ძაღლის თავი სხვაგან იყო დამარხული, რომელსაც ასოციაციის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი კოლინ გიბსონი და თავად სკანდალის მიზეზი ქალბატონი გადაჰყვნენ. ფარია ალამი გიბსონსაც ეკურკურებოდა და ერიქსონსაც, საბოლოოდ კი, შვედის ავტორიტეტმა გადაწონა.

ინგლისელ ფეხბურთის ბოსებს ერიქსონის გადაყენება არ გამოუვიდათ, მაგრამ სექტემბრის შესარჩევ მატჩებში უეჭველი გამარჯვებების ულტიმატუმი წაუყენეს. თუკი სვენგორანს ამ მატჩებში ფეხი გადაუბრუნდება, მას ველარც ავტორიტეტი უშველის და ველარც აღმასკომის თანადგომა. დიდი ხანია ბრიტანეთი ელის ინგლისის ნაკრების გრანდიოზულ გამარჯვებას და ერიქსონს ამ მიზნის განუხორციელებლობას უკვე არავინ აღარ აპატიებს. ამიტომაც მას ქალებში სიარულის დრო აღარ ექნება.

# გოგა გახოკიძე აუცილებლად ითამაშებს ნაკრებში



გასულ პარასკევს, დონეცკის „მეტალურგის“ ოფისში კლუბის ახალწვეულთა პრეზენტაცია შედგა, რომელთა შორის გოგა გახოკიძეც გახლდათ. მშვენივრად ჩატარებული შარშანდელი სეზონის შემდეგ, რომელშიც ქართველმა ფეხბურთელმა ჰოლანდიის საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესოთა ნომინაციაში რჩეულ მეპასეთა მთავარი პრიზი მოხსნა, გოგას ახალ გუნდში გადასვლის რამდენიმე ვარიანტი ჰქონდა, მაგრამ დროის მწვავე დეფიციტის გამო უკრაინული კლუბი არჩია, სადაც ერთწლიან კონქტრაქტს მოაწერა ხელი. დონეცკის „მეტალურგი“ უეფას თასზე გამოვა და გუნდის მწვრთნელს სლავომირ მუსლინს გახოკიძის სახით მარცხენა ფლანგზე ისეთი ფეხბურთელი ჰყავს, რომელსაც სერიოზული კონკურენტი არ გააჩნია. დასანანია, რომ გოგა დისკვალიფიკაციის გამო საქართველოს ნაკრების სასტარტო მატჩებს გამოტოვებს. როგორც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალენ ჟირესმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, გახოკიძე ისეთი კლასის ფეხბურთელია, რომელიც აუცილებლად ითამაშებს საქართველოს პირველ გუნდში, როდესაც უეფას სასჯელის ვადა ამოეწურება. იმედს გამოვთქვამთ, რომ ნაკრებისა და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ფედერაციის ხელმძღვანელობაც და გუნდის ერთ-ერთი ლიდერი — გოგა გახოკიძე აბსურდული გაუგებრობით გამოწვეულ ინციდენტს სამუდამოდ დაივიწყებენ და ფეხბურთელს, ბოლოს და ბოლოს, მიეცემა ეროვნულ ნაკრებში თამაშის და გულშემატკივართა წინაშე საკუთარი ნიჭის სრულად გამოვლენის შესაძლებლობა. საქართველო ნამდვილად არ არის განებივრებული გახოკიძის დონის ფეხბურთელების სიმრავლით და არც იმის მაგალითებია თითზე ჩამოსათვლელი, რომ ჩვენზე გაცილებით ძლიერი ეროვნული გუნდები, მიუხედავად კონფლიქტებისა, ქვეყნის ინტერესებს ყველაზე მაღლა აყენებდნენ და „შერისხულ“ მოთამაშეებს ძირითად შემადგენლობაში თამაშს ანდობდნენ. გადაჭრით რაიმეს თქმა ძალზე ძნელია, მაგრამ უაღრესად სანდო წყაროს ცნობით შევიტყვეთ, რომ ინციდენტი ამოწურულია და დისკვალიფიკაციის ვადის გასვლის შემდეგ გახოკიძე აუცილებლად ითამაშებს ეროვნულ გუნდში.

# გაბელიამ რომ პირჯვარი გადაიწერა

## რუსები გვეუბნებოდნენ — თქვენ რა, ორივე ფინალის მოგება გინდათო?!

არის ისეთი მატჩები, რომლებიც მეხსიერებიდან არასოდეს იშლება და ოქროს ასოებით შედიან ისტორიაში. მატიანის ასეთი ლამაზი ფურცლები თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა არაერთხელ ჩააგვირისტეს. ერთ-ერთი საფეხბურთო „შედევრი“ 1979 წლის 11 აგვისტოს შეიქმნა. ზუსტად 25 წლის წინ თბილისის „დინამომ“ საბჭოთა კავშირის თასის ფინალში მოსკოველ თანაკლუბელებს სძლია და მეორედ მოიპოვა საპატიო ჯილდო. „ლუჟნიკებში“ გამართული დრამატული ორთაბრძოლა ქართველებმა პენალტების სერიით მოიგეს. მთელი საქართველო გულშემატკივრობდა სათაყვანებელ გუნდს, რომელიც 120 წუთის მანძილზე უშეღავათო პაექრობაში არაფერს უთმობდა მასპინძელთა კოლექტივს. 11-მეტრიანების სერიაში გაუგონარი ამბავი მოხდა სტადიონზე დამსწრე მაყურებლისა და მილიონობით ტელემაყურებლის თვალწინ. თბილისელთა გოლპიკერმა ოთარ გაბელიამ გადამწყვეტი დარტყმის წინ პირჯვარი გადაიწერა, ზეცას მავედრებელი მზერით ახედა და მსაჯის სასტვენის მოლოდინში კარში გაირინდა. სასწაულმაც არ დააყოვნა, მოსკოველთა თავდამსხმელის ვალერი გაზაევის შესრულებული 11-მეტრიანი თბილისელთა მეკარის ნადავლი გახდა და „დინამო“ საბჭოთა კავშირის თასს დაეუფლა. ზეიმმა მოიცვა მთელი საქართველო...

ამ მატჩის პერიპეტიების გახსენება ვთხოვეთ კაცს, რომელმაც პირველმა ზეალმართულ ხელებში ამაყადააელვარა საპატიო ჯილდო. გვესაუბრება თბილისის „დინამოს“ დიდი გუნდის დიდი კაპიტანი **მანუჩარ მაჩაიძე:**



დიდი გუნდის დიდი კაპიტანი

*— ეს გამარჯვება უაღრესად მძიმე ბრძოლაში მოვიპოვეთ. ფინალამდე მოსკოვში ხალხთა სპარტაკიადა ტარდებოდა, სადაც საქართველოს ნაკრებს თბილისის „დინამო“ წარმოადგენდა. საშინელი დატვირთვა გვქონდა, თითქმის ყოველ მესამე დღეს ოფიციალური მატჩები გვიწევდა. სპარტაკიადაზე ყველა მეტოქე ჩამოვიტოვეთ და ფინალში მოსკოვის ნაკრებს შევხვდით. სამ დღეში ჩემპიონატის მატჩი გველოდა „ტორპედოსთან“ და კიდევ სამი დღის შემდეგ თასის ფინალი მოსკოვის „დინამოსთან“. წარმოიდგინეთ, ერთ კვირაში ორი ფინალური თამაში უნდა მოგვეგო. მოსკოვის ნაკრებთან შეხვედრის წინ რუსები გვეუბნებოდნენ: — „თქვენ რა, ორივე ფინალის მოგება გინდათო?“ და იმდენი ქნეს, ის მატჩი 1:2 წაგვაგებინეს. მერე „ტორპედოსთან“ 1:1 ვითამაშეთ და გადაქანცულები და ტრავმირებულები წარვდექით თასის ფინალში მასპინძელთა წინაშე.*

*ძალიან მძიმე მატჩი გვქონდა. განსაკუთრებით პირველ ტაიმში გაგვიჭირდა, მაგრამ შემდეგ მაინც გამოვნახეთ ძალა და თამაშის სადავეები გამოვტაცეთ ხელიდან მოსკოველებს. დამატებით დროში ხინჩაგაშვილი დაგვიშავდა, მაგრამ შეცვლის ლიმიტი ამოწურული გვქონდა და ფაქტობრივად ათნი დავრჩით მინდორზე...*

*პენალტების სერია ცუდად დავიწყეთ: ჯერ ყიფიანს აუღო პენალტი მოსკოველთა მეკარე გონტარმა, შემდეგ გუცაევს. გული ჩამწყდა, კინაღამ ხელი ჩავიქნიე და წაგებას შევეგუე. თუმცა, მერე იმათაც გააფუჭეს 11-მეტრიანი და იმედი ისევ მომეცა, როდესაც 5-5 დარტყმის შემდეგ ანგარიში ისევ თანაბარი იყო, ჯერი მიდგა პირველ გაფუჭებულ პენალტამდე. მეც გავიტანე და მოსკოველმაც, ახლა ვფიქრობ, ვინ უნდა დაარტყას ჩვენიდან? ხინჩაგაშვილი და ჩემი ძმა — გოჩა ტრავმირებულები იყვნენ, კაკილაშვილი კი ძალიან ახალგაზრდა და თავს ხელში ვერ აიყვანდა ნერვიულობისაგან. სხვა გზა არ იყო და სულაქველიძე წავიდა დასარტყმელად, ისიც გვარიანად განიცდიდა. მახსოვს, მოვასწარი და მივაძახე: — „ნუ გეშინია ბიჭო, გაიტან, ოღონდ ძლიერად დაარტყი-მეთქი“... მართლაც კარგად შეასრულა პენალტი და გაიტანა. მერე კი გაბელიამ აიღო გაზაევის დარტყმული და თასის მფლობელები გავხდით...*

*1979 წელი მართლაც შთამბეჭდავად ჩავატარეთ. მთელ სეზონში სამად სამი მატჩი წავაგეთ . ჩემი კაპიტნობის ჟამს 4 წლის მანძილზე თბილისში წაგება არ გვქონდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში. ძალიან ძლიერი გუნდი გყავდა — გული მტკივა, რომ 1979 წლის თასის ფინალი ჩაწერილიც კი არ არის ვიდეოფირზე. ასეთი დაუდევრობა არსად არ ხდება. სად გაქრა ჩვენი შესანიშნავი გამარჯვებები „ინტერთან“, „ნაპოლისთან“, „კარდიფ-სიტისთან“. ჩემპიონატის, თასის გათამაშების დროს „დინამოს“ მიერ ჩატარებული გამორჩეული მატჩების ვიდეოჩანაწერები? კაცმა არ იცის, სად წავიდა და როდის განადგურდა. ეს ხომ ჩვენი ფეხბურთის სახელოვანი ისტორია იყო...*

*მატჩის შემდეგ რა დაგვაძინებდა, მთელი ღამე ვქეიფობდით სასტუმრო „მოსკოვში“. უამრავი ქართველი გულშემატკივარი მოდიოდა, გვილოცავდა, არნახული სიხარული და ზეიმი იყო...*

25 წელიწადი მიილია 1979 წლის სათასო ფინალის შემდეგ, მაგრამ იმ გამარჯვებას დავიწყების ბურუსი არ მიჰკარებია. კიდევ გავა წლები, მაგრამ ყველა თაობას ეხსომება დიდი გუნდი — თბილისის „დინამო“, რომელიც სიხარულის დაუვიწყარ წუთებს ჩუქნიდა მილიონობით გულშემატკივარს.

***გვერდი მოამზადა ზვიად სეხნიაშვილმა***

## №30 (408) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 515 მკითხველი გამოეხმაურა. 8 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 178-მა ქალმა და 329 მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელი მინისტრი იმსახურებს თქვენს კეთილგანწყობას ყველაზე მეტად?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, რესპონდენტთა უმრავლესობა ყველაზე მეტად შს მინისტრის მიმართაა კეთილგანწყობილი. მკითხველთა — 54%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 9 ქულით. მინიმალური — 1 ქულა კი 1%-მა მიაკუთვნა.

**8,08** საშუალო ქულით ირაკლი ოქრუაშვილი პირველ ადგილზეა.

რესპონდენტთა 29%-ის კეთილგანწყობას კი ყველაზე მეტად საგარეო საქმეთა მინისტრი იმსახურებს — საშუალო ქულით 7,59, სალომე ზურაბიშვილი მეორე ადგილზეა. მინიმალური ქულით იგი მხოლოდ სამმა მკითხველმა (0,6%) შეაფასა.

გიორგი ბარამიძე მესამე ადგილზეა და უნდა აღინიშნოს, რომ მას მხოლოდ ერთმა მკითხველმა (0,2%) დაუწერა მინიმალური — 1 ქულა.

რეიტინგში თითქმის ერთნაირი მაჩვენებლებით გამოირჩევიან კახა ბენდუქიძე, ზურაბ ნოღაიდელი და გიორგი გაბაშვილი. თუმცა, მათ შორის ყველაზე მეტი რაოდენობის მაქსიმალური ქულა მაინც ეკონომიკის მინისტრს ხვდა წილად— 3,7%, (ნოღაიდელი — 0,6%-მა, ხოლო გაბაშვილი 0,2%-მა შეაფასა 9 ქულით).

მაქსიმალური ქულით არც ერთ მკითხველს არ შეუფასებია სათბობ-ენერგეტიკის ახალგაზრდა მინისტრი, თუმცა, მინიმალური ქულების სიუხვით მას კახა ლომაიამ გადააჭარბა და ბოლო ადგილიც მას ხვდა წილად.

თითქმის ანალოგიური შედეგი მივიღეთ მაისის თვეში, როცა ჩინოვნიკებს კომპეტენტურობისა და პროფესიონალიზმის თვალსაზრისით ვაფასებდით — მაშინაც პირველ ადგილზე ირაკლი ოქრუაშვილი (გენპროკურორის ამპლუაში) და ბოლოზე — კახა ლომაია გახლდათ.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი თბილისელი, 67 წლის **ანიკო ჯოჯუაა.** ქალბატონმა ანიკომ, საპრიზო ვარინტისგან განსხვავებით, გიორგი გაბაშვილს სამის ნაცვლად — ორი ქულა (მერვე ადგილი) მიაკუთვნა, ხოლო ნიკა გილაურს პირიქით — ორის ნაცვლად — სამი (მეშვიდე ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 4 აგვისტოს, 17 საათზე.

## №31 (409) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„**კვირის პალიტრა**“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „**კვირის პალიტრის**“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

✱ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვასა და **«მკითხველის პრემიას».**

**№30 (408) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 4 აგვისტოს 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 5 აგვისტოს 13 საათამდე.**

© თბილისი

**ყურადღება! რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ შეავსოთ ისინი და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.**

თემა №31(409) — მნიშვნელოვანი მოღვაწეები

**თქვენი აზრით, რომელმა მოღვაწემ შეასრულა (ასრულებს) ყველაზე მნიშვნელოვანი როლი რუსეთის უახლეს ისტორიაში** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№31(409) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | სახელმწიფო მოღვაწე | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ლენინი | |
| 2 | სტალინი | |
| 3 | მიხეილ გორბაჩოვი | |
| 4 | ედუარდ შევარდნაძე | |
| 5 | ვლადიმირ პუტინი | |
| 6 | ნიკიტა ხრუშჩოვი | |
| 7 | ბორის ელცინი | |
| 8 | ლეონიდ ბრეჟნევი | |

**დამატებითი კითხვა**

გყავთ თუ არა სულიერი მოძღვარი?

| დიახ | არა |
|---|---|
| | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, დამატებით კითხვასა და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

**„მარტოხელა რაინდები“**

*მკითხველის რეიტინგში 401 რესპონდენტი მონაწილეობდა*

| | | |
|---|---|---|
| 1. | შალვა ნათელაშვილი | 38.8% |
| 2. | კობა დავითაშვილი | 25.8% |
| 3. | ირაკლი ოქრუაშვილი | 8.3% |
| 4. | მიხეილ სააკაშვილი | 5.7% |
| 5. | კახა ბენდუქიძე | 4.4% |
| 6. | გიორგი ხაინდრავა | 1.6% |
| 7-9. | ნოდარ ნათაძე | 1.3% |
| 7-9. | აკაკი ასათიანი | 1.3% |
| 7-9. | ლევან გაჩეჩილაძე | 1.3% |
| 10-11. | ჯუმბერ პატიაშვილი | 1.0% |
| 10-11. | ნიკა გილაური | 1.0% |
| | მიჭირს პასუხის გაცემა | 1.6% |
| | არც ერთი | 1.3% |

# ·ფოტოპალიტრა· © ფოტოანტიკვარი



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

— იმედიანი კაცი კი ვარ, მაგრამ „ვარსკვლავების“ უფროსობა არ გინდა?!

წინა ნომერში გამოქვეყნებული „ფოტოანტიკვარის“ მინიშნებით — „ჩემი სასმელით არ მადღეგრძელებთ?“, როგორც ჩანს, ძალიან გავუადვილეთ მკითხველთა 95%-ს სასმელის მწარმოებელთა შორის ზუსტად ამოეცნო ამ ფოტოზე გამოსახული პატარა ბიჭუნა. დიახ, ეს გახლავთ ლუდისა და ცივი ჩაის მწარმოებელი, ცნობილი ბიზნესმენი **გოგი თოფაძე**, როგორც ერთი მკითხველი გვწერს, „ბამბის მაროჟნით“ ხელში. თუმცაღა, ზოგიერთმა ამ ფოტოზე ლევან გაჩეჩილაძე, თემურ შაშიაშვილი, დათო ლორთქიფანიძე და ვლადიმირ ილიჩ ლენინის ბავშვობაც დაინახა.





გოგი თოფაძე, 4 წლის

## ფოტო განწყობისთვის



ცანზანიური შვრიხვოდი

### თურმე...

* * * ინდოეთში ქორის გამავრცელებელი კანონით ისჯება;

* * * სტატისტიკით დასვენების დღეებში ამინდი გაცილებით ცუდია, ვიდრე სამუშაო დღეებში;

* * * ტროპიკული ხეები ისე სწრაფად იზრდება, რომ ამ პროცესის თვალყურის დევნება შეუიარაღებელი თვალითაც არის შესაძლებელი.

**8/VIII** ☾
**უკანასკნელი მეოთხედი**

**მაგნიტური დღეა**
**12/VIII 9-დან 12 საათამდე**

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. „აივენჰო“; 4. ილურიძე; 6. პონტო; 7. როვნო; 8. ცირკი; 9. აპაში; 10. ანგორა; 13. სპორტი; 16. კრივი; 18. კონფუცი; 19. კარელია; 20. მაფია; 22. იდილია; 23. დეფილე; 25. კონკა; 27. ნასკა; 28. ალეპო; 29. ტიტრი; 30. იკაროსი; 31. ამირანი.

**შვეულად:** 1. ადაპტაცია; 2. ოპერაცია; 3. უნივერმაღი; 4. იოვოვიჩი; 5. ელისაბედი; 11. განგი; 12. რაუტი; 14. „პორშე“; 15. რელსი; 16. კიმ; 17. იკა; 21. ფანასკერტი; 22. იმპერიალი; 24. ესპანდერი; 25. კონტაქტი; 26. ანალოგია.






**თარაზულად:** 1. იგივეა, რაც ჩირაღდანი; 4. სადილზე დასაყოლებელი, ჩაროზი; 6. ეკლესიის მსახური; 7. „სამეფო კლუბი“; 8. ადამის პირმშო; 9. რომაულ კალენდარში დღეები ყოველი თვის შუაში; 10. სიყვარულის გამოხატვა; 13. პროფილაქტიკური საღეჭი რეზინი; 16. კინოფესტივალის ჯილდო; 18. ქართული მხატვრული ფილმი; 19. უმაღლესი ნეტარება ბუდიზმში; 20. უმცროსი მეზღვაური; 22. ბუნების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი ანტიკურ ფილოსოფიაში; 23. საფრანგეთის დედაქალაქი; 25. ძველი ქართული საბავშვო თამაში ქამრებით; 27. „მთვარე და ექვსპენიანი“, „თეატრი“ (ავტორი); 28. წყლის ნიმფა ბერძნულ მითოლოგიაში; 29. ქეიფი, დროს ტარება; 30. მსახიობი ფილმში „დათა თუთაშხია“; 31. მდინარე საქართველოში.

**შვეულად:** 1. არიადნა შენგელაიას პერსონაჟი კინოფილმში „შერეკილები“; 2. მეომარი ქალი ბერძნულ მითოლოგიაში; 3. პირველი არხის გადაცემა „ღამის ...“; 4. კონტრრევოლუციის ერთ-ერთი თეთრგვარდიელი ლიდერი; 5. სასწავლებელთან არსებული საერთო საცხოვრებელი; 11. ძველი ბერძენი; 12. ჩაცმულობის მანერა; 14. კარგად მორბენალი ცხენი; 15. გეომეტრიული ფიგურა; 16. წილი საერთო საქმეში; 17. თმის ბუნებრივი საღებავი; 21. ქალაქი, სადაც ბოლოს მსახურობდა ბარათაშვილი; 22. დაავადება, რომელიც ხშირად აწუხებდა შუა საუკუნეების მეზღვაურებს; 24. ორგანიზმის შეუვალობა დასნებოვნების წინააღმდეგ; 25. ძილის ძველებური წამალი; 26. ზუსტი მიბაძვა ვისიმე ხმის ან მიხრა-მოხრისა.

შეადგინა რამაზ ალანიამ

## მადონა სიძუნწეს ამჟღავნებს

ამჟამინდელი ტურნეს თითო კონცერტში მადონა 2 მილიონ დოლარს იღებს, ხოლო შოუს მოცეკვავეებს ათას-ათას დოლარს უხდის.

— საშინელ პირობებში ვმუშაობთ, — ჩივიან ბიჭები, — მადონა თავის ძვირფას ხმას უფრთხილდება, ამიტომ სცენაზე კონდიციონერები გამორთულია ხოლმე. თანაც გროშებს გვიხდის.



მადონას აგენტი კი ამტკიცებს, — მოცეკვავეები ძალიან კმაყოფილნი არიან სამუშაო პირობებითო.

ვარსკვლავი ჩირად არ აგდებს ქორებსა და საყვედურებს და არ აპირებს, კორდებალეტის მოცეკვავეებისთვის ხელფასის მომატებას. ამბობენ, ფულს ზოგავს ტელესერიალის გადასაღებად, რომელიც მის ცხოვრებას მიეძღვნება.

## ბრიტნი გათხოვებას ჩქარობს



ბრიტნი სპირსი და მოცეკვავე კევინ ფედერლაინი ქორწილს, ნოემბრის ნაცვლად, აგვისტოს დამლევს გადაიხდიან — ასე მოისურვა 22 წლის პოპვარსკვლავმა.

ამბობენ, ბრიტნი ჩქარობს, რაც შეიძლება მალე მიიღოს გათხოვილი ქალის სახელიო.

ახლა ისინი ცერემონიის ორგანიზატორთან ერთად წვეულებისთვის ემზადებიან.

მომავალმა ცოლ-ქმარმა მალიბუში 4,5 მილიონ დოლარად შეიძინა ულამაზესი ვილა. სწორედ იქ გადაიხდიან ქორწილს, რომელსაც მთელი ამერიკა გაფაციცებით ელოდება.

ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

### (32) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________________

სიტყვა და საქმე

**გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება**

№32 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 12 აგვისტოს (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები
ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი
სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com
www.kvirispalitra.ge

სარეგისტრაციო ნომერი © 1518
„კვირის პალიტრა“
გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.